# ტარო, საიდან მოდიხარო?





დახუთული ეპოქის დასასრული



„გიორგი თარგამაძე მოღალატეა“



ნიკიტას 61 ტყუილი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

29 აპრილი - 5 მაისი, 2009 №10

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net



4

„საქართველო და მსოფლიო“ სამძიმარს უცხადებს დაღუპულების — ნიკა გელაშვილისა და გიორგი გაბუნიას ოჯახების წევრებსა და ახლობლებს...





...რამდენიმე სართულზე მასიურად დაასხეს „სტიაჟკა“, რამაც ნაგებობა დაამძიმა. ასეთ დატვირთვაზე კი კონსტრუქცია გათვლილი არ იყო. დამძიმებას დაემატა მზიდი კედლების გამოცლა, რის შედეგადაც ნაგებობას საყრდენი გამოეცალა და საკუთარმა სიმძიმემ ჩამოშალა...

...შენობის ჩამონგრევა და ორი ადამიანის დაღუპვა შედეგად მოჰყვა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ მესვეურთა სიხარბეს და მერიის სათანადო სამსახურების მიერ ორმაგი სტანდარტების გამოყენებით ნაგებობის რეკონსტრუქციისას დაშვებულ დარღვევებზე წაყრუებას...

# „რუსთავი 2“-ის მორიგ სისხლიან ოდისეას ველარ ჩაფარცხავენ

## ვისი ყურმოჭრილია ქართული ელიტა 6-7

## გააპარულან ე ვირები!.. 10

## რაღაც დალპა დანიის სამეფოში 13

## ქართული ენა აღარ არის სავალდებულო უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტზე 15

## საქართველოს საგარეო ვალი 2.8 მილიარდს უტოლდება 18

## კიმ ჩენ ირი ჰალსტუხს არ ლევავს 26



12 Да здравствует наш суд, самый гуманный суд в мире!

unicef

## რატომ უჭერს მხარს UNICEF 28 აბორტის ლეგალიზებას?

## ახალგაზრდა ქალის მკვლელობას შესაძლოა, სისხლის აღება მოჰყვეს 29

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟღერებული



**მიხეილ სააკაშვილი,**
საქართველოს პრეზიდენტი

ჩვენ რეალურად მოვითავეთ ომი, ახლა წყლის პრობლემას ვწყვეტთ, ეკონომიკური კრიზისიც გადავლახეთ. პროდუქციის გასაღების ბაზრების საკითხი, შარშანდელთან შედარებით, წელს ბევრად უკეთესია.



**სერგეი ლავროვი,**
რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

დღეს, როცა საქართველოში ნატოს წვრთნები იგეგმება, ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს შეკითხვა, რისი მიღწევა სურთ ალიანსში. შეგახსენებთ, რომ ბოლოს ნატოს წვრთნები საქართველოში 2008 წლის ივლისში, სამხრეთ ოსეთზე თავდასხმამდე ერთი კვირით ადრე, ჩატარდა.



**ზურაბ ნოღაიდელი,**
ექს-პრემიერ-მინისტრი

კოდორის დაკარგვით 500-კილოვატიანი ხაზი „კავკასიონი“ დავკარგეთ. ეს ხაზი რუსეთის გავლით გადმოდიოდა კავკასიონზე, კოდორის ხეობით ჩადიოდა ენგურჰესამდე, შემდეგ კი ენგურის მეორე მხარეს, საზერიოში გადადიოდა, აფხაზეთიდან კი — სამეგრელოში. ამ საკითხზე ყურადღებას არავინ ამახვილებს, ალბათ, იმიტომ, რომ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ — ენგურჰესიც დავკარგეთ.



**ირაკლი წერეთელი,**
ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი

გია მაისაშვილი განათლებული და წესიერი ადამიანია, მაგრამ ვერ არის კარგად. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.



**გია გაჩეჩილაძე,**
მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე

ამ ყველაფერმა არ დაასხას ვანო მერაბიშვილის წისქვილზე წყალი. მე მითქვამს და დანარჩენი თვითონ იციან; იმიტომ, რომ არ არის გამორიცხული, წავიდეს მიშა და დარჩეს მერაბიშვილი, შემდეგ კი სწორედ ამ მერაბიშვილთან გადავიდნენ დიალოგის რეჟიმზე.

ქრონიკა



**რამაზ საყვარელიძე,**
პოლიტოლოგი

კარგი იქნებოდა, ბატონ ელჩს იქვე დაეყოლებინა, რომ კონსტიტუციის დარღვევა იყო გირგვლიანის მკვლელობა, რომ არაკონსტიტუციური იყო ტელეკომპანია „იმედში“ ხელკეტებითა და ავტომატებით შეიარაღებული სპეცრაზმის შეჭრა, მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევა და ა.შ.

ქრონიკა

# ტარო, საიდან მოდიხარო?



**ვაშა! საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა და საქართველოს ყოფილმა პირველმა ჯენტლმენმა ბადრი ბიწაძემ ტარები დაგვირიგა! თანაც დაგვპირდა, თუ კარგად მოიქცევით, დროშებსაც მოგცემთო!**
**მართალია, ბოროტმა ხმებმა თქვეს, ბოროტმა ვიდეოთვალებმა დაინახეს და ბოროტმა ყურებმა მოისმინეს, რომ ეგ ტარები კი არა, ბეისბოლის ბიტები იყოო, მაგრამ...**

მთავარია, გული გულობდეს, ანზორი ანზორობდეს, თორემ ბიტასა და დროშის ტარს შორის ისეთივე მცირე განსხვავებაა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესა და ოპოზიციის ლიდერ ნინო ბურჯანაძეს შორის.

ნინო ბურჯანაძეს ჰკითხეს, რატომ მოიტანა ბადრი ბიწაძემ ხელკეტებიო.

**ეგ ხელკეტები არ იყოო, — მიუგო ნინომ, — ეგ იყო დროშის ტარებიო! კარგად დავინახეთ ყველამ, რომ ეგ ნამდვილად ტარები იყოო! ეს კიდევ კანონით აკრძალული არ არისო!**

ხომ გითხარით, ვაშა-მეთქი!

ვაშა!

**ვაშა იმიტომ კი არა, რომ ის ჯოხები დროშის ტარები იყო...**

**იმიტომაც ვაშა, რომ ნინო ბურჯანაძემ დაინახა!**

**დაინახა არა ტარები და ბიტები, არამედ, საერთოდ, რაღაც დაინახა! ანუ შეიძლება ითქვას, რომ მხედველობა დაუბრუნდა!**

კარგად გვახსოვს, 2007 წლის 7 ნოემბერს ჯოხებსა და ბიტებს კი არა, ბადრი ბიწაძეს ბადრი პატარკაციშვილში ძლივს არჩევდა, ვერც ზაზა ბეგაშვილს ხედავდა (ეგ შავი იყო და ღამით, აბა, რას დაინახავდა?), ვერც ჯინსიან სპეცრაზმელებს ამჩნევდა, ხედავდა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების საფრთხეს.

კიდევ გვირაბის ბოლოს სინათლეს ხედავდა, ოღონდ ამას რომ ხედავდა, ხმამაღლა არ ამბობდა!

### დრო გავიდა, სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე ჰაერში გაიფანტა, ხოლო გვირაბის ბოლოს სინათლე მიშას მატარებელი აღმოჩნდა,

### რომელიც ძალიან სწრაფად უკანსვლით და პირდაპირ ნინოს საწინააღმდეგოდ მოდიოდა.

ძველებს უთქვამთ: თუ სხვის ხელში წკეპლას ხედავ, საკუთარში სულ ცოტა ბეისბოლის ბიტას უნდა ხედავდეო!

მაგრამ ნინო რის ნინოა, რასაც ხედავს, იმას თუ იტყვის...

### იკითხება ასეო, თორემ ისე „ბიტაძე“ იწერებაო.

**ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ქართველმა კაცმა (ქართველი ქალის ქმარმა და საქართველოს ყოფილმა პირველმა ჯენტლმენმა),**

> **ტარები ჩქარა...**
>
> **ცოტა ხნის წინ ყველა ქართველს სურდა თავის დადება,**
> **მეგაფონით ღალადებდა ჭაბუკი თუ ასული...**
> **ჩვენ ყველანი ადრე გახლდით რთული წინადადება —**
> **ჰოდა, ახლა წერტილი გვაქვს დასმული!**
> **ვიღაც ბიჭი, სად იყო და სად არა,**
> **გამობრწყინდა, როგორც მთვარის სპეკალი:**
> **ჩვენ ყველანი ვარდები ვართ პატარა,**
> **ცოტა ხანში ამოგვივა ეკალი!**
> **არვინ იცის, კაცია თუ ნიღაბი,**
> **ტაშს კი ვუკრავთ — ცოცხალი და მკვდარი...**
> **ჩვენ ყველანი ადრე დროშა ვიყავით —**
> **ჰოდა, ახლა გაგვიკეთეს ტარი!**
>
> ლექსო ლეკიაშვილი,
> 2003 წლის დეკემბერი

არაფერსაც არ ამბობს! დგას გვირაბში მიშას მატარებლის წინაშე და ხელში მხოლოდ ტარი უჭირავს!

ბოროტი ხმები კი ამბობენ, ბიტააო...

შეიძლება, ბიტაცაა, და არც გაემტყუნება — ადრე რომ ყველას პრობლემა იყო, ახლა უკვე მაგათი ოჯახის პრობლემაა, თანაც, უკვე „ბიტავოი“ პრობლემა...

„ბიტავოი“ პრობლემის მოგვარება ქართველებს ბიტებით გვირჩევნია ხოლმე, ნინო კი ქართველია! ამიტომ ვაშა!

ბადრი ბიწაძეც ქართველია! ამიტომაც ვაშა!

### ბოროტი ხმები ამბობენ, რომ გვარი „ბიწაძე“ რუსულად

**რომლის გვარშიც (ბოროტი ხმების ცნობით) „ბიტაა“ ჩაშიფრული, თავისი პრობლემების მოსაგვარებლად ბიტა გამოიყენოს?**

მაგრამ ნინო ამბობს, ტარიაო, და...

**რა უფლება გვაქვს, არ დავუჯეროთ? ბოლოს და ბოლოს, თვითონ უკეთესად არ იცის, რა მოიტანა და რა დაარიგა ხალხში?**

მოდი, ახლა დავფიქრდეთ — რაში შეიძლება გამოიყენოს კაცმა, თანაც, გამწარებულმა და, თანაც, ქართველმა კაცმა დროშის ტარი?

თქვენც ის გაიფიქრეთ, რაც მე, ხომ?

ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში“ ტიგრანა ასეთ რაღაცას ეუბნება ჭეიშვილს: სანამ დაგიჭერდნენ, რას აკეთებდიო?..

პარტიის აგიტატორი ვიყავიო, — უპასუხებს ჭეიშვილი.

**— აჰაა! „ზნაჩიტ“, დროშა იყავი და ტარი გაგიკეთესო? — ეკითხება ტიგრანა.**

**ჭეიშვილის პასუხი აღარაა უკვე საინტერესო, იმიტომ, რომ მთავარი სათქმელი ნათქვამია.**

**თქვენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მე, ისევე, როგორც ნინო და ბადრი, ქართველი ვარ და მე მაგათ ადგილას ტარებს არ დავარიგებდი — რა იცი, ხალხს რა გაახსენდეს და რა იცი, ვინ აღმოჩნდეს ლიპარიტ ბაღვაშივით ძელზე კი არა, დროშის ტარზე გასმული?..**

**ნახვამდის!**

**P. S. თქვენ სადმე გინახავთ დროშის ტარებით გაჩერებული მატარებელი?**
**მე არა...**

**ხისტარ ბიტაძე**

## ფოტორეპლიკა



დიალოგზე არ წახვიდეთ,
თორემ ვიტირებ...



დიალოგზე თუ წახვალ,
თვალებს ამოგთხრი!



რა დროს დიალოგია, მიშას კვერცხების
რევოლუცია უნდა მოვუწყოთ...

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დახუთული ეპოქის დასასრული




**ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლიდან გუშინ, 2003 წლის 23 ნოემბრიდან თუ დავითვლით, 5 წელი, 5 თვე და 5 დღე შესრულდა. ამ ციფრისადმი მის მისტიკურ დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, საგულისხმო თარიღია. ამ პერიოდმა მოიცვა მისი პოლიტიკური ბიოგრაფია აღზევების მწვერვალიდან დაცემის ფსკერამდე. სახალისო ნუმეროლოგიას თავი რომ დავანებოთ, მთავარი კითხვა მაინც დარჩება: რატომ დასრულდა ყველაფერი ასე?**

**წვიმდა, ცუდი მწერლები რომ იტყვიან ხოლმე. იუსტიციის ყოფილი მინისტრი, მჟავრმეტყველი და წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც 36 წლის ასაკში მოიპოვა შეუზღუდავი ძალაუფლება, იდგა ფანჯარასთან და უკვე ფიზიკურად გრძნობდა, როგორ სძულს და ეზიზღება იგი უამრავ ადამიანს, თითქმის მთელ ქვეყანას. არადა, როგორ მოსწონდათ, როგორ უსმენდნენ აღტაცებულნი და რა იმედებს ამყარებდნენ. მორჩა, უცხო ქვეყნის ჯარი ახლოა დედაქალაქთან, თითოეული ოპოზიციური პარტია წყვდიადში ჩასაფრებულ მგელს დაემსგავსა, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ სწვდეს ყელში. ხაზინაში ფული არ არის, დასავლეთელი მოკავშირეები გადამწყვეტ მომენტში (ასე სჩვევიათ) დამუნჯდნენ და დაყრუვდნენ, ქვეყანა ქაოსში იძირება.**

### ყველაზე გასაკვირი კი წინარე აბზაცში ის არის, რომ მიხეილ სააკაშვილზე კი არა, ალექსანდრე კერენსკიზე მოგვითხრობს. თუმცა, მათ შორის შეიძლება იმდენი მსგავსება იპოვო, რომ რაღაც მომენტში ერთი მეორეში აგერევა.

რევოლუციიდან ათწლეულების შემდეგ ახლობელთა ვიწრო წრეში იმ უიღბლო მმართველმა მოულოდნელად იკითხა: იცით, ვის დავხვრეტდი, 1917-ში დაბრუნება რომ შემეძლოს? დამსწრე საზოგადოება გაისუსა და ალექსანდრ ფედოროვიჩს მიაჩერდა. ყველა ელოდა რუსული რევოლუციის საიდუმლოს ახსნას, მისი საკვანძო მომენტის საბოლოო დადგენას და დღემდე ამოუხსნელი პოლიტიკური რებუსების გასაღების მოძიებას. ყველას აინტერესებდა. რას იტყოდა, ვის დაასახელებდა მოხუცი. **მან კი დამსწრეთ თვალი შეავლო, სავარაუდოდ მოსვა ცოტაოდენ კარგი ინგლისური ჩაი ცუდი ინგლისური ფაიფურის ფინჯნიდან (მოქმედება ლონდონში ვითარდებოდა) და ჩუმად წარმოთქვა: — საკუთარ თავს! საკუთარ თავს, საშა კერენსკის...**

სულ ეს იყო. ამ საუბრის შემდეგ მას პოლიტიკურ საკითხებზე და განვლილ წლებზე განსაკუთრებული არც არაფერი უთქვამს. **საინტერესოა, რომ ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ დასავლეთმა კერენსკი, მისი მთავრობის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, მაინც არ მიატოვა. ალმოდებული რუსეთიდან გააპარა, დააბინავა, დააპურა და დაასაქმა, თანამედროვე ჟარგონით რომ ვთქვათ, ერთი მცირებიუჯეტიანი ,,ენჯო" შეუქმნა. უცხოეთში ყოფნის პირველ წლებში იუსტიციის ყოფილი მინისტრი გამოდიოდა ლექციებით თემაზე: ,,რის გაკეთება არ დამცალდა". ამ ლექციების შემდეგ მას ხშირად უმოწყალოდ სცემდნენ გამწარებული თეთრგვარდიელი ოფიცრები და რიგითი ემიგრანტები.** ლექციები სულ უფრო იშვიათი ხდებოდა; მემუარების წერაზე გადავიდა. თუმცა მთავარ კითხვას — ვის უნდა დააბრალოს ოდესღაც საყოველთაო რევოლუციური ენთუზიაზმისა და სიყვარულის ტალღაზე აღზევებულმა ესოდენ სამარცხვინო დაცემა? **მან ვიწრო წრეში თქმულს ერთი მოკლე ფრაზით უპასუხა: — ვის?! ვის და, საკუთარ თავს! საკუთარ თავს, საშა კერენსკის... მიხეილ სააკაშვილს ამის გააზრება, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ წინ აქვს.**

ლენინმა პირველმა იგრძნო, რამდენად სუსტია მისი მოწინააღმდეგე და რამდენად მანკიერია მისი რეჟიმი, თორემ სასტარტო პოზიციები სხვაზე უარესი ჰქონდა — სულ 24 ათასი კაცი ჰყავდა პარტიაში მაშინ, როდესაც მენშევიკებს 100 ათასზე მეტი, ხოლო ესერებს (ყველაზე მოკრძალებული შეფასებით) — 400 ათასი.

არც რაიმე განსაკუთრებული თანხები მიუღია საზღვარგარეთიდან, უბრალოდ, მის ხელთ არსებული რესურსები გონივრულად მოიხმარა. **რაც მთავარია, მან შექმნა ხელისუფლებაში მოსვლის სტრატეგიული გეგმა, ე.წ. ,,აპრილის თეზისები", სადაც მწყობრად ჩამოაყალიბა, როგორ და რისთვის მოდის მისი პარტია ხელისუფლებაში, რის გაკეთებას აპირებს. ამის შემდეგ ხელისუფლებას აღარც დიალოგმა (1917-ის გაზაფხული), არც ძალის გამოყენებამ (იმავე წლის ზაფხული) უშველა. ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი იქით იყოს, მაგრამ დროა, ჩვენმა ოპოზიციურმა პარტიებმაც უფრო მწყობრად ჩამოაყალიბონ საკუთარი ,,აპრილის თეზისები". მოთხოვნილება ამაზე საზოგადოებაში ნამდვილად არსებობს.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, უცაბედად ამოხტება ვინმე მკაფიო და რადიკალური პროგრამით, ისე, როგორც — ლენინი 1917-ში. არადა, იმ წლის დასაწყისში ვერავინ დაიჯერებდა, რომ ეს (პრინციპში) მარგინალური რადიკალი ხელისუფლებაში მოვიდოდა.

**კვირას, ინგა გრიგოლიას გადაცემის სტუმრობისას, დავით ბაქრაძემ სცადა, გაემართლებინა შსს თანამშრომელთა მიერ მომიტინგეების მიმართულებით წყლით სავსე პარკის სროლა. ჯობდა, პირდაპირ ეთქვა: — ,,მე გათავისუფლებთ ქიმერისაგან, რომელსაც სინდისს უწოდებენ", მაგრამ ამას ნიჭი უნდა... ძალა უნდა იმას, რომ იყო თვით ბოროტება და არა მისი ფერმკრთალი მსგავსება. არა, რა, ბაქრაძისგან საურონი არ დადგება, ბევრი ბევრი, გორლუმი, ხოლო ვისაც ,,ბეჭდების მბრძანებელი" არ წაუკითხავს, ახლა იმტვრიოს თავი იმაზე, თუ რას ნიშნავს წინარე ფრაზა. მაგრამ ასეა თუ ისე, ფაქტია — პარლამენტის თავმჯდომარემ მოახდინა ადამიანთა შორის ურთიერთობის ისეთი ფორმის ლეგალიზება, როგორიცაა სხვადასხვა სითხით გავსებული პარკების ერთმანეთისთვის სროლა, და მე არ გამიკვირდება, თუ რომელიმე მორიგ შეხვედრაზე მისულ დავით ბაქრაძეს საზოგადოება სწორედ ასეთი პარკებით გაუმასპინძლდება. ეს სავსებით ლოგიკური იქნება. მოლიერი რომ იტყოდა: — ,,შენ ეს გინდოდა, ჟორჟ დანდენ!" რაც ჩვენ შემთხვევაში თავისუფლად ითარგმნება როგორც ,,რაც მოგივა, დავითაო..."**

ისე, ხუმრობის გარეშე, თუ ვინმემ ვერ შეამჩნია, რევოლუცია (კონტრ) უკვე მოხდა. პრინციპული ხასიათის ფსიქოლოგიური გადატრილება, რომლის ფონზე თითქმის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, კონკრეტულად ვინ დაეპატრონება ხელისუფლების ბერკეტებს. **პროამერიკული საქართველო მკვდარია როგორც მაკედონელის ცხენი, გნებავთ, ჰანიბალის სპილო, ხანგრძლივი ძიების შემდეგ ერი ისევ ტრადიციულ ღირებულებებს მიუბრუნდა. ორიენტაცია ამერიკულ სტანდარტზე უარყოფილია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ამის ასახვა პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ დროის (მცირე) საკითხია.** ჭეშმარიტი რევოლუცია (კონტრ) სწორედ ესაა, რომლის ნაყოფს გაფრთხილება და განვითარება სჭირდება. შეგიძლიათ, ჩამთვალოთ ოპტიმისტად, ყაბულს ვარ.

ამასწინათ საქართველოს ხელისუფლების მიერ დაქირავებულმა ერთმა რუსმა პროპაგანდისტმა სააკაშვილის წინააღმდეგ ამხედრებული თბილისის ერთ-ერთი უბანი ვაკე ვანდეას შეადარა, ხოლო ქართული ინტელიგენცია — დრომოჭმულ ფრანგულ არისტოკრატიას. **რაღა ვქნათ, ალბათ, ამ გოგონას საბჭოთა სკოლაში ასე ასწავლეს, რომ ვანდეა და არისტოკრატია ცუდია, ხოლო იაკობინელების დიქტატურა და გილიოტინის სისხლიან საფეხურებზე მოცეკვავე მოქალაქე რობესპიერი — კარგი, და ჰგონია, რომ სხვა ადამიანებიც ასე თვლიან.** პრინციპში, ეს მისი პრობლემაა (რევოლუციის ამორძალი ტერუან დე მერიკური მაგისგან მაინც არ გამოვა, სხვა მონაცემებია), მაგრამ აქ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მიჯნას ვუახლოვდებით. **ნებისმიერი ერის ისტორიაში შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც პატიოსანი ადამიანის კალამი, ხმალი და გული ვანდეას, რეაქციას უნდა ეკუთვნოდეს.** ეს პრინციპული არჩევანის პრობლემაა — გახდე თეთრი ომში წითლების წინააღმდეგ და რეაქციონერი ბრძოლაში ხელისუფლებაში მოსული თავზეხელაღებული რევოლუციონერების წინააღმდეგ. **ამ დროს ძალზე მნიშვნელოვანია, ყურადღება არ მიაქციო იმ ეპითეტებს, რითაც შეიძლება შეგამკონ და უბრალოდ ბრძოლის ველზე აღმართო დროშა, მასზე გამოსახული თეთრი ლილიებით. არის ამაში რაღაც... შეგიძლიათ, ჩამთვალოთ რეაქციონერად, ყაბულს ვარ.**

**დიმიტრი მონიავა**

## გაფრაზებული



**გუგული მაღრაძე,**
**„ალიანსი თავისუფლებისათვის" (ქალთა პარტია)**

**ამ ხელისუფლებას არ აქვს რესურსი, რომ ეს ხალხი გააჩეროს! სააკაშვილს იმის რესურსიც არ აქვს, რომ დიქტატურა დაამყაროს.**

ქრონიკა



**ზვიად ძიძიგური,**
**კონსერვატიული პარტია**

**მიშა ხან ბოდრუმშია, ხან ბულგარეთშია, ხან სადღაც მიძვრება, ხან ბათუმშია, ხან სიღნაღშია, ხან ლილოს ქარხანაშია... რა ვიცი, სად არის და სად არ არის?**

ქრონიკა



**თამაზ წივწივაძე,**
**მწერალი, კრიტიკოსი**

**როგორც ცნობილია, დღედღეზე მუშაობას ამთავრებს ტალიავინის საერთაშორისო საგამოძიებო კომისია, რომლის რეზოლუციის პროექტის მიხედვით, სააკაშვილს, როგორც სამხედრო დამნაშავეს, სადამ ჰუსეინივით სახრჩობელაზე დაკიდება ელის. რასაკვირველია, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მანამდე ვლადიმერ პუტინი ვერ მოასწრებს ჩვენი პრეზიდენტის ერთი უხერხული ადგილით ხეზე დაკიდებას.**

## ფოტორეპლიკა



ირა, დიალოგისთვის ყოველთვის მზად ვარ!



ლალი, გაუშვი ხელი, ცოლიანია!

# „რუსთავი 2“-ის მორიგ სისხლიან ოდისეას ვეღარ ჩაფარცხავენ

**26 აპრილს თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე, ხუთსართულიანი შენობა ჩამოინგრა... ამ დღეს კვირაცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავდა მართლმადიდებლური სამყარო, თუმცა, ეს დღე საკმაოდ ტრაგიკული აღმოჩნდა „რუსთავი 2“-ისთვის. შენობა, სადაც „ვარსკვლავების აკადემიის“ პროექტი მიმდინარეობდა, მიწასთან გასწორდა და ორი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეც ნანგრევებში ჩაიყოლა. „საქართველო და მსოფლიო“ სამძიმარს უცხადებს დაღუპულების — ნიკა გელაშვილისა და გიორგი გაბუნიას ოჯახების წევრებსა და ახლობლებს... შენობის ჩამონგრევიდან რამდენიმე წუთში სამაშველო სამსახურიც მივიდა და იმ ადამიანებმაც მოიყარეს თავი, ვისაც იქ ახლობლები და ოჯახის წევრები ეგულებოდა. ტრაგედიის ადგილას ცოტა ხანში პროექტის პროდიუსერი გურიჩა, იგივე გიორგი ხაბურძანიაც გამოჩნდა.**

მომხდარით თავზარდაცემული ხალხი ერთმანეთში ბუტბუტებდა: ალბათ, ღმერთმა ნიშანი მისცა „რუსთავი 2“-ს, ამდენ სიბინძურეს რომ აჩვენებენ, ან ამ ბავშვებს რომ გამოკეტავენ 3-4 თვით ორ ოთახში... მშობლები არ ფიქრობენ, აქ მათი შვილები რას აკეთებენ?..

მართალია, „ვარსკვლავების აკადემია“ წმინდა მუსიკალური პროექტია, მაგრამ როგორც კონფიდენციალურმა წყარომ გვიამბო, რაც „ჯეობარში“ ხდებოდა, იგივე ხდებოდა „ვარსკვლავების აკადემიაში“, უბრალოდ, ამას ეთერში არ უშვებდნენ, რადგან პროექტი არ ითვალისწინებდა... წყარო იმასაც გვიამბობს, რომ პროექტის ხელმძღვანელები და იქ მომუშავე პერსონალი ასეთი „პიკანტური“ სცენების ეთერში გაშვებას იმიტომაც ერიდებოდნენ, რომ ეკლესიამ ისინი „ჯეობარის“ გამო ხატზე გადასცა და ამ ცოდვის დამატება აღარ უნდოდათ. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ეს ეთერში გადიოდა თუ არა?! იქნებ, მართლაც უფლის მიერ მოვლენილი სასჯელი იყო სანდრო ეულის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია?!

პროექტ „ვარსკვლავების აკადემიის“ პირველი ნაწილი გასულ წელსაც ყოფილი „ზნიეპის“ შენობაში ჩატარდა. მაშინ აღნიშნული დაწესებულება ჯერ კიდევ გასაყიდი იყო და მესამე სართულიც სწორედ „ზნიეპის“ ხელმძღვანელობას ეკავა, ხოლო მეოთხე-მეხუთე სართულები პროქტის ხელმძღვანელებს ჰქონდათ დაქირავებული. **გაზაფხულზე შენობა „რუსთავი 2“-მა, როგორც ამბობენ, სიმბოლურ ფასად შეისყიდა და რომ არა აგვისტოს ომი, სექტემბერში ხალხზე გამარჯვებული ტელევიზია ახალ ოფისში დაიდებდა ბინას. „საქართველო და მსოფლიომ“ ამ დრომდე ვერ მოახერხა აღნიშნული შენობის პრივატიზაციის თუ ნასყიდობის დოკუმენტის მოპოვება, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ კანონით განსაზღვრულ ვადებში ეკონომიკის სამინისტრო შესაბამის პასუხს გაგვცემს.** იმაზე საუბარი, რომ ეკონომიკის სამინისტრომ ხალხზე გამარჯვებულ ტელევიზიას შენობა სიმბოლურ ფასად უფეშქაშა, არავის გააოცებს, რადგან ამ ტელევიზიის დამსახურება ხომ უსაზღვროა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წინაშე.

გაყიდვამდე შენობის პირველი სართული დაქირავებული ჰქონია კერძო მეწარმეს და იქ განთავსებული ყოფილა ფუნთუშის საამქრო. **ახალმა მეპატრონემ, ანუ „რუსთავი 2“-მა, ძველ დამქირავებელს ფართი დააცლევინა და მოხდა ისე, რომ ვირთხებმა, რომლებიც ფუნთუშებით იტკბარუნებდნენ პირს, „ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილეთა სამზარეულოშიც იწყეს სუნსული. კარგა ხანს კონკურსანტებს იქ კვებაც კი უჭირდათ, რადგან საკუთარი თვალით ნახეს, როგორ დასეირნობდნენ მათ სამზარეულოში მღრღნელები.** ცხადია, ეს ფაქტი არ გახმაურებულა და პროექტის ხელმძღვანელთა მითითებით შენობაში ვირთხის საწინააღმდეგო წამალი დაუყრიათ... თუმცა ეს მცირე უსიამოვნება იმასთან შედარებით, რასაც ქვემოთ გიამბობთ, არაფერია.

კონფიდენციალური წყარო გვიამბობს, რომ **სარემონტო სამუშაოების დროს მუშებმა პირველ სართულზე საკანალიზაციო მილები მოხსნეს და გაყიდეს, შედეგად კი ფეკალური მასები კანალიზაციაში ვეღარ ჩაედინებოდა და პირველ სართულზე გროვდებოდა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ პროექტის მონაწილეები და თანამშრომლები.** მომხდარი, თურმე, მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა შენობა აყროლდა! ნათქვამია, თევზი თავიდან ყარსო, და „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობაც იმიტომ აყროლდა, რომ „რუსთავი 2“-ის შენობაში, ანუ „თევზის თავში“, სიცრუის კარგა მყრალი „სურნელი“ ტრიალებს...

დიახ, სამწუხაროდ, ასეა და ეს უცხო არავისთვისაა! მას შემდეგ, რაც ერასტის ტელევიზიამ 2003 წელს სააკაშვილთან ერთად ხალხზე გაიმარჯვა, განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ამ ტელევიზიის მიერ ხალხისათვის ტვინის გამორეცხვისა და გამოთაყვანების, ერის სულიერი გახრწნის მცდელობა! ალბათ, ეწყინებათ „რუსთავი 2“-ის მესვეურთ ეს კრიტიკა, მაგრამ ამ საკითხზე კამათის სურვილი რომ არ გაუჩნდეთ, უპრიანია, აქვე შევახსენოთ, რომ **სწორედ „რუსთავი 2“-მა გამოზარდა გურამ დონაძე, რომელმაც, სულ მცირე, სანდრო გირგვლიანისა და ბუტა რობაქიძის სისხლში გაისვარა ხელი!**

**განა „რუსთავი 2“-მა არ გამოაწრთო თენგიზ (იგივე თენგო) გოგოტიშვილი, უფრო სწორად, როგორც „უცნობი“ უწოდებს, ჰოჰოტიშვილი, რომელიც, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აგვისტოს ომის დროს პროვოკატორად უფრო მოევლინა საზოგადოებას, ვიდრე ობიექტურ ჟურნალისტად?!. განა „რუსთავი 2“-ში არ დაფრთიანდა გურიჩა (იგივე გიორგი ხაბურძანია), რომელმაც სარფიანი მოგების მიზნით საქართველოს ოთხჯერ აჩვენა „ჯეობარი“, რომლის ყურებასაც საპატრიარქო სასტიკად კრძალავდა?!**

**განა „რუსთავი 2“ არ იყო, გლდანში მამა ბასილის დაკავებასა და ეკლესიის კარის „ურალით“ შემტვრევას დღეში ცხრაჯერ რომ გვაჩვენებდა და ერთხელაც არ დაუგმია ეკლესიის დარბევა?!. სწორედ, სულიერ სიმყრალეზე მივუთითებთ ჩვენს კოლეგებს და ამიტომაც აღვნიშნეთ, რომ თევზი თავიდან, ანუ „რუსთავი 2“-იდან აყროლდა...**

კანალიზაციის მილების გაყიდვის შემდეგ პრობლემა მარტივად გადაუწყვეტიათ პროექტის ხელმძღვანელებს. როგორც პროექტის ერთ-ერთი თანამშრომელი გვიყვება, საპირფარეშოები ჩაკეტეს, თურმე, და რამდენიმე დღის განმავლობაში ვერც თანამშრომლები და ვერც პროექტის მონაწილეები საპირფარეშოებით ვერ სარგებლობდნენ...

მიშას გაპრეზიდენტების შემდეგ „საქართველოში პირველად ხდება“, რომ „კანალიზაციათმცოდნე“, სანტექნიკოს ალექსანდრე (იგივე კახაბერ) ლომაიას განათლების მინისტრად ნიშნავენ, ის კი უნივერსიტეტის „ურჩ“ პროფესორებს ტუსაღებივით დარბაზში ამწყვდევს და ტუალეტში გასვლის საშუალებასაც არ აძლევს. **ამის შემდეგ გასაკვირი სულაც არ არის, რომ კახა ლომაიას მაგალითით მოხიბლულმა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიამ“ რიგით თანამშრომლებს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება აუკრძალა, და ეს მაშინ, როდესაც „ჯეობარში“ ატეხილ სოდომიას პირდაპირ ეთერში გადასცემდა ხოლმე.** იქნებ სააკაშვილმა ახლა მაინც გამოიწვიოს ლომაია გაეროდან და „რუსთავი 2“-ში დაასაქმოს კანალიზაციის ზედამხედველად, რათა მსგავსი ინციდენტი კვლავ არ განმეორდეს, ხალხზე გამარჯვებული ტელევიზიაც კიდევ უფრო არ აყროლდეს და გლდანის ნაგავსაყრელზე წასაღები არ გახდეს!

როგორც ცნობილია, სანდრო ეულის ქუჩაზე ტრაგედია გამთენიისას, დილის ხუთ საათზე, მოხდა. დღის განმავლობაში შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ქალაქის მერი გიგი უგულავა, რომელმაც განაცხადა, რომ შენობა კაპიტალური იყო. მისი ინფორმაციით, იქ კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა. **უგულავამ საეჭვოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ სარემონტო სამუშაოებისას მზიდი კედლებისათვის ხელი არავის უხლია. ამ საეჭვო ხაზგასმას იმიტომ ვაქცევთ ყურადღებას, რომ როდესაც „მომხდარით გულდათუთქული“ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „პირდაპირ ბოდრუმიდან“ მივიდა მიწასთან გასწორებულ „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობასთან, მან კატეგორიული ტონით მოითხოვა: „10 დღის ვადაში**


...ასეთ დატვირთვაზე კი კონსტრუქცია გათვლილი არ იყო. დამძიმებას დაემატა მზიდი კედლების გამოცლა, რის შედეგადაც ნაგებობას საყრდენი გამოეცალა და საკუთარმა სიმძიმემ ჩამოშალა...


...სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი „პრარაბების“ არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, „რუსთავი 2- ის“ ადმინისტრაციის მოთხოვნით, შენობას მზიდი კედლები გამოაცალეს...

**უნდა დადონ დასკვნა, რა მოხდა აქ, შეიძლებოდა თუ არა ამის თავიდან აცილება“.** სააკაშვილმა იქვე დასძინა, რომ უახლოეს პერიოდში ყველა მსგავსი შენობის ანალიზი უნდა გაკეთდეს, რათა ხალხმა იცოდეს, რა საფრთხეები არსებობს.

არის ვერსია, რომ ეს შენობა აფეთქების შედეგად ჩამოინგრა. ტერაქტის მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაღუპულიყო, რათა მომხდარ ტრაგედიას მიტინგების თემა გადაეფარა, ან, სულაც, დროებით მაინც სახლებში დაებრუნებინა ქუჩაში გამოსული ხალხი. სამწუხაროდ, ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება. ხელისუფლებას რომ ადამიანთა სიცოცხლე არაფრად უღირს, ეს არა ერთხელ დადასტურდა როგორც ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტით, ასევე სამაჩაბლოში ომის პროვოცირებით...

**კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ შესაძლოა, მომხდარს სააკაშვილმა გიგი უგულავა გადააყოლოს. ამბობენ, რომ ბოლო დროს უგულავასა და სააკაშვილს ურთიერთობა ძალიან დაეძაბათ. ისიც ითქვა, რომ ახლა ხელს არ აძლევთ გუნდში განხეთქილება, თორემ, მიტინგები სააკაშვილის გადადგომით თუ არ დასრულდა, ბატონ გიგის ვირის აბანოში უკრავენ თავს... ასე რომ, თუ ეს კულუარული ინფორმაცია სიმართლეა, მაშინ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ სააკაშვილისთვის უგულავას გზიდან ჩამოცილების საბაბიც სწორედ ეს ტრაგედია გახდება... შესაძლოა, უგულავა მართლა გაწიროს სააკაშვილმა და პოლიტიკურ მოუსავლეთშიც გაისტუმროს, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო კი კიდევ ორი ახალგაზრდის სიცოცხლის გაწირვა?!**

ზემოჩამოთვლილი ვერსიებისაგან განსხვავებით, „საქართველო და მსოფლიოს“ ყველაზე მართებულად ის ინფორმაცია მიაჩნია, რაც კონფიდენციალური წყაროსაგან შეიტყო. **ინფორმატორის ცნობით, სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი „პრარაბების“ არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, „რუსთავი 2- ის“ ადმინისტრაციის მოთხოვნით, შენობას მზიდი კედლები გამოაცალეს. ამასთან, შენობის რამდენიმე სართულზე მასიურად დაასხეს „სტიაჟკა“, რამაც ნაგებობა დაამძიმა. ასეთ დატვირთვაზე კი კონსტრუქცია გათვლილი არ იყო. დამძიმებას დაემატა მზიდი კედლების გამოცლა, რის შედეგადაც ნაგებობას საყრდენი გამოეცალა და საკუთარმა სიმძიმემ ჩამოშალა.**

შემთხვევის ადგილზე მისულმა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორმა გოგი გეგეშიძემაც არ დამალა, რომ შენობის ჩამონგრევის მიზეზებზე მიმდინარეობს გამოძიება და ახლო მომავალში ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

გადაცემა „პოსტ სკრიპტუმის“ წამყვანმა დავით კიკალიშვილმა კი მომხდარზე საუბრისგან თავი შეიკავა და გიგი უგულავასთან მასლაათით ირთობდა თავს. შესაძლოა, ქალაქის მერს იმ გეგმების შესახებ ებუტბუტებოდა ყურში, როგორ გამოძვრალიყვნენ მომხდარი ვითარებიდან...

**საქმე ისაა, რომ ჩვენი წყაროს ცნობით, შენობის რემონტისას დაირღვა უსაფრთხოების ყველა ნორმა, არ გაკეთებულა შესაბამისი გათვლები, რაც აუცილებელია ნაგებობის ასეთი მასშტაბური რეკონსტრუქციისას. არც ექსპერტები მოუწვევია ვინმეს და არც სათანადო ნებართვების აღებით შეუწუხებიათ თავი.** ასე რომ, მომხდარის შემდეგ ჯოხი ვიღაცაზე აუცილებლად უნდა გადატყდეს. შესაძლოა, უგულავამ და ტელეკომპანიის ადმინისტრაციამ ყველაფერი მშენებლებს დააბრალონ, მაგრამ ფაქტი სახეზეა — **შენობის ჩამონგრევა და ორი ადამიანის დაღუპვა შედეგად მოჰყვა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ მესვეურთა სიხარბეს და მერიის სათანადო სამსახურების მიერ ორმაგი სტანდარტების გამოყენებით ნაგებობის რეკონსტრუქციისას დაშვებულ დარღვევებზე წაყრუებას.**

**P.S. „საქართველო და მსოფლიო“ მომხდართან დაკავშირებით ჟურნალისტური გამოძიების მასალებს უახლოეს ნომრებში გამოაქვეყნებს... „ვარსკვლავების აკადემიის“ რექტორის გეგა ფალავანდიშვილის მეუღლე ეკა ზღულაძე ვანო მერაბიშვილის პირველი მოადგილეა და, თუნდაც, ამიტომ არ არის გამორიცხული, გამოძიებამ ამ საქმეში „რუსთავი 2“- ის ბრალეულობაზე თვალი დახუჭოს და საქმე, როგორც ყოველთვის, ჩაფარცხოს... ასევე საინტერესოა ზაზა შენგელიას როლი ამ პროექტში... გადაუმოწმებელ ფაქტებზე საუბრისგან თავს შევიკავებთ და ახლო მომავალში ჟურნალისტური გამოძიების დეტალებს შემოგთავაზებთ.**

**მანანა ჩხეიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ჯაბა ჯიშკარიანი:

# მიშას არ აქვს უფლება, საქართველოს ბიუჯეტი მუცლის ამოსაყორად ხარჯოს

**კაფე „მარჯანოვთან“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ უცნობმა იხუმრა: „სანდრა ხალხის პროტესტს შეუერთდა, მიშას საჭმელს აღარ უმზადებს და იმიტომ დაწანწალებს მიხო ქუჩა-ქუჩა საჭმელადო“... სავარაუდოდ, პირველი ლედი მეუღლისთვის სადილების მომზადებით თავს არასდროს იწუხებდა, რადგან სააკაშვილის რესტორნებში სიარული არახალია, თუმცა დღეს მისი ამგვარი ქცევა უფრო თვალშისაცემი გახდა. რთული სათქმელია, პრეზიდენტის მხრიდან ეს ერთგვარი გამოწვევაა, თუ იგი მართლა იმდენად არაადეკვატურია, რომ ახლაც კი, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი მისი გადადგომის მოთხოვნით ქუჩაში ათენ-აღამებს, რესტორნებში ქეიფს ვერ იშლის. ფაქტია, რომ ბოლო დღეებში რესტორნებში პრეზიდენტის ყველა სადილი სკანდალით დასრულდა. ახალგაზრდული მოძრაობა „9 აპრილის“ წევრები მას ბოლომდე განცხრომის საშუალებას არ აძლევენ, რის გამოც ქვეყნის მთავარსარდალს პირადი დაცვა ხან „ადიელაგადაფარებულს“ გამოაპარებს ხოლმე რესტორნიდან, ხანაც მის თანხმლებ ქალბატონებს უწევთ „სპეცრაზმის“ ნიღბებით სახის დაფარვა...**

**ამ დღეებში აქციაზე ქალბატონების ასეთი შინაარსის საუბარს მოვკარი ყური: — ცეცხლი ჭამა ამ სულელის პირმა, რას დარბის ყოველდღე რესტორნებში, ხალხს ნერვებს რომ აწყვეტს, რით ვერ ამოივსო მუცელიო... მართლაც, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია წაგებული ომის მთავარსარდლის რესტორნებში თავქუდმოგლეჯილი სირბილი და შემდეგ იქიდან ყვარყვარე თუთაბერივით კაბით შემოსილი გამოპარვა, მაგრამ უხერხული და სირცხვილი ამ ქვეყნისთვის ის უფროა, სააკაშვილმა გორში მუცლით რომ იფორთხა, საკუთარი ჰალსტუხი შეჭამა, ომი წააგო და დღესაც, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი მის გადადგომას ითხოვს, ის ბოდრუმში ლურჯ შორტებში გამოწყობილი მზეს ეფიცხება...**

**„საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხზე მოძრაობა „9 აპრილის“ ერთ-ერთ აქტივისტს, ჯაბა ჯიშკარიანს ესაუბრა:**

— სააკაშვილს მორალური უფლება არ აქვს, იყოს ქვეყნის სათავეში, რადგან ეს ადამიანი, თუ შეიძლება მას ადამიანი ეწოდოს, ხელისუფლებას ინარჩუნებს მხოლოდ და მხოლოდ იარაღის ჟღარუნით და ძალადობით. მიშას არ აქვს უფლება, საქართველოს ბიუჯეტი პირადი სიამოვნებისთვის და მუცლის ამოსაყორად ხარჯოს. თუ გახსოვთ, პირველი აქცია რესტორან „საკურასთან“ მოვაწყვეთ, როდესაც ის საკმაოდ ძვირადღირებულ კერძს — სუშს მიირთმევდა და ზედ „ჯონი ვოკერ ბლუს“ აყოლებდა, რომელიც ვისკის სახლში 850 ლარამდე ღირს, ხოლო რესტორანში მისი ღირებულება დაახლოებით 1500 ლარს შეადგენს. სააკაშვილს ბიუჯეტის უმისამართოდ და აღვირახსნილად ფლანგვის უფლებას არ მივცემთ. მაშინ აქციაზე 12 ადამიანი მივედით და ისე შეეშინდა კურდღელ სააკაშვილს, რომ დაცვამ გააპარა იქიდან. სწორედ ამის შემდეგ გამოვაცხადეთ: იძებნება ე. წ. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი!

**— შემდეგი თქვენი აქცია რესტორან „მეიდანთან“ შედგა, რასაც ინციდენტიც მოჰყვა...**

— როდესაც შს სამინისტროს ახალი შენობა გახსნა, ძალოვნებთან ერთად ღრეობდა რესტორანში, იმ პიროვნებებთან ერთად, რომლებმაც დახოცეს გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რობაქიძე, ფხაკაძე, ჟვანია, გამცემლიძე და სხვა მრავალი ადამიანი; ქეიფობდა იმ ადამიანებთან ერთად, რომლებმაც მოაწყვეს 7 ნოემბერი, რომლებიც შევარდნენ ტელეკომპანია „იმედში“ და კიდევ მსგავსი არაერთი დანაშაული ჩაიდინეს. რესტორან „მეიდანში“ სააკაშვილს ახლდნენ ვანო მერაბიშვილი, გურამ დონაძე, ვასილ სანოძე, ბაჩო ახალაია, „მასტერა“ (იგივე გია დგებუაძე), ლევან გვაზავა, ირაკლი ქადაგიძე, ვინმე ნაკანი („სპეცრაზმის“ უფროსია), რომელიც ყველაზე აქტიური იყო ზურა ვაზაგაშვილის დახვრეტის სპეცოპერაციაში. ჩვენი მისვლიდან დაახლოებით ხუთ წუთში გაიძურწა კურდღელი სააკაშვილი რესტორნიდან. რა თქმა უნდა, მას გამოესარჩლნენ მისი გოშიები — გოგა გრიგალაშვილი, გეგეჭკორი და პატრულის თანამშრომლები. ვანოს ერთგულ გოშიებთან მცირე შეხლა-შემოხლაც მოხდა. ჩვენს მეგობრებს წაართვეს მობილური ტელეფონები, მეგაფონები და გადაყარეს მტკვარში. რამდენიმე ადამიანი კი დააპატიმრეს და 400 ლარიანი ჯარიმების გადახდა დააკისრეს, რასაც, რა თქმა უნდა, არ გადავიხდით! არაერთხელ დავუჯარიმებივართ და არასდროს გადაგვიხდია, რადგან ამ უსამართლო სასამართლოს განაჩენს არ ვაღიარებთ.

**— ყველაზე მასშტაბური და ხმაურიანი კაფე „მარჯანოვთან“ მომხდარი ინციდენტი იყო...**

— დიახ, იმ საღამოსაც მოვუწოდეთ გადადგომისკენ! ბუნებრივია, ძალიან შეშინდა, გამოიყვანა სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები, დააყენა ესკორტთან, ჯიპებით გადაგვიკეტა გზა, შემდეგ შუაში ჩადგნენ პატრულის თანამშრომლები, უნდოდათ ხელოვნური აჟიოტაჟი შეექმნათ. ამ მიზნით პატრულმა დაარტყა ერთ-ერთ ჩვენს მეგობარს, ატყდა ჩხუბი, ჩვენ მათ საკადრისი პასუხი გავეცით! ვაღიარებთ, რომ გაილახნენ პატრულის არა მარტო რიგითი თანამშრომლები, არამედ საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელებიც, გრიგალაშვილი და გეგეჭკორიც ცემეს. არცერთი ნაბიჯით უკან არ დავიხევთ, რადგან ჩვენ მიხეილ სააკაშვილს „ომი“ გამოვუცხადეთ და ეს იქნება უკომპრომისო ბრძოლა. ის უნდა წაეთრეს ხელისუფლებიდან.

**— საიდან გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ რესტორანში რა დროს მიდის მიხეილ სააკაშვილი?**

— ამ ინფორმაციას ჩვენ პრეზიდენტის ესკორტის ერთ-ერთი თანამშრომელი გვაწვდის. მოვა დრო, საზოგადოება ამ ადამიანის გვარს და სახელს შეიტყობს...

**— ამ ქვეყანაში ყველა იმაზე საუბრობს, რომ თურმე, ყველა ჩვენთაგანის ტელეფონი ისმინება, თუ ეს ასეა, რა გამოდის, პრეზიდენტის ესკორტის წევრებს არ უსმენს მერაბიშვილის უწყება?...**

— ეს ძალიან მარტივი მექანიზმია და, ცხადია, გაზეთის ფურცლებზე ამ მექანიზმის გაშიფრვას არ ვაპირებ... ამ დეტალების შესახებ საზოგადოება უახლოეს მომავალში შეიტყობს, მას შემდეგ, რაც მუცლის მონა მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებას ჩამოვაცილებთ!

**მანანა ჩხეიძე**

# რა იქნება სააკაშვილის შემდეგ?




**ოპოზიციის მიერ თბილისის მასშტაბით დაწყებული საპროტესტო აქციები დღითიდღე უფრო ნათელყოფს, რომ სააკაშვილის ზეობის ხანა „ტრაგიკულ“ დასასრულს უახლოვდება. რევოლუციურ ეიფორიაში მყოფი საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი მომავალს იმედის თვალით შეჰყურებს და დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ქვეყანა განვითარების სწორ გზას დაადგება. მეტიც, პარლამენტის წინ შეკრებილი მომიტინგეების უმეტესობა ბრმად ენდობა ოპოზიციის ლიდერებს და მათ მიმართ არანაირ კითხვას არ სვამს, არადა ზოგიერთების წარსული (თანაც არცთუ ისე შორი) რომ გავიხსენოთ, გაჩენილი კითხვების ჩამოთვლას, სულ ცოტა, ერთი დღე მაინც მოვუნდებით...**
**მაშ, რატომ ჰგონია პროტესტანტ მოსახლეობას, რომ ნაცმოძრაობელთა შემცვლელი ძველი ხელისუფლების შეცდომებს გამოასწორებს? და, საერთოდ, რა იქნება სააკაშვილის შემდეგ?**
**ამ კითხვებით „საქართველო და მსოფლიომ“ აქციის მონაწილეებს მიმართა:**

**ვახტანგ ტრიაშვილი:** „დღესდღეობით ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების ფონზე ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს უჩნდება ლოგიკური კითხვა — რა იქნება ხელისუფლების შეცვლის შემდეგ? **ჩემი პასუხი ასეთია: სააკაშვილზე უფრო ოდიოზურ და ერის მოღალატე ხელისუფალს, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვერ მოვიყვანთ, იმიტომ, რომ ამჟამად არსებულ ოპოზიციურ სპექტრში ასეთი პიროვნება ვერ მოიძებნება. მართალია, ოპოზიციაშიც არიან გარკვეულწილად ბინძური წარსულის მქონე ლიდერები, მაგრამ, მე მგონი, ახლა მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება კარგს არაფერს მოგვიტანს.** ამას ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც მოვასწრებთ, როცა სააკაშვილი და მისი ხროვა სრული შემადგენლობით საბრალდებო სკამზე აღმოჩნდება...“

**მაია ნაცვლიშვილი:** „დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის წასვლის შემდეგ ქვეყანაში მშვიდობა დამყარდება, ხალხს ამოსუნთქვის საშუალება მიეცემა და, რაც მთავარია, არ ვიქნებით მუდმივი საფრთხის მოლოდინში; ფარდა აეხდება დღემდე ბურუსით მოცულ საქმეებს, მათ შორის გაუხსნელ მკვლელობებსაც და ყველა დამნაშავე, ვისაც თუნდაც უმნიშვნელო წვლილი მაინც მიუძღვის სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის გამყარებაში, კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება...“

**აკაკი ლეკიშვილი:** „სააკაშვილის ექვსწლიანი მმართველობის შედეგად მივიღეთ დაქუცმაცებული და გაყიდული საქართველო, უმუშევარი და მშიერი მოსახლეობა, პოლიციური რეჟიმი, უცხოეთში სამათხოვროდ გადახვეწილი ახალგაზრდობა, უკანონო პატიმრები, სრული განუკითხაობა და კიდევ უამრავი უკანონობა... **ამ ყველაფრის ფონზე თქვენ გგონიათ, ლოგიკური კითხვა — რას მოიტანს ხელისუფლების შეცვლა? — მე მგონი, არა... სააკაშვილის შემდეგ არ იქნება ის, რაც ახლა ხდება ქვეყანაში. ბოკერია, რამიშვილი, თარგამაძეები, მერაბიშვილი, თარხნიშვილი და სხვა მათნაირი არმზადები ერთხელ და სამუდამოდ ჩამოსცილდებიან ქვეყნის მართვის სადავეებს და ხალხიც ღირსეულად იცხოვრებს თავის მიწაზე...“**

**თამაზ დვალიშვილი:** „სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არ მაქვს, რომ მომავალში ხელისუფლება ქვეყანასააყვავებს, მაგრამ სააკაშვილი და მისი გარემოცვა რომ დასამხობია, უდავოა. ამ კაცმა დაღუპა საქართველო და, რაც დრო გადის, კიდევ უფრო დაღმა მივექანებით, ამიტომ დროზე უნდა მოვიშოროთ ეს ბაცილა, თორემ ერთ მშვენიერ დღეს საბოლოოდ გაგვანადგურებს“.

**მარინა მღებრიშვილი:** „ოპოზიციურ სპექტრში საკმაოდ მრავლად არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. რაც მთავარია, მათ საზოგადოება ენდობა და, შესაბამისად მხარსაც უჭერს, თუმცა ეს ყველას არ ეხება... **ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილის მმართველობის დასრულებით ქვეყანაში ძნელბედობის ხანაც დასრულდება; საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ ღირსებას და მეზობელ ქვეყნებთანაც საერთო ენას გამონახავს. რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება, მთავარია, მმართველს ჭკუა-გონება ეყოს... ჩვენ ახლა სწორედ ასეთი ხელისუფლება გვჭირდება...“**

**დავით გუჯაბიძე:** „წინასწარ ძნელი სათქმელია, რა იქნება სააკაშვილის წასვლის შემდეგ, მაგრამ, ალბათ, იმაზე უარესი — არაფერი, რაც ახლა ხდება... ყოველ შემთხვევაში, ხალხს იმედი აქვს, რომ ხელისუფლების შეცვლით ქვეყანა ფეხზე დადგება, ამიტომ ჩვენც ისღა დაგვრჩენია, ვირწმუნოთ... დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს...“

**ალექსანდრე ქვრივიშვილი:** „ნაცმოძრაობელთა პოლიტიკურ მოუსავლეთში გასტუმრების შემდეგ საქართველოში წყნარი და ნორმალური ცხოვრება დაიწყება, კანონი იკანონებს და საზოგადოებას მუდმივი შიშის განცდა არ ექნება. ისე, მარტო ხელისუფლებიდან გაგდებსა საკმარისი არაა იმისათვის, რომ საზოგადოებამ მიხეილ სააკაშვილზე ჯავრი იყაროს. აუცილებელია მისი და მისი თანამზრახველების გასამართლება საჯაროდ, რათა მომავალმა მმართველმა იცოდეს, რა ბედი ეწევა ერის მოღალატე და დამღუპველ ხელისუფალს...“

**P.S. როგორც ხედავთ, გამოკითხული შვიდი მომიტინგიდან ხუთი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მომავალი ხელისუფლება ქვეყნის ბედს სწორად წარმართავს... ჩანს, ისტორიამ ბევრი ვერაფერი გვასწავლა ქართველებს — ჯერ იყო და, ჩვენივე არჩეულ გამსახურდიას ერთი წელიც არ ვაცალეთ, შემდეგ შევარდნაძესაც ჩაილურის წყალი ვასვით; სააკაშვილის ხელისუფლებაში მობრძანების ჟამს ერთხმად გავყვიროდით — ედუარდზე უარესი რა იქნებაო და ახლაც იგივეს ვაკეთებთ...**

**მე მგონი, ასე გაგრძელდება კიდევ დიდხანს, სანამ საქართველოში მცხოვრები ხუთი მილიონი „პოლიტიკოსი“ გონს მოვა და დაფიქრდება, საით მივდივართ ან რას ვაკეთებთ...**

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გა [illegible] ეხუღნი



**ზურაბ დოიჯაშვილი,**
მომღერალი

ბუშის ჩამოსვლას ვადარებ ბრეჟნევის ჩამოსვლას, იქ რომააშენეს დიდი რაღაც, ფილარმონიაში ბრეჟნევისთვის ლიფტიც გააკეთეს, აქაც ბუშს იგივეები მოუწყვეს. ერთი რუსი წავიდა, მეორე ამერიკელი მოვიდა. ვერ გავიგე, რა!



**მერაბ ელიოზიშვილი,**
მწერალი, დრამატურგი

ვაი ჩვენს პატრონს! ვაი ამ ხელისუფლებას, ეგენი იყვნენ ჩვენი პატრონები და ამ უბედურებას შეგვყარეს!



**ბაკურ გულუა,**
კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი

თუ პრეზიდენტს უფლებამოსილების შესრულება შეეძლო, რატომ გადადგა? თუ ვერ ასრულებდა და ამიტომ გადადგა, მას აღარ აქვს პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება, რადგანაც გადადგომით აღიარა, ვერ ვასრულებ ჩემს მოვალეობასო.



**ზურაბ ხონელიძე,**
დსთ-ში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი

თუ ვინმეს ჰგონია, მხოლოდ მოქმედი ხელისუფლებისაგან გამიჯვნა და წამებულის იმიჯით ოპოზიციაში გადასვლაა საკმარისი, რომ საზოგადოებამ ისინი იწამოს და მიიღოს, ძალიან ცდება.



**ნოდარ ნათაძე,**
სახალხო ფრონტის ლიდერი

ახლანდელი პარლამენტი არის მონების ხროვა, უკაცრავად, ხროვა კი არა, გროვა, მონების გროვაა პოზიციაც და ოპოზიციაც.



**სოსო პავლიაშვილი,**
მომღერალი

20 წელია, საქართველოში ერთიმეორის დედის გინება გრძელდება. დღეს ვინც მთავრობაშია, გუშინ ოპოზიცია იყო, გუშინ ვინც იყო, გუშინწინ ოპონირებდა. ჩემთვის მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ რომელ მხარეს იქნება!



**კახა კაციტაძე,**
ფილოსოფოსი

ფსიქიატრებმა საინტერესო რამ მითხრეს: ჩვენი ქვეყნის მმართველთა შორის ორად ორი ადამიანია, ვინც ჩვენი პაციენტი არ არისო: ვანო მერაბიშვილი და ნინო ბურჯანაძეო.



**გივი გურეშიძე,**
პოლიტოლოგი

ბრმა და ყრუ უნდა იყო, არც დაინახო და არც შეისმინო ის ჭეშმარიტება, რომ ამერიკული მილიონებით მოყვანილმა სააკაშვილის ხელისუფლებამ ეროვნული ინტერესები ამერიკის გლობალურ პოლიტიკას შესწირა — ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა არარაობად აქცია, რომელსაც საკუთარი მიწა-წყლის კარგვა კვლავაც ემუქრება.



**შალვა ნათელაშვილი,**
ლეიბორისტული პარტიის ლიდერი

არც ერთი დღე და არც ერთი წუთი ჩვენი ლიდერები არ ტოვებენ მიტინგებს. პასუხისმგებლობას ამ მიტინგებზე ვერ ავიღებთ, ვინაიდან ჩვენ არ ვართ მიტინგების ორგანიზატორები.

# ვისი ყურმოჭრილია

**უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სააღდგომო ეპისტოლეში ჩამოაყალიბა აზრი, რომელიც დიდი ხანია, მომწიფდა საზოგადოებაში და უბრალოდ მწყობრ ფორმულირებას ელოდა, სწორედ ასეთს: ,,სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს თითოეულ მოქალაქეზეც. ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა“.**

**საგულისხმოა, რომ ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფი მედია შეძლებისდაგვარად ცდილობდა, გვერდი აევლო პატრიარქის ამ სიტყვებისათვის და წინა პლანზე ეპისტოლეს სხვა მონაკვეთები წამოეწია. ეს გასაკვირი არც არის, რადგან საქმე ეხება ფუნდამენტურ პრობლემას, რომელზეც უშუალო დაკვირვებისას ეროვნული კატასტროფის წინაპირობები და შედეგიც საკმაოდ კარგად ჩანს. მეტიც, ცხადი ხდება, რომ იმ პერიოდში, როდესაც საქართველო ,,სხვისი ინტერესების განხორციელების ბრმა იარაღის“ ფუნქციას ასრულებდა, უდიდესი ზარალი არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებას და მის თითოეულ წევრს მიადგა.**

## აჰა, შენ, კიკუ, თუმანი!

**ნებისმიერმა გამოცდილმა ბიზნესმენმა იცის, რომ მისი ხელქვეითები გარშემომყოფებთან დამოკიდებულებაში გადაწყვეტილების მიღების ალგორითმის მიხედვით, თანამედროვე ფსიქოლოგიის ენით რომ ვთქვათ, რეფერენციის სამ ტიპს წარმოადგენენ.**

**პირველი ჯგუფისთვის** წარმატება-წარუმატებლობის მთავარი კრიტერიუმი სხვა ადამიანების მიერ მათი შეფასება და საყოველთაოდ აღიარებული ნორმებია. ასეთი ადამიანები ძალიან იოლად ექცევიან ზეგავლენის ქვეშ, უჭირთ რაიმეზე უარის თქმა და რჩევის საჭიროებას განიცდიან. **ბიზნესში მათი შესაძლებლობების გამოყენება ხდება მომსახურების სფეროში (მაგ. გამყიდველი, მდივანი, ოფიციანტი და ა.შ.). მათ მოსწონთ უცხოთა ქება, ხოლო კრიტიკა საგონებელში აგდებთ.**

**მეორე ჯგუფის** წარმომადგენლები საკუთარ რწმენა-წარმოდგენებზე არიან ორიენტირებულნი. ამ ადამიანების გამოყენება უპრიანია ,,საშტაბო" და საკონტროლო პოზიციებზე (მაგ., აღმასრულებელი და ფინანსური მენეჯერი, ხარისხის კონტროლიორი და ა.შ.). მათ შეუძლიათ, ყურადღება არ მიაქციონ სხვა ადამიანების აზრს, საკუთარი შეხედულებებით იხელმძღვანელონ და მასზე დაყრდნობით განსაზღვრონ, რამდენად წარმატებულად მუშაობენ. ეს, ერთი მხრივ, კარგია, თუმცა ბიზნესში ამ ხალხისთვის ეს მინუსია, ხომ შეიძლება, ბოლომდე დარჩნენ მცდარი წარმოდგენების ტყვეობაში?! მათ კლიენტებთან მუშაობაც უჭირთ.

**მესამე ტიპი** კი შერეულია, მეტ-ნაკლები ბალანსით; იდეალური, მაგრამ შედარებით იშვიათი. ამ ადამიანებს აქვთ როგორც შინაგანი საყრდენი საკუთარი წარმოდგენების სახით, ისე უნარი — ობიექტურად შეაფასონ სიტუაცია და სხვისი გამოცდილება გაითვალისწინონ.

**უბედურება ის არის, რომ ჩვენში ჩამოთვლილთაგან პირველი ტიპი სჭარბობს. პოლიტიკურ ელიტას და საზოგადოების დიდ ნაწილს ნაბიჯი ვერ გადაუდგამს ისე, რომ არ დაეჭვდეს: რას იფიქრებენ მასზე ,,იქ“, როგორ შეაფასებენ ამას ,,ისინი“, შეგვაქებენ თუ გაგვკიცხავენ... ამ თვალსაზრისით, რეფერენციის ტიპის მიხედვით, მართლაც, რომ ,,ოფიციანტების ერი" გავხდით.** ხელისუფლების წარმომადგენლებს ძალიან არ უყვართ ეს გამონათქვამი, ალბათ, იმიტომაც, რომ მის მიღმა საკმაოდ არასახარბიელო რეალობა დგას. ამ პროფესიის წარმომადგენელთა დაკნინებას არავინ აპირებს, უბრალოდ კლიენტის (გარე ძალის) სრულ დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული მუშაობა, ქვეყნის გზამკვლევი ვერ გახდება.

**ისე, ოფიციანტსაც გააჩნია. ზოგი ფულს შეაგროვებს და საკუთარ რესტორანს გახსნის, ზოგი სიბერემდე იმუშავებს ღირსეულად (ძალიან საინტერესო ადამიანები არიან), მაგრამ არის კიდევ ერთი სახეობა — ერთ კლიენტზე (რომელიც ყველაზე წარმოსადეგი ჩანს, სინამდვილეში კი ნახევარი პლანეტა დასდევს ალიმენტებზე) შეყვარებული ოფიციანტი გოგონები, მთელი დღე იმაზე რომ ფიქრობენ, ,,მის თვალში როგორ გამოვიყურები“, ან ,,ცოლად რომ წამიყვანდესო“. მათი ამბის დასასრული ცნობილია: ათი წლის განმავლობაში მხოლოდ გართობას მოწყურებული სატრანზიტო სატვირთოების მძღოლები თუ მიაქცევენ ყურადღებას, მერე კი — საერთოდ არავინ.**

სწორედ ასე დალუპა ჩვენმა სახელმწიფომ საკუთარი ახალგაზრდობა, სილამაზე და ენერგია. პათეტიკურად კი ჟღერს, მაგრამ შევხედოთ მეზობელ სახელმწიფოებს, ასე ვთქვათ, მთელი ამ კავკასიური სამზარეულოს რესტორანს. ისინი აკეთებენ ყველაფერს საკუთარი თავისთვის და მხოლოდ სავალდებულო მინიმუმს — გარე ძალებისთვის (კლიენტებისთვის), აიძულებენ, წესიერად მოიქცნენ და თავიც ღირსეულად უჭირავთ. რეგიონული თამაში მათთვის მხოლოდ ბიზნესია, სამსახური, პირადი ცხოვრება კი, საკუთარი ოჯახის მოწყობა, მოკლედ, შიდა საქმეები ამისგან მკვეთრად გამიჯნული, უცხოთათვის შეძლებისდაგვარად დახშული სფეროა.

ღირსების შენარჩუნება, ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა იმ სიტუაციებშიც არაა გამორიცხული, როდესაც ამის შესაძლებლობა საერთოდ არ ჩანს. მაგალითად, ასეთში:

## ჯუნგლების კანონი

**ნიკარაგუა, 1932 წელი. ომი მეხუთე წელია გრძელდება. აშშ-ის საზღვაო ქვეითთა 12-ათასიანი კორპუსი და 8-ათასიანი სამთავრობო ჯარი ამაოდ ცდილობს, დაამარცხოს აჯანყებულები აუგუსტო სეზარ სანდინოს მეთაურობით. საგულისხმოა, რომ ამ კაცმა წამოიწყო ბრძოლა მხოლოდ 100-მდე თანამებრძოლთან ერთად და, ვინაიდან საკუთარი ძალების რწმენა (იხ.ზემოთ) ხანდახან სასწაულებს ახდენს, ძალიან წარმატებულად უმკლავდებოდა როგორც მსოფლიო ზესახელმწიფოს, ისე მის ადგილობრივ მოკავშირეებს. ნელ-ნელა მისი არმია გაიზარდა. ომმა ძალზე სასტიკი ხასიათი მიიღო.**

როდესაც ვიეტნამში ამერიკელმა სამხედროება სოფელ სონგმის ასეულობით მშვიდობიანი მოსახლე ამოხოცეს, ამერიკა საკუთარ თავს უსვამდა კითხვას — ,,როგორ გახდა ეს შესაძლებელი?". არადა, ყველაფერი დაიწყო სწორედ იმ ნაკლებადცნობილი ომით ნიკარაგუაში, რომლის ყოველდღიურობა ფართო სამსჯავროზე რომ გამოსულიყო, აშშ-ის საზოგადოება შეძრწუნდებოდა, მიიღებდა სათანდო ზომებს და მსგავს ინციდენტებს მომავალში, სავარაუდოდ, თავიდან აიცილებდა.

**როგორ იქცეოდნენ ამერიკელი სამხედროები ნიკარაგუაში? — ,,ლეიტენანტმა მაკ-დონალდმა სან-რაფაელ-დელ-ნორტეში ცოცხლად დაწვა რვასულიანი ოჯახი, მათგან ექვსი ბავშვი იყო. ლეიტენანტმა სტიუარტმა ლა-კონკორდიაში დახვრიტა 23 წლის ედუარდო სენტენო, ჯერ კიდევ ცოცხალს მოაჭრა ყურები და თავისი ცხენის კუდზე მიაბა, როგორც ნადავლი. ლეიტენანტმა ლიმ წაართვა გლეხ სანტოს ლოპესს ხუთი თვის ბავშვი, ჰაერში ააგდო და ხიშტზე ,,დაიჭირა”; გლეხ მანუელა გარსიას წაართვა ორი თვის გოგონა, ფეხებში ხელი დაავლო და შუაზე გაგლიჯა. რიგითმა ფილიპონმა სან-რაფაელ-დელ-ნორტეში წყალში დაახრჩო ერთი წლის ბავშვი მხოლოდ იმიტომ, რომ მას აუგუსტო ერქვა, როგორც სანდინოს; სოფელ ლა-პინტადაში მკერდი გაუფატრა 12 წლის მოზარდს და ამოგლეჯილი გული ძაღლებს მიუგდო. რიგითმა მარტინმა მანაგუაში, უბრალოდ, გართობისათვის 5 წლის ბავშვს ესროლა და მოკლა”.**

თავიდან ეს ან პარტიზანების პროპაგანდა, ან რომელიმე არშემდგარი მწერლის საშინელებათა რომანი მეგონა. მაგრამ არა, **ეს ნიკარაგუას პროამერიკული ხელისუფლების მიერ შეგროვებული ფაქტებია, რომელიც დოკუმენტირებულია მათი ოფიცრების და ჩინოვნიკების მიერ.** ყველა ეს ფაქტი, სხვა მრავალთან ერთად, შესულია პროამერიკული ხაზის გამტარებელი პრეზიდენტის ხუან ბატისტა საკასას მემორანდუმში. განვაგრძოთ:

**,,კორტე დე კუმბო“** — ტყვეს აბამენ ხეზე, შემდეგ მაჩეტეს ძლიერი დარტყმით ხდიან თავის ქალის ზედა ნაწილს და ასე ტოვებენ.

**,,კორტე დე ჩალეკო“** — ტყვეს ორივე ხელს აჭრიან, შემდეგ უფატრავენ მუცელს, რამდენიმე (?) ხნის შემდეგ თავს აჭრიან.

**,,კორტე დე ბლუმერ“** — ტყვეს აჭრიან ხელ-ფეხს და ასე ტოვებენ.

საკმარისია!

**ფაქტი ისაა, რომ ამ პროცედურებში მონაწილე ამერიკელი სამხედროების დიდი ნაწილი ომის დასასრულს სისხლმოწყურებულ პირუტყვებად გადაიქცა.**

წარმოვიდგინოთ ნიკარაგუის იმდროინდელ ხელისუფალთა მდგომარეობა. რას წარმოადგენდნენ ისინი? — აშშ-ის საზღვაო ქვეითების ხიშტებზე დამყარებულ მარიონეტულ ხელისუფლებას. **ვინ იყო ხუან საკასა? — ერთ-ერთი იმათგანი, ვისი ყოფნა-არყოფნაც დამოკი-**

# ქართული ელიტა

**დებული იყო ვაშინგტონელი ჩინოვნიკების კეთილგანწყობაზე.** მოკლედ, ეს იყო კორუმპირებულ პოლიტიკოსთა ერთი ჩვეულებრივი ბანდა, რომლის მსგავსი უამრავია ლათინური ამერიკის ისტორიაში, მაგრამ მათ იგრძნეს ზღვარი.

**მათ იგრძნეს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და, მიუხედავად აღებული ვალდებულებებისა და „დიდი მეგობრის რჩევისა“, გაიაზრეს ის მიჯნა, რომლის გადაბიჯება არ შეეძლოთ, რადგან მათი სამშობლო უფსკრულში მიექანებოდა. შეაგროვეს ეს ფაქტები და „სტრატეგიულ მოკავშირეს“ დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვეს. პარტიზანებთან** მიაღწიეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. შემდეგ სამშვიდობო პროცესი დაიწყო და ხალხიც იმედიანად განეწყო (ამაოდ).

**ვაშინგტონს დამნაშავეები რომ დაესაჯა, შესაძლოა, შემდეგ არც ვიეტნამური სონგმი იქნებოდა, არც ერაყული აბუ-გრეიბი, მაგრამ ამერიკელებმა სხვა გზა აირჩიეს.**

ბრძოლის ველზე აშშ დამარცხდა. პარტიზანთა წარმატებულმა ოპერაციებმა და მზარდმა უკმაყოფილებამ შტატებს ჯარების გაყვანა აიძულა. ამ ბრძოლის დეტალებით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, გაეცნოს არგენტინელი გრეგორიო სელსერის წიგნს „პატარა შეშლილი არმია“. **იგი ძალიან საინტერესოდ აღწერს მხარეთა მოქმედებას, მაგალითად, ამერიკელთა მიერ ავიაციის მასირებულ გამოყენებას ქალაქ ოკოტალის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ „რვა წლით ადრე ვიდრე მუსოლინიმ დაიწყო ნადირობა ჰაერიდან სრულიად დაუცველ აბისინიელებზე და ათი წლით ადრე, ვიდრე ჰიტლერის ესკადრილია „კონდორის“ მფრინავებმა ნანგრევებად აქციეს ჰერნიკა“ და ა.შ.**

ვაშინგტონმა საიდუმლო ოპერაციის განხორციელება ნამდვილად მოახერხა. სინდისით შეწუხებულ ნიკარაგუელ პოლიტიკოსებს პრეტენზიების განხილვაზე უარი ეთქვა, მეტიც, ისინი შერისხეს. აშშ-მა რიგი ფარული კომბინაციებით ხელი შეუწყო მათ ადგილზე გვარდიის თავკაცის ანასტასიო გარსია სომოსას მოსვლას, რომლის ხელქვეითები ჩაუსაფრდნენ და მოკლეს აუგუსტო სანდინო უკვე ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, როდესაც მოლაპარაკებებიდან ბრუნდებოდა.

**სომოსას და მისი დინასტიის მმართველობა ათწლეულები გაგრძელდა, თუმცა შემდეგ ადამიანებმა, რომელებმაც თავი სანდინოს საქმის გამგრძელებლებად გამოაცხადეს, მეტიც, თავს „სანდინისტები” უწოდეს, ბოლოსდაბოლოს დიქტატურის დამხობა მოახერხეს. ნიკარაგუა მკვეთრად ანტიამერიკულ პოზიციებზე დადგა. ხშირად გვიკვირს, თუ რატომ აღიარა ამ სახელმწიფომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.** მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მის ხელისუფალთ ვაშინგტონთან ძალიან ძველი ანგარიში აქვთ?! **აშშ-ის სატელიტად რომ არ აღგვიქვამდნენ, ამას არ გააკეთებდნენ.**

თითოეული ქვეყნის ელიტას (ისე, როგორც ეს საკასას და მისი თანამეინახეების ცხოვრებაში მოხდა) შეიძლება დაუდგეს მომენტი, როდესაც იგი გაიაზრებს, **რომ უცხო ქვეყნის ინტერესების დაკმაყოფილება და მის უმსგავსოებაზე თვალის დახუჭვა, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ის რჩება გასარკვევი, შეჩერდება იგი ამ მიჯნასთან, თუ გადააბიჯებს მას.**



## აი ია, ია აი

**სხვისი ინტერესების სამსახურში გატარებული წლების შედეგი საქართველოსთვის: დაიღუპა უამრავი ადამიანი, დაიკარგა ტერიტორიები, გალატაკებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნიდან გაიქცა, კულტურა და განათლება (მეცნიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ) პრაქტიკულად უნაყოფო, „უშვილო” გახდა. 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში ბევრ ლტოლვილთან მომიწია შეხვედრა, მათ შორის, ჩემდა გასაოცრად, აღმოვაჩინე საკმაოდ ბევრი წერა-კითხვის უცოდინარი მოზარდი, უფროსი სასკოლო და სტუდენტური ასაკისაც კი.**

იყვნენ ისეთებიც, ვინც პირობითად შეიძლება წერა-კითხვის მცოდნეთ მიაკუთვნო, მაგრამ უმარტივესი ტექსტის დამარცვლით წაკითხვაც კი უჭირთ.

**მოკლედ, იმის განცდა, რომ ქვეყანა იღუპება, გამიჩნდა არა მაშინ, როდესაც ჩვენს მიწაზე არხეინად მოაბიჯებდნენ რუსი ჯარისკაცები (საქართველოს უარესიც გადაუტანია), არამედ, — როდესაც საკუთარი თვალით ვხედავდი, რომ 15-16 წლის ქართველი ბიჭები ქართულ ასოებს ვერ ცნობდნენ.**

საინტერესოა, კიდევ სად მიგვიყვანს სხვის ჭკუაზე სიარული? გავაგრძელებთ თუ არა მას? ისე, საქართველოში სხვა ახალგაზრდებიც გაჩნდნენ. ისინი თვლიან, რომ ყოველივე დასავლური (სინამდვილეში ანგლო-საქსური) პროგრესულია ადგილობრივთან შედარებით, რომ არსებობს რაღაც გლობალური სტანდარტი (სინამდვილეში არა), რომლის მიხედვით უნდა გარდაიქმნას ადგილობრივი პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკა, კულტურა, განათლება და მოსახლეობის მენტალობაც კი. ამ გენერაციის ჩამოყალიბება, (პრინციპში, ეს მიმავალი ხელისუფლების ყველაზე მძიმე მემკვიდრეობაა) შესაძლოა, უფრო სერიოზული პრობლემა არის ვიდრე წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის შემცირება.

**სინამდვილეში, ელიტაში რეფერენციის (ზემოთ ჩამოთვლილთაგან) მეორე ტიპის ჩამოყალიბების ხელშეწყობამ, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, შეიძლება სხვა უკიდურესობამდე მიგვიყვანოს.** კერძოდ, უკიდურესი გახსნილობიდან უკიდურეს ჩაკეტილობაში გადაგვისროლოს, რის შედეგადაც შეიძლება, ძალა მოიკრიბოს შოვინიზმმა, ფუნდამენტალიზმმა და ა.შ. ახლა ქვეყანა ერთგვარი ქანქარასავით ამ ორ უკიდურესობას შორის ქანაობს და, ალბათ, საზოგადოების ფუნქციაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ქანქარა ცენტრთან მაქსიმალურად ახლოს შეაჩეროს, ანუ ხელი შეუწყოს იმას, რომ ელიტაში რაც შეიძლება მრავლად წარმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც რეფერენციის მესამე, შერეული ტიპი ახასიათებთ. **პრინციპი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს — დაყრდნობა ეროვნულ ღირებულებებზე, სხვათა გამოცდილების შერჩევითი გაზიარება, ერთდროულად — ევროპული და ეროვნული. ალბათ, ასეთი მიდგომა იქნებოდა უმჯობესი.**

**დიმიტრი მონიავა**

## დიმიტრი მედვედევი და სერგეი ბაღაფში ხელშეკრულებას გააფორმებენ

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი სერგეი ბაღაფში „საზღვრის ერთობლივად დაცვის შესახებ“ ხელშეკრულებას გააფორმებენ.**

აღნიშნულ ხელშეკრულებას 30 აპრილს მოეწერება ხელი. „ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გამყარების თვალსაზრისით. რუსეთთან თანამშრომლობა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია“, — აღნიშნა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზეთის დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრება.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, დე ფაქტო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი იური აშუბა, მისი პირველი მოადგილე ნუგზარ სამსონია და დე ფაქტო უშიშროების სამსახურის სასაზღვრო განყოფილების უფროსი ზურაბ მარღანია. დელეგაციას კი თავად სერგეი ბაღაფში უხელმძღვანელებს.

## რუსეთმა სერჟანტ გლუხოვის გადაცემა ოფიციალურად მოითხოვა

**რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას რუსეთის 58-ე არმიის სერჟანტის ალექსანდრ გლუხოვის გადაცემის შესახებ ოფიციალური მოთხოვნა გაუგზავნა.**

რუსეთის გენერალური პროკურატურის ოფიციალური წარმომადგენლის მარინა გრიდნევას განცხადებით, გლუხოვის გადაცემის შემთხვევაში მას, როგორც დეზერტირს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება.

სერჟანტი გლუხოვი ქართულ პოლიციას 2009 წლის 26 იანვარს ჩაბარდა. ის საქართველოს ტერიტორიაზე დევნილის სტატუსით იმყოფება.

## სოფელ ნინიგორის სასმელ წყალში გახრწნილი ბაყაყები და თევზები აღმოაჩინეს

**ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში სასმელ წყალს გახრწნილი ბაყაყები და თევზები მოჰყვება.**

პრობლემას ისიც ამძაფრებს, რომ სოფლის ერთ ნაწილს სასმელი წყალი 30 წელზე მეტია, საერთოდ არ მიეწოდება, ნაწილი კი სასმელად უვარგის წყალს იღებს.

ნინიგორში წყალი რომ სასმელად არ ვარგა, ამას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჩატარებული ანალიზიც ადასტურებს, — იუწყება რადიო „ჰერეთი“.

სამსახურის ხელმძღვანელი ლაგოდეხში ნუნუ ნოზაძე „ჰერეთთან“ ამბობს, რომ „კოლიინდექსი, რომელიც წყლის ხარისხის განმსაზღვრელია, 4-ის ნაცვლად 1 100 ერთეულს აღწევს“. ნოზაძე მოსახლეობას სასმელად მხოლოდ ანადუღარი წყლის მიღებას ურჩევს.

## ზვიად ძიძიგური პრეზიდენტს რესტორნებში სიარულს არ ურჩევს

**კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზვიად ძიძიგური მიხეილ სააკაშვილს სავახშმოდ რესტორნის ნაცვლად სახლში მომზადებული კერძების მირთმევას ურჩევს. როგორც ძიძიგურმა პარლამენტის შენობასთან მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ასეთ შემთხვევაში „სააკაშვილი უფრო ნაკლები საფრთხის ქვეშ იქნება“.**

„ჩვენ გვაქვს უფლება, პირველ პირთან მივიდეთ და ვუთხრათ, როგორ წარმოგვიდგენია მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. გუშინ მარჯანიშვილის ქუჩაზე ვახშმად მყოფ სააკაშვილს პატრულის 10 მანქანა იცავდა მაშინ, როდესაც უამრავი ტერორისტული თავდასხმა ხდებოდა ოპოზიციის მომხრეებზე, პატრული არსად ჩანდა. გუშინ სააკაშვილი სამარცხვინოდ გაიპარა რესტორნიდან. ვურჩევთ მას, რომ სახლში შეჭამოს სტაფილო, სუში ან რაც მოესურვება. ნუ ივლის რესტორნებში და თავს ნუღარ შეირცხვენს. იგი შეგნებულად ნიღბავს თავის ადგილსამყოფელს. გუშინ ლილოს ქარხნიდან ვითომ პირდაპირი ჩართვა ჰქონდა, მაგრამ ის იქ არ ყოფილა, ეს იყო წინასწარი ჩანაწერი. ასეთ ადამიანთან რა დიალოგზეა საუბარი?“ — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### ზურაბ გაგნიძე:

# ზნეობრივი კოდექსით, გიორგი თარგამაძე მოღალატეა

**საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ჭეშმარიტად ნაციონალური იდეის მატარებელი ლიდერი, რომელიც გაგვაოცებს ქვეყნისადმი თავდადებითა და ერისადმი ერთგულებით, თავისი შორსმჭვრეტელობითა და ნაკეთები საქმეებით. ხალხი ეძებს ლიდერს საუკეთესო წარსულით, სუფთა ხელებითა და ერის გულისთქმასთან წილნაყარს, თავისი დროისა და ქვეყნის შვილს.**

**ლიდერის გამოვლენა და გამოყოფა ჭირს, რადგან პოლიტიკურ ავანგარდს უმთავრესად ავანტიურისტული ძალები, ცხვრის ტყავში გახვეული მძორიჭამია გიენები იკავებენ, ხოლო პატიოსანი და ძლიერი ლიდერის მოძიება ჯერჯერობით გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ქრისტიან-დემოკრატთა პარტიის ლიდერის ფსიქოტიპზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით გიორგი თარგამაძის ფსიქოპორტრეტის სტრუქტურასა და ძირითად შტრიხებზე?**

— ქართველი კაცი კი ვერა და ვერ ურიგდება ღალატს, ორპირობას, ორგულობას ისეთ მატერიებში, რაც ქვეყნის ბედ-იღბალზე ახდენს გავლენას. პოლიტიკოს ლიდერს თუ ვერაგობას ვამჩნევთ, ზომიერებას ვკარგავთ და საკადრისად ვპასუხობთ. ხალხს კარგი მეხსიერება აქვს და არც ისეთი გულუბრყვილოა, სიმუხთლე და ფარისევლობა ვერ შენიშნოს. ამ მხრივ გიორგი თარგამაძემ პოლიტიკაში მოსვლის დღიდან უდიდესი მეტამორფოზა განიცადა. პოლიტიკაში ასლან აბაშიძის მფარველობით მოსულმა, რომლის თანამზრახველი, თანამშრომელი და თანამონაწილე იყო, ისე გაყიდა იგი გაჭირვების ჟამს, რომ შუბლის ძარღვი არ შესტოკებია. ზნეობრივი კოდექსის ამ მუხლზე დიდი ილია მიგვითითებდა: — „რომ ლხინში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია"... ზნეობრივი კოდექსით, გიორგი თარგამაძე მოღალატეა. ერთხელ ტელევიზიით ვუსმენდი, დამახასიათებელი ტკბილსიტყვაობითა და მოწიწებული პატივისცემით ასლანს იხსენიებდა; რიტორიკულ ინტონაციას შეფარებული მადლობას უხდიდა... ეს ფაქტი გიორგის ფსიქიკური წყობის პროლოგია, რომელიც შინაგან უსახურობას ატარებს, ხოლო ადამიანებს საბაბს აძლევს, იფიქრონ, რომ ეს პიროვნება ცბიერი, არასანდო და სულმოკლე არსებაა, რომელიც საკუთარი თავის გადასარჩენად ყველასა და ყველაფერს ფეხქვეშ გაიდებს.

რამდენიმე წლის შემდეგ მისმა საქციელმა ტელეკომპანია „იმედში" კვლავ მოგვცა ზემოაღნიშნულ თვისებებში დარწმუნების შესაძლებლობა. ნონა გაფრინდაშვილი ხმამაღლა აცხადებდა, რომ ბადრი პატარკაციშვილის ბურუსით მოცულ სიკვდილთან დაკავშირებით ეჭვმიტანილი გიორგი თარგამაძეც იყო. ბევრი ამბობდა, რომ გიორგი თარგამაძემ ბადრი ჭრელი დედალივით გაყიდა და ჩაუშვა. ხომ გაგიგიათ — „კეისრის ცოლზე არ ეჭვიანობენო", და ასევე არ შეიძლება ლიდერობის პრეტენზიის მქონე პიროვნების სახელი ასეთ ბინძურ საქმეში ფიგურირებდეს. ამრიგად არსებობს მის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში შავი ლაქები. დღევანდელი მისი პოზიციაც ურთიერთსაპირისპირო ზრახვებითა და ურთიერთუარმყოფელი გარემოებებით მისი სულიერი უნარების ავ-კარგზე გვაფიქრებს, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თარგამაძის ოპოზიციონერობა სამთავრობო პოლიტიკის განაყოფია.

გიორგი თარგამაძის ფსიქოტიპი რთულია, ის ჩარჩოებში ვერ თავსდება და ღრმა დაკვირვების საშუალებას არ იძლევა. ეს კი პროფესიონალს სურვილს აღგიძრავს, მისი სულიერების ღრმა შრეებს ჩასწვდე, სადაც მორევივით პირქუში სიბნელეა. ალბათ, გიორგი თარგამაძის ნაირ კაცთა სიმრავლემ ათქმევინა მემატიანეს: — „ქართველთა ბუნება ორგულ არს"...

ის აჭარის ლომის ბუნაგში გამოიზარდა და მისგან ბევრი ისწავლა, თანაც ისეთი მონდომებით, რომ ლამის მის ორეულად იქცა. ორგულობა და მზაკვრობა წარმატების გარანტად მიიჩნია, ამიტომ არ უჭირს, ოპოზიცია ერქვას და პოზიციას მსახურებდეს. მედიატორის როლით გატაცებულს შეუძლია, ერთი ნაპირიდან მეორეზე ჩელტის ხიდი გადოს, მისკენ უბიძგოთ და კისერი მოამტვრევინოთ ან ჩაახრჩოთ, მაგრამ თვითონ მშრალზე დარჩეს. მშვიდობისა და შერიგების მომხრე ნამდვილ წადილსა და მიზნებს მალავს. მონოტონური სიჯიუტით წინ მიიწევს, თავის წარმოჩენა, განსხვავებულ სიმაღლეზე აცოცება სურს, მნიშვნელოვან პერსონად გადაქცევას ისახავს მიზნად. დაუკვირდით მისი დახვეწილი დიქციის ფონზე სახის გამომეტყველებას — რა ხარისხის კონტრასტულობაა მის სახესა და ნათქვამს შორის. დაკვირვებული მზერისთვის აშკარა ხდება დახვეწილი პოლიტიკოს-არამზადის

**გიორგი თარგამაძისნაირ კაცთა სიმრავლემ ათქმევინა მემატიანეს: „ქართველთა ბუნება ორგულ არს"**

ინტონაციის სპეციფიკური მონოლოგი. ამის მიღწევას უდიდესი პოლიტიკოსებიც ძნელად ახერხებენ. ამას ნიჭი და მაღალი ინტელექტი უნდა, თანაც, აფერისტულ სტილზე მორგებული თაღლითობა. ასეთი ფორმით ყალიბდებიან თანამედროვე პოლიტიკოს-ლიდერები. მათი სულიერი უნარების გამჟღავნებით ვრწმუნდებით, რომ ჰალსტუხიანი პოლიტიკოსები „შარაგზის ყაჩაღებს" ემსგავსებიან, რომელთა მიზანი დატაცება, მოხვეჭა, წართმევა, მისაკუთრება და ყველაფრის საკუთარ „მე"-ზე მორგებაა. ასეთი გზა მათ სულიერებას ანგრევს. საბოლოო საფეხური კი თვით სამშობლოს უარყოფაა.

**— ბატონო ზურაბ, ფსიქოლოგიურ ასპექტებში ვერ შემოგედავებით, მაგრამ გიორგი თარგამაძე ქართული ტელესივრცის შთამბეჭდავი სახე და ნიჭიერი ჟურნალისტი გახლავთ. მის გადაცემებს საზოგადოება თვალს სიამოვნებით ადევნებდა...**

— ნაწილობრივ გეთანხმებით, რომ კარგ გადაცემებს ამზადებდა, მაგრამ არ შეგიმჩნევიათ, როგორი თავდაჯერებული გაფუყულობით ცდილობდა საკუთარი პერსონის წარმოჩენას?.. ჟურნალისტობა საზოგადოებრივი საქმეა და არა ავტორის პატივმოყვარეობისა და ამბიციების მომსახურების სფერო. მგონი, არასოდეს გვინახავს საავტორო გადაცემების რეკლამირებაში თვითონ ავტორის ასეთი როლი და განკერძოებული სიმაღლე, რომლის ჩრდილქვეშ რჩებოდა მთელი შემოქმედებითი ჯგუფი. ესეც დროის ნაკლოვანებაა, რომ გადაცემებზე საზოგადოების დადებითი მუხტი მხოლოდ ავტორზე მოდის. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იმედის „დროება" მაშინ კარგად ფინანსდებოდა. პოლიტიკური თვალსაზრისით „იმედში" მისი მოღვაწეობა იმ კუთხით შეფასდება, ტელეკომპანიის დარბევისას თავად რა პოზიცია ეკავა. იმდროინდელ მოვლენათა შესახებ ბევრი რამ დღესაც მიუღებელი, ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება. **ეს კითხვები მეტი სიმწვავით მაშინ წამოიჭრა, როცა გიორგი თარგამაძე თავისი გუნდით იმ ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ მივიდა, ვინც „იმედი" დაანგრია და თავისუფალი სიტყვა შეზღუდა. მან ჟურნალისტიკა ისევე უკანმოუხედავად მიატოვა, როგორც თავის დროზე — ასლანი. მან კოლეგა ირმა ინაშვილის დებატებში გამოწვევა უგულებელყო, რითაც ხალხის თვალში უარყო კოლეგიალური სოლიდარობა და ეჭვი გააღრმავა.** დღეს კი გვიმტკიცებს, რომ დებატები ნორმალური პროცესია და აუცილებელ სათქმელს ემსახურება, რომელიც საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სოციალური სტრუქტურით, გიორგი უბრალო ადამიანთა გარემოცვაში გაიზარდა, მათ გულგასახარად წინ წავიდა, მაგრამ დასცილდა იმ ფენას, რამაც ხალხის გულისტკივილის თანაზიარობა გაუნელა. გამუდმებული სნობური გამოვლენით ისწრაფვის შეძლებულ და გავლენიან ფიგურებთან თანამშრომლობისა და ურთიერთობისაკენ. ის გონიერი კაცია, მაგრამ — ამპარტავანი. ფსიქოლოგიაში ამპარტავნობა განმარტებულია როგორც გაკვირვება საკუთარი თავით. ჩაცმის სტილით კლასიკურ დახვეწილობას მისდევს, ამით ხაზს უსვამს, რომ ანგარიშგასაწევი პერსონაა. საუბრობს დინჯად, მენტორული ტონით, მაღლა შემართული თავითა და მედიდური გამოხედვით და ამ ყველაფრით შეგნებულად ფარავს საკუთარი სოციალური წარმოშობის ძირებს. ეს კი კომპლექსია.

**— ბატონო ზურაბ, ყველაზე მეტად რომელ შტრიხებს გამოყოფთ მის სულიერ უნარებში?**

— ვნებათაგან ყველაზე მეტად ანგარება ახასიათებს. ეს უბიძგებს მას მდიდარი ადამიანების სამსახურისკენ. თავის ნიჭსა და უნარს სიმდიდრის შესაძენად ხარჯავს. ის ემსახურება „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" და, ამავე დროს, მათდამი შურით იმსჭვალება. მესმის თქვენი, შესაწყნარებელი და გასაგებია, რომ ადამიანი კეთილდღეობას ესწრაფვის, მითუმეტეს, როცა განცდილი აქვს სიღარიბის ყველა გაჭირვება. მაგრამ მთავარი ამ საქციელში მისი კნინობითი სულიერებაა, თანაც, ნიჭიერი და მიზანდასახულია. ამ ტრიადით ყველა აკრძალულ ხერხს გამოიყენებს პატივისა და სიმდიდრის შესაძენად. ეს კი დღევანდელ საქართველოში ლიდერისთვის საშიში შტრიხია.

მას აქვს ადამიანებზე ძლიერი ზეგავლენის მოხდენის უნარი, შეუძლია მათთვის საჭირო კაცი გახდეს, მოხიბლოს და დაიახლოვოს ისინი. თუ სამიზნე სუსტი ნებელობისაა, მის თვალში სამაგალითო ფუნქციასაც იძენს. ასეც მოიქცა — მცდარ გზაზე შემდგარმა მხარდამჭერები იოლად შეიძინა. აკრძალული ხერხებით ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში დაბრუნდა და ერთ თვეში ისეთი რეიტინგი აიღო, რომ არჩევნებში წლობით პოლიტიკაში ნამყოფ ოპოზიციონერებს „გადაუჯოკრა". კრიზისულ მომენტში საჭირო კაცადაც იქცა — მედიატორ-მომრიგებლად ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ქართული პოლიტიკური სივრცე იმ მოტივით აავსო, რომ რადიკალური ოპოზიცია რეალობის უგულებელყოფით საქვეყნო საქმეს ვნებს. ამით გიორგიმ ეჭვები გაამართლა და დაინტერესებულმა მხარემ მას პარტია შეუქმნა. ქრისტიან-დემოკრატთა პარტიას და პოლიტიკაში თარგამაძის ყოფნას სხვა შინაარსი აქვს, ხალხისთვის კი — სხვა ფორმა ფორმალისტი ლიდერით. თუმცა, თავს არ ზოგავს, მაგრამ ხალხმა კარგა ხანია, გაარკვია, რომ ქრისტიან-დემოკრატები ფსევდოოპოზიციაა და ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. გიორგი თარგამაძე ფორმალისტი ლიდერია. ის საუბრობს საპარლამენტო მოდელზე, რომელიც ყველაზე მეტად თავად სააკაშვილს წაადგება. მას შესაძლებლობა ეძლევა, უმტკივნეულოდ დარჩეს პირველ კაცად პრემიერ-მინისტრის პოსტზე გადაცოცებით. მოსალოდნელი არჩევნებით კი გიორგი თარგამაძე შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარედ ვიხილოთ, რითაც ავადმყოფურ თავმოყვარეობას დაიკმაყოფილებს. ერთი წელი სრულიად საკმარისია მისი უნარების გაფურჩქვნისთვის. შესაშური უნარი აქვს, თანამიმდევრული, ლოგიკური, დიდაქტი-



**ხალხმა კარგა ხანია, გაარკვია, რომ ქრისტიან-დემოკრატები ფსევდოოპოზიციაა და ხელისუფლების თამაშს თამაშობენ**



კური მსჯელობით, პრობლემებისადმი ვითომ „სერიოზული“ მიდგომებით ზემოქმედება მოახდინოს იმ სუბიექტზე, ვინც ამ პრობლემებშია გახლართული. ახასიათებს აზროვნების სიღრმე, შთაგონების უნარი და ინტუიციური გათვლები, რასაც ემატება პირადი გამორჩენის ძლიერი ვნება ანგარებიანი თავკერძა კაცისა. ამიტომ პოტენციურად საშიშია არა მარტო კონკურენტებისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც ემსახურება, თუმცა მიზნის მისაღწევად გარკვეულ დრომდე თავის მოკატუნებაც ეხერხება.

დღეს მის გადაწყვეტილებებს ანგარიშს უწევენ, მის პროექტებსა და პუნქტებიან მოთხოვნებს ტელეეთერით ანონსირებენ, მის შეთავაზებულ მოდელებს განიხილავენ, რითაც გიორგი თარგამაძის პოპულარობას საეჭვოდ და თვალში საცემად ზრდიან. რას იზამ? — „ხელი ხელს ბანს!..“

დიპლომატიურობა მისი წარმატების ქუდია, კარიერის კიბეს დიდი სიფრთხილით ზომავს. ეშინია, ფეხი არ დაუცდეს. საკითხს ყოველმხრივ სწავლობს, შესაძლო ვარიანტებს აყალიბებს, საქმის შეტრიალ-შემოტრიალების არც ერთ ვერსიას არ გამორიცხავს და დასკვნებს ისე აკეთებს. მიზნის მიღწევის გზაზე მისი ფუჭი ილუზიების ტყვეობაში ყოფნა გამორიცხულია. იგი პრაგმატისტია. შეუძლია გონებრივი კონტროლის განვრცობა კონკურენტებზეც და შემკვეთებზეც. იცის, ვერაგული ზრახვა როგორ შეფუთოს კეთილმოსურნეობით, სინამდვილე კი — ჯანსაღ აზრთან მიახლოებული სიყალბით. ამით კი გულუბრყვილო მასას თავს აჩვენებს როგორც გონებადამჯდარი პოლიტიკოსი. მისი ნიღბის ქვეშ ავანტიურისტი კარიერისტი იმალება. ის ინიციატივას ადვილად იღებს, რადგან გარშემო მყიფე ნების, ზედაპირული შეგრძნებების უნიჭო გაიძვერები ახვევია. ამ კლასიკურმა მოღალატემ იცის, რომ დროის მანქანა მათ მიმოფანტავს, მანამდე კი გავლენის არეალი უნდა გაიფართოვოს, რათა ბობოქარი ცუნამის მოახლოებისას ტალღების ზემოთ აღმოჩნდეს. მკაცრი დიქტატურის რეჟიმში ინარჩუნებს წონასწორობასა და დიპლომატიურ ელასტიკურობას. უცქერის კულისებში გათამაშებულ დრამას. ხომ შესაძლებელია, ხაფანგიც დაუგონ?!. როდესაც „ლომი“ ღრიალებს, თავად ტურის ნაბიჯებით შორიახლო მისდევს მის ნაკვალევს.

**— ბატონო ზურაბ, რა ადგილს დაიკავებს ამგვარი ფსიქიკური წყობის ლიდერი მომავალ საქართველოში?**

— პოლიტიკურ არენაზე ერთნი დესტრუქციული ილეთებით იბრძვიან, მეორენი — არსებულის შესანარჩუნებლად; გიორგი — მესამეს, ვითომც „შუალედურ-მშვიდობიან“ გზას ადგას. მესამე ვარიანტი ყველაზე თაღლითურია, რასაც ფსიქოლოგიაში „ტალეირანის პოზიციას“ ვეძახით. ამგვარი სულიერი წყობის კაცი მდაბალი, არასაიმედო, ცბიერი, მოღალატე და გამყიდველია; სხვადასხვა უკიდურესობის გამოვლენა შეუძლია. აქვს უნარი, დროისა და მოთხოვნების მიხედვით შეცვალოს სამიზნე, ხერხები, გეგმები, მისაღწევი მეთოდები და ტაქტიკა. ამისთვის იგი სულიერ მონაცემთა მთელ არტილერიას ფლობს. მასში ჰიპერტროფირებულია წინსვლის სურვილი, რასაც ყველა დანარჩენი უნარები ემსახურება. საკუთარ თავში შეყვარებული დარწმუნებულია, რომ გაცილებით მეტს იმსახურებს, ვიდრე ეძლევა. ამ სურვილის მისაღწევ გზაზე თავს მაინც იჩენს ხოლმე მისი ტაქტიანობითა და მოჩვენებითი გალანტურობით შენიღბული იმპულსები: მტრობა, ქიშპობა, შური, დაუნდობლობა, ბოღმა, სიძულვილი, ქედმაღლობა, ამპარტავნობა, ორგულობა და ბოლოს — მძვინვარება. კარიერა, ფული, ზეაღსვლა, ძალაუფლება, გავლენა მისი არსებობის შინაარსია და ვნებას მთლიანად ემორჩილება, რადგან ეს მის სულიერებაშია. ამიტომ ამ ყველაფრის მისაღწევად მზადაა, ეშმაკსაც შეეკრას. ეშმაკი თუ გაიმარჯვებს, აკი მოგახსენეთ, მაღალი ჩინით დასაჩუქრდება. თუ სააკაშვილი მოიშორა და ქვეყნის პატრონობა საკუთარ ხელში აიღო, ხალხი ეშმაკთან წილნაყარ გიორგი თარგამაძეს აღარ მიიღებს. ეს სავსებით კანონზომიერიც იქნება.

ამდენად, მისი მცდელობა უპერსპექტივო მეჩვენება. აი, მაშინ კი პირველი თვითონ მიაფურთხებს ეშმას პირჯვრის ფარისევლური გადაწერით და კარიერის გზაზე მესამედ უარყოფს „პატრონს“. ეს კი გიორგის პოლიტიკური დაცემა იქნება, როგორც სახარებაში პეტრეს წინასწართქმული დაცემა, როცა იესომ ჭეშმარიტად განუცხადა: — „ამაღამ, სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე“ (მათე. 26. 34).

ვნახოთ, სანამ მამალი იყივლებდეს...

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

**ხალხი ეშმაკთან წილნაყარ გიორგი თარგამაძეს აღარ მიიღებს**

## მაყვალა გონაშვილი:

# მწერალთა კავშირის ჩამორთმევის ბრძანებას ზურაბ ჟვანიამ იმ ღამით მოაწერა ხელი, როდესაც გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა



**მეტროს საშუალებით, როგორც იქნა, თავისუფლების მოედნამდე მივაღწიე. გაზაფხულისთვის უჩვეულო წვიმანარევი ცივი ქარი მომიტინგეთა ჩამწკრივებული საკნების ცელოფნის კედლებს უმოწყალოდ წეწდა. უცებ უცნობი მოქალაქის გაღიზიანებული ხმა ჩამესმა: — „ნეტავ, მაცოდინა, ამ მიტინგს ვინ აფინანსებს, თითოეული საკნის დამზადება და ტრანსპორტირება, თურმე 700 ლარი ჯდება. ამის გამკეთებელი ნინო ბურჯანაძეც კი არაა; ის იმ ცომისგანაა მოზელილი, კაპიკს რომ ვერ გააგდებინებ. ამას, ცხადია, ვერც მშიერი მომიტინგეები შეძლებდნენ. ნუთუ ისევ უცხო ძალის მიერ ვიმართებით მარიონეტებივით?!.“ მე კი გზა მაჩაბლის ქუჩისკენ გავაგრძელე, სადაც სახალხო დამცველის ოფისში უვადოდ შეხიზნულ მწერლებს უნდა ვსტუმრებოდი და ქალბატონი მაყვალა გონაშვილისგან გამეგო, სად დგანან ამ პოლიტიკურ ქარიშხალში ქართველი მწერლები, რომელთაც მწერალთა სახლის დაბრუნებას სიტუაციის დაძაბვამდე სულ რამდენიმე დღით ადრე დაჰპირდნენ.**

— ხელისუფალების აზრით, მწერალთა კავშირი კომუნისტური გადმონაშთია, სინამდვილეში ის საქართველოში პირველი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის პროექტის მიხედვით 1917 წელს შეიქმნა. მარბიელებივით შემოიჭრნენ გასული წლის აგვისტოში მწერალთა კავშირის შენობაში, გადათელეს გალაკტიონის პორტრეტი, დახიეს ღვთისმშობლის ხატი... მე ეს ყველაფერი ავად მენიშნა. მერაბ მამარდაშვილს აქვს ნათქვამი: — „როცა ერი თავის სიწმინდედქცეულ ხატს ავად შეეხება, იქ ერი კვდება“. საშინელი ღამე იყო. მეზობლად მცხოვრებნი პოლიციელებს მანქურთებად მოიხსენიებდნენ. ერთ-ერთი ახალგაზრდა პოლიციელის კითხვაზე — რას ნიშნავდა „მანქურთი“ — მომხდარით თავზარდაცემულმა მივუგე: — „მანქურთი ყველაზე საშინელი მონაა, რომელიც, თუ უბრძანებენ, დედას მოკლავს“... არ მავიწყდება მისი რეაქცია: — „ვაიმე, ნეტავ, ეგ არ გეთქვათ“... — „ჩქარა გაყარეთ ნივთები გარეთ!“ — იყო ბრძანება. მე ხელნაწერთა გადარჩენას ვცდილობდი. მწარედ ჩაფიქრებულმა პოლიციელმა მითხრა: — „ხვალ სამსახურიდან წავალ, რადგან მოგვატყუეს, გვითხრეს, ვითომ ამ შენობაში ლტოლვილები შემოიჭრნენ... და ასეთი საშინელება კი ჩაგვადენინეს“... აი, რამდენი ადამიანი ხდება სახელმწიფო მანქანის დანაშაულის მსხვერპლი.

**— ქალბატონო მაყვალა, ამბობენ, მწერალთა სახლის დარბევას ფატალურ შემთხვევათა ჯაჭვი მოჰყვა. რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს?**

— გიორგი არველაძემ ირონიულად განაცხადა: „მწერალთა კავშირი იმიტომ არ უნდა იყოს, რომ რუსთაველის დროს მწერალთა კავშირი არ არსებობდა“. პასუხად ვუთხარი, რომ ამ პრინციპით არც სამინისტროები არსებობდა, ამიტომ გასაუქმებელია ეკონომიკის სამინისტრო ან გაყიდვების სამინისტრო დავარქვათ-მეთქი“.

რაც შეეხება ფატალურ შემთხვევებს, მწერალთა კავშირის შენობა დიდი ენერგეტიკის სახლია, სადაც ქართული შემოქმედებითი გენია თითქმის საუკუნის განმავლობაში მეფობდა. ამ შენობაში დიდი ტრაგედიები ხდებოდა, მის კიბეებზე დღესაც შემორჩენილია პაოლო იაშვილის სისხლი, რომელმაც თანამოკალმეთა გაცემას თავისმოკვლა არჩია. მწერალთა კავშირის ჩამორთმევის ბრძანებას ზურაბ ჟვანიამ იმ ღამით მოაწერა ხელი, როდესაც გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. მეორე დაპირისპირებული მხარე — როსტომ ჩხეიძის ორგანიზაცია მთლიანად დაიშალა. ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება, რომელიც მწერალთა კავშირის ქონებით ფრიად დაინტერესებული გახლდათ, მოულოდნელად ინფარქტით გარდაიცვალა. ომის დაწყებას დაემთხვა მთავრობის მიერ ამ შენობაში პრივატიზაციის სამსახურის შეყვანა... დასკვნა ამგვარია: სამწუხაროდ, საქართველოში დიდი ბრძოლაა გაჩაღებული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ და ეს ბრძოლა ქართული მწერლობით დაიწყო, რამაც ლოგიკურად დღევანდელობამდე მოგვიყვანა.

**— რამ შეაცვლევინა ხელისუფლებას აღებული კურსი და რამ აფიქრებინა მწერალთა სახლის თქვენთვის გადმოცემა?**

— წინა გადაწყვეტილება დიდად არ შეუცვლიათ. ჩვენ რამდენიმე ოთახს მოგვცემენ, მთლიანი ქონება კი კულტურის სამინისტროს რჩება. ეს არის და იყო ომი მთავრობასა და მწერლებს შორის, თუმცა, ხელისუფალთა მხრიდან იყო მცდელობა, დაპირისპირება მწერლებს შორის გადმოეტანათ. იყო ერთი-ორი ვაიმწერალი, რომლებიც ჩუმჩუმად პარლამენტში საჩივრებით დაცუნცულებდნენ. ახლახან „კალმასობაში“ დაიბეჭდა კვანტალიანისა და ჩხეტიანის ერთობლივი წერილი, ფაქტობრივ მასალას მოკლებული. როდესაც ფაქტებით შევედავეთ, უტიფრად განაცხადეს, რომ ფაქტები არ აინტერესებდათ. საბედნიეროდ, ასეთები ცოტანი არიან, ნამდვილი მწერლობა შედუღაბებული დგას ერთად და ესაა მთავარი. ჭაბუა ამირეჯიბი არ გატყდა და ბოლომდე ჩვენ გვერდითაა, ჩვენს პოზიციაზეა ოტია იოსელიანი, ძმები ჭილაძეები, კლასიკოსი ნოველისტი რეზო მიშველაძე, ფრიდონ ხალვაში. ზოგი საქმით იბრძვის, ზოგიც — კალმით. ასე რომ, მწერალთა შორის ბზარი ვერ გააჩინეს, ვერ დაგვშალეს. უკვე ხუთი წელია, სასამართლო პროცესი გვაქვს. უწმინდესმა დამამშვიდა: — „არ შეშინდე, ზოგჯერ საქართველოს მტერი ტაძრებსაც წვავდა, მაგრამ სული იყო მთავარი, სული გადაირჩინე და მერე ყველაფერი დაგიბრუნდება“. სული გადავირჩინეთ, რადგან ამ უმძიმეს წლებში ქართულმა მწერლობამ სახე არ დაკარგა, არ გაიყიდა და დარჩა მოვალეობის შემსრულებლად — ცისა და მიწის შუამავლად, სიმართლის მთქმელად.

**— როგორია თქვენი პოზიცია მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების მიმართ?**

— „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად!“ ამ პრინციპით ვცხოვრობთ. ჩვენი მწერლები მიტინგებზე ღამეებს ათენებენ, 21-ე საკანი ქართული მწერლობისაა. ამას წინ უსწრებდა მათი ხელით დაწერილი არა ერთი მწარე წერილი, რომ ეს დღე დადგებოდა. ყველაზე საშინელი მისატევებელი ისაა, რომ ხელისუფლებამ სახელმწიფო მრუდე სარკეების ქვეყნად გვიქცია. დღეს მთავრობის წინააღმდეგ გამოდის რეზო ჩხეიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ჭაბუა ამირეჯიბი.. როდესაც ასეთი ძალა გიპირისპირდება, ეს უკვე შენი ნაკლია.

**— ქალბატონო მაყვალა, მწერალთაგან საახალწლო ნობათი ვინ მიიღო, თქვენ ინდაურით არ დაგასაჩუქრეს?..**

— *(იცინის)* მწერლები იმდენად ვართ ჩაქოლილნი, რომ ინდაურიც არ გვაღირსეს. საჩუქარი თვით გამომგზავნელის გემოვნებაზე მეტყველებს.

მარჯანიშვილზე ვცხოვრობ. ღამის პირველ საათზე პრეზიდენტი რესტორანში საქეიფოდ შევიდა. პოლიციასა და ხალხს შორის შეხლა-შემოხლა დაიწყო. დაცვამ ყელშილუკმაგაჩხერილი პრეზიდენტი იქაურობას გაარიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღარ ღირს მისი დარჩენა პრეზიდენტის პოსტზე.

**— როგორ წარმოგიდგენიათ მიმდინარე მოვლენების ლოგიკური გაგრძელება?**

— არის პოლიტიკური სამკუთხედი: ერთი — მხოლოდ ამერიკა, მეორე — მხოლოდ რუსეთი, მესამე — ნეიტრალიტეტი.

**მე მაქვს ერთი ლექსი: არც „ბრუზია“ მსურს და არც „ჯორჯია“, მაგრამ ნეიტრალიტეტის მოპოვებას გრძელი გზა და დიდი პოლიტიკური მხარდაჭერა სჭირდება.**

მიტინგების აქტიური მონაწილე ვარ, მაგრამ დღემდე არ ვიცი, ვინაა ორგანიზატორი, ვისი ხელით იმართება, რომელი ძალა ვის თამაშს თამაშობს.

**ერთი ვიცი: საქართველოს საკუთარი პოლიტიკის წარმოება შეუძლია და, თუ არჩევანის გაკეთება მოგვიხდა ამერიკასა და რუსეთს შორის, ვფიქრობ, მეზობლის ფაქტორმა უნდა გადაწონოს.**

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# გააპარულან ე ვირები!..

**„ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია!" — თითქმის ზუსტად 5 წლის წინათ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაბრწყინებული სახით წარმოთქმული ეს ფრაზა გამახსენა ხელისუფლების ახლანდელმა „შეგნებულმა არჩევანმა". „მიშა გაიქცა, საქართველო თავისუფალია!" — სულ მალე ამ სიტყვების მოსმენით აღფრთოვანებული ხალხის გუგუნსაც მოვისმენთ. მანამდე კი ხელისუფლების კაბინეტებიდან გაქცევით დავკმაყოფილდეთ. შეიძლებოდა თქმა, — სამუშაო კაბინეტებიდან გაიქცნენო, მაგრამ ამ ბავშვებისთვის პარლამენტის შენობაც და ყველა სახელისუფლებო ადმინისტრაციული დაწესებულებაც ერთი დიდი „ბავშვთა სამყაროა".**



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრა ესპანეთის საპარლამენტო დელეგაციასთან. „შერატონ მეტეხი პალასი", 2009 წლის 25 აპრილი



საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა. თელავი, 2009 წლის 23 აპრილი

თუ ასე არ არის, რატომ არ ეტყობა ამ ქვეყანას, რომ ვინმე მუშაობს? მაგრამ ეს ბავშვები, ისევე როგორც ყველა ბავშვი, მოგეხსენებათ, უფროსებს ბაძავენ და, როცა ისინი ქეიფისა და ლხენის ხასიათზე არიან, სახელისუფლებო ლაწირაკებიც ერთობიან — „სხვა სამყაროში" (კომპიუტერული თამაშია ერთგვარი!) თავით გადაეშვებიან ხოლმე.

მაგრამ ახლა აღარც ხელისუფლების პირველ პირებს ექეიფებ-ეღრეობებათ და თინეიჯერებიც გაარიდეს „სახიფათო ზონას". **ყურადღებას ნუ მივაქცევთ თვით უავგუსტესი პრეზიდენტის „მავნე ჩვევას" — აუცილებლად რესტორანში ისადილოს, რასაც ახალგაზრდული მოძრაობების მხრიდან დევნა-შევიწროების გამო, მართალია, წარუმატებლად, მაგრამ მაინც ახერხებს.**

პარლამენტის ბიურომ გადაწყვიტა, საპარლამენტო კომიტეტების სხდომები რეგიონებში გამართოს. **აგრარულ საკითხთა კომიტეტი კახეთში ხაშლამას აგემოვნებს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი სამეგრელოში ღომსა და ელარჯს ეტანება, რეგიონული მართვისა და თვითმმართველობის კომიტეტი იმერულ ხაჭაპურსა ღმურძლავს და ტაბაკას ახლეჩს ბარკალს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი კი მარნეულში ცხვრის დუმით გაქონილ თითებს ილოკავს.**

ეულად შთენილი პარლამენტის თავმჯდომარე კი სტუმრებს „შერატონ მეტეხი პალასში" მასპინძლობს. დავით ბაქრაძის განცხადებით, ხელისუფლება ცდილობს, მინიმუმამდე დაიყვანოს პროვოკაციების შესაძლებლობა და ამიტომ თავს არიდებს პარლამენტის შენობაში შესვლას. ამავე მიზეზით საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსაც სასტუმროში შეხვდა და ესპანეთის საპარლამენტო დელეგაციასაც, რომელიც სამდღიანი სამუშაო ვიზიტით გვეწვია, იქ ეახლნენ აქაური კოლეგები თუ ოპოზიციის წარმომადგენლები.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას „შეგნებულ არჩევანს" უწოდებს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გია ცაგარეიშვილი კი უფრო შორს მიდის და აცხადებს: „სააკაშვილი მიჩვეულია დეცენტრალიზაციის პროცესს, ამიტომ პარლამენტის თავმჯდომარეს ვთავაზობ, საპარლამენტო კომიტეტები ქვეყნის რეგიონებში გადაიტანოს: აგრარული — თელავში, იურიდიული — ქუთაისში და ა.შ."

**დიდებული აზრია, ღმერთმანი. საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში, და კონტროლის პალატის ქუთაისში გადამისამართებამ ხომ სულ ტყუპ-ტყუპი ბატკანი მოიგო და სააკაშვილს თუ მართლა ჭკუაში (!) დაუჯდა ცაგარეიშვილის რჩევა, მერე ნახეთ საკანონმდებლო აქტივობა, ქეიფები და გზებზე სუფრის გადაფენა.**

კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა კი აცხადებს, პარლამენტი დედაქალაქიდან გაიქცაო, მაგრამ მმართველი პარტიის ლიდერები სულაც არ ფიქრობენ ასე და თვალი ოპოზიციისკენ უჭირავთ, იქნებ ვინმე დაითანხმონ დიალოგზე. არადა, რა დიალოგი, საქმე უკვე ეპილოგისკენ მიდის. დიალოგზე მაშინ უნდა ეფიქრათ, სანამ ამ ახალი პოლიტიკური რომანის პროლოგის წერას შეუდგებოდნენ ოპოზიციის წინამძღოლები. თუმცა, შესაძლოა, ისინი სულაც არაფერ შუაში არიან, და ამ სცენარის პროლოგიცა და ეპილოგიც სადღაც უჩვენოდ დაიწერა და ჩვენ მხოლოდ მოკლე შინაარსს გვიყვებიან ყოველდღიურ მიტინგებზე.

მართლა რაღაც ხიბლი აქვს „შერატონ მეტეხი პალასს". ჯერ იყო და რამდენიმე წლის წინათ ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა იქ გამართეს, აქაოდა შსს სპეცოპერაციას ვერ ჩაატარებს, ყრილობას ვერ ჩაგვიშლის, რადგან სხვა ქვეყნის ტერიტორიააო. ასეც მოხდა, მაშინ ყრილობამ მშვიდობიანად ჩაიარა.

ახლაც ასეა, — ხელისუფლება მტკვარგაღმა გადავიდა, პრეზიდენტს მიბაძა და ერთ დროს სამთავრობო ცენტრი მდინარის მარცხენა სანაპიროზე გადაიტანა. **ახლა იმღერებენ ხელისუფლება და ოპოზიცია: „გაღმით შენა ხარ, გამოღმით — მე, შუა ჩამოდის მდინარეო". მე თქვენ გეტყვით და მომღერალი არა ჰყავთ. იქით სააკაშვილის „დამკვრელები" და აქეთ „უცნობი" და სალომე ზურაბიშვილი. ხალხი? ხალხი უბრალო მსმენელია. ხანდახან „...ჯოოოს" დაიძახებს და ეგ არის.**

„შეგნებულ არჩევანს" აკაკი მინაშვილი ისე ხსნის, თითქოს ჩვენ ყველანი საკუთარი თვალით არ ვხედავდეთ ხელისუფლების ხლაფორთს, როგორმე გამოძვრეს ამ მათთვის სრულიად არაკომფორტული მდგომარეობიდან. თურმე **შეგნებულად არ ასუფთავებენ მიტინგების მიმდებარე ტერიტორიებს; შეგნებულად არ აწესრიგებს მოძრაობას პოლიცია; შეგნებულად არ ერევიან მიტინგებზე მომხდარი პროვოკაციების აღკვეთაში; შეგნებულად არ ეძებენ მომიტინგეებზე თავდამსხმელებს** და ა.შ. შექმნილი ვითარება მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს და, თუ მართლა შეგნებულად შევხედავთ და სულ მცირედ დავფიქრდებით, შეიძლება თქმა, რომ **ხელისუფლება შეგნებულად ცდილობს მართვის ბერკეტების მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გადაცემას მისთვის გარანტიების მიმცემ რომელიღაც ოპოზიციური ძალისთვის.**

მოდი და ნუ გაიზიარებ დეპუტატ გია ცაგარეიშვილის ეჭვებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის ჩაკეტვით თავისებურად ოპოზიციის გეგმებს ახორციელებს. თუმცა, ოპოზიციაში გადასვლის შემთხვევაში, ცაგარეიშვილი დარწმუნებულია, რომ დავით ბაქრაძეს ოპოზიცია არ მიიღებს.

ამ ეჭვის გაზიარება შეიძლება, მაგრამ ცაგარეიშვილის ოპტიმიზმს საფუძველს აცლის თვით ბაქრაძის პოლიტიკური წარსული. ნუ დაავიწყდება მასაც და ნუ დავივიწყებთ ჩვენც, რომ **დავით ბაქრაძე ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წლებში უშიშროების საბჭოს პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორი იყო და, 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 2004 წლის მარტის არჩევნებზე პარლამენტში ნინო ბურჯანაძის კვოტით მოხვდა. 2008 წლის არჩევნებისას კი „ნაციონალური მოძრაობის" სახედ მოგვევლინა და, შესაბამისად, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელშიც ნებიერად ჩაესვენა.**

ასეთ ადამიანებს ძალიან უმართლებთ, ჩვენთან რომ არის, ისეთ პოლიტიკურ გარემოში. ისინი ამ გარემოს ღვიძლი შვილები არიან. ოპოზიცია დიდი სიამოვნებით მიიღებს ამოჭიტლაყებულ ბაქრაძეს. აკი ბურჯანაძე ლიდერად აქციეს. მერე რა, რომ მანამდე დაუსტვინეს. ამ ქვეყანაში ცოტა უსტვენს?

# სულამპუტირებულები



**ხელისუფლებას ნერვები ზამბარასავით დაეჭიმა. თბილისურმა აქციებმა და იმანაც, რომ „პატარა გრეჩიხას" საკანმა იბარტყა და დედაქალაქის ცენტრის პარალიზება გამოიწვია, ძალაუფლების ნირვანაში ჩაძირულ ჩინოვნიკებს ტკბილი ძილი დაუფრთხო. მათზე მეტად „კაცის კაცები", თუ გნებავთ, „კაცის კაცის კაცები" ნერვიულობენ. ე.წ. ზონდერბრიგადებს მომავალი კარგს არაფერს უქადის. ამ ეშვებალესილ მანქურთებს როდიონოვის ნიჩბები რომ მისცე, თვალისდახამხამებაში აჩეხავენ მომიტინგეებს, ისევე დაუნდობლად, როგორც განურჩევლად ყველას — დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, მანიფესტანტსა თუ უბრალო გამვლელს უსწორდებოდნენ 7 ნოემბერს.**

მათთვის სამშობლო ის კეთილდღეობაა, რომლითაც თავიანთ მოქმედებას ამართლებენ: **700 ლარი პრემია — ასეთია ქართველის მიერ ქართველის დაუნდობლად დარბევის საზღაური. თვითონ პრემიას ეძახიან, თქვენ, რაც გნებავთ, ის უწოდეთ.**

მიტინგიდან შინ მიმავალ ადამიანებს, სადაც წაასწრებენ, იქ ურტყამენ. როგორც მოასწრებენ, იმდენს ურტყამენ და გარბიან. ასე იყო, სანამ საქმეში გია ყარყარაშვილი არ ჩაერთო და ხელისუფლებას კატეგორიულად მიმართა — **თუ თქვენ არ შეგიძლიათ მშვიდობიანი მომიტინგეების ასეთი თავდასხმებისგან დაცვა, მაშინ ამ საქმეს ჩვენ მივხედავთო. ხელისუფლება დაიზაფრა.**

თქვენ წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ „შაკლური" თავდასხმები შეწყდა. ხელისუფლებამ უკან დაიხია. მანამდე კი რამდენიმე ათეული ადამიანი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოებში მოხვდა. პოლიციურ სახელმწიფოში, სადაც ერთ ადგილას 10 წუთი გაჩერება რომ მოგიწიოს, მოვლენ და ზედ ფარულ კამერას დაგამონტაჟებენ, სადაც ყველა უბანსა და ყველა ცენტრალურ გზას პოლიციის კამერებით აკონტროლებენ, დღემდე „ვერ მიაკვლიეს" ამ „უჩინარ" ადამიანებს.

**თვითდაპატიმრებულ „უცნობთან" საკანში წინა ღამით ნაცემი ძმები მანჯავიძეები საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რა მოხდა და როგორ ცდილობდნენ უცნობი პირები მანქანიდან მათ გადმოთრევას. დეტალურად მოჰყვნენ, როგორ დაუმტვრიეს ავტომობილი.**

წინა ღამით მიტინგიდან შინმიმავალ 55 წლის თემურ რადიანსა და მის 20-ოდე წლის ვაჟს დახვდნენ და უმოწყალოდ სცემეს. რა დაზიანებები ექნებოდათ, ძნელი მისახვედრი არ არის. როცა ვახტანგ აბაშიძემ თემურ რადიანს ჰკითხა, რამე ხომ არ გაწუხებსო, პასუხად მიიღო: — არაფერი, მხოლოდ სული მტკივაო. შვილის თვალწინ ნაცემ კაცს მხოლოდ სული სტკიოდა.

**თემურ რადიანი და ვახტანგ აბაშიძე მეგობრები არიან. მათი შვილებიც ძმაკაცობენ. ამ ახალგაზრდების დიდ სამეგობროს (როგორც ვახტანგმა თქვა, ამ ბიჭებს 200-ზე მეტი ძმაკაცი ჰყავთ) არ გაუჭირდება თავდამსხმელთა ვინაობის გარკვევა და ვახტანგ აბაშიძეს სწორედ ეს აშფოთებდა, — ბავშვებს ნუ გააბოროტებთო, — ტელეეთერით მიმართავდა ხელისუფლებას.**

როგორც უკვე ვთქვი, ხელისუფლებამ, შიშის გამო თუ სხვა მოტივით, შეწყვიტა ღამეული თავდასხმები. მაგრამ ამან უკვე დატოვა თავისი ბინძური კვალი. თავდამსხმელების ვინაობა ადრე თუ გვიან მაინც გაირკვევა. ჩვენ კი ვახტანგ აბაშიძის შეშფოთებას გავიზიარებთ და სულამპუტირებული ხელისუფლების გასაგონად ვიტყვით: **ბავშვებს ნუ გააბოროტებთ, შვილები თქვენც გეზრდებათ!**



**P.S. ხელისუფლებამ ისევ ჩვეულ ხერხს მიმართა: განაახლეს მომიტინგეებზე “შაკლური” თავდასხმები, მათ შორის, ავტომანქანებით, კისტის თოფებით, წყლით და ფეკალური მასებით სავსე პარკებით.**



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ფადის ასლები

**როგორც ვირი ნახირში არ ითვლება, ისე სიძე ნათესავებშიო, — არ მახსოვს, პირველად საქართველოს რომელ კუთხეში გაჩნდა ასეთი გამოთქმა, მაგრამ ფართოდ გავრცელდა და ახლა ჩვენი არაბი სიძის ფადი ასლის დაუოკებელმა გააქტიურებამ გამახსენა. რამდენჯერმე ურჩიეს, თავი შეიკავე სიძე-ბატონოო, მაგრამ ვერ შეასმინეს. მერე კახურადაც შეუძახეს, — დააყეო, მაგრამ გაოჩნდა. ეტყობა, მისმა მშვენიერმა მეუღლემ ია ფარულავამ შეაგულიანა, — რაც არ გკლავს, ის გაძლიერებსო და რამდენიმე „გაფადისტებული" თავისი ასლიც აიყოლია — მიმდინარე პროცესები, მიშას მისამართით პროტესტის გამოხატვა და მიტინგების მოწყობა უარყოფითად მოქმედებს ბიზნესზეო.**



ალბათ, მართალია. რაც მიტინგები დაიწყო, ქართულმა ქათმებმა გავაზე დაიხედეს, ბარკლები მოისინჯეს და, — ტიტუუ, რავა გავმხდარვართო, — აკაკანდნენ. ნერვიულობის ნიადაგზე მწვავე ბულემია განუვითარდათ, როგორც 2003 წლის ნოემბერში მიხეილ სააკაშვილს და 2009 წლის აპრილში — ლევან გაჩეჩილაძეს. ქათმებმაც ჭამას უმატეს და უკვე ორ კვირაში ისეთი ჩათქვირებულები დამწკრივდნენ ბაზრების დახლებზე, რომ ფადი ასლის ფავორიტ თავისნაირებს თვალები დაუყენეს. თუმცა თვალებს როგორ დაუყენებდნენ, ფადის მხოლოდ ბარკლები ჩამოაქვს. მომგებიანი ბიზნესია საქართველოსნაირ გაჭირვებულ ქვეყნებში. **ქათმის ბიზნესში კარგად ერკვევა საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი. იცის, რომ თეთრ ხორცს განვითარებულ ქვეყნებში მიირთმევენ, თავს — აზიაში, ჩვენისთანა განვითარებადებს კი ფეხები გვრჩება. ფადის კი არა, ქათმის ფეხები. მოკლედ, — ბარკლები, რომლებშიც ყველაზე დიდი დოზითაა ქოლესტერინი. უნდა ახლა ფადის მიტინგები და მანიფესტაციები?** ეს ხალხიც მთელი დღე ქუჩაშია და შინ დაბრუნებულებს ჭამის თავიც აღარ აქვთ, ისე იძინებენ. რჩება ფადის ბარკლები გაუსაღებელი.

ახლა ვინმე რომ გამოხტეს და თქვას, რას აშაყირებ ამ ჩვენს მოჭირნახულე სიძეს, საქართველოს აყვავება-აშენება-გამშვენებაზე ზრუნავსო, სულ ფადის იმპორტული ბარკლები უნდა ურტყა თავში.

**რაღა ვინმე, აგერ, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარე გიორგი თარგამაძეც კი ფადის ასლი გამხდარა.**

„შერატონ მეტეხი პალასში" საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" შეხვედრას 40-მდე ბიზნესმენი ესწრებოდა. თარგამაძის თქმით, ამ შეხვედრის ძირითადი ამოცანა ყოფილა პოზიციების ურთიერთდაახლოება და ის, რომ ბიზნესმა აქტიური ურთიერთობა და კოორდინაცია დაიწყოს არა მარტო ხელისუფლებასთან, არამედ პოლიტიკური სპექტრის მთლიან ნაწილთან და, მათ შორის, ოპოზიციასთან.

**„ჩვენ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც იქნება ზომიერად ძლიერი და არ იქნება აბსოლუტური ძალაუფლების მქონე, რომელიც ბიზნესს წარმოიდგენს როგორც თავის პარტნიორს",** — გიორგი თარგამაძის ამ სიტყვებით დასტურდება, რომ ისიც უერთდება ე.წ. რადიკალური ოპოზიციის მთავარ და, მე მგონი, ერთადერთ მოთხოვნას — გადადგეს პრეზიდენტი სააკაშვილი!

ვნახოთ, მართლა ასეა თუ არა:

**პრეზიდენტი სააკაშვილი ზომიერად ძლიერი არ არის!**

**პრეზიდენტი სააკაშვილი აბსოლუტური ძალაუფლების (ძალაფულებისაც!) მქონეა!**

**პრეზიდენტი სააკაშვილი ბიზნესს არ წარმოიდგენს როგორც თავის პარტნიორს, არამედ როგორც მეწველ ძროხას, „ფულის ტომარას"!**

ესე იგი გიორგი თარგამაძეს არ სჭირდება ასეთი ხელისუფლება და პრეზიდენტი!

მაგრამ, მისივე თქმით, ბიზნესი ვერ განვითარდება, თუ არ იქნება ქვეყანაში მშვიდობა და გრძელვადიანი სტაბილურობა.

**ფადის გაფიცებთ, ვინმეს გჯერათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ამ ქვეყანაში მშვიდობა და გრძელვადიანი სტაბილურობა იქნება, ანდა ბიზნესი განვითარდება?** ამ შეკითხვით PSP-ს დამფუძნებელ კახა ოქრიაშვილს არ მივმართავ. მან უკვე თქვა, რომ „დღეს საქართველოში კარგი ბიზნესგარემოა. ხელისუფლებას რაც შეუძლია გააკეთოს ეკონომიკის აღმავლობისთვის, იმას აკეთებს. ქვეყანაში მიმდინარე აქციები კი ინვესტიციების შემოდინებასა და ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს". ეტყობა, თარგამაძის თქმის არ იყოს, მისი ბიზნესი ხელისუფლებამ წარმოიდგინა როგორც თავისი პარტნიორი. და ისიც თავს კარგად გრძნობს. რატომაც არა? მაგრამ, აბა, პრეზიდენტ სააკაშვილს მოვუსმინოთ: **დღეს საქართველოს რთული ეკონომიკური ქარტეხილი აქვს გასავლელი, ბევრი ადამიანი ებრძვის სიღარიბესა და უმუშევრობას,** — განაცხადა მან ქარხანა „ინტერპლასტის" თანამშრომლებთან შეხვედრისას, — **მე მთლიანად ვიზიარებ მათ გასაჭირს და მათთან ერთად მეც ძალიან გაბრაზებული ვარ!**

სააკაშვილი გაბრაზებული ყოფილა, ოქრიაშვილი კი კმაყოფილია, — კარგი ბიზნესგარემოაო. თუ ასეა, მაშ, რამ გააბრაზა პრეზიდენტი და რატომ ებრძვის ბევრი ადამიანი სიღარიბესა და უმუშევრობას? **შენი აფთიაქიდან რომ კაცი ხელცარიელი გავა, რადგან წამლის საყიდელი ფული არ აქვს, სულ ცოტა, უნდა შეგრცხვეს, შენ კი კარგ ბიზნესგარემოზე ლაპარაკობ, რადგან შენ უკვე გამოძეხი და კარგად ხარ!** აი, ხელისუფლებასთან გადაფსკვნილი დღევანდელი ბიზნესმენების მორალური სახე. თორემ, თუ ყველაფერი კარგად არის და კარგი ბიზნესგარემოა, სამუშაო ადგილები რატომ არ იქმნება, „ბაში-აჩუკის" ყიზილბაშისა არ იყოს, თქვენმა თავმა ქვა გკრათ?

ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობაზე მსჯელობისას შეუძლებელია, არ გაგახსენდეს ბიზნესმენთა ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის ჯერ კიდევ 2006 წელს გაკეთებული განცხადება ხელისუფლების მხრიდან ბიზნესმენთა დატერორებისა და საუკეთესო შემთხვევაში ფულის, უარეს შემთხვევაში კი მთელი ბიზნესის „ახევის" შესახებ. **მაშინ ბევრი შანელ- და ივსენლორანნაპკურები გაყუჩდა (მათ შორის, ის „წითელი დირექტორებიც", თავის დროზე „ტრაინოი ოდეკოლონით" რომ კოხტაპრუწობდნენ), ხვალ კი, როცა ეს ხელისუფლება როგორც აშენდა, ისე გადაშენდება, გამოვლენ და „ძალით მოხნული აღმართის" შეგონებებით შეგვაცოდებენ თავს.**

დავუბრუნდეთ ფადი ასლის და მისი მიმართვის ტონალობას, რამაც ეკონომიკის ექსპერტების (და არა მარტო მათი!) აღშფოთება გამოიწვია. **სოსო ცისკარიშვილის აზრით, „როცა თავს იმის უფლებას აძლევ, რომ ათასობით ადამიანს ჭკუა დაარიგო, — მიტინგზე წავიდეს თუ სახლში დარჩეს, ამის მორალური უფლება უნდა გქონდეს. ბიზნესმენობა ხელისუფლებისადმი პირფერობასა და უტყვ მორჩილებას ნამდვილად არ ნიშნავს".**

**„როგორ ბედავს ფადი ასლი და წარბშეკვრით ელაპარაკება ათასობით ადამიანს, რომლებიც ხელისუფლების უგუნურმა საქციელმა ქუჩაში გამოიყვანა",** — ეს უკვე დემურ გიორხელიძის სიტყვებია.

უნდა დავეთანხმოთ, მაგრამ აქვე შევნიშნავთ: ბედავს, რადგან ამ ქვეყანაში ფადი ასლი ერთია, ფადის ასლი კი — ბევრი...

# პრეზიდენტმა დაგაზა

## სააკაშვილი ბრმას ცოლის სიკვდილს უმალავს



**თბილისი მიტინგის რეჟიმში ცხოვრობს, ქვეყნის პრეზიდენტი კი თვალს არ ახამხამებს, ისე აგრძელებს ნაციონალურ ბლეფს. ვითომ არაფერი ხდება, ისე ესტუმრება რომელიმე რეგიონს, ქარხანას, შეკრებს ოციოდე თავის მომხრეს და ტელეეთერში ხან გაზს ანთებს და ხან... რა მნიშვნელობა აქვს, რას აკეთებს, მთავარია, ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, რომ ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი ხდება და ყველაფერი წესრიგშია. მთელი მსოფლიო რომ კრიზისმა მოიცვა და კინაღამ დაიქცა, არც ამის აღნიშვნა ავიწყდება. აი, ჩვენთან კი, მთლად ციური მანანა თუ არ ცვივა, რძე და ყველი მაინც არ გვაკლია.**

ხალხმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ხელისუფლებისგან რაც მიიღო, მალე უკან რომ დაუბრუნებს, შეიძლება მხოლოდ მაშინ მიხვდეს ეს ჩვენი ადეკვატური პრეზიდენტი, თუ რას ნიშნავს ბლეფის რევერსი.

მიტინგების ფონზე ახალციხეში პრეზიდენტის ჩასვლა და 90-კილომეტრიანი გაზსადენის ვითომ გახსნა ამ ბლეფის ერთი პატარა ფრაგმენტი იყო. სწორედ იქ წარმოთქვა სააკაშვილმა ისტორიული სიტყვები: **„ხალხის ნაწილი, ვინც პროტესტს გამოთქვამს, მართლაც უკიდურესად გაჭირვებულია. თუმცა, ბევრად უფრო მეტი გაჭირვებული ზის სახლში და თავშეკავებულია. მე ყველაზე მეტად მესმის ამ ხალხის გაჭირვების, ყველაზე მეტად ამ ხალხს სჭირდება დახმარება. ვფიქრობ, პოლიტიკოსებმა სკამებისთვის კი არ უნდა იბრძოლონ, არამედ ყველა ერთად უნდა დავსხდეთ და ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ დავეხმაროთ ამ ხალხს. ამაზე უფრო დიდი ამოცანა არავის უნდა ჰქონდეს. თუ ამ ხალხის მდგომარეობა და ცხოვრება არ გაუმჯობესდება, სკამები ყველას უკან დარჩება..."**

ერის მოჭირნახულე ლიდერის სიტყვებია, მაგრამ ჩვენ რომ ვიცნობთ ამ სიტყვების წარმომთქმელს, ამ გულსაკლავ სინამდვილეს რა ვუყოთ?

პოლიტიკოსებმა რომ სკამებისთვის არ უნდა იბრძოლონ, ამაზე სააკაშვილი ხშირად საუბრობს, მაგრამ, საქმე საქმეზე თუ მიდგება, სწორედ ამ სკამს, უფრო სწორად, პრეზიდენტის სავარძელს გადააყოლებს ქვეყანას დაუნანებლად. ჩემ შემდეგ ქვას უთოვია, — აი, მისი ცხოვრების ფორმულა.

თუმცა, ჩვენ ისევ ახალციხეს დავუბრუნდეთ და ვნახოთ, როგორ დაგაზა სააკაშვილმა. ყველა სამთავრობო ტელეარხმა საზეიმოდ გვაუწყა, პრეზიდენტმა 90-კილომეტრიანი გაზსადენი გახსნაო, ახალციხელებს კი მწარედ ეცინებათ, — **რა გაზი, რის ნავთობი, ახალციხეში მიხეილ სააკაშვილმა გაზი ბალონზე აანთოო. ახალციხელებს ფოთელები თავიანთი გულისტკივილით ეხმიანებიან, — რა წყალგაყვანილობა, რის ატამი, ვის ატყუებენო.**

დაახლოებით ისეა, ბრმას რომ ცოლი მოუკვდება და უმალავენ. ახალციხელებმა და ფოთელებმა კარგად იციან, რომ არც გაზია და არც წყალი. უბრალოდ, სააკაშვილმა ამჯერადაც დაგაზა, და დიდი ხანია, გააწყალა. თავისი და, სამწუხაროდ, ქვეყნის ავტორიტეტიც. თურმე, ჯერ ბუნებრივი აირის გასაშვებად ქსელებიც არ გაუკეთებიათ. თურმე, წელიწადნახევრის წინაც (გახსოვთ 2007 წლის ნოემბრის აქციებით შეფარცქვალებული ნაცლიდერი?) აუნთია პრეზიდენტ სააკაშვილს ერთ-ერთი ასპინძელის ოჯახში ცისფერი ალი, მაგრამ ასპინძის მოსახლეობას ბუნებრივი აირი დღემდე არ მიეწოდება. ფოთელები კი იმას დარდობენ, წყალგაყვანილობის სისტემის შეცვლის დროს ძველი მილები რომ დააზიანეს და საშინელ მდგომარეობაში არიან, თავს რით უსაშველონ. A ჰეპატიტით დაავადებული ასამდე ფოთელის შესახებ კი ჩვენი სამთავრობო არხები როგორ გაგვაგებინებენ, ჩვენ ხომ ბედნიერ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი წესრიგშია.

**სააკაშვილი პიარის ისეთი გროსმაისტერია, რომ ბრმას ცოლის სიკვდილსაც დაუმალავს. მეტიც, — დაარწმუნებს კიდეც მის სისაღსალამათეში. მაგრამ, ის ბრმა რომ თავის ცოლს მოიკითხავს და გვერდით არ მიუწვება?**

**რაღაცას მოახერხებენ. ბოლოს და ბოლოს, თუ მოასწრეს, ოღონდ ბრმამ სიმართლე არ გაიგოს და რომელიმე ენაგატლეკილ „ნაცბარიშნას" მიუწვენენ...**

# ე ვირებიც გაპარულან!..

**„შავ ზღვაში ჩავარდა მზე საქართველოსი! ჰმ, რაღა ამოიყვანს?.." — გახსოვთ, ჩორეხი როგორ მისტიროდა საქართველოს დიდებას?**

ახლა ჩვენ გვაქვს საქმე თავში საცემად — შავ ზღვაში თუ ატლანტიკის ოკეანეში ჩავარდნილ საქართველოს რაღა ამოიყვანს და ვინ უსაშველებს! მოთქმა გვმართებს ქართველებს, ღაწვებს უნდა ვიხოკავდეთ. მიზეზიც გვაქვს — „თავისუფლების ინსტიტუტი" გაიპარა. ეს ინსტიტუტიცა და მისი ულიბერალურესი დირექტორი ლევან რამიშვილიც 9 აპრილის შემდეგ ერთ დიდ „ჯოდ" გადაიქცნენ და მას შემდეგ ეძებენ. გრიბოედოვის ქუჩაზე მათი ოფისის კარზე გამოკრულია წარწერა — „თავისუფლების ინსტიტუტი გადავიდა მე-8 სართულზე".

როგორი მფრინავი ლიბერალი უნდა იყოს ადამიანი, რომ ორსართულიანი შენობის მერვე სართულზე გადავიდეს! ან ავიდეს! ან აფრინდეს! ან... რა ვიცი, იმდენი რამის თქმა მინდა, უკვე დავიბენი...

ეს მიშას გადარეულები თუ მიშას გადამრევები ისე დაიკარგნენ თვალთახედვის არედან, თითქოს სულაც არ არსებულან და მთელი ქვეყნის განათლებისა თუ სასამართლო სისტემა ძირფესვიანად არ ამოეგდოთ.

ისე გაიპარნენ გრიბოედოვის ქუჩიდან, რომ არავინ იცის, სად არის მათი ახალი საბუდარი.

— „აღსდექ, საქართველოვ!" — იძახდა ჩორეხი, და თან ფეხს ღონივრად ურტყამდა მიწას და ყველას მოუწოდებდა, ერთხმად შევძახოთო.

**და მაშინ, როცა მთელი დუნია ჩორეხის შეძახილს უერთებდა თავის ხმას, არსად ჩანდა „თავისუფლების ინსტიტუტი".**

**ე ვირებიც გაპარულან!..**

გვერდები მოამზადა ბონდო მძინარაშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# Да здравствует наш суд, самый гуманный суд в мире!



**იუსტიციის მინისტრობის დროს მიხეილ სააკაშვილი სასამართლო რეფორმას ჩაუდგა სათავეში. როგორც ამბობენ, ამ რეფორმის შედეგად მან და მისმა ძმამ დიდი ფულიც იშოვეს... ფინანსურ მაქინაციებს რომ თავი დავანებოთ, სასამართლო რეფორმის მთავარი დანიშნულება საზოგადოებაში სასამართლო ინსტიტუტისადმი ნდობის გაზრდა უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ნდობა არათუ გაიზარდა, ლამის ნულს უტოლდება. ადვოკატები ხუმრობენ, ჩვენ იმავე ფუნქციას ვასრულებთ სასამართლო პროცესზე, რასაც გვირგვინი სამგლოვიარო პროცესიაზეო. ადვოკატ ლალი აფციაურს კი მიაჩნია, რომ ქართულ სასამართლო სისტემას გაუკეთეს აცრა სახელწოდებით „ანტიდემოკრატიული ვაქცინა“ და თივის ზვინში ნემსის პოვნა უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენს სასამართლოში — სამართლის. მიუხედავად ამისა, ქვეყნის პირველი პირი ამაყად იწონებს თავს „წარმატებული სასამართლო რეფორმით“ და, როგორც ყოველთვის, „პირველად საქართველოში“ „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სასამართლო სისტემით“ ტრაბახობს:**



## პროკურატურის მოთხოვნათა უპირობო დაკმაყოფილება ქართველ მოსამართლეებს ამერიკელმა ექსპერტმა ურჩია

„საქართველოში მიღწეულია მთავარი — საქართველოს სასამართლო არ არის კორუმპირებული. ეს არ ნიშნავს, რომ კორუფციაში არ ვამხელთ მოსამართლეებს. ორმოცზე მეტი მოსამართლე კორუფციისთვის არის დაჭერილი.

### ყველაზე მეტად გული მაშინ გამინათდა, როცა ომის დღეებში ტელევიზორი ჩავრთე და ვნახე, რომ რომელიღაცა გამგებლის მოადგილე დაიჭირეს კორუფციისთვის... ისევე, როგორც გული გამინათდა მაშინ, როცა ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა მითხრა, რომ იმ დროს, როცა თბილისთან იდგა ტანკები, ის დააჯარიმეს ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო.

მე ვიცი ჩვენი მეგობარი ქვეყნები, სადაც პრეზიდენტებიც და პრემიერ-მინისტრებიც იხდიან ქრთამებს საქმეების მოგებისთვის და ისინი ითვლებიან წესიერ მოსამართლეებად, იმ სასამართლოებს თვლიან დამოუკიდებელ სასამართლოებად... როცა პენსიაში ვიქნები და წავალ სასამართლოში და მოვუგებ რომელიმე მომავალ, ჩემთვის მიუღებელ მთავრობას, მეტყვით, რომ თქვენ დროს დაიწყო ეს რეფორმა და სწორედ ამიტომ მოიგეთ ეს შემთხვევა“, — განაცხადა სააკაშვილმა 2008 წლის 16 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრის დროს.

(ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო, ბატონო პრეზიდენტო. ასე რომ, პენსიაზე გასულს თქვენთვის არასასურველი მთავრობის სასამართლო პროცესის მოგების იმედი გქონდეთ, თუკი მანამდე თავად არ მოგიწიათ სასამართლოს წინაშე წარდგომა და თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის 25-წლიანი „სროკის“ ხეხვა თქვენ მიერ აშენებულ ახალ ციხეში).

2008 წლის 24 ოქტომბერს სააკაშვილი უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ფიცის დადების ცერემონიალს დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა: **„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე დამიდასტურებს იმას, რომ, განსხვავებით ყველა წინამორბედი მთავრობისგან, მე არც ერთ კონკრეტულ საქმეზე მისთვის და არც არავისთვის არაფერი არ მითქვამს და ამასვე მკაცრად ვითხოვ ჩემს ქვემოთ მყოფი თანამდებობის პირებისგან — თუ ისინი ამ საქმეებში ერევიან, ყველანი გამოგზავნეთ ჩემთან. ეს ჩემი მთავარი პრინციპია...**

**90-იან წლებში, როცა მე დავბრუნდი ამერიკიდან, ამირჩიეს პარლამენტში იურდიული კომიტეტის თავმჯდომარედ. მე მაშინ მივედი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან და შევთავაზე სასამართლო რეფორმის გატარება. ვინაიდან სასამართლო არასდროს სერიოზულად არ აღიქმებოდა, მათ ჩათვალეს, რომ პოლიციის ხელის ხლება, უშიშროების სისტემის რეფორმირება არ შეიძლებოდა, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმირება საშიში იყო, მაგრამ მათ იფიქრეს, ამ ბავშვისთვის მიეცათ საშუალება სასამართლო სისტემის შეცვლის. ჩვენ მივიღეთ თანხმობა სასამართლო სისტემის რეფორმირებაზე მუშაობის შესახებ... სასამართლო იყო დანამატი არა მხოლოდ პროკურატურის, არამედ ყველა სახელმწიფო ორგანოსი. დაწყებული იმ დროიდან, როცა რაიკომის მდივანი ბიუროზე არჩევდა სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი საქმეების გადაწყვეტის თემას მის რაიონში. სასამართლო სახელმწიფო იერარქიაში ყველაზე უკანასკნელ ადგილზე იყო. ჩვენ ჩავატარეთ მოსამართლეთა შერჩევა, ჩავატარეთ გამოცდა. იცით, რამხელა საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა ამას — ფიტულების დაწვა და ა.შ., მაგრამ ჩვენ ჩვენი მაინც გავიტანეთ... ჩვენ, როგორც მთავრობას, ის კი არ გვჭირდება, რომ ეს სისტემა ჩვენი ერთგული იყოს და მარჯვნივ და მარცხნივ, რაც ჩვენ გვინდა, ის აკეთოს, ის უნდა იყოს პრინციპული ჩვენ მიმართ და ადამიანს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ხსნის განცდა, როცა მოდის სასამართლოში. ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ. ჩვენ სასამართლო სისტემაში შევამცირეთ კორუფცია, გავამარტივეთ პროცედურა. პროცესები უფრო მოკლე და კონკრეტულია. ჯოჯოხეთური კოდექსები გამარტივდა.**

**ყველა გამოკითხვით, ჩვენი სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა იზრდება... ყველამ დაინახა, რომ ჩვენი საზოგადოება არის სწორი რეაგირების საზოგადოება.“**

(ეს „ბავშვი“, როგორც სააკაშვილი საკუთარ თავს უწოდებს, არათუ სასამართლო რეფორმატორად მოგვევლინა, არამედ საქართველოს პირველკაცობასაც გამოჰკრა ხელი და ქვეყანას დღემდე უზნეო ბავშვივით მართავს.

### სხვა უპატიებელ ცოდვებს რომ თავი დავანებოთ, მისი უზნეობის შედეგია აგვისტოს მოვლენები და ტერიტორიების დაკარგვა...

თავისი რომ გაიტანა და სასამართლო სისტემა საკუთარ ყაიდაზე მოაწყო, იმიტომაც აქვს ამ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს ასეთი „მაღალი ნდობა“... იმიტომაც მიუსაჯა მოსამართლემ, ვინმე ჩემიამ, სანდრო გირგვლიანის მკვლელებს სამარცხვინო სასჯელი, მერე კი სააკაშვილმა ისინი სულაც შეიწყალა. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ საქართველოს პრეზიდენტს!

### „ჩვენი საზოგადოება მართლაც სწორი რეაგირების საზოგადოებაა“ და ამიტომაც ითხოვს სააკაშვილის ხელისუფლების უპირობო შეცვლას...

სწორად რომ რეაგირებს საზოგადოება დიდი მიხეილის დანაშაულებრივ ქმედებებზე, ამიტომაც იქცა თბილისი საკნების ქალაქად... სწორად უწოდებენ საქართველოს მთავარსარდალს კურდღელს მას შემდეგ, როცა მან გორში საკუთარ ჩრდილს გაასწრო.

ამ შეხვედრაზე სააკაშვილმა კიდევ ერთი საინტერესო ტირადა წარმოთქვა: **„თქვენ იცით, რომ პრეზიდენტი ჩამოშორდა მოსამართლეების დანიშვნის პროცესს, თუმც არც მანამდე არ ჩავრეულვარ, სანამ ეს ფორმალურად მევალებოდა.**

**ედუარდ შევარდნაძე პრაქტიკულად თვეში ორ-სამჯერ ატარებდა იუსტიციის საბჭოს სხდომას. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ვარ, იუსტიციის საბჭოს სხდომა ერთხელ ჩავატარე. იმიტომ კი არა, რომ მეზარებოდა, არამედ ვთვლიდი, რომ ეს არ არის პრეზიდენტის საქმე, პრეზიდენტი არ უნდა ჩაერიოს სასამართლოს სისტემაში“...**

(ალბათ, არც ამ შემთხვევაში ცრუობს მიხეილ სააკაშვილი. ნამდვილად არ დაეზარებოდა იუსტიციის საბჭოს სხდომების ჩატარება, მაგრამ არ სცალია, რესტორან „მეიდანში“ დღეში ორჯერ ხინკალი უნდა მიირთვას, ზედ სუში დააყოლოს და დოქტორ დოტის მასაჟიც გაიკეთოს. ამას ყველაფერს დრო ხომ სჭირდება?!)

მოსამართლეთა „კურთხევის“ ცერემონიალზე სააკაშვილმა კიდევ ერთი, მსუბუქად რომ ვთქვათ, არასერიოზული განცხადებით სცადა დამსწრე საზოგადოების „დაბოლება“: **„ქართული საზოგადოება თავს უნდა გრძნობდეს დაცულად და უნდა გრძნობდეს, რომ ამ ქვეყანაში არის სამართლიანობის განცდა, რომ არ არსებობს ინსტანცია, რომელიც მას დაჩაგრავს. არსებობს კიდევ ერთი ინსტანცია — სასამართლო, რომელიც დაუსაბუთებელ ყველა უარყოფით მოქმედებებს მოქალაქის წინააღმდეგ გააბათილებს და პირიქით, ვინც ეს ჩაიდინა, იმას დასჯის.“**

(ამას ამბობს იმ ქვეყნის მთავარსარდალი, რომელმაც საქართველოს მორიგი ომი მოახვია თავს და გორში მიწაზე იფორთხა... მთავარსარდალი, რომლის არაადეკვატურ გამოხდომას ასობით ადამიანი ემსხვერპლა და საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებაც მოჰყვა...

### რომ არაფერი ვთქვათ მორალურ პასუხისმგებლობაზე, ამ ქვეყანაში სამართალი რომ არსებობდეს, დღეს სააკაშვილის სასამართლო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს, როგორც სამხედრო დამნაშავისა...

უპრიანი იქნება, სააკაშვილს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ სწორედ სიმართლისთვის ბრძოლას შეეწირა ირინა ენუქიძე, რომელმაც შვილის მკვლელების შესაბამისად დასჯას ვერც ერთ სასამართლო ინსტანციაში ვერ მიაღწია... სამართლიანობის განცდა ამ ქვეყანაში მაშინ გაქრა, როდესაც პატრულმა ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტა დაიწყო, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარი ხუშტურისამებრ დაიწყო კერძო ქონებისა და ბიზნესის წართმევა... იქნებ, ამ ადამიანებს ჰკითხოს პრეზიდენტმა, თუ გრძნობენ ისინი თავს დაცულად?!)

„...ჩვენი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შედეგად გაიზარდა საპატიმროების რაოდენობა, მკვეთრად შემცირდა საქართველოში დანაშაულის ჩადენა. მე მახსოვს, ორი წლის უკან ჩემს მეუღლეს დანით გაუჭრეს ბაზარში საფულე, რასაც ჩემი შვილი უყურებდა. ეს ორივესათვის იყო დიდი ტრავმა. ეს არის საერთო სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის დამსახურება... მეტი ხალხი მოდის სასამართლოებში. ნდობა ამაღლებულია“...

(სააკაშვილი ბრძანებს, მეტი ხალხი მოდის სასამართლოშიო და ამას სასამართლოსადმი ნდობის ამაღლებად მიიჩნევს... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. 21 ათასი პატიმარია ამ ქვეყანაში და მათ, ნებით თუ უნებლიეთ, უწევთ ქართულ სასამართლოში ყველა ინსტანციის გავლა, რათა მერე სამართალი ევროპულ სასამართლოში მაინც იპოვონ... საქართველოში დანაშაულის ჩადენა მკვეთრად შემცირდაო, — აცხადებს სააკაშვილი და ამით მისდაუნებურად აღიარებს, რომ პატიმართა დიდი ნაწილი უდანაშაულოდ ჰყავს ციხეში გამოკეტილი... ერთ საინტერესო ისტორიასაც ჰყვება საქართველოს პრეზიდენტი; თურმე, მის მეუღლეს ბაზარში დანით გაუჭრეს საფულე, რაც დიდი ტრავმა ყოფილა როგორც სანდრასთვის, ისე მისი შვილისთვის, რომელიც თან ახლდა დედას. ჰოდა, ბატონო პრეზიდენტო, თუ ეს სიმართლეა, ქვეყანაში, სადაც პირველი ლედი და პრეზიდენტის შვილი ვერ გრძნობენ თავს დაცულად, იქ რიგით მოკვდავებს დაცულობისა და სამართლიანობის განცდა როგორ უნდა ჰქონდეთ?!)

სააკაშვილის მიერ გატარებული „წარმატებული სასამართლო რეფორმისა“ და იმის შესახებ ,თუ როგორ „არ ერევა“ ქვეყნის პირველი პირი მოსამართლეთა საქმეებში, „საქართველო და მსოფლიოს“ კომენტარი **ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს შალვა ხაჭაპურიძეს სთხოვა:**

— რა საჭიროა სასამართლო რეფორმისთვის 15 მილიონი ან ევრო, ან აშშ დოლარი, ან, თუნდაც, ლარი?! მისაღებია სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. სასამართლოს ყველა შენობა გარემონტდა. დარჩა სასამართლოების გაერთიანება. შენობები, სადაც გაერთიანებული სასამართლოები განლაგდება, უკვე გარემონტებულია. გამოთავისუფლებული შენობები ხომ გაიყიდება და ეს თანხაც ბიუჯეტში შევა... არ არის საჭირო ამხელა თანხის გამოყოფა. სხვათა შორის, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელი ექსპერტი, მაშინ გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი იყო. ამ ექსპერტმა დაიბარა ქართველი მოსამართლეები და უთხრა: **თქვენთან დემოკრატია არ არის მაღალი ხარისხის, კანონის უზენაესობა რომ დამყარდეს და გენერალური პროკურატურის როლი გაძლიერდეს, მოსამართლეებმა ერთი წელი თვალი უნდა დახუჭოთ და სასამართლოს გადაწყვეტილებაში წამყვანი პროკურატურის, ანუ ბრალდების მხარის მოთხოვნა უნდა იყოსო...** ამერიკელი კონსულტანტის ეს რჩევა ზოგიერთი მოსა-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მართლისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და მათ უარი თქვეს მოსამართლეობაზე. ვინც საქმით გამოავლინა ამ „კეთილი რჩევის" უგულებელყოფა, ისინი „მექრთამეებად" გამოაცხადეს და სამსახურებიდან დაითხოვეს. მას შემდეგ ეს ამერიკელი „კეთილისმსურველი" საქართველოში აღარ გამოჩენილა და ქართველ მოსამართლეებსაც, ხუთი წელია, თვალი დახუჭული აქვთ!

**— სააკაშვილმა განაცხადა, რომ არასდროს არც ერთ საქმეზე მოსამართლისთვის არ დაურეკავს...**

— მან პირადად მე ორჯერ დამირეკა და საქმის მისი ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტა მთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ პრეზიდენტი არ იყო. ახლა როგორ დავიჯერო, რომ კონკრეტულ საქმეებში სააკაშვილი არ ერევა?! თუმცა, დღეს მას მოსამართლეებთან, თუნდაც, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან დარეკვა არაფერში სჭირდება, რადგან ყველამ კარგად იცის, რა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ ამა თუ იმ საქმეზე, რომ სააკაშვილს ეამოს. ახლა რომ ამბობენ, სასამართლო რეფორმის შედეგად სასამართლოში კორუფცია აღმოიფხვრაო, ესეც, რბილად რომ ვთქვათ, ბლეფია.

**— ბატონო შალვა, წარმატებული იყო მიხეილ სააკაშვილის თაოსნობით ჩატარებული სასამართლო რეფორმა?**

— სასამართლო რეფორმაზე საუბარი ზურაბ ჟვანიამ დაიწყო და მისი ეს ინიციატივა ედუარდ შევარდნაძემაც მოიწონა. როცა დაიწყეს ფიქრი, ვინ დაენიშნათ ხელმძღვანელად, ჟვანიამ მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურა შესთავაზა, რომელიც მაშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ის პოლიტიკური ფიგურა გახლდათ და ამა თუ იმ გაკეთებულ საქმეზე გაჰყვიროდა, თორემ რეალურად ამ რეფორმაში ლომის წვლილი ლადო ჭანტურიას მიუძღვის. რა თქმა უნდა, რეფორმა წარმატებული იყო, მაგრამ ეს სააკაშვილის დამსახურება ნამდვილად არ არის. სხვათა შორის, ამ საქმეში უზარმაზარი როლი სულხან მოლაშვილმა ითამაშა. ახლა თითქმის აღარაფერია გასაკეთებელი და მილიონების ხარჯვა ნამდვილად არაა საჭირო. როგორც ჩანს, ვილაცისთვის ეს ფულის შოვნის გზაა...

**P.S. ყურმოჭრილი და აბსოლუტურად მორჩილი, დამონებული სასამართლო სისტემის შენახვა ხელისუფლებას, შესაბამისად კი, გადასახადის გადამხდელებს ყოველწლიურად უფრო და უფრო ძვირი რომ უჯდებათ, სასამართლო სისტემის ბიუჯეტის ზრდის დინამიკაც მეტყველებს: 2003 წელს სასამართლო სისტემის ბიუჯეტი 11 153 602 ლარს შეადგენდა, 2004 წელს — 12 284 818 ლარს, 2005 წელს — 14 388 484 ლარს, 2006 წელს — 32 573 250 ლარს, 2007 წელს — 35 503 400 ლარს, ხოლო 2008 წელს — 40 982 400 ლარს... აქვე შეგახსენებთ, რომ სასამართლო რეფორმების დაწყებისას საერთაშორისო ორგანიზაციების („ალტა" და „GTC") გამოკითხვების შედეგად სასამართლოს 87%-იანი ნდობა ჰქონდა, დღეს კი ეს მაჩვენებელი დაახლოებით 12%-ია. კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია. ვინც იხდის, განაჩენსაც ის უკვეთავს...**

**მანანა ჩხეიძე**

# რაღაც დალპა ჩვენს დანიის სამეფოში

**ახლახან ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ მაყურებელს საკმაოდ მოძველებული ფილმი შესთავაზა. ფილმში მთიელთა მასობრივი მიგრაციის პროცესია ასახული. იყო დრო, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ფართო პროპაგანდას უწევდა ინდუსტრიის განვითარებას და ამ საქმისთვის საჭირო მუშახელს მთიდან ბარში უხმობდა. ფილმის სახელწოდებაც შესაბამისად ჟღერდა: „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან". მთიდან ჩამოსული ახალგაზრდები თავდაპირველად მორცხვი და გულუბრყვილო ქცევებით იპყრობდნენ საზოგადოების ყურადღებას, მაგრამ მათ მალე აუღეს ალღო ინდუსტრიულ ყოფას და, როგორც იტყვიან, „სრულფასოვან მოქალაქეებად" ჩამოყალიბდნენ.**



ასე იქმნებოდა „ახალი გმირის" სტერეოტიპული სახე, რომელსაც მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა წარმატებით ამკვიდრებდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: უკუპროცესი, ანუ ბარიდან კვლავ მთაში ამ ადამიანთა დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. **ასეთმა უთავბოლო მიმოსვლამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ქვეყანას ხერხემალი დაუზიანდა და მოსახლეობის დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.**

ბარისკენ ანგარიშმიუცემლად დაძრულ მთიელს კი ბევრი რამ აქვს საერთო ჩვენში დამკვიდრებულ პოლიტიკურ ტრადიციასთან, რომელიც დღეს კონვეიერული სისწრაფით გვამარაგებს „პოლიტიკურ მოღვაწეთა" ახალ-ახალი სახეებით. მათი მოძრაობის ტრაექტორია სადღაც „მთაში", ანუ მეტწილად სრულიად არაპოლიტიკურ გარემოში იწყება და ბარისკენ, ესე იგი გაშლილი პოლიტიკური სივრცისკენ დაუსრულებელ სრბოლაში გამოიხატება.

**მოდით, ასეთ ტიპაჟს „მოხეტიალე პოლიტიკოსი" ვუწოდოთ... ზემოხსენებული მთიელის არ იყოს, თავდაპირველად მასაც ძალზე შორეულად ესახება „ინდუსტრიული გარემო" — დიდი პოლიტიკა და ყოველი ღონით ცდილობს მასთან დაკავშირებას.**

ცხადია, საწყის ეტაპზე მოხეტიალე პოლიტიკოსს გაურკვევლობით აღძრული რიდი და დაბნეულობა ეუფლება და ამიტომ შედარებით უწყინარ, ნაკლებრადიკალურ ჯგუფთან არჩევს ურთიერთობის დამყარებას. უკეთეს შემთხვევაში ესაა სახელისუფლო, ან ხელისუფლებასთან დაახლოებული რომელიმე სატელიტური პარტია, სადაც ჩვენი „პილიგრიმი" თავს უფრო უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობს. **მაგრამ გადის დრო და ხელსაყრელი შემთხვევის, ან თუნდაც თავისივე მოხერხების წყალობით მას შესაძლებლობა ეძლევა, თვალშისაცემად განიმტკიცოს „პარტიული მდგომარეობა" და გაცილებით დიდ როლზე გამოაცხადოს პრეტენზია.**

ზვავის აგორებაც სწორედ აქედან იწყება!

**მოხეტიალე პოლიტიკოსი ბარში, ანუ გაფართოებულ პოლიტიკურ სივრცეში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი — წყალში. მას უკვე დაგროვილი აქვს გარკვეული გამოცდილება, უნარ-ჩვევები და ინტუიცია, რომელსაც მოხერხებულად იყენებს ახალ გარემოში.**

ამ ეტაპზე მას უკვე გაცილებით დიდი ამბიცია უჩნდება. ნაწილობრივ კმაყოფილიცაა, მაგრამ გრძნობს, რომ ეს მისთვის საკმარისი არ არის.

მოხეტიალე პოლიტიკოსი უფრო თვითდაჯერებული და თავის თავში დარწმუნებული ხდება. იგი მთელი არსებით ებმება „პოლიტიკურ თამაშებში", მონაწილეობს სხვადასხვა გარიგებებში, ხლართავს ინტრიგებს და შიდაპარტიულ დაპირისპირებათა შუაგულში ექცევა. **ბოლოს და ბოლოს ის ხმაურით ემიჯნება „მშობელ" პარტიას და მანამ აგრძელებს ხეტიალს, სანამ ცისქვეშეთში თავის „კუთვნილ" ადგილს არ მოიპოვებს. მთელი ეს აზარტული პროცესი კი იმით მთავრდება, რომ მოხეტიალე პოლიტიკოსი თვითნაკეთი პარტიის გამოჩარხვას ახერხებს, სადაც მას პირველკაცობა სამუდამოდ აქვს გარანტირებული.**

ასეთი თავდაუზოგავი ხეტიალი მეტად მძიმე და დამქანცველი მარათონია. იგი ფიტავს და ანადგურებს პიროვნებას, სულიერად აღატაკებს მას. მოხეტიალე პოლიტიკოსში ჩამკვდარია იდეალები. **თავისუფლება, პატრიოტიზმი, დემოკრატია და სხვა ცნებები მისთვის ისეთივე გაცვეთილი რამაა, როგორც, მაგალითად, „სიყვარული — კურტიზანი ქალისთვის" (მარკ ტვენი).**

ქართული პოლიტიკური სივრცე, მეტწილად, სწორედ ასეთი მოხეტიალე პოლიტიკოსებით არის დასახლებული. უფრო მეტიც: დღეს მათ გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ საქართველოში რეგისტრირებულ თითქმის ყველა ორგანიზაციულ წარმონაქმნში. იდეალებისგან დაცლილი ასეთი პოლიტიკური ფსევდოელიტა დრამატულად აფერხებს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს. მას არ ძალუძს საზოგადოების კონსოლიდაციისა და ეროვნული ერთობის მიღწევა. იგი უნაყოფო და უუნაროა შემოქმედებითი თვალსაზრისითაც. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტს, წინამორბედის მსგავსად, უცხოელი მრჩევლები ჰყავს მიჩენილი და ამით, სადაც ჯერ არს, აღიარებენ, რომ სალი და პროგრესული აზრი ჩვენში დიდ კრიზისს განიცდის. უცხოური სტერეოტიპების მექანიკური გადმონერგვა კი არანაირ შემოქმედებით გაქანებას არ საჭიროებს. ამისათვის უბრალო სტატისტის როლში ყოფნაც საკმარისია.

**ისინი იოლად და უმტკივნეულოდ იცვლიან ადგილებს, მოძრაობენ პარტიებიდან პარტიებში: საჭიროების შემთხვევაში კი ასეთ ლოზუნგსაც წამოისვრიან ხოლმე: „დავივიწყოთ წარსული და გავერთიანდეთ!.."**

არადა, ჩვენთვის ნამდვილად არ არის მომგებიანი მოხეტიალე პოლიტიკოსთა წარსულის დავიწყება. საკითხავია, ამ ლოზუნგს საგანგებოდ ხომ არ გვახვევენ ის ავანტიურისტები, რომელთაც მხოლოდ მათი საქმიანობის „დავიწყების" შემთხვევაში შეიძლება გაუჩნდეთ ხელისუფლებაში მოსვლის შანსი?

**ხომ არ აჯობებს, მომავალში ჩვენც უფრო გონივრულად მოვიქცეთ და კი არ დავივიწყოთ, არამედ პირიქით, მისხალ-მისხალ გავიხსენოთ ვის რა უკეთებია, რა უშენებია და რა დაუნგრევია, რა უშოვია და რა გაუფლანგავს?**

არა! ჩვენ კი არ უნდა „დავივიწყოთ", არამედ ზედმიწევნით უნდა გავიხსენოთ ვინ, სად, როდის და ვის გვერდით იდგა საქართველოსთვის საბედისწერო დღეებში და სწორედ ამის შემდეგ, ანუ მეხსიერების სრული რეანიმაციის პირობებში გავაკეთოთ არჩევანი.

**სხვაგვარად ჩვენში ყოველგვარი არჩევნების ჩატარება აზრს დაკარგავს და ეს უმნიშვნელოვანესი აქცია საბავშვო გასართობს დაემსგავსება.**

საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მეტისმეტად გადატვირთული და გვარიანად მტვერდადებული პოლიტიკური სივრცის გადახალისების პროცესის დაწყებას. ამ საქმეს უკვე ნამდვილად ვეღარ უშველის უიმედოდ დაგვიანებული ლუსტრაციის კანონის მიღება და ამოქმედება.

პოლიტიკური სივრცის გადახალისებაში ნებაყოფლობით, მთელი თავისი კულტურულ-ზნეობრივი რესურსებით უნდა ჩაერთოს ამ სივრცეში მოძრავი ყველა პოლიტიკოსი და პოლიტიკური გაერთიანება.

იმისათვის, რომ რეალურად შეიცვალოს ჩვენში უკვე საკმაოდ დამყაყებული „პოლიტიკური თამაშის წესები", აუცილებელია თვით საზოგადოების და, განსაკუთრებით, ამ საზოგადოების ინტელექტუალური ავანგარდის გააქტიურება. ობივატელმა სწორედ მისგან უნდა ისწავლოს და შეითვისოს ქვეყნის სამსახური, ოღონდ აქ მთავარი მაინც დაკარგული ნდობის აღდგენაა. **რა დასამალია და, ჩვენმა პოლიტიკოსებმა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იმდენი სიცრუე უთხრეს თავიანთ „ელექტორატს", იმდენჯერ გააბრიყვეს და გააცურეს მოსახლეობის ფართო ფენები, რომ ქვეყანაში საერთო უნდობლობისა და უიმედობის გაბატონებას შეუწყვეს ხელი.**

ალბათ, ჩვენს ისტორიაში ისე მწარედ იშვიათად თუ ვინმეს მოუტყუებია ქართველი ერი, როგორც ეს ახლანდელმა პოლიტიკოსებმა გააკეთეს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ საზოგადოება ნაკლებად უჯერებს პოლიტიკოსს, ეეჭვება მისი გულწრფელობა, არ სჯერა, რომ პოლიტიკოსი გაიძვერა არაა და თაღლითზე უკეთესია.

**ამგვარი სტერეოტიპის დამსხვრევა კი მხოლოდ ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების, ახალი „თამაშის წესებისა" და განახლებული პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბების შედეგად გახდება შესაძლებელი.**

ვერავინ უარყოფს, რომ მთელ საქართველოში ახლა ყოვლისმომცველი, ტოტალური კრიზისი მძვინვარებს. მოქალაქეები წელში წყდებიან უსამართლობის, სიდუხჭირისა და ელემენტარული ყოფითი პრობლემების გამო.

ისინი თავს ხელმოცარულ, უიღბლო ადამიანებად მიიჩნევენ, რადგან თავიანთი ახლობლებისა თუ ნაცნობ-მეგობრების მსგავსად საზღვარგარეთ ემიგრირება ვერ შეძლეს. დღეს ჩვენი საზოგადოება, ფაქტობრივად, მძიმე დეპრესიით შეპყრობილი კრიზისული საზოგადოებაა. მცირე გამონაკლისის გარდა, მას პრაქტიკულად დაკარგული აქვს თვითგანახლებისა და ჯანსაღი კონკურენციის უნარი. **უნდა ვაღიაროთ, რომ ახლანდელი ქართული საზოგადოება მორალურად და სოციალურად (აღარაფერს ვამბობ დემოგრაფიულ ფაქტორზე) კვდომისკენ მიდრეკილ საზოგადოებას წარმოადგენს.**

არსებული კრიზისის სოციალური და პოლიტიკური სიმპტომები ყველასთვის ადვილად შესამჩნევია. ისინი ზედაპირზე ტივტივებენ. უფრო ღრმად კი, მიწისქვეშა დინებებში, დალექილია სულიერი უდაბნო, სადაც დღითიდღე ნადგურდება ჩვენი სიცოცხლისუნარიანობის მასაზრდოებელი ფესვები; „ქართაგან ძლიერთა" ირყევა რწმენა, ბარბაროსული გახელება კი აუხეშებს და უგრძნობელს ხდის ცნობიერების ფაქიზ ხვეულებს. ასეთ დროს ადამიანს ადვილად ერევა ინსტინქტი, ჟინი და აგრესია... ეს უკვე გაცილებით მძიმედ დასაძლევია, ვიდრე ერთად აღებული პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური კრიზისები.

**თემურ ქორიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# წრის კვადრატურა და მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი

**ცირკის არენის შეკრული წრე — აი, რა აზრი მოგდის პირველად, როცა ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში მომხდარის გაგებას ლამობ: ჩვენ შეკრულ წრეში ვიმყოფებით და იმის ნაცვლად, რომ აქედან თავის დაღწევა ვცადოთ, მანეჟზე გარშემორტყმულ ბარიერს გადავახტეთ, დროდადრო თავს ვესხმით მოძულებულ მათრახიან მომთვინიერებელს... მერედა რა?! მანეჟზე ახალი მომთვინიერებელი გამოდის, მისი წინამორბედის მათრახს ეპატრონება და გამაყრუებლად ატყლაშუნებს — ალე!!! რბოლა მოჯადოებულ წრეზე გრძელდება...**






**„მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი!“** — ეს ხმამაღალი სიტყვები მიკროფონებიდან და ხმის გამაძლიერებლებიდან 2009 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული ყოველდღე ჟღერს თბილისში გამართულ მიტინგებზე, ხოლო ქუჩებსა და მოედნებზე მდგომ დამცირებულ და განრისხებულ ქართველ ხალხს კვლავაც სჯერა, რომ ამჯერად მაინც ეს ლიდერები, რომლებიც აგრერიგი მოწიწებით მიმართავენ, აღარ გააბითურებენ...

ღმერთმა ქნას, ოღონდ ამის დაჯერება მაინც მიჭირს... თქვენ, ძვირფასო თანამემამულენო, არ გეჩვენებათ, რომ ეს „გაკვეთილი“ ჩვენ უკვე გავიარეთ, თანაც — არა ერთხელ? ერთი და იგივე სახეები ტრიბუნაზე... „საქართველო შევარდნაძის გარეშე!“ 2003-ში და „საქართველო სააკაშვილის გარეშე!“ 2009-ში — რა განსხვავებაა? **განა ვცდებოდი, როცა 2003 წლის ნოემბერში გამართულ მიტინგზე ხალხით გარემოცულ მარტოობაში არ დავუჯერე რევოლუციონერებს ისევე, როგორც დღეს არ მჯერა მათი?! მე არ ვეთანხმებოდი მის უდიდებულესობა ქართველ ხალხს, რომელმაც დაიჯერა და კვლავ გაბრიყვებული აღმოჩნდა...**

მოდი ერთად განვსაჯოთ: **რატომ, რა ცოდვებისთვის ესობა თვალში ეკლად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართველ ხალხს, რომელიც დღეს მის დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვს და რა შეიცვლება მისი სავარაუდო წასვლით?**

**— საგარეო პოლიტიკა:** პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი „ნაციონალური მოძრაობა“, გაბრუებული ქართველი ხალხის მხარდაჭერით, პირველივე დღიდან 6 წლის განმავლობაში ახორციელებდნენ მცდარ საგარეო პოლიტიკურ კურსს — საქართველო ხანგრძლივ და სახიფათო შორეულ ნაოსნობაში გაეშურა ოკეანისგაღმა მდებარე ამერიკის სანაპიროებისკენ, დაემშვიდობა ძველისძველ ნათესავს — ერთმორწმუნე მართლმადიდებელ რუსეთს, სადაც იმდენივე ქართველი სახლობს, რამდენიც — ისტორიულ სამშობლოში (დაახლოებით მილიონ-ნახევარი)... რუსეთსაც არ ულხინდა მაშინ, ახალი „მეგობარი“ კი – ამერიკის შეერთებული შტატები, გაცილებით მდიდარი და ძლიერი იყო, ხოლო ოკეანისგაღმიდან მიღებული „დანაელების ძღვენი“ და დაპირებები — მეტად მაცდური. თუმცა დროება, როგორც ხედავთ, შეიცვალა: ისტორიული მეგობრისა და გეოგრაფიული მეზობლის გაჭირვებაში მიტოვება, მასთან კულტურული და სულიერი კავშირების გაწყვეტა წინდაუხედავი ნაბიჯი და, ფაქტობრივად, განუხორციელებელი განზრახვა აღმოჩნდა...

**განა დღევანდელი ოპოზიცია (ერთადაც და ცალ-ცალკეც) ამ საგარეო პოლიტიკური კურსის — შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობისა და ნატოში გაწევრების გაგრძელებას არ აპირებს? განა სათითაოდ არ ესტუმრნენ ამერიკასა და ევროპას, რათა ყურადღება მიეპყროთ და საკრედიტო ხაზის მიღებით ვაშინგტონისა და დასავლეთის მორიგ ფავორიტად ქცეულიყვნენ? განა ისინი ეროვნულ გმირად არ გამოაცხადებდნენ სააკაშვილს, 2008 წლის აგვისტოში რომ გამარჯვება მოეპოვებინა? მაშინ რაღაშია ოპოზიციის უპირატესობა სააკაშვილის ხელისუფლებასთან შედარებით?!**

**— ტერიტორიული მთლიანობა: რევოლუციური ოპოზიციის ლიდერებმა რატომ ერთხელ მაინც რომელიმე მიტინგზე არ აუხსნეს მის უდიდებულესობა ქართველ ხალხს, როგორ გადაჭრიან ქართველთათვის ყველაზე მტკივნეულ პრობლემას — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენას? იმიტომ ხომ არა, რომ ამის უნარი არ შესწევთ?!**

**„ამ პრობლემის** (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, — ა.ხ.) **გადაჭრას ახლებური მიდგომა ესაჭიროება, რაც საფუძველს ჩაუყრის რეინტეგრაციულ პროცესებს რეგიონში. დაჟინებით იმის მტკიცება, რომ ამერიკა და გაერო ერთიან სახელმწიფოდ გვაღიარებენ და ვართ კიდეც ერთიანი, თვალის დახუჭვა რეალობაზე — ბრიყვული პოზიციაა. მეორე მხრივ, პოზიცია, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, არავინ არაფერში გვარგია და თავად განვვითარდებით — ესეც საფუძველშივე მცდარი და უპერსპექტივო პოზიციაა. უპრიანია ფიქრი ურთიერთობის ახალ პროექტზე, მაგრამ ამისათვის საქართველოს ხელისუფლების საგარეო კურსი უნდა შეიცვალოს“,** — მიაჩნია საქართველოს ნაციონალური და სოციალური ურთიერთობების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, სოციალურ მეცნიერებათა რუსეთის აკადემიის აკადემიკოსს, პოლიტიკურ მეცნირებათა დოქტორს, პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიას**.

**აქვს კი ხელისუფლება-მოწყურებულ ოპოზიციას რუსეთთან, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობების ახალი პროექტი? ანდა, თუნდაც სხვა მიმართულებების (სახელმწიფო მოწყობის, ეკონომიკის რეფორმების, სასამართლო და განათლების სისტემების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის) ახალი პროექტები?** — ალბათ, არა! რადგან ასე რომ იყოს, ზოგადად მაინც გააცნობდნენ ქართველ ხალხს თავიანთ თვალსაზრისს მიტინგებზე, ტელევიზიითა და პრესით.

**— თავისუფალი მასმედია: დღევანდელმა ორმა ოპოზიციურმა ტელეარხმა („კავკასიამ“ და „მაესტრომ“) ერთხელ მაინც მიიწვია თავიანთ თოქშოუებზე („სტუდია სპექტრი,“ „პროფესია ჟურნალისტი“ და სხვ.) არაანგაჟირებული, კომპეტენტური, ქართველი საზოგადოების მართლაცდა სხვაგვარად მოაზროვნე წარმომადგენლები, რომლებიც არგუმენტირებულად დაუჭერდნენ მხარს, მაგალითად, სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტის, ანდა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარების პოლიტიკას? განა რომელიმე მათგანი, „რუსთავი 2“-ზე, ტელეგადაცემა „პოსტსკრიპტუმში“ სათაკილო სიუჟეტის ხილვისას, როცა საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „ისტორიული მემკვიდრეობის“ შექმნის შესახებ შეიტყო, რომლის მიზანიც რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ღრმა ფესვების დამამოწმებელი უნიკალური ისტორიული დოკუმენტების გამოქვეყნებაა, ამ მოვლენით დაინტერესდა? განა იმ დროს, როცა კრემლი საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასთან დიალოგზე კატეგორიულ უარს აცხადებს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის გზავნილს ამ ორგანიზაციის წევრებისადმი, სადაც იგი თბილისში ამ ორგანიზაციის პრეზენტაციას მიესალმება, არ უნდა გამოეწვია მათი ჟურნალისტური ან, თუნდაც, მოქალაქეობრივი ინტერესი?! ისევე, როგორც** მთელი ოპოზიციური სპექტრისა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებისა და დიალოგის აღდგენის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება?

**სამაგიეროდ, მათ ტელეეთერში გამოდიან ერთი და იგივე ოდიოზური პროპაგანდისტები, რომლებსაც ჯერ კიდევ 20 წლის წინათ (სსრ კავშირის დაშლის შემდეგ) რატომღაც პოლიტოლოგი-ექსპერტები უწოდეს და ზოგი — კგბ-ს, ზოგიც — ცრუ-ს, ზოგიც სოროსის კმაყოფაზე დასვეს...**

განა ხვალ, თუ ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვა, ისინი ტელეეკრანებიდან გაქრებიან, ანდა მათი მხრებიდან სამხრეები გაქრება?!

**განა საქართველოს მედიასივრციდან გაუჩინარდება უცხოეთიდან მალულად დაფინანსებული ჟურნალისტური კორპუსის ნაწილი, რომელმაც ტრენინგები გაიარა „თავისუფლებასა“ და „ბი-ბი-სი“-ზე? არაფერიც, საქართველოს დამსახურებული გლობალისტ-ჟურნალისტები, ვითომც აქ არაფერიაო, მის უდიდებულესობა ქართველ ხალხს კვლავ თავგზას აუბნევენ...**

**— კორუფცია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში:** მართლაცდა, ერთობ თვალშისაცემია განსაცვიფრებელი სხვაობა უმაღლესი დასავლური სტანდარტებით მცხოვრებ ხელისუფლებასა და უაღრესად გაღატაკებულ მის უდიდებულესობა ქართველ ხალხს შორის. **თუმცა ქართველი ხალხისთვის ასევე გაუგებარია: რა სახსრებით ცხოვრობს ასეთ ფუფუნებაში ოპოზიციის ლიდერების არსად მომუშავე უმეტესობა? ნუთუ პარტიული საწევრო შენატანების ხარჯზე?! მათი სახლ-კარი, ავტომანქანები და აგარაკები ხომ არაფრით ჩამოუვარდება უზენაეს ხელისუფალთა ქონებას! სადაა გარანტია, რომ ნაკლებად მდიდარი ოპოზიციონერები, თუ ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდებიან, ამ ყველაფრის მოხვეჭას არ დაიწყებენ სასწრაფო წესითა და ნებსმიერი საშუალებით? და რა ფსონის მოხსნას იმედოვნებენ გამარჯვების შემთხვევაში ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც დღეს საკუთარი სახსრებით აფინანსებენ საპროტესტო აქციებს?** ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ გზით უბრუნებდნენ ისინი ქართველ ხალხს უწინ მისთვისვე მოპარულს...

**— პოლიციის თვითნებობა:** პოლიციური სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების გადაჭარბებით ჩადენილი გახმაურებული დანაშაულები ამაზრზენია! თუმცაღა, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაშიც კი საქართველოში იგივე პოლიციელები დარჩებიან, რომელთა შორისაც იყვნენ, არიან და იქნებიან დაბალი მორალის ადამიანები — არარაობანი, რომლებიც უფროსების ნებისმიერ დანაშაულებრივ ბრძანებას შეასრულებენ. **ამიტომ „პრობლემა არა იმდენად უკანონო განკარგულებების გამცემ ხელმძღვანელობაში, არამედ მათ უდრტვინველად შემსრულებლებშია! პოლიცია, ისევე, როგორც ხელისუფლება, მის უდიდებულესობა ქართველ ხალხს უნდა ემსახურებოდეს, იცავდეს და ყოველმხრივ ზრუნავდეს მასზე, არკი დაჰყურებდეს ზემოდან და აქ პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლა, შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილებების გარეშე, ფუჭია.** „ძალოვანი“ მინისტრები — პრემიერ-მინისტრს, გენერალური პროკურორი — პარლამენტს, ჯარების სარდლობა თავდაცვის მინისტრს უნდა დაექვემდებარონ, შსს, კაგებე, იუსტიციის სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, შინაგანი ჯარები, სასაზღვრო ჯარები და ფლოტი – ყველა ეს სტრუქტურა ხელახლა უნდა გაიმიჯნოს ცალკეულ ავტონომიურ რგოლად და აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ლუსტრაციის კანონი. **აპირებს კი ოპოზიცია ამ ყველაფრის განხორციელებას ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში?** ვეჭვობ, რადგან ძირითადი ხაზგასმა პიროვნებებზე კეთდება: ოპოზიციის ტელეპიარკლიპის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ყველა მინუს ხუთი“** — სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, თარგამაძე, უგულავა — თითქოსდა პრეზიდენტისა და უმაღლესი რანგის ოთხი სახელმწიფო ჩინოვნიკის გადაყენებით საქართველოში ყველა პრობლემა თავისთავად გადაწყდება...

**მაინც, რამდენად გულწრფელად ცდილობენ ოპოზიციის ლიდერები ბოლო 6 წელიწადში მათ მიერვე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას? მგონია, რომ ეს მალე გამოჩნდება — 6 მაისამდე, როცა საქართველოში ნატოს სამხედრო წვრთნები უნდა დაიწყოს, თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა...** ვიმედოვნებ, ოპოზიცია გააცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას და შექმნილი ვითარების მთელ „პიკანტურობას“, ისევე, როგორც იმ აზრს, რომ ამჯერად მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხისთვის თავგზის აბნევა და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება მისთვის სიკვდილის ტოლფასია. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური ალსასრულისა — ნამდვილად...

**P.S.** ცირკის მანეჟის შეკრული წრე – დიახ, იყოს დღეს ეს სპირალი, რომლითაც ცირკის გუმბათისკენ ავდივართ... 20 წლის შემდეგ ჩვენ უკვე ვიცით პატრიარქის სიტყვების ფასი და რუსთაველის პროსპექტზე, ქაშუეთის ეკლესიის წინ ტანკებიდან აღარ ვესვრით, პირიქით: მთელი ამ დღეების განმავლობაში, მიუხედავად მრავალრიცხოვანი პროვოკაციისა, მომიტინგეებს არ ჩაუმსხვრევიათ არც ერთი ფანჯარა, არ ამოუგდიათ არც ერთი კენჭი ქვაფენილიდან, არ დაუზიანებიათ პოლიციის არც ერთი მანქანა!.

შესაძლოა, კითხვა გაგიჩნდეთ: **იქნებ ეს ახალი ატრაქციონია? 2003 წელსაც ხომ რუსთაველზე მხოლოდ ვარდები იყო, რატომ დარჩა მათგან დღეს მხოლოდ ეკლები და ცრემლი?!** გიპასუხებთ: **იმიტომ, რომ მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი ამისათვის შეუფერებელ ადგილას — ცირკის, და არა ტაძრის გუმბათის ქვეშ ლოცულობდა!**

და ისევ ტყლაშუნობს მათრახი — ალე!!! რბოლა შეკრულ წრეში გრძელდება...

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გიორგი გოგოლაშვილი:

# ქართული ენა აღარ არის სავალდებულო უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტზე

**„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, — ხშირ შემთხვევაში ამას განიხილავენ როგორც ლამაზ პოეტურ ფრაზას, მაგრამ ეს არის ჭეშმარიტება, — ამბობს პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში გვესტუმრა, — მსოფლიო ისტორიამ იცის არა ერთი მაგალითი, როცა გაქრა ენა და გაქრა მისი მატარებელი ხალხი. ფაქტობრივად, იყო შუმერული ენა, ურარტული ენა, ხეცური და ბევრი სხვა, რომელთაგან დღეს არც ერთი აღარ არსებობს. რატომ? სად არიან შუმერები? სად არიან ხეთები? რა თქმა უნდა, მათი შთამომავლები არსებობენ, მაგრამ მათ დაკარგეს ენა და ამ ხალხის სახსენებელიც გაქრა. უახლოესი მაგალითიც ვთქვათ: გასული საუკუნის 50-იან წლებში თურქეთში ჯერ კიდევ იყო რამდენიმე კაცი, რომლებიც ლაპარაკობდნენ უბიხურ ენაზე. უბიხები ჩერქეზების მონათესავე ტომია, რომლებიც მე-19 საუკუნეში გადაასახლეს თურქეთში. უბიხების შთამომავლებმა დაკარგეს ენა, აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და გაქრა უბიხი ხალხის სახსენებელი. ამიტომ ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც არა ერთი ხალხის თავზე აცხადდა და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენს თავზეც აცხადდეს ეს ჭეშმარიტება, — გულისტკივილით აცხადებს პროფესორი.**





გომის, ხაშურის, თერჯოლის მიდამოებში თურქული წარწერებით აჭრელდა გზა.

**— ბატონო გიორგი, რა საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ქართულ ენას დღეს და რა საფრთხეებია აცილებული უკანასკნელი წლების მანძილზე, ან, პირიქით, რა საფრთხეების მიმართ არის მოდუნებული ყურადღება?**

— ახლა, ღვთის მადლით, ქართულს ასეთი საფრთხე რეალურად არ ემუქრება, მაგრამ არის ყოველგვარი ნიშანი იმისა, რომ თუ უგულისყურო დამოკიდებულება ქართულისადმი ასე გაგრძელდა, თუ არ გამოვფხიზლდით და არ მივაქციეთ ყურადღება, თავის სავალალო შედეგს გამოიღებს. პრესაშიც დაიწერა, რომ, დღევანდელი საგანმანათლებლო რეფორმის ერთ-ერთი თავკაცის გიგი თევზაძის თქმით, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ საქართველოში ინგლისური ენა იყოს სახელმწიფო ენა. ეს უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ ქართული მეორეხარისხოვანი ენა გახდება.

**— მაგრამ საბჭოთა წლებშიც ასევე იდგა ამ საფრთხის წინაშე ჩვენი ქვეყანა. როცა კონსტიტუციიდან ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ამოღების ან მეორეხარისხოვან ენად მითითების მცდელობა იყო...**

— კი, ბატონო, მაგრამ ეს ხდება 1978 წელს. ეს ის პერიოდია, როცა კომპარტიის ახალი პროგრამა გვეუბნება, რომ უნდა მოხდეს ერებისა და ენების შერწყმა. მაგრამ, საბედნიეროდ, ამას ქართველი ხალხი შეხვდა ისე, როგორც უნდა შეხვედროდა. ამ შემთხვევაში ჩვენ, რაც მთავარია, ტრადიცია გვიმაგრებდა ზურგს, რადგან მანამდე 1922 წლის, 1924 წლის, 1937 წლის კონსტიტუციებში ეწერა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. და, რაც მთავარია, ერთი მხრივ, იყო ზეწოლაც, მაგრამ, რამდენადაც უნდა გავიკვირვოთ, კომუნისტური ხელისუფლება, ბოლშევიკური ხელისუფლება სერიოზულად ზრუნავდა ქართული სალიტერატურო ენის, სახელმწიფო ენის განვითარებაზე. XX საუკუნის 20-იან წლებში, როგორც კი უნივერსიტეტი დაარსდა, შეიქმნა კომისიები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე და სხვა მეცნიერები. საოცარი ერთსულოვნება იყო იმდროინდელ საქართველოში, რომ ქართულ ენას საქართველოში მისცემოდა ის ასპარეზი, რაც ეკუთვნოდა ქვეყნის სახელმწიფო ენას.

უნივერსიტეტს თავიდან უჭირდა. ეს იყო კერძო უნივერსიტეტი და მაშინ ჩრდილოეთ კავკასიიდან, ოსეთიდან, სომხეთიდან იწერებოდნენ და უნდოდათ, სტუდენტები გამხდარიყვნენ, ანუ მოზიდვა შეიძლებოდა მსმენელისა და თანხებისაც, თუკი ესენი დათმობდნენ და თუკი სწავლება იქნებოდა არა ქართულად, არამედ რუსულად. არავითარი დათმობა! პირდაპირი პასუხი — სწავლა იქნება ქართულად! არ ვზღუდავთ არავის, არც ეროვნების, არც სქესის, არც რელიგიის მიხედვით, ოღონდ სწავლა იქნება ქართულად! და ასე აიდგა ფეხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

**— ბატონო გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენის სახელმწიფო ენად დამკვიდრების საქმეში, ძალიან დიდი როლი ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ენის ნორმების დამდგენი კომისია იქმნებოდა, უნივერსიტეტთან მუშაობდა კაბინეტები, სადაც ტერმინებთან დაკავშირებით მსჯელობდნენ. დღეს რა მდგომარეობაა ამ მხრივ უნივერსიტეტში? შეუძლია უნივერსიტეტს, თავიდან აიცილოს ენასთან დაკავშირებული საფრთხეები, რაც არსებობს და რაც მომავალში შესაძლოა, გაჩნდეს სხვადასხვა ენიდან წამოსული ტერმინების დამკვიდრებით?**

— მართალს ბრძანებთ. როცა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაზე საუბრობენ, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ახალი ეტაპის დასაწყისად უნივერსიტეტის დაარსებას გამოყოფენ, რადგან, ფაქტობრივად, ამ უნივერსიტეტის წყალობით ქართულად ალაპარაკდა მეცნიერების თითქმის ყველა დარგი — შეიქმნა შესაბამისი ტერმინოლოგიები, გადაწყდა ენასთან დაკავშირებული პრობლემები. ამის საფუძველზე ამუშავდა ტერმინოლოგიური კომისიები, ნორმათა დამდგენი კომისია 30-იან წლებიდან, მეცნიერებათა აკადემია, მერე — ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ა.შ. უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ქართული კულტურის ისტორიაში ყველა სასიკეთო საქმის მოთავე. 2006 წლის აპრილში კი უნივერსიტეტში რექტორად მოვიდა ხუბუა და პირველი ბრძანება, რომელიც ხუბუას ხელმოწერით გამოქვეყნდა უნივერსიტეტის გაზეთში და გამოიკრა უნივერსიტეტის დერეფანში, ქართული ენის ინსტიტუტის გაუქმებას იუწყებოდა. უნივერსიტეტში იყო ხუთი სამეცნიერო სასწავლო ინსტიტუტი: მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, გრეცისტიკის ინსტიტუტი, რუსისტიკის ინსტიტუტი და მერე შეიქმნა ქართული ენის ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით, შეიქმნა ქართული ენის კათედრებისა და ლაბორატორიების ბაზაზე. პირველივე ბრძანებით გააუქმეს ქართული ენის ინსტიტუტი და იმავე გაზეთში, სადაც მეორე გვერდზე ეს ბრძანება იყო დაბეჭდილი, მესამე გვერდზე ვრცელი სტატია იუწყებოდა უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი ეკონომიკური სკოლის გახსნის შესახებ.

**— კი მაგრამ, რით ხსნიდნენ ხუბუა და ის ადამიანები, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ამ ინსტიტუტის გაუქმების მიზანშეწონილობას?**

— სამწუხაროდ, მათ არაფერი აუხსნიათ. ლომაიასდროინდელ საგანმანათლებლო სისტემაში სამინისტროში ასეთი საკითხები წყდებოდა ამგვარად, და გაგახსენდებათ, ალბათ, ის ფაქტი, რომ ლომაიასა და ენის პალატის ხელმძღვანელ ლევან ღვინჯილიას შორის შეუთანხმებლობის გამო პალატა გააუქმეს. პალატას უკვე ჰქონდა ფილიალები ყველა რეგიონში, ყველა რაიონში, მწირი დაფინანსებით 200-ზე მეტი ადამიანი მუშაობდა, და იმისთვის, რომ მოეშორებინათ ღვინჯილია, პალატა გააუქმეს.

**— იქნებ, საფრთხე აღარ არსებობს და დღევანდელმა ხელისუფლებამაც ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯები?**

— საფრთხე ძალიან დიდია. განათლების კანონის თანახმად, სწავლების ენა არის ქართული ენა. თუმცა, XX საუკუნეში არაქართულენოვანი სკოლებიც იყო კომპაქტურად დასახლებულ აზერბაიჯანულ და სომხურ რეგიონებში, ასევე თბილისშიც. მაგრამ ეს იყო ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე. უმაღლეს სასწავლებლებში იყო რამდენიმე რუსულენოვანი ფაკულტეტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში. მაგრამ დღეს კავკასიის უნივერსიტეტში, სადაც არის ეკონომიკის ფაკულტეტი, ქართველ ბავშვებს ქართველი პროფესორები ეკონომიკას ინგლისურად ასწავლიან... რატომ უნდა იყოს თბილისის უნივერსიტეტებში ინგლისურენოვანი ფაკულტეტები და ა.შ... ქართული ენის პარალელურად საგანმანათლებლო სივრცეში ფეხს იკიდებს სხვა ენა. და ეს არის არა მარტო უნივერსიტეტებში; ეს არის უფრო დაბალ დონეზე — საბავშვო ბაღებში. რაც ყველაზე მთავარია, სპეციალურად მოვიკითხე და სტატისტიკაც კი არა აქვს სამინისტროს. უამრავი კერძო საბავშვო ბაღია, რომლებიც სასამართლოში რეგისტრირდება და არ არის აუცილებელი, სამინისტრო საქმის კურსში იყოს. არადა, ეს განათლების პირველი საფეხურია.

**— ადრე დიდი ყურაღება ექცეოდა ახალი ტერმინების დამკვიდრებასაც, რასაც პრესა და ტელევიზია უწყობდა ხელს. დღეს რა შთაბეჭდილება გრჩებათ, როდესაც ტელევიზორს უყურებთ ან გაზეთს კითხულობთ?**

— ენათმეცნიერების ინსტიტუტმა სპეციალური კრებული გამოსცა, სემინარები ტარდებოდა, სერია გამოდიოდა. ერთი კრებული შეეხებოდა სახელმძღვანელოების ენას. ამას ისმენდნენ ჟურნალისტები, ურიგდებოდა რედაქციებს. რედაქციას ჰყავდა თავისი სტილისტები. XIX საუკუნეში ილია, აკაკი და სხვები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თეატრის ენას. და აი, რატომ: სცენიდან წამოსული არასწორი ქართული ძალიან ადვილად იკიდებდა ფეხს, მით უმეტეს, თუ კარგი სპექტაკლი იყო და კარგი მსახიობი ასრულებდა როლს. XIX საუკუნეში სხვა საშუალება არ იყო. დღეს გაცილებით დიდი აუდიტორია ჰყავს ტელევიზიას და ამ მხრივ ბევრი პრობლემაა. არავინ აკონტროლებს, არავინ აგებს პასუხს. ერთხელ სოფლის მეურნეობის მინისტრის ინტერვიუ გადასცეს, რომელშიც ამბობდა: — „ქალი ხბოები შემოვიყვანეთ ჰოლანდიიდან, ისინი როცა შობენ ხბოებს, მათგან 90 პროცენტი ქალი ხბოაო“. ეს რომ იმ პერიოდში ეთქვა ან დაეწერა ვინმეს, დამთავრდებოდა მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა.

**— და, ალბათ, იმ მინისტრის კარიერასაც დაესმებოდა წერტილი...**

— დიახ, ასე მოხდებოდა. საუბედუროდ, პრესის კანონში ერთი სიტყვა არ წერია ენაზე. საფრანგეთს აქვს ენის კანონი. იქ ასეა: როცა რომელიმე მასობრივი ინფორმაციის საშუალება ფრანგულს უდიერად მოეპყრობა, მათ იმის უფლებაც კი აქვთ, შეაჩერონ გაზეთის გამოცემა, დასაჯონ და ა.შ.

**— ბატონო გიორგი, გაზეთის ან ტელეგადაცემის დახურვა გამოსავალი არ არის. ეს შედეგს არ გამოიღებს. მთავარია, გამოსწორდეს ეს მდგომარეობა...**

— სახელმწიფო ენაზე უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო და ყველა დონეზე, ყველგან, ყველა სფეროში უნდა არსებობდეს შესაბამისი კონტროლი. მაგრამ თუ ეს ხელისუფლება დარჩა და ეს დამოკიდებულება გაგრძელდა, რაც ამ ხელისუფლებას აქვს განათლებისა და მეცნიერების მიმართ, მაშინ განათლებაც დაიღუპება და მეცნიერებაც და ჩვენს მომდევნო თაობებს გაცილებით დიდი საფიქრალ-საზრუნავი ექნებათ ამ მეცნიერებისა და განათლების აღსადგენად, ვიდრე ეს ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ XX საუკუნის დასაწყისში. ჩვენ წავახდინეთ საქმე. რაც კი არსებობდა, ვისაც კი ევალებოდა ქართულ ენაზე ფიქრი, ყველაფერი მოისპო. არსებობს ერთადერთი კანონი რეკლამის შესახებ, სადაც წერია, ქართული ენის ადგილი როგორი უნდა იყოს რეკლამის ენაში. მაგრამ არის მეორე უბედურება: ამ კანონის ზედამხედველობა ევალებოდა ანტიმონოპოლიურ სამსახურს, რომელიც გააუქმეს. გაიარეთ გომის, ხაშურის, თერჯოლის მიდამოებში... თურქული წარწერებით აჭრელდა გზა. სასადილო, რესტორანი, ავტოპარკები, — მხოლოდ თურქულ ენაზეა მინიშნებები. ქართველი მძღოლები ხომ მოძრაობენ თურქეთში, არის სადმე ქართული წარწერები? სადაც კეთდება უცხოურად, იქ ჯერ ქართულად უნდა ეწეროს და მერე უცხოურად, თანაც, მხოლოდ საერთაშორისო ენაზე.

იქნებ ამიხსნას ვინმემ, რატომ გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული კომისია. გაუქმდა ენის პალატა; პარლამენტში იყო ქართული ენის ქვეკომიტეტი და აღარ არის; დაიხურა ენის სიწმინდისადმი მიძღვნილი ყველა რადიო და ტელეგადაცემა; ენის კანონი განიხილებოდა პარლამენტში და აღარ განიხილება; შემცირდა ქართული ენის საათები სკოლებში; ქართული აღარ არის სავალდებულო უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტზე და ა.შ. ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან ქართულის ამოღების საკითხიც კი დასვეს და ახლაც დღის წესრიგშია. მაშინ განგაში ავტეხეთ და შეჩერდნენ. განათლების სამინისტროს სტანდარტების მიხედვით, მშობლიურ ენაზე იწყება სწავლა, მესამე კლასში შეიძლება შემოვიდეს უცხო ენა, მეშვიდე კლასში — მეორე უცხო ენა და ა.შ. რა ხდება ჩვენთან? იტალიურ სკოლაში პირველივე კლასიდან იტალიურად ასწავლიან. მეორე-მესამე კლასში, ქართულის გარდა, იტალიურს და ინგლისურს სწავლობენ.

**— ალბათ, მშობელმა იცის, რომ მისი შვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი არ გააგრძელებს სწავლას, არამედ აქაურ ინგლისურენოვან უმაღლეს სასწავლებელში ან უცხოეთში. წინათ რუსულ სკოლაში შეჰყავდათ ბავშვები, რათა შემდეგ მოსკოვში ან ლენინგრადში სასწავლებლად ჩასულებს კარგად სცოდნოდათ რუსული. ასეთ ტენდენციასთან ხომ არ გვაქვს საქმე?**

— ზუსტად ეს ტენდენცია არის ახლაც. თქვენ გახსოვთ, 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო მასობრივი მოძრაობა — რუსული სკოლებიდან ქართულში გადმოიყვანეს ბავშვები და ეს დაუკავშირეს ეროვნულ მოძრაობას. ბავშვმა მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს განათლება. ახლა უკვე უკუპროცესი დაიწყო. როცა თბილისში ეკონომიკას ქართველ ბავშვს ქართველი ლექტორი ინგლისურად ასწავლის, და ამათ ჰგონიათ, რომ ევროპაში ჩვენს სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა, თავის მოტყუებაა. ამას ყველაფერს სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა. ჩვენმა სახელმწიფომ ეს დაკარგა. რაც მთავარია, ამით კანონი ირღვევა. კანონში წერია, რომ უცხო ენაზე სწავლება დასაშვებია, თუ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით არის ერთობლივი სასწავლებელი. დღეს კანონს არავინ აქცევს ყურადღებას. დღეს უყურებენ, ვინ არის იმ დაწესებულების ხელმძღვანელი. და თუ მათთვის მისაღები ადამიანი ხარ, რაც გინდა, ის აკეთე. ეს არის უბედურება. კანონს ისინი არღვევენ, ვინც უნდა იცავდეს, და ამას ეწირება ქართული ენა.

**ესაუბრა
ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ახალი თურქობა, ანუ თამაშგარეთ დარჩენილი საქართველო

**საქართველომ დაკარგა ტემპი რეგიონულ საერთაშორისო ურთიერთობებში, ამოვარდა მჭიდიდან. მისი პოზიცია, როგორც ავტორიტეტული სახელმწიფოსი, აღარავის აინტერესებს. იმდენად არ აინტერესებს, რომ პრაქტიკულად არსად ფიგურირებს, არ იმოწმებენ და, წარმოიდგინეთ, არც ეკამათებიან.**
**ან ვის და რაზე უნდა ეკამათონ, ვისი აზრი უნდა გაითვალისწინონ, როცა ამ ჩვენს, დღეს კიდევ ქვეყნის სათავეში მყოფ ხელისუფლებას სალაპარაკოდაც არ იწვევენ, თუნდაც დიპლომატიური ფორმალობის გამო, იქ, სადაც რეგიონული პოლიტიკის ყველაზე აქტუალური პრობლემები წყდება.**

ოპოზიცია კი წვრილ-წვრილი პროვოკაციების გაშიფვრითა და სააშკარაოზე გამოტანით შემოფარგლავს ხელისუფლების ანტიქართული, ანტისახელწიფოებრივი ქმედების მხილებას.

**და კიდევ — ძველი ცოდვების გახსენებით, რაც ვეღარ ახდენს რევოლუციურ ეფექტს. ამასობაში კი საქართველო თანდათან კარგავს რეგიონის საკვანძო ქვეყნის ფუნქციას. ისახება რეალური ნიშნები იმისა, რომ, თუ ასე გაგრძელდა, იგი საერთოდ ვეღარ შეძლებს, რაიმე როლი ითამაშოს საერთაშორისო ასპარეზზე.**

უფრო მეტიც: ასეთი უსახო გეოპოლიტიკის (თუ საერთოდ გააჩნია) მიზეზით თვალსა და ხელს შუა შეიძლება დაგვეკარგოს მთელი მხარეები, თუნდაც, **აჭარა** და **სამცხე-ჯავახეთი**.

მართალია, ამაზე ჯერ მხოლოდ საუბრობენ, მაგრამ ეს ლაპარაკი გარკვეულ პოზიციას გამოხატავს, რომელსაც ხელშემწყობი პირობების შექმნით შეიძლება ქმედება მოჰყვეს.

მაგალითად, დასავლეთ სომხობის საკითხების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი **აიკაზუნ ალოვრციანი** ერევანში ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე აცხადებს, რომ, **თუ საქართველოს ანტისომხური პოლიტიკა თავის მიზანს მიაღწევს და სომხები დატოვებენ სამცხე-ჯავახეთს, მათ ადგილზე ქართველები კი არა, თურქები და აზერბაიჯანელები მოვლენ.**

ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ნორავაკანის“ წარმომადგენელი **თამარ ვარდანიანი,** მართალია, ქვეტექსტით, მაგრამ საკმაოდ გასაგებად მიგვანიშნებს, რომ **აგვისტოს ომის შემდეგ თურქმა ექსპერტებმა დაუყოვნებლივ გაააქტიურეს აჭარის თემა.**

ასეთი საშიშროება, სამწუხაროდ, თუნდაც ამ ორი ექსპერტის ფანტაზიის ნაყოფი რომ არ არის, დღევანდელი რეალობაც ადასტურებს. შევეცადოთ ამ ვითარებაში გარკვევას.

### „რას ეძებ, ვის დაჰკარგვიხარ!“...

მიხეილ სააკაშვილის გეომეტრიული პროგრესიით მზარდ სატელევიზიო გამოსვლებს მაჟორულ რეფრენად გასდევს კატეგორიული განცხადება: **„დღეს საქართველოს ისეთი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს, როგორიც არასოდეს ჰქონია“.**

უცნაურია, რომ „ბუშის პროექტი“ ასე უცებ ივიწყებს თავისი პატრონის გულისამაჩუყებელ ყურადღებასა და თანადგომას, იმას, რომ თეთრი სახლის კარი მისთვის ყოველთვის ღია იყო.

**უმადურობაა.**

მაგრამ თავი დავანებოთ ამ მორალურ კატეგორიას და ფაქტებით ვიმსჯელოთ.

ფაქტები კი ღაღადებს, რომ აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა **„ქართული დიპლომატიისა“** და **„ქართული ლობის“** კოლოსალური მცდელობის მიუხედავად სათოფეზეც არ გაიკარა სააკაშვილი.

**მიხეილისთვის დასაკარგი დრო ვისა აქვს!**

აი, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა კი უარი უთხრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს, რომელმაც სტამბოლში გამართულ კონფერენციაზე — „ცივილიზაციათა ალიანსი“ — მიიწვია პრეზიდენტ ობამასთან შესახვედრად.

**სამაგიეროდ ალიევი რუსეთში ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა.**

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს ვიზიტი გარკვეულწილად სიმბოლურიცაა, რადგან აზერბაიჯანის პრეზიდენტის პირველი ჩასვლაა მოსკოვში აგვისტოს ხუთდღიანი ომისა და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ.

**აგვისტოს კონფლიქტის წინა დღეს კი მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანს და მის პრეზიდენტს საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტი უწოდა (!).**

### „გარანტმა“ ობამას შეხვედრაზე უარი უთხრა და მოსკოვს გაემგზავრა სამხრეთ კავკასიაში მოქმედების საერთო გეზის შესათანხმებლად.

შენ ვის დაჰკარგვიხარ, მიშა?!

**რუსეთის ხელმძღვანელობა რომ პრინციპულად არ აპირებს სააკაშვილთან საქმის დაჭერას, ეს არაერთხელ განცხადებულა.**

### ახლა იმაშიც ვრწმუნდებით, რომ აშშ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასაც შეუძლია, გაძლოს საქართველოს

### პრეზიდენტის გარეშე.

რატომ შეიქმნა საერთო იგნორირების ასეთი ატმოსფერო?

რეგიონში სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებები ხორციელდება, ისეთი ცვლილებები, რომელთაც მსოფლიო რეზონანსი აქვს, რადგან ჩვენს, ბოლო დრომდე ერთპოლუსიან, პლანეტაზე ყველაფერი, რაშიც ამერიკის შეერთებული შტატების ხელი ურევია, პლანეტარულ ძვრებს იწვევს. სხვა საქმეა, — ნეგატიურს თუ პროგრესულს.

ჩვენ კი ყურებს ვაპარტყუნებთ!

თურქულმა გავლენიანმა გაზეთმა **„ჰურიეთმა“** ახლახან გამოაქვეყნა მრავლისმთქმელი სტატია **„სამი ქვეყანა — ერთი რეგიონული ლიდერი“,** რომელიც სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე რეგიონულ პროცესებს განიხილავს. **ავტორების აზრით, ერთადერთი სახელმწიფო — ძალის პოლუსი, რომელსაც ძალუძს რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფა, არის თურქეთი!**

მოდით, აქვე შევთანხმდეთ, შემდეგში გამეორებას თავი რომ ავარიდოთ, საქართველო აქაც და სხვა შემთხვევებშიც პირწმინდად იგნორირებულია — რა დაგიკარგავს, რას ეძებ!

### ჩვენი საგარეო პოლიტიკის ვექტორი კი იმდენად ცალმხრივია, რომ ნატოში მიღება-არმიღებაზე მთლიანად გადართულ ხელისუფლებას მხედველობიდან რჩება ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა — საქართველო თავის ადგილს კარგავს სამეზობლოში.

თუ უკვე დაკარგა?

იმ ფონზე, როცა აშშ და რუსეთი აქტიურად ერევიან რეგიონულ პროცესებში საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, როცა ეჭვიანი სომხეთის საგარეო პოლიტიკა დიასპორის მძევალია, რომლისთვისაც ისტორია 1915 წელს სომეხთა ცნობილი გენოციდით დამთავრდა და ახალ ცხოვრებას მოითხოვს, რაც უზრუნველყოფს უცხოური კაპიტალის შემოდინებას, მაგრამ დაამუხრუჭებს სომხური კულტურისა და საზოგადოების განვითარებას; როცა აზერბაიჯანი აშკარად დაბნეულია თურქეთ-სომხეთის ბოლოდროინდელი დაახლოებით, ხოლო ქვეყნის შიგნით მთიანი ყარაბაღის პრობლემით მხოლოდ სპეკულირებენ და ასობით ათასი დევნილისთვის პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ, ყალიბდება ისეთი სიტუაცია, რომელიც არავისთვის მომგებიანი არ არის და **ამ სიტუაციის განმუხტვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ უცილობელ ლიდერად თურქეთის აღიარებით.**

ათათურქი, თურქეთის მამა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელი იყო ძლიერი მეზობლის — საქართველოს გარეშე. ახლა საქმე იქითკენ მიგვყავს, რომ საქართველოს ფაქტორი სრულად იყოს იგნორირებული.

თურქეთი უჩვენოდ მიისწრაფვის რეგიონული ლიდერობისკენ.

### როცა ქვეყანას ღირსების გრძნობა აქვს...

**ამ მისწრაფების გზაზე თურქეთი ცდილობს, მოაგვაროს სომხეთთან ურთიერთობის საუკუნოვანი პრობლემა. ანკარა და ერევანი უშუალოდ მიადგნენ ურთიერთობის ნორმალიზაციის ხელშეკრულების გაფორმების მიჯნას, მაგრამ აზერბაიჯანის მოულოდნელმა რეაქციამ შეაფერხა: ბაქო აცხადებს, რომ სომხეთსა და თურქეთს შორის ჩაკეტილი საზღვრის გახსნის წინააღმდეგი იქნება მანამ, სანამ არ მოაგვარებენ მთიანი ყარაბაღის საკითხს.**

წინააღმდეგი კი იმიტომაა, რომ, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელობაში ამბობენ, აზერბაიჯანი არ იყო ინფორმირებული თურქეთსა და სომხეთს შორის მოლაპარაკების თაობაზე. აზერბაიჯანი ის სახელმწიფოა, რომლის აზრს ანგარიში უნდა გაუწიონ!

**კავკასიური ცარცის წრის შემოხაზვის ეს პროცესი თითქოს არ ეხება საქართველოს — ზემოთ დასახელებულმა ქვეყნებმა არკვიონ ერთმანეთში თავიანთი პრობლემები!**

მაგრამ ასე მარტივად არ ყოფილა საქმე. ექსპერტების აზრით, უახლოესი პერსპექტივის გათვალისწინებით, **თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნა მომგებიანია რუსეთისათვის,** განსაკუთრებით საქართველოსთან ზაფხულის ომის ჭრილში, **რადგან უფრო ადვილად შეძლებს, მიაწოდოს აუცილებელი იარაღი, აღჭურვილობა, პროდუქტი და ა.შ. სომხეთში განლაგებულ მისი შეიარაღებული ძალების ნაწილებს.** ამჟამად თვითმრინავები, რომლებიც ამ ნაწილებს ამარაგებენ, თურქმენეთის გავლით დაფრინავენ.

ამასთან, ეს უფრო მეტ იზოლაციაში მოაქცევს საქართველოს, — აცხადებს აზერბაიჯანის დემოკრატიული რეფორმების ოპოზიციური პარტიის ლიდერი **ასიმ მოლაზადე.**

აზერბაიჯანი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თურქეთსა და რუსეთს შორის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური გაბატონებისთვის ბრძოლის ასპარეზი გახდა. ეს ცნობილია.

**ახლა ამ ორთაბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატებიც ჩაება. აშშ უპრეცედენტო ღონისძიებებს განახორციელებს სომხეთ-თურქეთის საზღვრის რაც შეიძლება მალე დებლოკირების მიზნით.**

ვაშინგტონის მთავარი ამოცანაა, უზრუნველყოს სამხედრო ტვირთის გადაზიდვა ერაყიდან თურქეთისა და სომხეთის გავლით აზერბაიჯანში — კასპიისპირეთისკენ, საიდანაც ხელის გაწვდენაზეა ავღანეთი. ავღანეთი კი აშშ-ს მთავარი სამიზნეა, ხოლო ერაყიდან ავღანეთისკენ მიმავალი რკინიგზის გამზადებული ინფრასტრუქტურა სერიოზულად გაუადვილებს ამერიკელებს თავიანთი ამოცანის განხორციელებას.

**რუსეთისა და ამერიკის გაზრდილი ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ, როგორც ვხედავთ, სამხედრო სტრატეგიით არის ნაკარნახევი და მათი გავლენის სფეროების შემომტკიცებისკენ არის მიმართული.**

ამ ვითარებაში აზერბაიჯანი შეეცდება, მაქსიმალურად გამოიყენოს აშშ-სა და რუსეთის ინტერესები მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადასაჭრელად. ობამასთან შესახვედრად თურქეთში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჩაუსვლელობაც, სადაც ობამა ანკარისა და ერევნის წარმომადგენლებთან საზღვრის გახსნის საკითხს განიხილავდა, ეს პრინციპი ედო სარჩულად: **ილხამ ალიევი საზღვრის გახსნის საკითხს კონფლიქტური რეგიონის პრობლემის გადაჭრას უკავშირებს.** ამიტომაა, რომ აზერბაიჯანი სულაც არ აპირებს აშშ-ზე ყურადღების კონცენტრირებას და მოსინჯავს ახალ ვექტორს, რომელიც რუსეთისკენ იქნება მიმართული.

რუსეთისთვის, ისევე როგორც ამერიკისთვის, მომგებიანია მთიანი ყარაბაღის პრობლემის საზღვრის გახსნისგან ჩამოცილება, რადგან ღრმად აქვს ფესვები გადგმული სომხეთში სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. რუსეთი ვერ შეძლებს აქტიურად შეუწყოს ხელი აზერბაიჯანის სამხედრო-დიპლომატიური პოტენციალის განმტკიცებას, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დესტაბილიზაცია რეგიონში. რუსეთის მიერ გაძლიერებულმა აზერბაიჯანმა შეიძლება შეუტიოს კავკასიაში რუსეთის მთავარ პლაცდარმს — სომხეთს.

### საიდან ამოდის მზე — დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან?

**რეგიონის ქვეყნები რთული არჩევანის წინაშე დგას. ერთი მხრივ, იკვეთება ღერძი მოსკოვი-ერევანი-ანკარა, მეორე მხრივ — ვაშინგტონის გეოპოლიტიკური ღერძი.**

**საითკენ?**

ერთი რამ ცხადია — თურქეთი დღეს გეოპოლიტიკურ „ღერძის სახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდა, რომელსაც ახლა შეუძლია ევრაზიის ძალაუფლებრივი განტოლება ან ვაშინგტონისკენ მიმართოს, ან ფრიად დააშოროს ასეთ პერსპექტივას. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ განავითარებს ურთიერთობას რუსეთთან და როგორ განამტკიცებს თავის როლსა და მნიშვნელობას საკვანძო ენერგეტიკული მილსადენების ჭრილში.

### თუ ანკარა გადაწყვეტს, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს რუსეთთან, საქართველო არამდგრად, მერყევ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ხოლო აზერბაიჯანის გაზსადენი ნაბუკო (ნაბუქოდონოსორი) დაიბლოკება.

**თუ თურქეთი ითანამშრომლებს შეერთებულ შტატებთან და შეძლებს სომხეთთან სტაბილური ხელშეკრულების დადებას აშშ-ის ეგიდით, რუსეთის პოზიცია კავკასიაში შესუსტდება, რაც ბუნებრივი გაზის ევროპაში გადაქაჩვის ალტერნატიული მარშრუტის შესაძლებლობას რეალურად შექმნის და ევროპაზე რუსეთის ზემოქმედების ბერკეტებს შეასუსტებს.**

რუსეთმა, რომელიც კარგად აცნობიერებს და ხედავს, რომ აშშ-ის ნატოს გაფართოების პოლიტიკა საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღების ხარჯზე ძალაში რჩება, გადაწყვიტა თავისი ეკონომიკური „თაფლაკვერის“ — ბუნებრივი გაზის უზარმაზარი რესურსების გამოყენება, რათა მოახდინოს, სულ ცოტა, დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით, გერმანიის ნეიტრალიზება რუსეთთან ურთიერთობის საკითხში.

**თუ თურქეთი რუსეთთან თანამშრომლობას გადაწყ-**

**ვეტს, ეს უკანასკნელი შეინარჩუნებს ინიციატივას, გერმანია კი რუსეთის ენერგოშემცველებზე დარჩება დამოკიდებული.**

**თურქეთის სომხეთში შესვლა სერიოზულად შეცვლის ძალთა თანაფარდობას მთელ რეგიონში**, რომელიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ არასტაბილური გახდა. რუსეთის არმიის ნაწილები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშია განთავსებული. რუსეთის ნაწილებია სომხეთშიც. ამიტომ, ექსპერტების აზრით, **საქართველოს ალყაში მოქცევას რაიმე საგანგებო მანევრიც აღარ სჭირდება**.

ჩვენი სამხრეთელი მეზობლის რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავება, როგორც ჩანს, საქართველოს უსაფრთხოებაზე ნეგატიურად იმოქმედებს და აზერბაიჯანიდან ევროპაში გაზსადენის სავარაუდო მარშრუტი შეიძლება დაბლოკილი აღმოჩნდეს.

**ვარაუდები — ვარაუდებად და სომხეთმა და თურქეთმა ურთიერთობის ნორმალიზაციის „საგზაო რუკაზე" მოილაპარაკეს. აქ გათვალისწინებული პუნქტების შესრულების შემდეგ მხარეებს შეეძლებათ, აღადგინონ დიპლომატიური კავშირები და გახსნან საზღვრები, რომლებიც 1993 წელს ჩაიკეტა.**

თურქეთის პრემიერი ერდოღანი მალე აზერბაიჯანში გაემგზავრება, ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა საქმის კურსში რომ ჩააყენოს, რადგან თურქეთ-სომხეთის შეთანხმებები მეტ-ნაკლებად მთიანი ყარაბახის პრობლემის მოწესრიგებასაც ეხება.

**„საგზაო რუკის" თაობაზე საიდუმლო მოლაპარაკების ზოგიერთმა დეტალმა პრესაში გაჟონა.**

**ირკვევა, რომ დასაწყისისთვის ქვეყნები თავიანთი ელჩების აკრედიტაციას თბილისში მოახდენენ, გარკვეული დროის შემდეგ საელჩოები გაიხსნება ერევანსა და ანკარაში.**

თურქული გაზეთი "Sabah" იტყობინება, რომ სომხეთი თანახმაა, აღიაროს ყარსის ხელშეკრულება. ეს დოკუმენტი, ერთი მხრივ, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებსა და, მეორე მხრივ, თურქეთს შორის მეგობრობის შესახებ რსფსრ მონაწილეობით გაფორმდა 1921 წლის 13 ოქტომბერს ქალაქ ყარსში. მისი მოქმედების ვადა განსაზღვრული არ არის.

**ყარსის ხელშეკრულების აქტივიზირება, თუნდაც, ამ სახით, გარკვეული საშიშროების შემცველი რომ არის საქართველოსთვის აჭარაში თურქეთის შემოსვლის თვალსაზრისით, ცნობილია. ეს მომენტი მით უფრო ყურადსაღებია, რომ თურქეთის პარლამენტმა „საგზაო რუკასთან" დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო აქტები უნდა მიიღოს. „დროის ამ მანქანის" წყალობით თითქმის 90 წლის წინანდელი აქტები გათანამედროვდება და...**

და ამაზეც საქართველოს არავინ არაფერს ეკითხება!

**ყველა გზას მეოთხე რომში მივყავართ?**

**თურქეთმა ამ უხერხულობას გადააბიჯა, აზერბაიჯანს არ აინტერესებს, რადგან არ ეხება, ჩვენი პრობლემა არ ეხება, თორემ თურქეთ-სომხეთის დაახლოებას მთიანი ყარაბაღის პრობლემის გარეშე არამც და არამც არ განიხილავს.**

მოქმედებს ამ მიმართულებით და ეძებს გადაჭრის, ერთი შეხედვით, ალოგიკურ გზებს, კერძოდ, ერევნის უპირობო მხარდამჭერთან — მოსკოვთან აქტიური კონტაქტების დამყარებით.

პრეზიდენტ ილხამ ალიევის მოსკოვში ვიზიტთან დაკავშირებით ეროვნული და საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა **ლეილა ალიევამ** რადიო თავისუფლებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რეგიონში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით თითოეული მხარე ეძებს შესაძლებლობებს, მიიღოს მაქსიმალური სარგებელი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. რუსეთში ალიევის ჩასვლაც ამ კუთხით უნდა განვიხილოთ — **როგორც შესაძლებლობა**: რამდენად არის მზად რუსეთი, დაეხმაროს აზერბაიჯანს მისი უსაფრთხოების საკითხების, კერძოდ, ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტაში.

**აზერბაიჯანი პრაგმატულ ნაბიჯებს დგამს ქვეყნის ღია ჭრილობის მოსაშუშებლად.**

**თურქეთი და სომხეთი ეძებენ და პოულობენ საშუალებას თითქმის საუკუნის წინათ მომხდარი ტრაგედიის შედეგების სალიკვიდაციოდ.**

**საქართველოს ხელისუფლება კი ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებს ახალი გართულებების ცეცხლს შეუკეთებს.**

**ხედავთ განსხვავებას?**

**გიორგი გიგიბერია**

# აუღიარებელი და ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოები







**P.S. სიტყვა გამიგრძელდა, მთავარი სათქმელი კი ლამის გამომრჩა. ძაღლის თავი სწორედ რომ საქართველოს ხელისუფლების არაადეკვატურ მოქმედებაში მარხია. თუკი ასე გავაგრძელეთ, ანუ არ შევცვალეთ საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელმაც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შავ დღეში ჩაგვაგდო, შესაძლოა ისე მოხდეს, რომ საქართველოს ხარჯზე კავკასიაში ყველამ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თურქეთმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, რუსეთმა თავისი ინტერესები დაიკმაყოფილოს, ჩვენ კი... კარგად დააკვირდით აქ მოცემულ რუკას, — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა ათწლეულებია, მსოფლიო „აჭრელებულია" თვითაღიარებული თუ ნახევრადაღიარებული სუბიექტებით... ასე რომ, დავფიქრდეთ, ღირს კი ნატოში გაწევრიანება იმ ფასად, რასაც ჩვენი ხელისუფლება იხდის?!**

**გიორგი გოგიბერია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



დავით იაკობიძე:

# საქართველოს საგარეო ვალი დღეს 2.8 მილიარდს უტოლდება

**საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციების სიმძაფრემ და მასშტაბურობამ საზოგადოებრიობის ყურადღება თითქმის მთლიანად მოიცვა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი ინტერესი ერთგვარად გაანელა. არადა, ლონდონში დიდი ოცეულის სამიტის შემდეგ მსოფლიო თანამეგობრობა დიდი და მნიშვნელოვანი სიახლეების მოლოდინშია.**
**ჩვენ კი შევანელეთ ყურადღება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსალოდნელი ცვლილებები და პრობლემები გვერდს აგვივლის. პირიქით, ის გარემოება, რომ ხელისუფლება კონცენტრირებულია თვითგადარჩენაზე და მოჩვენებითი აქტივობითაა გართული, კიდევ უფრო ამძაფრებს მსოფლიო ტენდენციებიდან გამომდინარე პრობლემებს, რომლებიც საქართველოში სპეციფიკურ და უნიკალურ ხასიათს იძენს. ამ არაორდინარულ ვითარებაზე გვესაუბრება პროფესორი დავით იაკობიძე.**



— დღეს საქართველოს წინაშე კვლავ დადგა მისი განვითარების ისტორიული ორიენტაციის საკითხი.

### ალტერნატივა ასეთია: ევროპისკენ ნატოში შესვლის გზით და ევროპისკენ რუსეთთან ერთად. ჩვენი როლი ამ პრობლემის გადაჭრაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, გადამწყვეტი არ არის.

განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის ნატოსა და რუსეთის დაულაგებელი ურთიერთობა. ჩვენი მისია ამ შემთხვევაში პრინციპული და კონკრეტულია: ნატოსა და რუსეთს შორის ახლახან აღდგენილ დიალოგში ჩვენი მონაწილეობა იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც საქართველოს მთლიანობას და გლობალურ მსოფლიოში ჩვენს ადგილს შეეხება. საქართველო, ღრმად ვარ დარწმუნებული, ერთგული უნდა დარჩეს 1994 წელს განსაზღვრული კურსის, ბუდაპეშტსა და სტამბოლში სახელმწიფოთა მეთაურების სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებების. დაჟინებით და თანმიმდევრულად უნდა ვიაროთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანად აღდგენის მიმართულებით.

**— ეს საკითხი თითქმის 20 წელიწადია დგას და, რაც დრო გადის, უფრო და უფრო რთულდება. გამოსავალი კი არ ჩანს... ხელისუფლება კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს მსოფლიო ავტორიტეტი განუხრელად იზრდება და ეს მისი დამსახურებაა. ამიტომ ნებისმიერი ცვლილება ხელისუფლების სათავეში, რასაც ოპოზიცია მოითხოვს, მხოლოდ ზიანის მომტანია, რადგან შეარყევს ქვეყნის ავტორიტეტს, რომ საქართველო დღეს ისეთ მიჯნასთან დგას, როცა არსებითი ცვლილებები სახიფათოა.**

— ამ მსჯელობაში არის რაღაც ლოგიკა, მაგრამ ეს ლოგიკა რეალობას არ ასახავს. საქართველოს ავტორიტეტის ზრდა მსოფლიო არენაზე, რაც მისადმი გაწეულ დახმარებაში გამოიხატება და იმ მძლავ პოლიტიკურ მხარდაჭერაში, რომელსაც ევროპა და ამერიკა განახორციელებს, ძირითადად გამომდინარეობს იმ სწორი პოლიტიკური კურსიდან, რომელსაც საქართველო ადგას 1994 წლიდან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თუ 1994-2003 წლებში საქართველო ახორციელებდა ძირითადად სწორ ტაქტიკურ მანევრებს და ამით განსაზღვრავდა საკუთარ ადგილს გლობალურ გარემოში, 2004 წლიდან იგი მთლიანად „დაემორჩილა“ გლობალურ სტრატეგიულ მიმართულებას. თავისი ინტერესები და საქმიანობის მოტივები დაუქვემდებარა გლობალიზაციის უზოგადეს ტენდენციებს. შედეგად საქართველო კი არ წავიდა გლობალიზაციისკენ, გლობალიზაცია მოვიდა საქართველოში და დაფარა იგი. შეიქმნა პოლიტიკური აქტივობის შთაბეჭდილება, რომელსაც შედეგად მოჰყვა წინააღმდეგობების გამწვავება როგორც შინ, ასევე — გარეთ.

**— ხელისუფლება კი გვიმტკიცებს, რომ საქართველო სარგებლობს მსოფლიო თანამეგობრობის უდიდესი მხარდაჭერით და, მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ეკონომიკური პროცესები ქვეყანაში გარკვეული დინამიზმით ხასიათდება.**

### — მიმაჩნია, რომ საქართველოში ამჟამად არსებობს მოჩვენებითი ეკონომიკური აქტივობა. საქმე ისაა, რომ საქართველოს ფინანსური სისტემა ემყარება კვაზი საბანკო გარემოს და უკიდურესად ცენტრალიზებულ საბიუჯეტო მოწყობას, რაც იძლევა საშუალებას, მაქსიმალურად გაკონტროლდეს ფულადი რესურსები სახელმწიფოს მიერ, მაგრამ, მეორე მხრივ, შინაგანად უკიდურესად ბიუროკრატიზირებულია და პრაქტიკულად მოწყვეტილია ეკონომიკის რეალურ სექტორს.

აქედან გამომდინარე, არ იხვნება და არ ითესება სავარგულები, არ არსებობს გადამმუშავებელი მრეწველობა, შეჩერდა სამშენებლო სექტორი, შემცირდა ტვირთბრუნვა და ა.შ. ეკონომიკა ღრმა კრიზისშია. მოვლენათა ზედაპირზე ეს კრიზისი ვლინდება უკიდურეს სიღარიბესა და მზარდ უმუშევრობაში. და თუ ეს პროცესი ვითარდება ლარის ინფლაციის შედარებით დაბალ ფონზე, ამის მიზეზი მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო მონეტარული ფონდის დიდი დახმარებაა, თუმცა ეს დახმარებაც არ არის უმტკივნეულო:

### თუ შარშან, აპრილში საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა 1.8 მილიარდი აშშ დოლარი იყო, დღეს 2.8 მილიარდს უტოლდება.

**— ძალიან მძიმე სურათია. ალბათ, რაღაც მძლავრი ბიძგია საჭირო, ეკონომიკა ადგილიდან რომ დაიძრას...**

— ეკონომიკური კრიზისის დროს კაცს ჰკითხეს, როგორა ხარო. მან უპასუხა, ახლა ხომ ხართ ღირსი, დავჯდე და მოგიყვეთ, როგორცა ვარო? მეც ასე მივიქცევი. საუკუნის დასაწყისში გაეროს მილენიუმზე აღინიშნა, რომ „ინტერნაციონალური მსოფლიო დამთავრდა, მისი ადგილი დაიჭირა გლობალურმა მსოფლიომ“. ამ დასკვნას ბევრი არ ჩაუკვირდა. მრავალი ქვეყანა ინერციით განაგრძობდა საკუთარ პოლიტიკურ კურსს, ზოგიერთებს უბრალოდ არ სურდა გლობალიზაციის მძლავრ დინამიზმთან შეგუება. მცირე ქვეყნების ერთმა ნაწილმა გადაიგდო თავისთავადობაზე ზრუნვის მძიმე ტვირთი და ნებაყოფლობით დაიკავა ზესახელმწიფოთა სატელიტის მდგომარეობა. ეს გასაკვირი არც არის, ნებისმიერ სიახლეს თან სდევს გაუგებრობებიც. მთავარი გაუგებრობა კი მომდინარეობდა გლობალიზაციის შინაგანი მოთხოვნების გაუცნობიერებლობიდან.

პოლიტოლოგებისა და ეკონომისტებისათვის ეს იყო ბიპოლარული მსოფლიოს ნაცვლად მონოპოლარული, ამერიკის ჰეგემონობის მსოფლიოს დასაწყისი. ფიქრობდნენ, რომ გლობალიზაცია ერთიანი ცივილიზაციის მოთხოვნებს დაუსახავდა სამყაროს და ა.შ. ამ პრობლემების წარმოქმნას ხელს უწყობდა ზოგიერთი ავტორიტეტის ნაჩქარევი და ზედაპირული გამოკვლევები, რომლებიც ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. ამან წარმოშვა ანტიგლობალური ტენდენციები და გლობალიზაციისადმი მტრული დამოკიდებულება. ლონდონის სამიტი ამ თვალსაზრისით დიდი და მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელმაც დაგვანახა, რომ გლობალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს თანაბართა თანამშრომლობას შეთანხმებული წესებით, მაკროეკონომიკურ თავისთავადობას, მეტიც, მძაფრ კონკურენციას ეკონომიკურ სფეროში და, აქედან გამომდინარე, ურთიერთპოლიტიკურ პატივისცემას.

**— ჩვენი მკითხველების უმრავლესობას გლობალიზაცია სხვაგვარად ესმის.**

— გასაგებიცაა, რადგან ამ რთული ფენომენის აღსაქმელად და განსამარტავად თავი არ მოუკლავს ჩვენს ხელისუფლებას. ბევრს ჰგონია, რომ გლობალიზაცია ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის დასასრულია. არადა, პირიქითაა — გლობალიზაცია გულისხმობს ქვეყნების დამოუკიდებლობას. მეტიც, გლობალიზაციის არსებობის ფორმა ქვეყნების დამოუკიდებლობაა. საქმე ისაა, რომ ყველა ქვეყანა დამოუკიდებლობაში გულისხმობს განსაკუთრებულ, უნიკალურ შინაარსს, რაც გამომდინარეობს საკუთარი ისტორიული გამოცდილებიდან და საზოგადოებრივი მზაობიდან გააცნობიეროს ეს ფენომენი. იგი იდეა კი არ არის, რომლის მეშვეობითაც აღვწერთ მოვლენებს, არამედ ისეთი მძლავრი ინდიკატორია, რომელიც ქვეყნის ნებისმიერი თვითმყოფადობის, მისი აქტივობის, თუ ჩამორჩენილობის, მისი პოლიტიკური ძლიერებისა, თუ უსუსურობის მაკონტროლებელი და განმსაზღვრელია. სწორედ ამიტომ ქვეყნის დამოუკიდებლობა განსაზღვრავს მის აქტივობას და მნიშვნელობას მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში. იგი თავისი შედეგებით, და არა შინაარსით, ისტორიული ხასიათის მატარებელია. იურიდიული თვალსაზრისით კი საერთაშორისო ბუნებითი სამართლის საფუძველია. ის არეალია, რომელშიც ვლინდება ქვეყნის დამოუკიდებლობა, როგორც ურთიერთშეთანხმებული, ყველას მიერ აღიარებული თანაარსებობის წესი. გლობალიზაცია ის ეშმაკი არ არის, რომლითაც ასე გვაშინებენ.

**— მაშინ რას ნიშნავს ანტიგლობალისტთა გამოსვლები, რომლებიც, როგორც წესი, ეკოლოგიურ პრობლემებზე და ეროვნულ ეკონომიკურ პრობლემებზეა აქცენტირებული?**

— ამას ორი მიზეზი აქვს, პირველი, ის, რომ გლობალიზაცია სწორად არ არის გაგებული, პატრიოტულად განწყობილი და საკუთარ სამშობლოზე შეყვარებული ადამიანების მიერ, რომელთაც, მხარს უმაგრებენ ისინი, ვინც ყველგან მასონთა და შეთქმულთა ხრიკებს ხედავენ. მათ მიერ გლობალიზაცია იხატება ყოველივე ეროვნულის მიუღებლობის პირობად და საშუალებად. ისინი, რომ ცდებიან, ამის მაგალითია ქართული პოლიფონიური მუსიკის საყოველთაო აღიარება. გლობალიზაცია გვეუბნება, „ის, რაც შეჰქმენი და კარგია, სხვასაც ეკუთვნის, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს კარგი არ გაქრეს, არ გადაგვარდეს. კარგია შენი ხალხური, მრავალხმიანი სიმღერა, ამიტომ, თბილისი ვაღიაროთ მსოფლიოს პოლიფონიური მუსიკის დედაქალაქად და ხელს შეგიწყობთ, რომ ეს მსოფლიო კულტურული ფასეულობა განვითარდეს“. რა არის ამაში ცუდი და ანტიეროვნული?

გლობალიზაცია, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანათა თანაარსებობის წესი, მოითხოვს საქონლის, ფულისა და სამუშაო ძალის თავისუფალ მოძრაობას. საქონლის მოძრაობას თან სდევს იაფი კონტრაფაქტული პროდუქციით ბაზრების გაჯერება და ადგილობრივ მეწარმეთა დაუცველობა. ფულის თავისუფალ მოძრაობას კი — შავი ფულის გათეთრების საშუალებების შემუშავება, ადამიანური კაპიტალის მიგრაციას — ტრეფიკინგი და ა.შ., ჩვეულებრივი ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პოლიტიკის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

**— მიგაჩნიათ, რომ სახელმწიფოებს გლობალიზაციის უარყოფით მოვლენათა ნეიტრალიზაციისათვის ძალა შესწევთ, ხოლო ანტიგლობალური მოძრაობა მათი პოლიტიკის შედეგია?**

— ნუ ვიქნებით იდეალისტები, გლობალიზაციისაგან კიდევ ბევრ სირთულეებს ვიწვნევთ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ყველა წინააღმდეგობა დაძლევადია. მოვუხმოთ მაგალითებს. საბერძნეთში ათასობით ქართველია გადახვეწილი, ასევე — რუსეთის ფედერაციაში, ევროპის უამრავ ქვეყნებში და ა.შ. მსოფლიო გაგებით ხვდება ამ რეალობას, ჩვენს მიგრანტებს აძლევენ სამუშაო ადგილებს, სთავაზობენ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამებს. რას აკეთებს ამ დროს ჩვენი მთავრობა? აქვს კი რომელიმე ქვეყანასთან გაფორმებული რაიმე ხელშეკრულება ჩვენი მოქალაქეების სოციალური და შრომითი უფლებების დაცვის მიზნით? — არა! ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ გლობალიზაციის მოთხოვნა მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების შესახებ არ გვაქვს სათანადოდ გააზრებული. მეორე მაგალითი. ინტერნეტის, კერძოდ, ინტერნეტბირჟის „ალი ბაბას“ მეშვეობით, ჩვენმა მეწარმეებმა დაამყარეს უამრავ ქვეყანასთან პირდაპირი სავაჭრო კავშირი და საქართველოს ბაზარი მიაქვს კონტრაფაქტულ პროდუქციას. სასურსათო პროდუქცია გამოვიდა უვნებლობის ზონიდან. კაცისშვილმა არ იცის, ჩვენს მიერ მოხმარებული ცხიმები, საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები როგორ აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე. ეს ყველაფერი კი ამ სფეროში არსებული კონტროლის მექანიზმების ერთი ხელის დაკვრით გაუქმებამ გამოიწვია. რა გამოდის? გლობალიზაცია გვთავაზობს: იმოქმედე საერთო წესრიგის ფარგლებში, დაამყარე ურთიერთობა, ვისთანაც გინდა, მაგრამ დაიცავი საკუთარი ბაზარი, ანუ მომხმარებელი. დაიცავი საკუთარი სამუშაო ძალა, მათ შორის, სხვა ქვეყანაში მიგრირებული სამუშაო ძალაც. ჩვენი მთავრობა კი ამაზე არც ფიქრობს.

**— გამოსავალი?**

— უპირველეს ყოვლისა, ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენს მეწარმეებს. უნდა ვიზრუნოთ, რომ მათ შეძლონ სამუშაო ადგილების შექმნა და მაშინ აქედან წასულები დაბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში. უნდა ვითანამშრომლოთ სხვა ქვეყნებთან მიგრაციის საკითხებში და ა.შ.

არის კიდევ ბევრი „უნდა“, მაგრამ როცა საქმის კეთება არ სურთ და „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ მხოლოდ ლოზუნგია, როცა ეკონომიკის ხელმძღვანელებად არასპეციალისტებს ნიშნავენ, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ კიდევ კარგად ვართ...

ესაუბრა
**თორნიკე მანველიძე**

## ნიკო ორველაშვილი:

# რა აზრი აქვს რეფორმებს, რომლებმაც საგარეო ვალი გაგვიორმაგა?!

**რამდენიმე დღის წინ ვენაში გამართულ რეფორმატორი ქვეყნების დაჯილდოების ცერემონიალზე მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო კორპორაციამ ბოლო ხუთი წლის მონაცემთა კვლევის შედეგები შეაჯამეს და წარმატებული საგადასახადო რეფორმისათვის საქართველოს პირველი ადგილი მიანიჭეს. ჯილდო ვენაში თავად პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ მიიღო. თურმე, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის დაწყებისათვის ყველაზე მარტივი პირობებია. რეალურად რამდენად მარტივია საქართველოში ბიზნესის დაწყება, მისი განვითარება და პროდუქციისათვის ბაზრის მოძიება, ამ საკითხებზე კომენტარი ეკონომიკის ექსპერტებს ნიკო ორველაშვილსა და დემურ გიორხელიძეს ვთხოვეთ.**


ნიკო ორველაშვილი


დემურ გიორხელიძე

**— ბატონებო, რას ფიქრობთ აღნიშნულ პირველობასთან დაკავშირებით, მართლა ასეთი წარმატებულია ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმები და მართლა ამდენად მარტივია აქ ბიზნესის დაწყება-წარმოება?**

**დემურ გიორხელიძე:** — „მსოფლიო ბანკის ფინანსური კორპორაცია, თურმე, ხუთი წელი აკვირდებოდა ამ ყველაფერს და ახლა იმდენადაა აღფრთოვანებული, რომ საკუთარი განწყობა საქართველოსათვის პირველი ადგილის მინიჭებით გამოხატა. შესაძლოა, ბიზნესის რეგისტრაციის ნორმები მართლაც გამარტივებულია, მაგრამ, ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით, საიდან მოიგონა ამ კორპორაციამ ამგვარი შედეგი, სიმართლე გითხრათ, მიკვირს. პირველ რიგში, ეს რეფორმები უნდა განიხილებოდეს იმ თვალსაზრისით, თუ რა პირობები და შესაძლებლობები აქვთ თავად საქართველოს მოქალაქეებს თავიანთ ქვეყანაში ბიზნესის საწარმოებლად. **თუ რეფორმების მიზანი ის არის, რომ უცხოელმა ბიზნესმენებმა იგრძნონ, აქ არც კონკურენტი ჰყავთ, არც კანონმდებლობა შეაწუხებთ, რაც უნდათ, იმას შეიძენენ და გააკეთებენ, პირველ ადგილს უდავოდ ვიმსახურებთ. იქნებ ქართველ ბიზნესმენებსაც ვკითხოთ, მართლა ასე გრძნობენ თავს? ბიზნესის წარმოებისათვის გარემო მაშინ იქნება ჭეშმარიტად კარგი, როდესაც ქართული ბიზნესი თვითონ შემოიყვანს აქ უცხოურს და ამისათვის პრეზიდენტის მხარდაჭერა არ დასჭირდება. დღეს ვერც ერთი ქართული ბიზნესი ვერ გაბედავს და არც ერთი უცხოელი ინვესტორიც არ შემოჰყვება, თუ პირადად პრეზიდენტმა ან პრეზიდენტის მითითებით პრემიერ-მინისტრმა არ დაუჭირა მხარი.** ასეთი გარემო თუ მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება, ამ ჯილდოს მომნიჭებლების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე სერიოზულად საუბარი საერთოდაც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად“.

**ნიკო ორველაშვილი:** — „ეს ამ პრიზის შეურაცხყოფაცაა და ქართველი ხალხისაც. სხვათა შორის, ეს უკვე მეორე შემთხვევაა. აღნიშნული პრიზი პირველად ნოლაიდელს მიანიჭეს, მაგრამ ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყნის სიკეთე ქუჩებში მოსიარულეებს არც მაშინ დასტყობიათ რამეში და არც ახლა. ერთადერთი კაცი გვყავდა, ვინც თავს მეტნაკლებად უდარდელად და უზრუნველად გრძნობდა და ამ ბოლო დროს ვერც ისაა მთლად ძველებურ ხასიათზე. გვარს არ დავასახელებ, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მოლა ნასრედინის ოხუნჯობებისა არ იყოს, მშიერ კაცს რაც უნდა ხშირად უხსენო ჰალვის სახელი, ვერც დანაყრებას იგრძნობს და ვერც — სიტკბოს. ჩვენც ასე გვეძახიან — ჰალვა, ჰალვაო! ქვეყანა კი წყალსა და მეწყერს მიაქვს. **ამიხსენით, რა აზრი აქვს რეფორმებს, რომლებმაც ბოლო ორ წელიწადში საგარეო ვალი გაგვიორმაგა?!** ასეთი ტაში და ვაშა საკუთარ თავს დაუკრან, მაგრამ სინამდვილეში სხვა რამ ხდებოდა. პიარის მოყვარულმა სააკაშვილმა არ დაიშურა ბიუჯეტის სახსრები იმისათვის, რომ ამ რეიტინგებში საქართველო რაც შეიძლება წინ წაწეულიყო. **მაგრამ არის მეორე ნუსხა, რომელიც არ ექვემდებარება მანიპულირებებს — ნუსხა არშემდგარი სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთა იმ მეთაურებისა, რომლებიც პირველ რიგში იმსახურებენ დამხობას. აი, ამ სიაშიც პირველია სააკაშვილი!“**

**— კეთილი, დავუშვათ, ამ ყველაფრის მიუხედავადაც მოხერხდა ჩვენს ქვეყანაში გარკვეული პროდუქციის წარმოება. ბოლოს და ბოლოს, მოსავალს ხომ მაინც მოიწევენ გლეხები. როგორ ფიქრობთ, რა ეშველება ჩვენს პროდუქციას რუსული ბაზრის გარეშე, სადაც ამ ეტაპზე დაბრუნების რაიმე გზა არც ჩანს და მაინცადამაინც არც არავინ ეძებს?**

**ნიკო ორველაშვილი:** — „საერთოდ, გვაქვს კი საზღვარგარეთ გასატანი პროდუქცია? გასაგებია, რომ ბაზრების მოძიება უმნიშვნელოვანესი საქმეა, მაგრამ რა მიგვაქვს ამ ბაზრებზე, რომც მოვიძიოთ? ადგილობრივი ბაზარიც კი, რომელიც გარანტირებულია მრავალი სახის პროდუქტისთვის, ახლა მთლიანად გადავსებულია უცხოური წარმოების პროდუქციით. გაიარეთ ნებისმიერ სუპერმარკეტში და ნახეთ, დაწყებული კიტრისა და პომიდვრის მწნილიდან, დამთავრებული შესქელებული რძის კონსერვებით, ქართული წარმოებისას იპოვით? თუ იპოვით, რა პროცენტი უკავია მას უცხოურთან შედარებით? გაინტერესებთ, რატომ ვერ ახერხებს ქართული პროდუქტი ქართული ბაზრის ათვისებას? — იმიტომ, რომ წარმოებაა მკვდარი — **არავის უნდა, ხელი მოჰკიდოს ისეთ საქმეს, რომლის წარმატების შემთხვევაშიც ზუსტად იცის, რომ თვითონ მხოლოდ საცვალ-პერანგის ამარა დარჩება და მალე გასაქცევადაც ექნება საქმე.** გაიხსენეთ, რამდენი წარმოება აეწყო და რამდენს შეერგო საკუთარი ნაოფლარი. სად არიან გოჩა ძასოხოვი, ქიბარ ხალვაში, ვალერი გელაშვილი და სხვები? სადაა ის მცირე მეწარმე, გორის რაიონში ვაშლის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა რომ დაიწყო? მიშა სააკაშვილის სიტყვები გაიხსენეთ, „ნატახტარზე“ საუბრისას რომ ბრძანა, — პარლამენტარმა ცეზარ ჩოჩელმა მშვენიერი საწარმო ააშენაო (და ამით იქვე აღიარა, რომ მის პირობებში პარლამენტარები საწარმოებს აშენებენ), მაგრამ ამხელა კავშირების მქონე კაციც კი ვერაფერს გახდებოდა, გაზის, დენის თუ წყლის შეყვანაზე სამსამჯერ რომ არ შეეწუხებინა პრემიერ-მინისტრიო. და თავადვე დასვა კითხვა: თქვენ წარმოიდგინეთ, რა შავ დღეშია ის, ვისაც ასეთი კავშირები არ აქვსო... ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც ვინმეს რამე უნდა აუხსნა, **იმ კაცმაც კი, რომელიც პრეზიდენტის სავარძელში ზის, გადასარევად იცის, რა ჯოჯოხეთია საქართველოში საქმის კეთება, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ თუ მაინც მოახერხე და გამოგივიდა ეს საქმე, რა წუთსაც მადას აღუძრავს შენი საწარმო ვიღაც გავლენიან მაღალჩინოსანს (გავლენიანი და ხელისუფლებასთან დაახლოებული თუ ხარ, ჩინიც არ გინდა), იმ წუთიდან გასაქცევად გაქვს საქმე. თუკი ვინმე რაიმეს ახერხებს ამ ქვეყანაში, ეს ის რამდენიმე ერთეული ბიზნესმენია, ვისაც, ძირითადად, ჩვენი მოსისხლე, მტრადგამოცხადებული რუსეთი მფარველობს.** აბა, სცადეთ და მადნეულში ერთი ბუზი ააფრინეთ.

**თუ რაიმე შემოვიდა ინვესტიციისა და კაპიტალდაბანდების სახით, რეალურად ესეც რუსული ფულია.**

რაც შეეხება დანარჩენ უცხოურ ინვესტიციებს, მწარე ფაქტი უნდა გითხრათ: 1990 წლის მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრმა, რომელიც დღეს ჰოლანდიაში ცხოვრობს და მუშაობს, გივი თაქთაქიშვილმა, გადმომიგზავნა დოკუმენტი.

**ნიდერლანდების სამეფოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ცნობით, 2008 წელს ჰოლანდიიდან საქართველოში ინვესტიციის მაჩვენებელი ნულის ტოლია. ამ დროს ჩვენი სტატისტიკა გვეუბნება, რომ ყველაზე მეტი ინვესტიცია გასულ წელს საქართველოში ჰოლანდიიდან შემოვიდა. ხვდებით, ეს რას ნიშნავს? ერთადერთ რამეს — ბიუჯეტიდან მოპარულ მილიონებს და ეს ასეული მილიონია. მიშა სააკაშვილის ოჯახის საახლობლოდ გაიტანა საზღვარგარეთ და ახლა უნდათ, ჰოლანდიური ნიღბით შემოგვასაღონ უცხოურ ინვესტიციად. ეს ნაქურდალი ფულის ჩვეულებრივი „გაპრავებაა“.**

**დემურ გიორხელიძე:** — „ხელისუფლება იმედიანად კი ამბობს, რომ რუსული ბაზარი ჩაანაცვლა, მაგრამ საქართველოში მთელი პროდუქცია, ფაქტობრივად, ღვთის იმედადაა დარჩენილი. რუსული ბაზრის ჩანაცვლება შინაარსობრივადაც ძალიან დიდი უაზრობაა — არ შეიძლება, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ბაზარი ჩაანაცვლო რაღაცით. არ მესმის, პოლიტიკური კონიუნქტურიდან და არა აუცილებლობიდან გამომდინარე, რატომ უნდა დაიკარგოს რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის?! სწორედ ამ ბაზრის უქონლობაა იმის მიზეზი, რომ აქ წარმოებული პროდუქცია, ფაქტობრივად, ჩალის ფასად იყიდება ქვეყანაშივე და წარმოებაც განადგურების პირასაა მისული“.

ესაუბრა
**მაია სვიანაძე**

## ფოტორეპლიკა



ყველანი დიალოგზე!


თუ ასეტრინა გექნებათ, დიალოგზე ჩემი სკამით მოვდივარ!


„ნავერტილე“ არ გინდა, კოოო-ბაააა!..

# ამერიკული არმია — XX საუკუნის ყველაზე დიდი მითი

**ნაცისტური გერმანიის იდეოლოგს ალფრედ როზენბერგს ჰქონდა ფუნდამენტური ნაშრომი „XX საუკუნის მითი“. რას გულისხმობდა ავტორი გასული საუკუნის ამ მთავარ მითში, ძნელი სათქმელია, რადგან ის, ჩემი „ჰიტლერის ბრძოლისგან“ განსხვავებით, რუსულ ენაზე თავისუფალი გაყიდვისთვის ჯერ არ გამოცემულა. თუმცაღა XX საუკუნე გლობალური მითებით მართლაც რომ მდიდარია. ერთ-ერთი ასეთი მითი ის გახლავთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ძლიერი და, რაც მთავარია, ბრძოლისუნარიანი არმია (ქვეითი ჯარები) ჰყავს, რომელიც დიდი სახელმწიფოს სტატუსს შეესაბამება.**

სიმართლე გითხრათ, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ამერიკისა და მისი არმიის ისტორია მათი წარმოშობისთანავე მითებზეა დაფუძნებული.

თავად შტატებისა და მისი არმიის წარმოქმნა მითოლოგიის ქუფრი ნისლითაა დაფარული. ასე მაგალითად, აშშ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა არა 1776 წლის 4 ივლისს, არამედ ამ თარიღიდან 10 წლის შემდეგ. 1776 წელს დაიწყო ამბოხი, შემდეგ კი — ჩრდილოამერიკული კოლონიების ბრძოლა ბრიტანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო კაცმა არ იცის ვის მიერ არჩეული აშშ პრეზიდენტი, ბრიტანული არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ჯორჯ ვაშინგტონი სოფლებში დახეტიალობდა და ბრიტანული ჯარების შენაერთებს ემალებოდა.

საბოლოოდ ბრიტანეთის ჯარებმა დაამარცხეს ამბოხებულ კოლონისტთა დაქსაქსული ბანდები, მაგრამ 1783 წელს ინგლისთან ომი გააჩაღა საფრანგეთმა. საფრანგეთის ფლოტმა ჩრდილოეთ ამერიკაში არმიის მნიშვნელოვანი ძალები გადასხა და ინგლისის ჯარები გაანადგურა.

და მხოლოდ მაშინ გაჩნდა პოლიტიკურ რუკაზე აშშ, რომელმაც ერთობ თავისებურად გადაუხადა მადლობა თავის ფრანგ მეგობრებს. 1803 წელს ამერიკელებმა ისარგებლეს იმით, რომ საფრანგეთი ევროპაში ომებით იყო დაკავებული და მას ლუიზიანა — უკანასკნელი ფრანგული კოლონია წაართვა ჩრდილოეთ ამერიკაში. ამ ყოფილი ფრანგული კოლონიის ტერიტორიაზე კი რამდენიმე ჩრდილოამერიკული შტატი შეიქმნა.

თუმცა, როდესაც ამერიკელებმა ასეთივე ფოკუსის ჩატარება ინგლისთან მოსინჯეს — მისთვის კანადის წართმევა მოისურვეს ინგლის-საფრანგეთის ომის დროს, ეს კინაღამ დამოუკიდებლობის დაკარგვად დაუჯდათ. **1814 წელს ინგლისის არმიამ ცეცხლს მისცა ამერიკის დედაქალაქი თეთრი სახლიანად, რის შემდეგაც 84 წლის განმავლობაში ამერიკელები ვერ რისკავდნენ ევროპული სახელმწიფოების არმიებთან შეტაკებას. სამაგიეროდ, ჯავრს ინდიელებსა და მექსიკელებზე იყრიდნენ, 1861-1865 წლების სამოქალაქო ომში კი ერთმანეთს დაერივნენ.**

ეს ომი მეტისმეტად სისხლისმღვრელი აღმოჩნდა (მაშინ აშშ მოსახლეობა 30 მილიონს შეადგენდა) იმიტომ, რომ ჩრდილოელებისა და სამხრეთელების გენერლებსა და ოფიცრებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ არა მარტო ოპერატიულობაზე, არამედ ტაქტიკის ელემენტარულ საფუძვლებზეც. ხოლო დისციპლინა ორივე არმიაში უფრო დაბალი იყო, ვიდრე 55 წლის შემდეგ რუსეთში მოქმედ მახნოს ანარქისტულ არმიაში.

ინგლისთან წარუმატებელი ომიდან მხოლოდ 84 წლის შემდეგ ამერიკამ ევროპულ სახელმწიფოზე თავდასხმა გადაწყვიტა, თანაც, ყველაზე სუსტი და თითქმის ყველა კოლონიადაკარგული ესპანეთი შეარჩია. ამ ომის მიზანი ესპანეთის დარჩენილი კოლონიების: კარიბის ზღვაში — კუბისა და პუერტო-რიკოს, ხოლო წყნარ ოკეანეში ფილიპინების მისაკუთრება გახლდათ.

**ამერიკელებს ომის საბაბი სჭირდებოდათ, ამიტომ იმ დროისათვის გრანდიოზულ პროვოკაციას მიმართეს — 1898 წლის 15 თებერვალს, ჰავანის რეიდისას, საკუთარი კრეისერი „მეინი“ ააფეთქეს. აფეთქებამ მთელი ეკიპაჟი (260 კაცი) იმსხვერპლა, ოფიცრების გარდა.**

აი, როგორ ახასიათებდა ამ მოვლენას კუბაში ესპანეთ-ამერიკის ომის დროს ესპანური ჯარების შტაბში მყოფი რუსული სამხედრო დაზვერვის ოფიცერი, პოლკოვნიკი ჟილინსკი: „1898 წლის იანვრის ბოლოს ჰავანაში ჩამოვიდა ამერიკული კრეისერი „მეინი.“ აშშ ხელისუფლების მხრიდან კრეისერის გამოგზავნა დემონსტრაციული და გამომწვევი ჟესტი იყო. 15 თებერვალს კრეისერი უცნაურ გარემოებებში აფეთქდა. აფეთქება საღამოს მოხდა, როცა მთელ ეკიპაჟს ეძინა. ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, მხოლოდ ოფიცრები არ იყვნენ გემზე. ეკიპაჟი კი დაიღუპა. ამერიკელებმა, რა თქმა უნდა, ეს აფეთქება ესპანურ ნაღმს მიაწერეს, თუმცა, მეზღვაურების მტკიცებით, ნაღმი ასეთ აფეთქებას ვერ გამოიწვევდა, ეს ხომალდის შიგნით უნდა მომხდარიყო. ნაღმის აფეთქებისას კრეისერის წყალქვეშა ნაწილში ხვრელი უნდა წარმოქმნილიყო, ხომალდი კი ორად გაიხლიჩა“ („ამერიკაესპანეთის ომი. უმაღლესი ბრძანებულებით კუნძულ კუბაზე ესპანეთის არმიის სარდლობის გენერალურ შტაბში მივლინებული პოლკოვნიკ ჟილინსკის პატაკი.“ — спб, а899, ე.ე იუროვსკაია. „1870-1914 წწ. ახალი ისტორიის პრაქტიკუმი“. — მ. უმაღლესი სკოლა, 1979, გვ. 259).

რაკიღა ამერიკულ კრეისერზე საღამოსა და ღამის საათებში ოფიცრების არყოფნას პოლკოვნიკი ჟილინსკი არათუ არ დაუეჭვებია, არამედ არც გაუკვირვებია. ეს ნიშნავს, რომ იმ დროში ამერიკის ფლოტი დიდი სახელმწიფოების ფლოტებისგან ერთადერთი იყო, რომლის ხომალდებსაც საღამოობით ყველა ოფიცერი ბედის ანაბარად ტოვებდა. აი, სად ჩაეყარა საფუძველი პერლ ჰარბორის იერიშს.

თუმცაღა, ამერიკის არმია უარესად წარმოჩნდა ესპანეთთან ომში. ფილიპინებზე ამერიკელებს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, რადგან ესპანეთის არმია ფილიპინელმა მეამბოხეებმა გაანადგურეს. თუმცაღა კუბაზე, მიუხედავად კუბელი მოჯანყეების დახმარებისა, ამერიკელებმა ვერ შეძლეს ესპანეთის ჯარების წინააღმდეგობის გატეხა და, ტროპიკული სნეულებებისა და არასაკმარისი აღჭურვილობის გამო ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილები ის-ის იყო კაპიტულაციაზე უნდა წასულიყვნენ, რომ ესპანეთის სარდლობამ ამერიკელ კოლეგებს დაასწრო და კაპიტულაცია გამოუცხადა. კუბის შორიახლო მდებარე პუერტო-რიკოს კუნძულზე ამერიკელები დამოუკიდებლად, მეამბოხეთა დახმარების გარეშე იბრძოდნენ, რის გამოც ესპანეთის რამდენიმეასეულკაციანი გარნიზონის წინააღმდეგობის დაძლევა მხოლოდ რამდენიმეკვირიანი სასტიკი ბრძოლებით შეძლეს. ამასობაში 3 ათასი კაცი დაკარგეს.

საგულისხმოა, რომ მაშინ, ისევე, როგორც ახლა, ამერიკული გაზეთები თავის მოსახლეობას ასეთი სავალალო „წვრილმანების“ შესახებ არ აცნობებდნენ და მხოლოდ გამარჯვების ბუკსა და ნაღარას აქუხებდნენ. აი, როგორ აღწერდა ამერიკელებისთვის დამახასიათებელ ამ ჩლუნგ ნარცისიზმს რუსეთის კონსული ნიუიორკში ვ. ა. ტეპლოვი თავის შეტყობინებაში (04.06.1898): „მიუხედავად ამერიკის ფლოტის ერთობ მოკრძალებული წარმატებებისა, რომელსაც მანილაში გამარჯვების შემდეგ მიაღწიეს, ამერიკელთა ჩვეული თავდაჯერებულობა, ამ გამარჯვებით არნახულ სიმაღლეზე ასული, სულაც არ შეესატყვისება მიღწეულ შედეგებს. იოლმა ტრიუმფმა თავბრუ დაახვია აქაურ პოლიტიკოსებს. ვერც შეიარაღებულ ძალთა მოუმზადებლობამ, ვერც აღჭურვილობის უკმარისობამ, ვერც სამხედრო ოპერაციების ნელმა მიმდინარეობამ — ვერაფერმა დააშოშმინა ახალი ტერიტორიების შთანთქმის სულ უფრო მზარდი მადა“ (ე. იუროვსკაია, „ახალი ისტორიის პრაქტიკუმი.“ გვ. 239-240).

ამერიკა-ესპანეთის ომის დასრულების შემდეგ რუსეთის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა.პ კასინი თავის (27.04.1899) მოხსენებაში აღნიშნავდა: „ესპანეთთან ომში მიღწეული წარმატებების შემდეგ ამერიკელ ხალხს გადაჭარბებული სიამაყე და უკიდეგანო თავდაჯერებულობა, ყველაფერი არაამერიკულის მიმართ კი ზიზღი დაეუფლა. ამ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ გამოთქმული აზრები გამსჭვალულია ამ განწყობილებით, აქაური პრესა თავდაჯერებით აცხადებს, რომ აშშ მსოფლიოში პირველი და ყველაზე ძლიერი ქვეყანაა და მთელი ევროპის კოალიციაც კი ვერ შეაშინებს“ (ე. იუროვსკაია. „ახალი ისტორიის პრაქტიკუმი.“ გვ. 248).

**„ამ უკიდეგანო თავდაჯერებულობასა და ყველაფერი არაამერიკულისადმი ზიზღს,“ რომელიც ერთნაირად ახასიათებდა ამერიკელ ხალხსა და მის პოლიტიკურსა და სამხედრო ელიტას, ამერიკული არმიისათვის ერთობ სავალალო შედეგები მოჰყვა 1918-1919 წლებში, პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში სამოქალაქო ომის დასრულების დროს.**




**ცბიერი ამერიკელები პირველ მსოფლიო ომში მისი დაწყებიდან სამი წლის შემდეგ და დასასრულამდე ერთი წლით ადრე — 1917 წლის ზაფხულში ჩაერთნენ, როცა უკვე გამოიკვეთა გამარჯვებული, ვისთან მიკედლებაც შეიძლებოდა. რეალურად კი ამერიკული არმია ევროპაში 1918 წლიდან, ომის დასრულებამდე ნახევარი წლით ადრე გამოჩნდა.**

ამერიკული ჯარები 1 მლნ კაცის შემადგენლობით ევროპაში საომარი მოქმედებების საწარმოებლად სრულიად მოუმზადებელნი ჩავიდნენ. არ ჰქონდათ თანამედროვე არტილერია და საბრძოლო იარაღი. ამიტომ ფრანგებსა და ინგლისელებს მათი აღჭურვა და გაწვრთნა მოუხდათ. ფრანგებმა — თავიანთი არტილერია, ტყვიამფრქვევები, ხოლო ინგლისელებმა სასროლი იარაღი და სამხედრო ფორმა დაუთმეს. სწორედ პირველი მსოფლიო ომის დროიდან შემორჩათ ამერიკელებს ფრანგული 105 და 155 მმ კალიბრები.

ბოლოს და ბოლოს, ნახევარწლიანი წვრთნისა და აღჭურვის მერე, 1918 წლის აგვისტოში (პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე სამი თვით ადრე), ამერიკული ჯარები ბრძოლაში ჩაერთნენ. შედეგები მათთვის საშინელი აღმოჩნდა: **ორთვენახევრის განმავლობაში 200 000 კაცი დაკარგეს, 600 000-მდე კაცი დაიჭრა. ასე რომ, ევროპაში გაგზავნილმა ამერიკულმა არმიამ პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა.**

**ამერიკელთა დანაკარგის კარგად წარმოსადგენად უპრიანია მათი დანაკარგის შედარება პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სხვა დიდი სახელმწიფოების მიერ გაღებულ მსხვერპლთან: მაშ ასე, რუსეთი — 700 000 მოკლული, ინგლისი — 900 000, საფრანგეთი — 1 მლნ 300 000, გერმანია — 2 მლნ. ამგვარად, თუ საშუალოდ წელიწადში ინგლისი — 225 000, საფრანგეთი — 325 000, ხოლო გერმანია — 500 000 კაცს კარგავდა, ამერიკელების მხრიდან ომის ბოლო სამ თვეში იმდენივე მსხვერპლი იყო, რამდენიც ინგლისმა დაკარგა მთელი წლის განმავლობაში.**

სავსებით ბუნებრივია, რომ 1919 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში პარიზის გარეუბან ვერსალში გამართულ მშვიდობის კონფერენციაზე ფრანგებმა, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს, რად ღირდა ამერიკული ჯარები, აინუნშიც არ ჩააგდეს ამერიკის პრეზიდენტ ვილსონის პრეტენზიები პირველი მსოფლიო ომის შედეგების შეჯამებისა და ევროპისა და მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის თაობაზე.

ფრანგების ამგვარი დამოკიდებულება ამერიკული არმიისადმი არა მარტო მისი სისუსტით, არამედ იმითაც განისაზღვრა, თუ როგორ წარმოაჩინა მან თავი 1918-1919 წლებში რუსეთის სამოქალაქო ომში დასავლეთის ჩარევისას, როცა ამ ინტერვენციისას დასავლურ არმიათაგან ყველაზე უღონო აღმოჩნდა.

1918 წლის შემოდგომაზე, პირველი მსოფლიო ომის დასასრულის წინ, წითელი არმიის პირად შემადგენლობასთან შედარებით, დემორალიზებული გერმანელი ჯარისკაცები მაინც სუპერმენებივით გამოიყურებოდნენ, ხოლო წითელ არმიასთან შეტაკებისას, როცა წითელარმიელთა 80 პროცენტი ომში ადგილზე დახვრეტის მუქარით მიდიოდა, ამერიკული არმია როგორღაც ახერხებდა და მარცხს მარცხზე განიცდიდა.

წითელ არმიასთან ბრძოლაში ამერიკელებმა ყველაზე სამარცხვინო მარცხი განიცადეს შენკურსკის იერიშისას 1919 წლის 19-25 იანვარს. ჩრდილოეთის ფრონტის მე-6 არმიის მე-18 მსროლელ დივიზიას 3100 კაცის შემადგენლობით და 13 საბრძოლო აღჭურვილობით, ნაბრძანები ჰქონდა ქ. შენკურსკის რაიონში ფრონტის ხაზის შვერილის მოკვეთა.

ამ შვერილზე 700 რუსი თეთრგვარდიელი და 500 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფებოდა 16 საბრძოლო აღჭურვილობით. მე-18 მსროლელი დივიზიის შემოტევისას ძირითადი წინააღმდეგობა თეთრგვარდიელებმა გაუწიეს. შეტაკების ბედი მე-18 დივიზიის ერთ-ერთი ნაწილის შემოვლითმა მანევრმა გადაწყვიტა მტრის ზურგში, რის შედეგადაც შენკურსკიდან ჩრდილოეთით 30 კმ-ში მდებარე ქალაქი შეგოვარი აიღეს. ამრიგად, ამერიკული ჯარები ალყაში აღმოჩნდნენ და მხოლოდ ადგილმდებარეობის მცოდნე თეთრგვარდიელების დახმარებით შეძლეს ანგლოკანადური ჯარების მთავარ

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ძალებამდე მიღწევა.

1919 წლის 25 იანვარს შენკურსკში მე-18 დივიზიამ მოიალაფა 12 ამერიკული ქვემეხი, საბრძოლო მასალის, სურსათ-სანოვაგისა და აღჭურვილობის უამრავი საწყობი.

**ამგვარად, 16 საბრძოლო იარაღიდან ამერიკელებმა წითელი არმიის შემოტევის შედეგად მხოლოდ 4 დაკარგეს. მე-18 დივიზიისთვის მთავარ მოწინააღმდეგედ იქცა არა ამერიკელთა აღმატება არტილერიაში, არამედ ბუნებრივი ფაქტორები: წელამდე თოვლი, 40-გრადუსიანი ყინვა და მხოლოდ ნაწილობრივ თეთრგვარდიელთა ტყვიამფრქვევების ცეცხლი.**

**შენკურსკთან დამარცხების შემდეგ ამერიკული ჯარები ჯერ ზურგში გადაიყვანეს, შემდეგ კი სასწრაფოდ გაამგზავრეს სამშობლოში.**

შენკურსკთან დამარცხებისას ამერიკელმა ოფიცრებმა საარტილერიო ცეცხლის წარმოების უუნარობა უჩვენეს. მე-18 მსროლელი დივიზიის არტილერია მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევებთან საბრძოლველად სხვადასხვა მხარეს მოიერიშე მსროლელთა პოლკებში გადაანაწილეს. ამერიკელთა 16 იარაღი კი ერთ ადგილას იყო თავმოყრილი და სახიფათო მიმართულებებით ცეცხლის ჩაწერტების ელემენტარულ უნარს შეეძლო მე-18 არმიის იერიში მოეგერიებინა, მიუხედავად მისი რიცხვობრივი აღმატებისა.

საარტილერიო ცეცხლის მართვა და მანევრირება, მისი ჩაწერტება ამა თუ იმ მიმართულებით ნებისმიერ ევროპელ ოფიცერ-არტილერისტს შეეძლო, გარდა ამერიკელისა...

**ამერიკელ ოფიცერთა ცუდი მომზადების მიზეზი კი ამერიკული სამოქალაქო განათლების დაბალი დონე გახლდათ — ამერიკის შეიარაღებულ ძალთა არსებობის მანძილზე ოფიცერთა ძირითადი მასა ხომ სამოქალაქო უმაღლესი განათლების სასწავლებლებიდან მოდიოდა.**

ხოლო ამერიკულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში მომზადების დონეზე შემდეგი ფაქტი მეტყველებს: 1883 წელს ყოფილი არტილერისტი, შტაბს-კაპიტანი დეგაევი, რევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლიასა“ და, ამავე დროს, რუსეთის პოლიციის აგენტი, რომელსაც ორმაგ თამაშში თავგზა დაებნა, ტყავის გადასარჩენად რუსეთიდან ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიქცა, სადაც ერთ-ერთ უნივერსიტეტში მათემატიკის პროფესორი გახდა. ამისათვის კი რუსულ საარტილერიო სასწავლებელში მიღებული ცოდნა საკმარისი აღმოჩნდა. ამერიკაში მას სწავლა არსად გაუგრძელებია. დამფრთხალი დეგაევი სულ მალვაში რომ არ ყოფილიყო, ამერიკაში გაცილებით ბევრს მიაღწევდა. მაგალითად, ამერიკულ არმიაში იმსახურებდა და თავის კარიერას გენერალ-პოლკოვნიკის ჩინით, სამხედრო სამინისტროს საარტილერიო დეპარტამენტის უფროსად დაასრულებდა. ამისათვის რუსეთის საარტილერიო სასწავლებელში მიღებულ განათლებას სრულებით იკმარებდა...

**(გაგრძელება იქნება)**

# ორი განრისხებული ამომრჩეველი

**არჩევნების გაყალბებით მოსული ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს და ნერვების ომის მოსაგებად ემზადება. სახელმწიფო მოხელეთა პირშიწყალჩაგუბებული არმია დუმს, მათ სხვა გზა არ დაუტოვეს. პიარტექნოლოგიებით დეზორიენტირებული ხალხის უდიდესი ნაწილი ეჭვით შესცქერის ხელისუფლებას და არც ჭრელი ოპოზიცია ეიმედება. ქართული ტელესივრცე სიცრუის პოლიგონია, ხოლო ობიექტური ტელეარხები მცირე სიხშირის გამო სრულიად საქართველოს ხმას ვერ აწვდენენ. დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ერმა არ იცის, „რა ტკივილით იმტკივნეულოს და რა სიხარულით ინუგეშოს“. თუმცა მოქალაქეთა ნაწილს შეუძლია ღია და გულწრფელი საუბარი რთული და ჩახლართული პოლიტიკის ავ-კარგზე. ისინი არც საკუთარ ნაკლოვანებს მალავენ.**



მარიამ შოშიაშვილი



ნათია აბრამიძე

**მარიამ შოშიაშვილი**, ბუხჰალტერი:

## საად ჰყავს ახლა მიშას როკაპი მაია ნადირაძე ან ენამწარე და გულბოროტი გიგა ბოკერია?

— ქვეყნის სათავეში სააკაშვილის მოსვლა საქართველოსთვის დიდი ტრაგედიაა. მაგრამ მახსოვს ვანგას სიტყვები — „საქართველოს უდიდესი ტრაგედია მოელის ვინმე მიხას მმართველობის ჟამსო“, და, მართლაც, აგვიხდა. მაგრამ უბედურება მიშაში კი არა, თავად ხალხშია, რომელსაც ჯეროვნად დღესაც ვერ შეუფასებია, რამხელა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებაში სააკაშვილის მოყვანით. დღეს უკვე დროა, ამ შეცდომის გამოსწორებისთვის ვიზრუნოთ და გულწრფელად მოვინანიოთ ჩვენი დოყლაპიობა. ხომ არის განსხვავება წინასწარგანზრახულ დანაშაულსა და დოყლაპიობით ჩადენილს შორის?.. ასე რომ არ იყოს, და, თანაც, სიტუაციის გამოსწორების იმედი არ მქონდეს, სიცოცხლის უნარსაც დავკარგავდი (გემო და სიხარული კარგა ხანია, დავკარგეთ). მთელი დღე ტელეეკრანს ვარ მიჯაჭვული, ავადმყოფობის გამო მიტინგებზე დიდხანს ვერ ვჩერდები. „რუსთავი 2“-ის არ მჯერა. სწორედ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ ცრუ პროპაგანდის წყალობით ჩავცვივდით ამ წუმპეში. ნაწილობრივ ხომ მიეზღო ეროსი კიწმარიშვილს?.. ჯერ სად არის... დღევანდელ უმოქმედობას, დამყაყებულ, აშმორებულ ყოფას, რომელსაც იმდენად მყრალი სუნი ასდის, რომ მტყუან-მართალი ვეღარ გაგვირჩევია, ისევ თავგანწირვა გვირჩევნია. ჭეშმარიტების დასადგენად უფალიც კი მახვილით მოდის. ხალხში შიშია, რომ უსისხლოდ არ წავა...

### განა ცოტა სისხლი დაიღვარა შეკვეთილი მკვლელობებით?.. რამდენი ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეიწირა გაქსუებულმა სახელისუფლებო ბანდებმა?..

ამ „დაწყევლილი სკამის“ შენარჩუნებას შესწირა 7 ნოემბრის მიუტევებელი დარბევა, შიდა ქართლი, კოდორის ხეობა და ბოლოს აგვისტოს ომის დამალული ათასების სისხლი.

### სად ჰყავს ახლა მიშას როკაპი მაია ნადირაძე ან ენამწარე და გულბოროტი გიგა ბოკერია? მიაჩნიათ, რომ ხალხს მდაბიო, შეზღუდული გემოვნება აქვს და, ყურში თუ ჩაგვყვირებენ — ცხოვრება მშვენიერიაო, დავიჯერებთ!..

ხელისუფალთ ავიწყდებათ, რომ ჩვენი არჩეულია, არ გაამართლეს იმედი და აღარ გვინდა, უნდა წავიდნენ. ხალხი მომთმენია, მაგრამ უკიდურესობამდე მისული ძველსა და ახალს ერთნაირად გაუხსენებს, მითუმეტეს, ქვეყნის დოვლათის განიავებას, ეკონომიკური მარწუხებით ხალხის ჩაგვრას და უთანასწორო ბრძოლით მამაპაპისეული მიწების დაკარგვას. მარტოხელა პენსიონერებს 22-ლარიანი დახმარება მოუხსნეს — მეტი არ მოგივიდეთო.

### „ქამარშემოჭერილი“ პრეზიდენტი კი თავად ერთ სადილში ათასებს იხდის... ასე უფრთხილდება ქვეყნის ბიუჯეტს...

მიშამ არ იცის, ხალხმა მის არჩევაში რამხელა იმედი ჩადო და რა ძნელი ასატანია იმედგაცრუება. შემზარა მისმა უგუნურებამ, უვიცობამ და არაერთმა გამოვლენილმა სიმახინჯემ. ამიტომაც დგას ხალხი რუსთაველზე და ავლაბარში, ქუჩებში და კარვებქვეშ ათენ-აღამებს. დღემდე ბრძოლით მოტანილი საქართველო მიშას მმართველობამ ქვესკნელში ჩააყირავა. ახლა მაინც ეყოს ვაჟკაცობა და მშვიდობიანად გაგვეცალოს. მის ამომრჩევლებს კი მთელი სიცოცხლე არ გვეყოფა ჩადენილის მოსანანიებლად. გულახდილად გეტყვით, პრეზიდენტის პოსტის გაუქმება მართებულად მიმაჩნია, რათა სკამის მაძიებლები საბოლოოდ დაცხრნენ. ხალხი ქვეყანას თვითონ გადმოიყვანს ამერიკულიდან მშობლიურ რელსებზე.

**ნათია აბრამიძე**, ექიმი-სტომატოლოგი:

## მიშას პოლიტიკა სულაც არაა იმპულსური; იგი იმას ნერგავს ჩვენს მიწაზე, რაც დასავლეთელმა „პატრონებმა“ დაავალეს

— უპირველესად, თანამედროვეობის გარდაქმნის სურვილმა მომიყვანა აქ. ეს თითოეული ჩვენგანის ისტორიული მისიაა. ამ ხელისუფლებამ სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მკვლელობა ჩაიდინა. ეროვნული შემეცნების დაკარგვის მცდელობით დღეს კოსმოპოლიტიზმით მოწამლულ მსოფლიო მოქალაქეებს ვზრდით და არა ერის შვილებს. გამოფხიზლებულ ამომრჩეველთა 96% ქუჩაში დგას და იმეორებს: — „ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოსო“.

### მიშას პოლიტიკა სულაც არაა იმპულსური; იგი იმას ნერგავს ჩვენს მიწაზე, რაც დასავლეთელმა „პატრონებმა“ დაავალეს. დროის გადასახედიდან ყველაფერი კარგად ჩანს.

სკოლებში პოლიცია შედის. მოზარდებში დანაშაულებრივმა ფაქტებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. აგრესიის ზრდას ყმაწვილებში მნიშვნელოვანი ბიძგი სოციალურმა სიდუხჭირემ, წლობით სიბნელესა და სიცივეში ყოფნამ და ნულოვანმა ტოლერანტობამ მისცა. გაუთავებელი სიცრუის ძალადობრივმა თავსმოხვევამ ხალხი საპროტესტოდ გამოაღვიძა, ბავშვებში კი აგრესიის გარეთ გამოტანის ვნება ჩამოაყალიბა. ამას თავისებურად ხელი შეუწყო ცოდნის შეძენის მოთხოვნილებების დაცემამ და ლოტოტრონით არჩეულმა შემთხვევითმა პედაგოგებმა.

### პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში დანერგილი ყველა ბოროტების კრებითი სახეა, ამიტომ ის სასწრაფოდ უნდა მოიკვეთოს.

იყო დრო, როცა იგი ხალხს უყვარდა. მან ამ სიყვარულის მოვლა, პატივისცემა ვერ შეძლო, შენარჩუნებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ განაჩენი საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა.

### ნუ გადაიქცევა კიდევ ერთხელ ეროვნული უბედურების სათავედ და სისხლისღვრის მიზეზად, გაგვეცალოს!!!

ათასობით ადამიანში ვერ მიპოვია ერთი კაცი მაინც, ვინც ამჟამად პრეზიდენტს მხარს უჭერს და ხალხს ამტყუნებს. მეცოდება მისი გარემოცვის ჩინოვნიკები, რომელნიც შიშით დამფრთხალნი იძულებულნი არიან, ყურით მოთრეული არგუმენტებითა და წარმოსახვითი საშიშროებით გაგვიცხადონ, რომ დღეს არსებული მდგომარეობით ახალი არჩევნების დრო არ არის. შეგახსენებთ, ბატონებო, რომ როცა მიშას მფარველობიდან გამოხვალთ, საყოველთაო ზიზღის (არა სიძულვილის) ობიექტები გახდებით! შეძლებთ კი ამ ზიზღის ზიდვას, რომელიც ყველა სასჯელზე უმაღლესია და თქვენს მომავალს არა თუ დრამატულს, ტრაგიკულსაც გახდის?

პრობლემას უმრავლესობა წყვეტს. უმრავლესობა კი ხალხია, რომლის მღელვარების ხმა ერის მომავლის იმედიან ხედვას უკავშირდება და არა აგენტურ ხელისუფლებას, რომლის ერთადერთი იმედი მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებშია.

**— ქალბატონო ნათია, რომელი ჩინოსანი უფრო გულწრფელია — ვინც მიშას გვერდით რჩება და „სხვანაირად არ ძალუძს“ თუ ვინც დღეს მიტინგების მაღალი ტრიბუნიდან ოპოზიციონერობს?**

— ბურჯანაძის, ნოღაიდელის, ალასანიას, ოქრუაშვილის, ზურაბიშვილისა და ყველა მათ გულწრფელობას, ვინც მიშას ყოფილი სატელიტი იყო და დღეს ხალხის წინაშე ბოდიშს იხდის, ხალხი იმ შემთხვევაში დაიჯერებს, თუ ამ პროცესში მეამბოხე მოქალაქეების როლით დაკმაყოფილდებიან და შემდეგში სახელმწიფო პოსტების დასაკავებლად პრეტენზიას არ გამოთქვამენ. თუ ასე მოხდა, ხალხი მათ სამართლიანი არჩევნებით საკადრისს მიუზღავს. ისინი უკვე ვიხილეთ ამ თანამდებობებზე და მათი უუნარობა (თუ არა დანაშაულებანი) სამზეოზეა გამოტანილი. ვერ გაიზარდნენ პოლიტიკოსებად, ვერ ჩამოყალიბდნენ და ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს, თავიანთი უპასუხისმგებლობით ქვეყანას რამხელა ტრაგიზმი მოუტანეს. ერთსა და იმავე მდინარეში რომ შეცურო, ცურვა მაინც უნდა ისწავლო.

საქართველოში მძიმე განსაცდელის ჟამია. ყველა სიკეთე გაქრა და მათ ადგილას ბოროტება აღმოცენდა. არ არსებობს არც ერთი სფერო ან დარგი, სადაც დეგრადირების მექანიზმი არ იყოს ჩადებული. ეს მწარე, ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილია. ჩვენ გავხდით ბრმა, უხეირო იარაღი სხვათა ხელში და, თუ ამას გვიანაც ვერ მივხვდით, მაშინ მიტინგები კი არა, პანაშვიდი გვქონია.

სიცრუესა და ძალადობაზე აგებული პოლიტიკა შინაგანი ლოგიკით დიდხანს ვერ ძლებს და ინგრევა, ამიტომ პრეზიდენტმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი მარცხი და ქვეყნის მართვის უძლურება.

### კარგახანია, პრეზიდენტს ჩამოეხსნა რესპექტაბელური ნიღაბი, რომლითაც მაღალშტოიანი ვარდით პარლამენტში შევარდა და მუშარა, ჰალსტუხღეჭია კაცად იქცა. ხელისუფლების ხელში ჩაგდებამ მისი კაცთმოძულე სახე დაგვანახა.

ენერგიულის ნაცვლად ხელთ შეგვრჩა უნდილი მმართველი, დემოკრატის ნაცვლად — უზურპატორი, ალტრუისტის მაგივრად — ეგოისტი და სავსებით შეუსაბამო ერის მოთხოვნათა მიმართ. ჩვენ კი ასეთ პრეზიდენტს ვეღარ შევეგუებით. ეს ჯოჯოხეთური წლები უფლის მიერ გამოგზავნილი განსაცდელია ჩვენი ეროვნული სულის განსაწმენდად. ჩვენ მართლმადიდებელი ერი ვართ, უძველესი „ქრისტეს კუნძული“. სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში უფალი დაგვიფარავს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რატომ უნდა გადადგეს მიხეილ სააკაშვილი

FP Foreign Policy

**მსოფლიოს რამდენიმე ლიდერი ზუსტად ახლა დამარცხების ზღვარზეა, რაც ცუდ მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ.**

**ლიდერი: პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.**

რატომ უნდა წავიდეს: არაკომპეტენტურობა ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკაში.

შესაძლოა, ომი რუსეთმა დაიწყო და გლობალური ეკონომიკაც შეირყა, მაგრამ სააკაშვილის პოლიტიკამაც სიტუაციის გამოსწორებას ხელი ვერ შეუწყო.

**ისტორია:** მას შემდეგ, რაც 1991 წელს საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, იქ ყველა ლიდერი გადააყენეს. სააკაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წლის მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოვიდა და რომელმაც 2008 წლის იანვრის ღია არჩევნებშიც გაიმარჯვა, შესაძლოა, ამ რიგში შემდეგი აღმოჩნდეს.

საქართველოს ეკონომიკამ 2004 წლიდან 2007 წლამდე სწრაფად დაიწყო წინსვლა. ეს დაემთხვა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის დასასრულს და გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე გაგრძელდა, მაგრამ საქართველოს ახლად მოპოვებული სიმდიდრის დიდი წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაზე იყო დამოკიდებული. ეს ინვესტიციები მკვეთრად დაეცა და აქედან სულ მცირე რაოდენობამ ჩააღწია ქვევით და გვერდი აუარა ქვეყნის ელიტას.

2008 წლის აგვისტოს ომმა, როცა სეპარატისტულ რეგიონზე — სამხრეთ-ოსეთზე თბილისის მიერ კონტროლის აღდგენის მცდელობის საპასუხოდ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე ჯარი გააგზავნა, სიტუაციის გამოსწორებას ხელი ვერ შეუწყო. ამ ომმა საბოლოოდ გაანადგურა საქართველოს ისედაც დაძაბული ურთიერთობა თავის უდიდეს სავაჭრო პარტნიორთან და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 50%-ით შეამცირა. ამან ქვეყანა განგრძობადი და დაჩქარებული ეკონომიკური კრიზისის პროცესში კიდევ უფრო დაუცველი დატოვა, რადგან საქართველოს გადასარჩენად უცხოური მთავრობებისა და ორგანიზაციებისაგან 4 მილიარდზე მეტი დახმარება სჭირდება. თავად სააკაშვილმა დღევანდელ მდგომარეობას „მთავარი ეგზისტენციალური ბრძოლა უწოდა".

სააკაშვილის პასუხი ბოლო კრიზისზე, როცა 20 000-მდე დემონსტრანტი გამოვიდა ქუჩაში და თბილისი მთელი კვირის მანძილზე მწყობრიდან გამოიყვანა, ასეთი იყო: მან თითი კრემლისკენ გაიშვირა, მაგრამ საპროტესტო გამოსვლას კრემლიც რომ აფინანსებდეს, სააკაშვილმა ყურად უნდა იღოს დემონსტრანტთა მთავარი პრეტენზიები: კორუფცია, პასუხისმგებლობის დეფიციტი, პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო ბრალდებები, რამაც მიზანში ამოიღო სააკაშვილის რამდენიმე ოპონენტი.

მისი გადარჩენის ერთადერთი შანსი? ოპოზიციის კანდიდატები ბევრად უკეთესად არ გამოიყურებიან.

**ანი ლოური**

# ბუშის მონდომებული ჯალათები

**რაც უფრო მეტს ვიგებთ ბუშის ადმინისტრაციის რეჟიმზე, სურათი მით უფრო მძიმდება. სენატის სადაზვერვო კომისიის მიერ ოთხშაბათს გავრცელებულმა ანგარიშმა საერთო კონტურებში მოხაზა წამების ის სპეციფიკური მეთოდები, რომელთა გამოყენებაც ბევრად უფრო ადრე დაიწყეს, ვიდრე იუსტიციის დეპარტამენტის იურისტებმა პროგრამას ლეგიტიმური ძალა მიანიჭეს. ბუშის ადმინისტრაციის ერთიმეორეზე მიყოლებულმა მცდარმა ნაბიჯებმა არაკომპეტენტურობის გამაოგნებელ ხარისხს მიაღწია, მაგრამ მხოლოდ სისულელით ვერ ახსნი იმას, თუ რატომ იქცა შეერთებული შტატები ქვეყნად, სადაც ადამიანებს აწამებენ. ალბათ, მაოსა და პოლ პოტის გზით აშშ სისასტიკისადმი მიდრეკილებამ უფრო წაიყვანა. ჩვენ ჩვენივე მტრებად ვიქეცით.**

theguardian

უკვე ვიცით, რომ ბუშის ადმინისტრაციამ ეს მეთოდები საწვრთნელი სამხედრო პროგრამიდან ისესხა. ამ პროგრამას „გადარჩენა, თავის არიდება, წინააღმდეგობის გაწევა და გაქცევა" ერქვა და იმისთვის შეიქმნა, რომ ამერიკელი მფრინავები და სპეციალური შენაერთები იმ მეთოდების შესახებ ყოფილიყვნენ ინფორმირებულები, რომლებსაც ჩინელები და ჩრდილოკორეელი კომუნისტები კორეის ომის დროს იყენებდნენ, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, თუ როგორ მკვირცხლად მიმართეს ამერიკელებმა ჩინელებს, რათა მათგან წამების საკუთარი რეჟიმის შესაქმნელად დახმარება მიეღოთ.

როგორც კი აშშ შეიარაღებულმა ძალებმა ავღანეთში „ალ-ქაიდასა" და თალიბების წევრების დაპატიმრებები დაიწყეს, ბუშის ადმინისტრაცია მათი წამების გეგმის შემუშავებას შეუდგა. დაახლოებით 2002 წლისთვის, მანამდე, სანამ ბუში განაცხადებდა, რომ ჟენევის კონვენცია გათვალისწინებული არ იქნება და სანამ იუსტიციის დეპარტამენტმა პროგრამა კანონიერად ცნო, პენტაგონის ოფიციალურმა პირებმა ის გეგმა დაამუშავეს, რომელმაც მათ „წითელი ჯვრისგან" პატიმრების საიდუმლო ადგილებში გადამალვისა და მათ წინააღმდეგ ვოთერბორდინგის, ძილის დეპრივაციის, ფიზიკური ძალადობისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამოყენების საშუალება მისცა.

**სენატის ანგარიშის თანახმად, SERE-ს ტრენერები ბუშის ადმინისტრაციას „რამდენიმე მნიშვნელოვანი" პრობლემის შესახებ აფრთხილებდნენ, მათ შორის, იმაზეც, რომ წამება არ არის დაკითხვის იმდენად ეფექტიანი მეთოდი, როგორც სხვა საშუალებები, რომ ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია ნაკლებად სანდოა, რომ უნებლიეე ზარალი რეალურადაა გარანტირებული და თუ წამების პროგრამა გახმაურდება, ეს აუცილებლად გამოიწვევს საშინელ უკურეაქციას. ეს გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რადგან SERE-ს პროგრამა იმ მეთოდებსა და ტექნოლოგიას ეფუძნებოდა, რომელთა მეშვეობითაც კორეისა და ვიეტნამის ომის დროს ამერიკელ ტყვეებს ყალბი აღიარების მიცემას ასწავლიდნენ.**

მაგრამ ყალბი აღიარებები ბუშის ადმინისტრაციისთვის დიდი შეშფოთების მიზეზს არ წარმოადგენდა, რადგან, სენატის ანგარიშის თანახმად, ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი და თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი „ალ-ქაიდას" ტყვეების წამებას ერთი მიზნით მოითხოვდნენ — აღმოეჩინათ მათ ტერორისტულ ორგანიზაციებსა და სადამ ჰუსეინს შორის არარსებული კავშირები.

**სენატის ანგარიშში ნათქვამია: — „გუანტანამოში დაკითხვების პროცესში ჩართულმა აშშ არმიის ყოფილმა ფსიქიატრმა გამომძიებლებს უთხრა: — „სანამ ჩვენ იქ ვიყავით, ჩვენი დროის დიდი ნაწილი „ალ-ქაიდასა" და ერაყს შორის კავშირის დადგენას დავუთმეთ, მაგრამ „ალ-ქაიდასა" და ერაყს შორის კავშირების დადგენაში წარმატებას ვერ მივაღწიეთ. რაც უფრო უიმედოდ გამოიყურებოდა კავშირების მოძიების შესაძლებლობა,... მით მეტ ზეწოლას მიმართავდნენ იმისთვის, რომ მყისიერი შედეგების მისაღებად შესაბამისი ზომებისთვის მიგვემართა".**

ჩეინიმ და რამსფელდმა იცოდნენ, რომ არსებობდა კავშირი „ალ-ქაიდასა" და სადამს შორის. დაკითხვის ტრადიციული მეთოდებით ამის გარკვევა ვერ ხერხდებოდა, ეს კი წამების გამოყენების გასამართლებელ საბუთად იქცა. ის ფაქტი, რომ წამებითაც ვერ მოხერხდა შეკვეთილი ინფორმაციის მიღება, წამების კიდევ უფრო ინტენსიურად გამოყენების გამამართლებელი საბაბი გახდა. პენტაგონის ექსპერტი ამბობს, რომ „ხალიდ შეიხ მოჰამედისთვის ჩატარებული ვოთერბორდინგის 183-მა სეანსმა შედეგად ვერ გამოიღო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება. ის ცდილობდა, გაეგებინებინა ჩვენთვის, რამდენად სულელები ვართ".

არაკომპეტენტურობის ხარისხი უკიდურესად შემაშფოთებელია, მაგრამ, ამავე დროს, აბსოლუტურად არარელევანტური — ცხადი სურათის შესაქმნელად. ბუშის ადმინისტრაციას წამება სურდა. მათი უმთავრესი ინსტინქტი ძალადობისკენ იყო მიმართული. სასამართლო გადაწყვეტილებებს უკუქმედებით იყენებდნენ და ყველა გადაწყვეტილება იმისთვის მიიღებოდა, რომ პატიმრების წინააღმდეგ ძალა გამოეყენებინათ. ისინი ტკივილისა და წამების სხვადასხვა მეთოდს იგონებდნენ. როგორადაც უნდა სცადონ ამ ქმედებების რაციონალიზაცია, სისასტიკისადმი მათ, მისწრაფება უპატიებელია.

**მთელი ყურადღება წამების აღმნუსხველმა დოკუმენტებმა და ორად ორი პატიმრის წინააღმდეგ 226-ჯერ გამოყენებულმა შემაძრწუნებელმა ვოთერბორდინგმა მიიპყრო. შესაძლოა, ძალიან ადვილად დაგვავიწყდეს ის, თუ როგორ იყო გავრცელებული წამება ბუშის ადმინისტრაციის მმართველობისას და როგორ დაემსგავსა შეერთებული შტატების მთავრობა მსოფლიოში ცნობილ ყველაზე დესპოტურ რეჟიმებს. ათობით პატიმარი უგზოუკვლოდ გაქრა, მათ ქუჩაში აპატიმრებდნენ და საიდუმლო სატუსაღოების არქიპელაგის გზას უყენებდნენ. წამება კონტროლიდან გამოვიდა, ძალადობა ავღანეთიდან გუანტანამომდე და ერაყამდე რუტინულ მოვლენად იქცა. 2001 წლიდან 100-ზე მეტი პატიმარი ამერიკულ ციხეებში დაიღუპა.**

საქმე მენტალიტეტს ეხება; მენტალიტეტს, რომელიც წამებას ამართლებს. ობამას ადმინისტრაციის მიერ წამების შესახებ გამოქვეყნებული ჩანაწერების გარშემო ატეხილმა დებატებმა გამოავლინა, რომ უამრავი ამერიკელი მზადაა, დაიცვას ყველაზე საზარელი მეთოდები, რადგან, მათი თქმით, ჩვენ ამით თავის გადარჩენა შევძელით. მათი ცნობიერების შეცვლა აუცილებელია.

**ობამას ადმინისტრაციის დაჟინებული სურვილი, უბრალოდ გადაეფურცლა ეს შავბნელი ფურცელი, მისაღები აღარ არის. თუ გვინდა, რომ აღარასოდეს განმეორდეს ის, რაც მოხდა, უნდა ვაღიაროთ და უნდა მივაღწიოთ კონსენსუსს იმის გარშემო, რომ წამება არაკანონიერი, ამორალური, არაეფექტიანია და შეერთებულ შტატებს საშინელი დარტყმა მიაყენა. მე ვშიშობ, რომ თუ ამას ახლა არ გავაკეთებთ, შემდეგში, როდესაც ხელისუფლებაში ჯალათები ისევ მოვლენ, მათ საკუთარი ქმედებების გასაიდუმლოება აღარ დასჭირდებათ.**

**კენ გუდი**

# მიხეილს ჰააგაში ელიან...

THE BERKELEY DAILY PLANET

**საქართველოში ამ ბოლო დროს მიმდინარე დემონსტრაციებს, რომლებმაც თბილისის ქუჩებში ათობით ათასი ადამიანი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით გამოიყვანა, საფუძვლად უდევს ევროპის კავშირის მიერ დაწყებული გამოძიება. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუ ვინ დაიწყო გასული ზაფხულის რუსეთ-საქართველოს ომი. გერმანულ გაზეთ „შპიგელის" რეპორტაჟის თანახმად, „საიდუმლო დოკუმენტმა შეიძლება დაადასტუროს, რომ სამხრეთ ოსეთის ომი საქართველოს პრეზიდენტმა დაგეგმა".**

რუსეთი ამტკიცებს, რომ ქართულმა ჯარმა შარშან, 7 აგვისტოს, სამხრეთ-ოსეთზე მოულოდნელი შეტევა დაიწყო, მაგრამ სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველო 150 რუსული ტანკის ინტერვენციისაგან, უბრალოდ, თავს იცავდა, რომლებმაც სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის დამაკავშირებელი როკის გვირაბი გადმოლახეს. ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთის ნაწილია.

მაგრამ ევროკავშირის გამოძიებამ მიაკვლია „ბრძანება №2"-ს, რომელიც 7 აგვისტოთია დათარიღებული. იგი აჩვენებს, რომ საქართველო თავს კი არ იცავდა, არამედ სამხრეთ ოსეთში „კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად" მოქმედებდა. ევროკავშირმა ყურადღებით შეისწავლა ქართველი გენერლის მამუკა ყურაშვილის სატელევიზიო ინტერვიუ, რომელშიც ის ზუსტად ამ სიტყვებს წარმოთქვამდა. პრეზიდენტმა 8 აგვისტოს განაცხადა: — „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გათავისუფლებულია". 11 აგვისტომდე მას არ უთქვამს, რომ საქართველო თავდაცვის მიზნით მოქმედებდა. იმ მომენტისთვის რუსულმა ჯარმა უკვე გამოაძევა ქართული არმია სამხრეთ ოსეთიდან და თბილისთან 31 მილის მანძილზე შეჩერდა. ომი ხუთ დღეს გაგრძელდა.

**„გენერლის შენიშვნები, — იტყობინება „შპიგელი", — მიანიშნებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ იგერიებდა „რუსულ აგრესიას", რასაც ის დღემდე ამტკიცებს, არამედ გეგმავდა თავდასხმით ომს".**

ევროკავშირის კომისიამ დაკითხა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ანატოლი ნოგოვიცინი, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთმა მოიპოვა „ბრძანება №2" და იქ მართლაცაა ლაპარაკი კონსტიტუციური წესრიგის აღდგენაზე. **„თუ ბრძანება, რომელიც რუსეთის სადაზვერვო სამსახურებმა ხელში ჩაიგდეს, ავთენტიკურია, ეს იქნება იმის დასტური, რომ სააკაშვილი ტყუის", — წერდა „შპიგელი".**

გამოძიებამ დაადგინა, რომ 7 აგვისტოსთვის 12 000 ქართველ სამხედროსა და 75 ტანკს სამხრეთ ოსეთის საზღვართან მოუყარეს თავი. რუსულ ტანკებს 8 აგვისტომდე გვირაბი არ გაუვლიათ, მაგრამ კომისია ასევე კრიტიკულად აფასებს რუსებს სამხრეთ ოსეთის მოვლენებში ჩარევისა და იმის გამო, რომ არ აღკვეთა ოსების მიერ ზოგიერთი ქართული სოფლის განადგურება, თუმცა, „შპიგელის" თქმით, — „ევროკავშირის გამოძიება, როგორც ჩანს, უფრო თბილისს შეუქმნის პრობლემებს, ვიდრე მოსკოვს".

ქართველებმა კომისიას „ბრძანება №2"-ის შესწავლაზე უარი უთხრეს და განაცხადეს, რომ ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა, ხოლო ქართველი მინისტრი თემურ იაკობაშვილი ამბობს, რომ გამოძიებას რუსული გაზის გიგანტი „გაზპრომი" აფინანსებს. კომისიის წევრები, რომელთა შორის არიან შვეიცარელი დიპლომატი ჰეიდი ტალივიანი და გერმანიის ყოფილი ელჩი საქართველოში უვე შრამი, უარყოფენ ამ ბრალდებას. გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი იოშკა ფიშერი კომისიის მრჩეველია.

**სააკაშვილი, რომელიც 2003 წელს მოვიდა ხელისუფლებაში, აცხადებს, რომ არ აპირებს გადადგომას და თავის საპრეზიდენტო ვადას ბოლომდე — 2013 წლამდე მიიყვანს, მაგრამ დემონსტრანტები ამბობენ, რომ არ დაიშლებიან, სანამ სააკაშვილი არ გადადგება და ვადამდელ არჩევნებს არ დანიშნავს.**

ალყაშემორტყმული პრეზიდენტი ოპოზიციასთან მოლაპარაკების სურვილს გამოთქვამს, მაგრამ იმ ადამიანების უმეტესობა, რომლებიც პარლამენტის შენობასთან დაბანაკდნენ, „მოლაპარაკებებს" ხრიკს უწოდებს. „ის ამ სიტყვებს მხოლოდ შეერთებული შტატებისა და ევროპის გასაგონად ამბობს, — განუცხადა გლეხმა ამირან ცეცხლაძემ „ნიუ-იორკ თაიმსს", — მაგრამ აქ არავის სჯერა, რომ მას მართლაც სურს დიალოგი".

საკითხი განსჯისათვის: 2007 წელს მხოლოდ გერმანიისა და საფრანგეთის ოპონირებამ შეუშალა ხელი ბუშის ადმინისტრაციას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებაში (ნატო). მიუხედავად იმისა, რომ ობამას ადმინისტრაცია ჯერჯერობით არ ცდილობს საქართველოს შეყვანას ალიანსში, ქვეყნის გაწევრიანება მაინც დღის წესრიგში დგას. თუ საქართველო რუსულ-ქართული ომის დროს ნატოს წევრი იქნებოდა, მაშინ უნდა ამოქმედებულიყო მუხლი №5, რომელიც მოითხოვს, რომ წევრ ქვეყნებს საქართველოსთვის დახმარება აღმოეჩინათ და ნატო რუსეთთან ომში ჩაბმული აღმოჩნდებოდა.

**კონ ჰალინანი**

# ნიკიტა ხრუშჩოვის 61 ტყუილი



**ბოლო ხანების ერთ-ერთი უჩვეულო სიახლე ნონ-ფიცტიონ-ის ჟანრში ამერიკელი ისტორიკოსის, მონკლერის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, გროვერ ფერის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „ანტისტალინური სისაძაგლეები" გახლავთ („ალგორითმი," 2007), რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ნ. ხრუშჩოვის ცნობილი მოხსენება სკკპ XX ყრილობაზე. მოკლე ხანში წიგნს ათასობით მკითხველი გაეცნო; ის ბესტსელერების კატეგორიაში მოხვდა და პირველი კრიტიკოს-მკითხველების გაკილვისა თუ ქების საგნად და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაც იქცა. ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიეთ თავად პროფესორ ფერთან გასაუბრება, რათა უფრო ახლოს გავცნობოდით ავტორს და გაგვეგო მისი აზრი.**

**— პროფესორო, როგორ მოხდა, რომ თქვენ, პრინსტონის კურსდამთავრებული, ვისი დისერტაციაც, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, შუა საუკუნეების საფრანგეთს მიეძღვნა, საბჭოთა ისტორიითა და სტალინის ეპოქით დაინტერესდით?**

— ჩემი ძირითადი სპეციალობა მედიევისტიკაა. რაღაც განსაკუთრებული სერტიფიკატი, რომელიც სტალინის დროინდელი სსრ კავშირის ისტორიის შესწავლის უფლებას მომცემდა, არ მაქვს. სამაგიეროდ, სტალინის ეპოქის შესწავლისას ისტორიულ კვლევათა პროფესიული უნარ-ჩვევები შევიძინე; მაგალითად, არაინგლისურენოვანი პირველწყაროების კითხვისა და გამოკვლევისა; „საყოველთაოდ მიღებული" თვალსაზრისის ეჭვის ქვეშ დაყენება; „აღიარებული ავტორიტეტების" მოსაზრებების უნდობლობა, თუკი თავად არ დავრწმუნდები რაიმეში.

ასპირანტობისას, 1965-69 წლებში, ვიეტნამში ამერიკის ომის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში ვმონაწილეობდი. და აი ერთხელ, ვიღაცამ მითხრა: ვიეტნამელ კომუნისტებს არ შეუძლიათ „კარგი ბიჭები" იყვნენ, ისინი „სტალინისტები" არიან, ხოლო „სტალინმა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი დახოცა."

ეს შენიშვნა დამამახსოვრდა, ამიტომ 1970-იანი წლების დასაწყისში რ. კონკვესტის „დიდი ტერორი" წავიკითხე და გაოგნებული დავრჩი!

აღსანიშნავია, რომ უკვე იმ დროს რუსულად ვკითხულობდი, რადგან ამ ენის შესწავლა ჯერ კიდევ სკოლაში დავიწყე. კონკვესტის თხზულებაც გამოწვლილვით დავამუშავე. ჰოდა, მაშინ მივხვდი, რომ ისტორიული მოწმობანი ავტორმა „დიდ ტერორში" აშკარად თაღლითურად გამოიყენა. მისი დასკვნები უბრალოდ არ შეესატყვისება იმ ცნობებს, რაც კონკვესტს მტკიცებულებებად მოჰყავს თავის წიგნში. საერთოდ კი, მისი წყაროები სტალინის მიმართ მტრობის ხარისხით არის შერჩეული, მიუხედავად მათი არასანდოობისა ან უტყუარობისა.

ბოლოს დამებადა იდეა, საკუთარი გამოკვლევები ჩამეტარებინა ე.წ „ტერორის" თემაზე. სამუშაომ დიდი დრო წაიღო. პირველმა სტატიამ „ძველი ისტორიები ახლებურად მარშალ ტუხაჩოვსკიზე" დღის სინათლე მხოლოდ 1988 წელს იხილა. ეს ახალი ისტორიული სკოლის დაბადებას დაემთხვა და მე მეცნიერ-მკვლევარების: ჯონ არჩ გეტის, რობერტ ტერსტონის, რობერტ მენინგის, შეილა ფიცპატრიკის, ჯერი ჰაუს, ლუის ზიგელბაუმის, ლინ ვიოლას ნაშრომების შესწავლა დავიწყე.

**— ჩემი ვარაუდით, ეს სახელები ძალიან ცოტას ეუბნება რუს მკითხველს. ძნელი წარმოსადგენია, რომ კონკვესტის შემდეგ რომელიღაც ახალი დასავლური „სკოლის" წარმომადგენლებს უნარი შესწევთ, რაღაც სიახლე შეიტანონ საბჭოთა კავშირის ისტორიის გააზრებაში...**

— სწორედაც რომ პირიქითაა. სკოლა, რომელზეც მე ვლაპარაკობდი, წარმოიშვა, როგორც კონკვესტისა და „ცივი ომის" დროინდელი ტოტალიტარული სოვეტოლოგიის კონცეფციების ანტითეზა. ყველა არსებული მოწმობების დაზუთხვის შემდეგ, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ობიექტურობის შენარჩუნების მცდელობით. ახალი სკოლის მკვლევარებმა საბჭოთა წარსულის ტროცკისტული, ხრუშჩოვისეული და გორბაჩოვ-ელცინისეული ინტერპრეტაციის შეუმდგარობა თვალსაჩინოდ წარმოაჩინეს. ამ უკანასკნელებმა პოლიტიკური მიკერძოებულობით საკუთარი თავის კომპრომეტირება ისე მოახერხეს, რომ მათი თხზულებები პროპაგანდის მაგალითებს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიულ ნაშრომებს.

მეცნიერულ სამყაროში ნამდვილ სენსაციად იქცა ახალი სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებლის ჯ. ა. გეტის წიგნი „დიდი წმენდის სათავეები," რომელშიც მეცნიერმა მრავალი ყბადაღებული მითი გააბათილა, მათ შორის, წარმოდგენები 1930-იანი წლების რეპრესიებზე, როგორც სტალინის მიერ წინასწარ დაგეგმილ აქციებზე. მეცნიერის მთელი „უბედურება" ის იყო, რომ ამერიკაში მისი ნაშრომი „პერესტროიკის" წლებში გამოაქვეყნეს, როცა „საჯაროობის" საფარველქვეშ სსრ კავშირში მასობრივი ტირაჟებით გამოდიოდა მხოლოდ მისი ოპონენტების ლიტერატურა.

**ჰოდა, საიდან უნდა შეიტყოს რუსმა მკითხველმა გეტის პიონერული ნაშრომების შესახებ, თუკი არც ერთი მისი წიგნი რუსეთის ისტორიის შესახებ თავად რუსეთში აქამდე არ გამოცემულა?**

ასეთ მდგომარეობაშია ჩემ მიერ დასახელებულ ისტორიკოსთა უმეტესობა. საბედნიეროდ, არსებობს სხვა მაგალითებიც: რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთ უკრაინულ ინტერნეტჟურნალში გამოქვეყნდა დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორის მ. ტაუგერის არაჩვეულებრივი ნაშრომი, რომელმაც ნაცარტუტად აქცია ნაცისტური მითი ხელისუფლების მიერ ინსპირირებული „შიმშილობის" შესახებ 1932-33 წლებში.

**— რას იტყვით ხრუშჩოვის მოხსენების შესახებ, რომელიც მან XX ყრილობაზე გააკეთა, რამ წარმოშვა ინტერესი მის მიმართ?**

— „დახურული," ანუ, როგორც დასავლეთში ამბობენ, ხრუშჩოვის „საიდუმლო" მოხსენება, გაზვიადების გარეშე, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოსვლაა. ვინც როგორ უნდა შეაფასოს მოხსენება, ამ სიტყვამ რადიკალურად შეცვალა სსრ კავშირისა და რუსეთის ისტორია. საგულისხმოა, რომ სწორედ ეს გამოსვლა იქცა „ანტისტალინიზმის" პოლიტიკური კონცეფციის ერთ-ერთ ღერძად.

მოკლედ, ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს გვერდს ვერ აუვლის ვერავინ, ვინც საბჭოთა კავშირის წარსულითაა დაინტერესებული.

**— სწორედაც რომ: თემა საკმაოდ გაცვეთილია. თქვენი აზრით, რით აიხსნება ინტერესი „ანტისტალინური სისაძაგლეებისადმი"?**

— ძნელი სათქმელია. დაე, მკითხველმა განსაჯოს... როცა ნაშრომზე მუშაობას ვიწყებდი, მხოლოდ ის მინდოდა, რომ „დახურული" მოხსენების „გამოსააშკარავებელი" თეზისები შემედარებინა ისტორიული მოწმობებისთვის, რომლებიც ცნობილი შეიქნა ყოფილი საბჭოთა არქივებიდან ამოღებული დოკუმენტების წყალობით. ასეთი კვლევების ჩატარება რუს და, ვთქვათ, ჩინელ ისტორიკოსსაც შეეძლო: ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მეცნიერთა განკარგულებაში აღმოჩნდა ბევრი ახალი წყარო, რომლებიც ხრუშჩოვის გამოსვლის ნებისმიერი თეზისის ობიექტური შეფასების საშუალებას იძლეოდა. სწორედ აქ წარმოჩინდა საინტერესო სურათი:

**როგორც გაირკვა, მოხსენების ყველა „სამხილებელი" მტკიცებულებიდან, რომლების შემოწმებას ექვემდებარებოდა, არც ერთი არ აღმოჩნდა უტყუარი. არც ერთი!**

ამ ტყუილებიდან ზოგიერთი უწინაც იყო ცნობილი, მაგალითად, თავად დახურული სხდომის მიმდინარეობისას ყრილობის ზოგიერთმა დელეგატმა შენიშნა, რომ ხრუშჩოვის ზოგი „სამხილი" (იმ აბსურდული განცხადებისა არ იყოს, თითქოს სტალინი სამხედრო ოპერაციებს „გლობუსზე" გეგმავდა), რბილად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტებისგან შორს იდგა. მაგრამ მთელი მოხსენება რომ ასეთი „სამხილებისგან" შედგებოდა, მართლაც გასაოცარი იყო.

**— ხომ არ აზვიადებთ? მოხსენებაში რომ სიცრუის კორიანტელი დგას, ცოტა ძნელი დასაჯერებელია. თქვენ, უბრალოდ, იცავთ სტალინს და ამ მიზნით ამცირებთ ხრუშჩოვსა და მის ეპოქალურ მოხსენებას.**

— იმედი უნდა გაგიცრუოთ:

**არც სტალინს ვიცავ და არც სხვას. როგორც მკვლევარსა და მეცნიერს, საქმე მტკიცებულებებსა და ფაქტებთან მაქვს. კვლევის საგანი ხრუშჩოვის სიტყვა რომ ყოფილიყო, ვთქვათ, კოსმოსზე, სიმინდზე ან სკკპ-ს პროგრამაზე, საჭირო იქნებოდა იმ წყაროების შესწავლა, რომლებიც საგნობრივ სფეროს განეკუთვნება. მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემი კვლევების თემად იქცა მოხსენება, რომელიც სტალინისა და ბერიას დანაშაულს ამხელდა.**

მე გამოვკვეთე 61 „მამხილებელი" მტკიცებულება. თითოეული მათგანი ისტორიული მოწმობების პრიზმაშია გამოკვლეული და, როგორც საბოლოოდ გაირკვა,

**„დახურულ" მოხსენებაში ხრუშჩოვს ისეთი სიტყვა არ დასცდენია სტალინსა და ბერიაზე, რომელიც შეიძლებოდა, სიმართლე ყოფილიყო.**

„სტალინის დაცვა" აქ არაფერ შუაშია: მტკიცებულებების ტვირთი საბრალდებო მხარეს ეკისრება, ხოლო „დახურული" სხდომის ყველა „მამხილებელი" მოწმობა, როგორც მტკიცებულება, არშემდგარია!

ახლა რაც შეეხება „რწმენას," არც ერთ სერიოზულ მკვლევარს უფლება არ აქვს, რაიმე მიიჩნიოს ჭეშმარიტებად თავისი მოსაზრებების ან არჩევანის მიხედვით, მოსწონს ეს ვისმეს თუ არა, მაგრამ „ანტისტალინურ სისაძაგლეებში" წარმოდგენილ მეცნიერულ-ისტორიული მტკიცებულებების შუქზე საბჭოთა კავშირის ისტორიის განხილვა „დახურული მოხსენების" მრუდე სარკეში აღარ შეიძლება.

**— სხვათა შორის, „ანტისტალინური სისაძაგლეები" არცთუ შესაფერისი სახელწოდებაა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომისათვის, ასეა?**

— წიგნი ბიბლიოგრაფიული და სახელობითი მაჩვენებლებით, დანართში დოკუმენტებითა და ცნობებით, ანუ სოლიდური აკადემიური გამოცემებისთვის წაყენებული ყველა მოთხოვნის დაცვით გამოვიდა, თანაც, დიდი ტირაჟით. სხვა რა უნდა ისურვოს ავტორმა?

**— და მაინც, რაღაც შეუსაბამობაა. ერთი მხრივ, ხრუშჩოვის გამოსვლა, როგორც თქვენ წერთ, სიცრუეზეა აგებული, მეორე მხრივ, სსრ კავშირის ხელმძღვანელობის სათავეში არავინ მოიძებნა ისეთი, ვინც „სამხილების" სიყალბეს დაამტკიცებდა.**

— უფრო მეტიც, თავისი დუმილით ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი ხრუშჩოვს და სწორედ აქ იჩენს თავს ერთობ დამაინტრიგებელი საკითხი.

ფართოდ გავრცელებული წარმოდგენების საწინააღმდეგოდ, „დახურული" მოხსენების მთავარი სამიზნე იყო არა სტალინი, არამედ პოლიტიკური კურსი და გარკვეული ტენდენცია, რომელიც მის სახელს უკავშირდებოდა. რუსი ისტორიკოსი იური ჟუკოვი პირდაპირ მიუთითებს:

**ხრუშჩოვის მიზანი გახლდათ, ბოლო მოეღო დემოკრატიული რეფორმებისათვის, რომლების სტალინის სიცოცხლეში დაიწყო და ვერ დასრულდა.**

დღეს (და უნდა ითქვას, არცთუ ხრუშჩოვის მოხსენების ზეგავლენის გარეშე) „სტალინი" და „დემოკრატია" — ბევრის წარმოდგენაში სიტყვა-ანტიპოდებია, ცნებებია, რომლებიც ორშეუთავსებელ უკიდურესობას, პოლარული თვისებების მქონე მოვლენებს აღნიშნავს, თუმცა ასეთი მოსაზრება მცდარია. სტალინი ლენინის აზრებს იზიარებდა წარმომადგენლობით დემოკრატიაზე და სსრკ სახელმწიფო მოწყობაში მისი პრინციპების დამკვიდრებისკენ მიისწრაფვოდა. სწორედ სტალინი edga სათავეში საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისთვის ბრძოლას, რომელიც 1930-1950-იანი წლების სსრკ-ში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შუაგულში აღმოჩნდა. ამ ბრძოლის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ კომპარტიის როლი სახელმწიფოს მართვაში „ნორმალურ" (როგორც სხვა ქვეყნებში) საზღვრებში მოქცეულიყო, ხოლო სახელმწიფო მმართველთა დაწინაურება არა პარტიული სიებით, არამედ დემოკრატიული პროცედურების საფუძველზე მოხმდარიყო.

არა მხოლოდ ხრუშჩოვი, არამედ, ეტყობა, სხვა საბჭოთა ლიდერებიც არ ეთანხმებოდნენ ასეთი რეფორმების კურსს. ყოველ შემთხვევაში, მალენკოვი, მოლოტოვი და კაგანოვიჩი — სტალინთან დაკავშირებული ყველაზე დიდი პოლიტიკური ფიგურები, თუნდაც უხალისოდ, მაგრამ მაინც დაეთანხმნენ „დახურული" სხდომის ფარულ ქვეტექსტს. ხელისუფლების სათავეში მოსვლა ხრუშჩოვმა მხოლოდ იმიტომ შეძლო, რომ თავის მხარეზე გადაიბირა საბჭოთა პარტიული ელიტა.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი იური ჟუკოვსა (რუსეთი) და ჯონ ა. გეტის (აშშ) — ისტორიკოსებს, რომელთა ნაშრომებმაც შთამაგონეს „დახურულ მოხსენებაზე" მუშაობა და რომლებმაც ხელახლა აღმოაჩინეს, ჯერ კიდევ ხრუშჩოვის ხანაში, დემოკრატიის პრინციპებისადმი სტალინის მისწრაფებების საიმედოდ მიჩქმალული ფაქტი.

**ს. ხარციზოვი**
**„ლიტერატურნაია როსია"**

29 აპრილი - 5 მაისი, 2009 წელი. №10
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ პირველი ნომრის გამოსვლიდან ორიოდე თვე შესრულდა და ამ მცირე დროში მის უდავო პოპულარობაზე მეტყველებს მკითხველთა გამოხმაურებები: ელექტრონული ფოსტით გვწერენ, ტელეფონით გვეხმიანებიან, გვსტუმრობენ რედაქციაში და თავიანთ გულისტკივილსა თუ მოსაზრებებს გვიზიარებენ ადამიანები, ვისთვისაც სულერთი არ არის, როგორი იქნება ხვალინდელი საქართველო. რედაქცია გულისყურით ისმენს თითოეული მათგანის აზრს და ყურადღებით ეცნობა შემოსულ კორესპონდენციას. ამჯერად გთავაზობთ ჩვენი აქტიური მკითხველების წერილებს. შესაძლოა, მათში გამოთქმული მოსაზრებები მკითხველს დაგვიანებული მოეჩვენოს, მაგრამ, ვფიქრობთ, აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას

„საქართველოს ცხოვრებაში ახლახან, თებერვლის თვიდან, დიდად ორიგინალურმა, შინაარსით ღრმა და მიმზიდველმა გაზეთმა წყნარად და დინჯად შემოაბიჯა და პირველივე ნომრებიდან მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ეს გახლავთ ყოველკვირეული „საქართველო და მსოფლიო“ — 32 გვერდი; ეს მთელი წიგნია შეღავათიანი ფასით. ამ გაზეთის ხიბლი, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ შინაარსით არის ღრმად ინტელექტუალურ-ანალიტიკური, ობიექტური, ჭეშმარიტად მართალი, რომელსაც ერუდირებული ჟურნალისტ-პუბლიცისტური კოლექტივი ჰყავს. გაზეთის ორიგინალობის ერთ-ერთ შტრიხად მიგვაჩნია ის, რომ მის ყველა ნომერში ქვეყნდება საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა — როგორც პოზიციიდან, ისე ოპოზიციიდან — ვრცელი ფსიქოტიპური დახასიათებები. ამ დახასიათებათა ავტორებმა — ფსიქოლოგ პროფესორებმა მარინა ბალიაშვილმა და ზურაბ გაგნიძემ, რომელიც ამავე დროს ფილოლოგიის დოქტორიცაა, გასაოცარი მათემატიკური სიზუსტით დაგვიხატეს ნ. ბურჯანაძის, მ. სააკაშვილის, ლ. გაჩეჩილაძის, კ. გამსახურდიას და სხვათა პორტრეტები. მადლობა მათ ამ შრომისათვის.

მკითხველებს მოვუწოდებთ: მუშტრის თვალით მიუბრუნდით ამ დიდებული გაზეთის ყველა ნომერს და დიდ შინაგან კმაყოფილებას მიიღებთ!

ჩვენ კი ულრმეს მადლობას ვუძღვნით გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ნიჭიერ კოლექტივს უაღრესად მსუყე, ჯანსაღი სულიერი საზრდოს მოწოდებისათვის; ვუსურვებთ მას დიდ წარმატებებს ქართველიხალხის ეროვნულ-პატრიოტული მსოფლმხედველობით აღზრდის უძნელეს გზაზე.

**გივი გურეშიძე,**
მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი;
**ნუგზარ ავალიანი,**
მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი;
**ზურაბ კაჭკაჭიშვილი**
ინჟინერ- ტექნოლოგი;
**სურენ მარტიროსიანი,**
ფილოლოგი, პედაგოგი.
ქუთაისი, აპრილი, 2009 წ.

# „ზოგი მკვდარი ბევრ ცოცხალს სჯობს, ზოგი ცოცხლადაც მკვდარია“

## წერილი მიხეილ სააკაშვილს

ჩემო მიშა! ზოგმა შეიძლება იფიქროს — რატომ ასეთი ფამილარული მიმართვა პრეზიდენტისადმი? მოგახსენებთ. ჯერ ერთი, შვილიშვილის თუ არა, შვილის ტოლი მაინც ხარ, და მეორე, რაც მთავარია, შენ მიერ პირველ არჩევნებში მიღებული ხმებიდან ჩემი ჩასაწყვეტი ხმაც ურევია. ასე რომ, უფლება მაქვს, ასე მოგმართო.

ახლა კი — საქმეზე.

ამასწინათ ტელევიზიით ვუყურებდი შენს გამოსვლას და ვფიქრობდი: რა უმადური ხალხი, კაცი (შენ) ამდენს შრომობ ხალხისთვის, დღესა და ღამეს ასწორებ ხალხზე ფიქრით ცაში, ხმელეთზე თუ წყალში და, რად გინდა, ვინ გიფასებს (მხოლოდ ზოგიერთები, შენი გარემოცვიდან)? ისე, შენი გარემოცვაც კარგი ხვითოები არიან. ალბათ, შენი შურთ, თორემ ასე არ მოიქცეოდნენ. ავიღოთ ამასწინათ ტელევიზიით შენი გამოსვლა მთავრობის სხდომაზე. როცა იკითხე დენისა და გაზის ტარიფების შესახებ და, რომ გაიგე ტარიფების გაზრდის შესახებ (კინაღამ ელდა გეცა), იმავ წუთს გაეცი ბრძანება ხალხისთვის (პენსიონერებისათვის, შერჩევით, ანუ არა ყველას) 50-50-ლარიანი ვაუჩერების (რაიონებში დამატებით 50 კგ ფქვილის) დარიგების შესახებ. ასე უნდა ხალხზე ზრუნვა, მააშ!

შენი გარემოცვის მისამართით მინდა საყვედურის გამოთქმა. თქვე კაი დედმამიშვილებო, ამ თქვენს მამამარჩენალს რომ უქმნით უსიამოვნო ვითარებას ხალხის თვალში, ამ ტარიფებს რომ ზრდიდით, მისულიყავით პრეზიდენტთან და გეკითხათ (ზრდილობის გულისთვის მაინც. გააქვთრო?), ასე ვაპირებთ და თქვენ რას იტყვითო? მაგრამ კარგად იცით ხალხზე მისი მზრუნველი გულის ამბავი, იქიდან ცოცხლები ვერ გამოასწრებდით, ისეთ რისხვას დაგატეხდათ თავზე, როგორ თუ ჩემს ხალხს ცხოვრების პირობებს უუარესებთო! ანდა ავიღოთ სურსათის ზოგიერთი სახეობის დეფიციტი. მაგალითად, მარილის (ყველაფერზე მარტო შენ უნდა იფიქრო?). როგორც კი გაიგე, რომ მოსახლეობას, თურმე, მარილი აკლდა (ნეტა რაში უნდა გამოიყენონ ეს მარილი?), იმავ წუთს ვანო მერაბიშვილს უბრძანე საკითხის მოგვარება. მანაც ციმციმ გიპატაკა, რომ რეზერვიდან გამოყოფილია გარკვეული რაოდენობა და ცოტა ხანში კიდევ მივაწვდითო. ასე რომ, მარილზე დეფიციტი მოხსნილია! ზოგიერთები კიდევ იძახიან, ეს რა უგერგილო მინისტრიაო. „მალადეც“, ვ. მერაბიშვილო! ისე, ამ კაცს ყველაფერი ხელეწიფება, რასაც დაავალებ. ისევ შენზე მინდა ვთქვა. რასაც შენ შრომობ და იხარჯები, ერთი წუთი დრო არ გაქვს, თავის მოსაფხანად და ცხვირის მოსაწმენდად არ გცალია. ცხვირის მოწმენდაზე გამახსენდა: შენ რომ ხალხზე ფიქრობ, აქაც ჩანს.

ცხვირის მოწმენდის მერე ცხვირსახოცს გარეცხვა ხომ უნდა? — უნდა. ამ შენს დასვრილ ცხვირსახოცს შენი მშვენიერი მეუღლე — სანდრა ხომ არ გარეცხავს?! აქაც გამოჩნდა შენი გამჭრიახობა. ვიღაცამ ხომ უნდა გარეცხოს... — უნდა გარეცხოს. შენ კი ამ ვიღაცის შრომას უფრთხილდები, ზედმეტად რატომ უნდა გაისარჯოს ვინმე? ეს ერთი. მეორეც, რეცხვას სჭირდება სარეცხი ფხვნილი, წყალი, ელექტროენერგია და სარეცხის მანქანა. აქაც კი უფრთხილდები სახელმწიფოს ქონებას (ვინაიდან პრეზიდენტი და მისი ოჯახი იმყოფება სახელმწიფოს კმაყოფაზე). აი, რამხელა ეკონომიას უკეთებ სახელმწიფოს, ესენი კი ვერ ხედავენ. მიდი, მიშა, გაუსვი და გამოუსვი. რა ცხვირსახოცი, რი ცხვირსახოცი. ახლა გამახსენდა ი. ნონეშვილის ლექსი, რომელიც ი. სტალინის ხსოვნას მიუძღვნა (შენ ჯვარი გწერია):

„მამავ ძვირფასო, ჩვენზე ფიქრში გათეთრებულო“... მახსენდება 2003 წლის შემოდგომა, როგორი გამხდარი და გადაღლილი იყავი. ახლა უკვე დასრულებული (ამბობენ, კარგი მადა აქვსო. ღმერთმა შეგარგოს. საქართველოში, ალბათ, კიდევ დარჩა რამე გასაყიდი), დაკაცებული ხარ. კაცი რომ შემოგხედავს, იტყვის: „რა დედამ გშობაო“, აფერუმ შენს გამზრდელს (ე. შევარდნაძესაც)! კიდევ კარგი, შენ გაჩნდი ამ ქვეყანაზე, თორემ რა ეშველებოდა საქართველოს? ქვეყანა საქმე გააკეთე: ეს ფასადების შეღებვაო, ეს კარუსელებიო, ეს ასფალტის დაგებაო (რა ფული აშოვნინე?), ეს შადრევნებიო (მართალია, წყლის ფულს ხალხი იხდის, მერე რა მოხდა. შადრევანი თუ უნდათ, ფულიც გადაიხადონ). და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ. და ეს ყველაფერი სულ რაღაც ოთხ წელიწადში. შენ თქვი, მეორე ვადით რომ მოვალ, უფრო მეტს გავაკეთებო. ამ უმადურებმა კი ატეხეს ერთი ყიყინი და გნიასი. ერთი ვადით არ გვეყო, ახლა მეორეც მოუნდაო (რასაკვირველია, ზოგიერთებმა. შენ ყურადღებას ნუ მიაქცევ, როგორც გჩვევია)? კაცო, მეფეები და იმპერატორები ათეულობით წლით რომ არიან ქვეყნის სათავეში და მათ უბატონოდ ხმას არავინ სცემს, რა, შენი 10-წლიანი „ხაზეინობა“, უკაცრავად,



პრეზიდენტობა გაუკვირდათ? მაგრამ „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს“. ხომ თქვა დეპუტატმა ხიდაშელმა შენზე, ჯერ ოცი წლით, მერე სამუდამოდ პრეზიდენტად მინდაო (სამუდამოდ, რა პატიმრობაა?) მ. სააკაშვილი. ამას ჰქვია ამაგის დაფასება. აბა, ის არის საქმე, კ. დავითაშვილმა და ი. ოქრუაშვილმა (მგონი, კიდევ ვიღაცეებმა) რომ გიგანეს? უმადურობაც ამას ჰქვია.

მეტი რა გითხრა, ჩემო მიშა, მიაწექი ბოლომდე.

შენ დაუკა!!!

მიშა ჩემო, დიდი ოჯერი რამე ყოფილა ეს ინტერნეტი, ჭორიკანა დედაკაცივითაა!

რამის დამალვა რომ გინდოდეს, ეს ოხერი არ დაგამალვინებს! საიტზე წავიკითხე და გაოცებული დავრჩი. ისე, შემირცხვენია ის ქვეყანა და მისი პრეზიდენტი, რომელსაც უცხო ქვეყნის (აშშ) ელჩი თავისთან დაიბარებს საელჩოში და მორალზე ლექციას წაუკითხავს. ეს ყველაფერი კი გამოიწვია შენი ძალოვნების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ასე არაორგანიზებულად დარბევამ, ანუ „პარადის“ ასე სამარცხვინოდ ჩატარებამ. ასეა, ჩემო მიშა, მუსიკას ის უკვეთავს, ვინც იხდის (ტანზე არა!). გახსოვს, ალბათ, შენმა მამამ და მარჩენალმა სოროსმა როგორი რიხით განაცხადა: „საქართველოში ვარდების ეპოპეა 60 მილიონი დოლარი დამიჯდაო“. ხელფასსაც ის გიხდიდათ. ამიტომ იყო, რომ საელჩოში მაგარი „გამიშვი და გამატარე“ გქონიათ. თურმე, უცენზურო სიტყვებიც ისმოდა. დაგეჯერებინათ შენ და შენს გარემოცვას სულმნათი დიდი ილიასათვის: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. ანდა, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“. ხედავ? მხოლოდ ჩვენ და არა სხვისი ხელის შემყურე უნდა ვიყოთო! გაიგე?! მინდა, დაგემშვიდობო შენც და შენს გარემოცვას დიდი ვაჟას სიტყვების პერიფრაზით:

„მშვიდობით, ჯვარი გეწეროთ, იქაც გისოსით კარია“.

დავშთები უფლის იმედად და უკეთესი მერმისის მოლოდინით.

**ანზორ დანელია**
**გიორგობისთვე, 2007 წ.**
**ქ. თბილისი**

## გვიანდელი მინაწერი:

მიშა, ბიძიკო, შენ რომ მრჩევლები გყავს, იმიტომ არის ჩვენი ქვეყნის საქმე კარგად! რაც თქვენ 23 ნოემბერს სპორტის სასახლეში ყრილობის ჩატარებაზე ხალხის ფული დახარჯეთ (თუმცა, ფეხებზე არ გკიდიათ ხალხი?), ამას გამოცდილი ფინანსისტების შრომა დასჭირდება, რომ დათვალონ წყალში გადაყრილი ფულები. იმ დღეს აეროპორტის ტრასაზე, ე.წ. „ვასმოი პოლკთან“ 15 ცალი „სანდრაბუსი“ იდგა, თქვენთვის ტაშისდამკვრელები მოეყვანა! ახლა მეორე. რომელმა ჭკუანაღრძობმა გირჩია ახალნამშობიარევი, უსინათლო ქალი შენ გვერდით დაგეყენებინა ფონის შესაქმნელად? თუ სილამაზის ფონი გინდოდა, დაგეყენებინა ქართულ კაბაში გამოწყობილი ორი გოგონა. დიანა ღურწკაიას ცოდვა იყოს შენი და შენი მრჩევლების კისერზე! კაცოო! თქვენ ძაან გაუბერეთ, აი! ვინ გყავს ასეთი „ჭკუით“ გაძეძგილი უთავო, რომ ამისთანა სისულელეებს გალაპარაკებს? „მოსემ ებრაელები 25 წელიწადი ატარა, აღთქმულ მიწამდე რომ მიეყვანაო!“ (15 წელიწადი ოაზისში იყვნენ თუ, როგორც „გჩვევია“, ამნისტია შეუფარდე? ანდა ნოლაიდელივით დაასეკვესტრე? ანდა, „ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე მეორე (მოგიტევოს მათმა წმინდა სულებმა), შენი მსჯელობით ოცნებობდნენ ნატოში გაწევრიანებაზე?! თქვენა, ცოტა აზროვნებაზე მწყრალად ხომ არ ხართ, ჰა? უფალმა ინებოს საქართველოს დაწყნარება, თქვენ გარეშე. ღმერთმა გვისმინოს. ამინ!

ვაი, რომ ადრე მომიწია შენთან დამშვიდობება. მეგონა, წახვედი, მაგრამ შევცდი, როგორც მრავალი სხვა. შენმა მამებმა და მარჩენლებმა, საქართველოს მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ, მაინც დაგვიტოვეს შენი თავი ე.წ. პრეზიდენტად. საინტერესოა, სანამდე აგიტანს საქართველო?! უფლის ნებით, ალბათ, მალე დავცილდებით, სამუდამოდ ერთმანეთს, შენ და ჩვენ, ანუ საქართველო! წადი!!!

1 მარიამობისთვე, 2008 წ.

## წკიპურტები

**ეს მთავრობა მიწეწს ნერვებს,**
**ლამის მეც დავუსტვინო,**
**ჩემი ქვეყნის დამანგრეველს —**
**უზნეოს და უტვინოს**
**სანამ უნდა ვუსმინოთ?!**

**— „სილნაღური მწვადი მიყვარს**
**ბროწლის წვენებნაპკურები“,**
**ფრთხილად, მიშა, ქიზიყელმა**
**იცის მწვავე პანღურები.**

**ნანი ოქრუაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბუშისგან გამოხდილი ბენზინი

**ხელისუფლების ერთგული ჩინოვნიკის ტვინივით დანაგვიანებულ რუსთაველზე ერთი გაცეცხლებული გიჟი — მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა კაცი — ისე სწრაფად მიაბიჯებდა, გაეკიდებოდი, ვერ დაეწეოდი, და ვირტუალურ მოწინააღმდეგეს ისეთი გაცხარებით უკიოდა, როგორც ხალხის რჩეული ეკა ხერხეულიძე „კავკასიის" სტუდიაში თავის ოპონენტებს.**
**აჩვენეთ ეს ნორჩი კოკობი-ვარდი მსოფლიოს და მთელი ამერიკა და მთელი ირანი (თავის ჩრდილოეთ კორეიანად) ერთბაშად მოსპობს და გაანადგურებს უკვე დამზადებულ, თუ ჯერ კიდევ დასამზადებელ ბირთვულ იარაღს.**
**რა საჭიროა! ა — იარაღი, ა — ეკა!**

ვნების კვირის წითელი პარასკევის დილით სხვა რამ საინტერესო არაფერი ხდებოდა რუსთაველის პროსპექტზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დაცარიელებულ სცენაზე დარჩენილ დეკორაციასავით მიეტოვებინათ უნომრო საკანი რუსთაველის თეატრის მოპირდაპირე ტროტუარზე. პარლამენტის წინ გამართული ტრიბუნა ისე იყო მიჯაჭვული რევოლუციურ ნაპირს, როგორც აფრებაშვებული გემი, რომელიც ზურგის ქარის მიუხედავად დაბორკილია ტაქტიკური ბაგირებით.

ჩანს, დღეს აქ თავს არავინ აიწყვეტს და საინტერესო არაფერი მოხდება. ამიტომ ისღა დაგვრჩენია, გადავფურცლოთ მსოფლიო პრესა: თავიანთი ფუფალები იქაც საკმარისად ჰყავთ.

გიჟი თავის ნებასაო, თუმცა, რუსი მხატვარი **ანდრეს მოლოდკინი** უფრო ცინიკოსია, ვიდრე სახურავდაცურებული ტიპი: ერთ დროს — ჯარში ყოფნისას — შავ ნავთობს შავ პურზე კარაქივით უსვამდა, შიმშილსაც იკლავდა და ნარკოტიკულ „კაიფსაც იჭერდა".

ნავთობით გატაცება არ განელებია ამ ორიგინალს და ახლა ადამიანების გვამებისგან ნავთობის გამოხდას აპირებს, — წერს გაზეთი „The tims."

კაიფშია!

სესიას თანამედროვე ფიქრები მან ლონდონში, Orel არტ-ში მოწყობილ თავის პერსონალურ გამოფენაზე (რომლის სახელწოდებაა „თხევადი თანამედროვეობა (ქსელი და სიხარბე)") სრულად გაგვიმჟღავნა.

მოლოდკინის ახალი პროექტის **„მეცნიერული საფუძველია":** ჩვენ ვიყენებთ საწვავს, რომელიც, ფაქტობრივად, დინოზავრებისგანაა დამზადებული. მაშასადამე, შეგვიძლია ადამიანებისგანაც დავამზადოთ.

**იდეური უზრუნველყოფა:** ჩვენი მრწამსი იმდენად გამოცარიელებულია, რომ იგი რაიმეთი უნდა შევავსოთ, მაგალითად, — სისხლით ან ნავთობით.

მაგარია!

მაგრამ მხატვარ-მენავთობეს ჩვეულებრივ მოკვდავთა ცხედრები ხელს არ აძლევს — დაბალოქტანური ბენზინი გამოდის. აი, ჯორჯ ბუშის ან უელსის პრინცის გვამები სხვა კოლორია.

ჯერჯერობით ჩვენსკენ არ გამოუხედია!

ჩვენ შევიხედოთ ცალი თვალით ამ ნოვატორის გამოფენაზე.

**ექსპოზიცია:** ნავთობი მილებით მინიატურულ ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში გადაიქაჩება და გაზად გადამუშავდება, აირად, რომელიც სხვა მინიატურას — თბოელექტროცენტრალს ამუშავებს და ამრიგად გენერირებული ელექტროენერგია ნათურებს ნაირფერად ააციმციმებს. მთლად „სინათლის ქალაქი" არა, მაგრამ რაღაც ამგვარი პირს დააფჩენინებს ლონდონელებს, რომლებსაც მსგავსი არაფერი უნახავთ.



საქართველოში, სამწუხაროდ, აღარც ხალხი დაგვრჩა საზღვარგარეთ გასაგზავნი და ნავთობის მოპოვებას ხომ ვერა და ვერ დავადგით თავი.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კატეგორიულად უარვყოთ მოლოდკინის წინადადება. იქნებ, ბიოსაწვავად მაინც გამოდგეს ჩვენი უხეირო ხელისუფლება?

თუ გეღიმებათ, გაიღიმეთ. ლონდონელებს კი არ ეღიმებათ და მოლოდკინი არაფერ შუაშია.

რატომ?

იმიტომ, რომ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის მცხოვრებნი ეს ერთი ხანია, არ იღიმებიან, — წერს „The tims". მიზეზი მხოლოდ კრიზისით გამოწვეული უხასიათობა არ არის, უკბილობაა: ნისლიანი ალბიონის მოქალაქენი კბილების მკურნალობის ნაცვლად, რაც ძვირი ღირს, „მომჭირნეობის რეჟიმს" აძლევენ უპირატესობას — იაფია.

უკბილო ღიმილი კი, მოგეხსენებათ, ისევეა დაშორებული ესთეტიკას, როგორც უკბილო ხუმრობა — იუმორს.

ჟურნალისტი **ელის ტომსონი**, რომელიც ცდილობს გაერკვეს კბილის ტკივილის მწვავე პრობლემაში, წერს, რომ ინგლისელები, რომლებიც აქამდე უმნიშვნელო კრედიტებს იღებდნენ პირის ღრუს სამკურნალოდ, ახლა იძულებულნი არიან, უარი თქვან ასეთ მომსახურებაზე. სტატისტიკის მიხედვით ბოლო 4 წელიწადში კბილების ამოგლეჯამ 30 პროცენტით იმატა, ხოლო უკანასკნელ ორ წელიწადში ისეთი რთული პროცედურების რაოდენობა, როგორიცაა გვირგვინების და პროთეზების დაყენება, 57 პროცენტით შემცირდა.

ახლა კი — ყურადღება: საქმე ეხება **უფასო სამედიცინო დაზღვევას, რომელიც ინგლისში ჩვენზე ადრე განახორციელეს და რომლის შედეგები ჭიანი კბილივით უვარგისი გამოდგა.**

„The tims" წერს, დიდი ბრიტანეთის მკვიდრთ კბილებში იმდენად რეცესიამ კი არ უთავაზა, რამდენადაც **უფასო სამედიცინო მომსახურების რეფორმამ**, რომელიც წინა პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის დროს განხორციელდა. **რეფორმას შედეგად მოჰყვა გრძელი რიგები, ექიმების მიერ სახელმწიფო კლინიკების მიტოვება და მომსახურების ხარისხის გაუარესება. ბოლო 2 წლის განმავლობაში 7,4 მილიონმა დიდმა ბრიტანელმა ვერ შეძლო, უფასო დაზღვევით ესარგებლა, ვერც კი მიაღწია სტომატოლოგამდე — იმდენად გრძელია რიგები და იმდენად ცოტაა ექიმი.**

აი, ასეთი პერსპექტივა გველოდება ჩვენც და იმედად ისღა გვრჩება, რომ საკბილო აღარაფერია და, აქედან გამომდინარე, სადარდებელი — ცოტა.

ცხოვრების ხალისი რომ არ დაკარგოთ, ადექით დილაადრიან უყურეთ „რუსთავი-2"-ის დილის პროგრამას და უპასუხეთ გონებაშეზღუდულთა კონკურსის შეკითხვებს. მაგალითად, — რა არის გამოსახული კომპანია „დილის" ლოგოზე?

იქნებ, საჩუქარსაც გამოჰკრათ ხელი!

ყიყლიყოოო! — „ახ ტი, გალანდსკი პეტუუხ!"

**ჩინგიზ ბულავა**

# კოსოვოს მედლის მეორე მხარე, ანუ ალბანური ნარკოტერორიზმი



**კოსოვო კი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ ალბანური კრიმინალური სტრუქტურები მას ნარკოტრაფიკის სისტემაზე დამოკიდებულ ერთ-ერთ რგოლად აქცევენ. საქმეში ჩახედული სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დანაშაულებრივი სამყარო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ალბანური ნარკომაფიის ციტადელად გადაქცევისკენ ისწრაფვის, რომელიც გააკონტროლებს ნარკოტიკების ტრანზიტს ევროპაში და გააძლიერებს ბებერ კონტინენტზე ალბანურ დაჯგუფებათა მრავალმხრივ კრიმინალურ საქმიანობას.**

ეს ტენდენცია აშკარად თვალშისაცემია. ახლახან ინგლისში ფრიად გახმაურდა ალბანელ ემიგრანტებთან დაკავშირებული მორიგი სკანდალი: ალბანელთა დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ — პროფესიონალმა მკვლელებმა — დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის მკვიდრთ პირდაპირ შესთავაზა: „ნებისმიერი სამიზნე — 5000 ფუნტი სტერლინგი, ნებისმიერი იარაღით — ცივით ან ცეცხლსასროლით, ჩვენ ვიცით იარაღის ხმარება", — განაცხადა ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაურმა გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში. „დეილი ნიუსმა" ლონდონში დაფუძნებული ალბანელები დაახასიათა როგორც „ყველაზე უფრო პროფესიონალი მკვლელები, რომლებიც კი არიან დედაქალაქში".

ნიშანდობლივია, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა კოსოვოს გამათავისუფლებელი არმიის ყოფილი მოთარეშეები არიან.

კოსოვოდან ლტოლვილმა ალალბანელებმა, რომლებმაც თითქოს თავიანთი უნარისა და შესაძლებლობების მიხედვით იპოვეს სამუშაო ადგილები ევროპის ქვეყნებში (როგორც ამას ოფიციალურად აცხადებენ), სინამდვილეში კავშირი დაამყარეს კრიმინალურ ორგანიზაციასთან, რომლის მაგისტრალური მიმართულება კოკაინისა და ჰეროინის წარმოება და წარმარვაა ევროპისა და მსოფლიოს ქვეყნებში.

**არსებული მონაცემებით, ალბანური მაფია აკონტროლებს დასავლეთ ევროპის ნარკობაზრისთვის მიწოდებული ჰეროინის 75 პროცენტს და აშშ-ში გადაგზავნილი ჰეროინის თითქმის ნახევარს. ალბანური ნარკოკარტელი „კამილა" მსოფლიოს ხუთი უძლიერესი ნარკოკარტელის შემადგენლობაში შედის. ევროპაში ჰეროინის შემოტანას უზრუნველყოფს 30-მდე ალბანური ნარკოკლანი, რომელთაგან თითოეული ნარკოტრაფიკის „თავის" უბანს აკონტროლებს.**

ნარკოტრაფიკის მთავარ მაგისტრალად კოსოვოს თითქმის მთლიანად გამოყენებულია ტერიტორიაც.

**მხოლოდ ერთ მხარეში — კოსმეტში ალბანური კლანები 2 მილიარდამდე დოლარის ღირებულების 4-დან 6 ტონამდე ჰეროინის „საქონელბრუნვას" განახორციელებენ. ფულის გარეცხვას 200-ზე მეტი კერძო ბანკი და გადასაცვლელი პუნქტი ემსახურება, რომლებიც ასევე ალბანური ნარკოკლანების ხელშია და მიმოფანტულია იტალიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.**

ალბანურ ნარკოკრიმინალურ სტრუქტურებს მადა უზარმაზარი აქვთ. მათი ინტერესის სფეროში პოლიტიკური პრობლემებიც შედის. ისინი მაკედონიის დანაწევრების პროექტის განხორციელებას უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ, აპირებენ ამ მხარის უდიდესი ნაწილის ალბანური კლანების კონტროლქვეშ მოქცევას.

ამჟამად მაკედონიის დასავლეთსა და კოსოვოს ნაწილს აკონტროლებს **ტაჩის** კლანი. ტაჩი, რომელიც ალბანელთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეა, უშუალოდაა დაკავშირებული მაფიასთან, რომელიც აკონტროლებს ჰეროინის, კოკაინისა და ავტომანქანების ბრუნვას.

მაკედონიაში, კუმანოვოს მახლობლად მოქმედებს ჰეროინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ფაბრიკა.

1980 წლამდე ახლო აღმოსავლეთიდან, ბალკანეთისა და ევროპის გავლით, აშშ-ში ალბანური ნარკოკონტრაბანდის პრობლემა მხოლოდ ეპიზოდურად თუ იჩენდა თავს. იმ დროს ალბანელები თურქეთის ნარკომაფიისა და ბულგარეთის კრიმინალური სტრუქტურების მხოლოდ შიკრიკები და დაქირავებული გადამტანები იყვნენ. ალბანური სეპარატიზმის ზრდასთან ერთად კოსმეტში დაიწყო დამოუკიდებელი ალბანური მაფიოზური დაჯგუფებების ჩამოყალიბება, რომლებიც „დიდი ალბანეთის" პროექტში ჩაერთნენ.

**ალბანური ნარკოკლანების ძირეული გარდაქმნა დაიწყო 90-იანი წლების ბოლოს, როცა აშშ შეუდგა ახალი სტრატეგიული ინტერესების რეალიზაციას. დასახული მიზნების მიღწევის ერთ-ერთ იარაღად ალბანური დანაშაულებრივი სტრუქტურები გამოიყენეს.** მიიჩნევენ, რომ ამერიკის დახმარებით XXI საუკუნის დასაწყისში ალბანური ნარკოიატაკქვეშეთი ჩამოყალიბდა „სახელმწიფოდ სახელმწიფოში", რომლის მთავარ პოლიტიკურ არგუმენტად იქცა ჰეროინი და იარაღი.

**კოსოვოელი ალბანელების ლიდერები — ტაჩი, ხარადინაი და ჩეკუ არიან არა მხოლოდ ალბანურ უკანონო სამხედრო ფორმირებათა მეთაურები, არამედ ალბანური ნარკომაფიის „ბოსები", რომლებიც აფინანსებენ ალბანეთის ტერორისტულ არმიას,** ამჟამად „კოსოვოს უშიშროების ძალებად" რომ გარდაიქმნენ.

**თუ დააკვირდებით, შეიძლება, ბევრი პარალელი გაავლოთ კოსოვოს და „მხედრიონის" დროინდელ საქართველოს შორის. ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც ცალკე შესწავლას მოითხოვს და ამ პუბლიკაციაში, რა თქმა უნდა, ვერ განვიხილავთ. ამიტომ დავუბრუნდეთ ალბანური მაფიის თემას, რომელიც გამოწვლილვით არის შესწავლილი.**

ალბანური მაფია, როგორც ვთქვით, მთელ ევროპასაა მოდებული.

**უნგრეთში** ჰეროინის ბაზრის 80 პროცენტი ალბანური მაფიის ხელშია. ნარკობიზნესის უმეტესი მოგება კოსოვოსთვისაა გამიზნული, ფულის უდიდესი ნაწილი იხარჯება იტალიაში, სადაც იარაღს ყიდულობენ.

მოკლე დროის განმავლობაში ალბანურმა მაფიამ **იტალიაში** თურქეთის მაფიის დაჯაბნა შეძლო. კურიერებიდან ალბანელები ნარკოქსელის ორგანიზატორებად და სიცილიის „კოზა ნოსტრას" პარტნიორებად იქცნენ. იტალია ალბანური ნარკოსტრუქტურების დასაყრდენი ბაზაა. ყოველდღიურად მათი ხელიდან 50 კილოგრამი ჰეროინი გადის.

**იტალიისა** და **შვეიცარიის** საზღვარზე ნარკოტრაფიკს ასევე ალბანელები აკონტროლებენ.

**შვედეთსა** და **ნორვეგიაში** ალბანელების ხელშია ნარკოვაჭრობის 80 პროცენტი.

**საბერძნეთში** ისინი არიან მთავარი დისტრიბუტორები.

სლოვაკეთის პოლიციის მონაცემებით, ჰეროინის 100 პროცენტი ამ ქვეყანაში შემოდის ავღანეთიდან „ბალკანეთის ტრაფიკის" გზით — კოსოვოს, მაკედონიისა და ალბანეთის გავლით.

ბოლო პერიოდში ალბანური დაჯგუფებები **რუმინეთის** ნავსადგურებშიც მკვიდრდება.

**აშშ-ს სპეცსამსახურები, ინტერპოლი, ევროპოლი ერთხმად ადასტურებენ, რომ ალბანური მაფია ევროპის ყველაზე სერიოზულ კრიმინალურ დაჯგუფებად ჩამოყალიბდა და აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ნეგატიურ ძალად იქცა.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# არც ერთი დღე ურევოლუციოდ!

**მადაგასკარში ოპოზიციამ კი მიაღწია თავისსას და სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ახალი ხელისუფლებაც მოიყვანა, მაგრამ არეულობებს ბოლო არ უჩანს. პოზიცია-ოპოზიციამ ადგილები გაცვალეს, სიტუაცია კი უცვლელი დარჩა. ამჯერად ქუჩებში ოპოზიციის ნაცვლად გადაგდებული პრეზიდენტის მარკ რავალომანანას მომხრეები გაჰკივიან, სახელმწიფოს კანონიერი მეთაური დაუბრუნეთო.**



პოლიცია ახლაც ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს დასდევს. თავად პრეზიდენტი, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში დაპატიმრების ორდერი ელის, შორიდან იტყობინება, აუცილებლად დავბრუნდებიო. სად დაბრუნდება, ახლა მადაგასკარში ქვეყნის მეთაურად ექს-დიჯეი, 34 წლის ანდრი რაჯოელინი ჰყავთ.

მას კი ქვეყანაში აურზაურის ახალი ძალით განახლება ნაკლებად ადარდებს. რაც ერთ-ერთ აქციას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ქვეყანაში მსგავს გამოსვლებსა და დემონსტრაციებზე აკრძალვა დააწესა, მაგრამ ამას არავინ შეუშინებია — მიტინგები იმავე ინტენსივობით გრძელდება. პოლიცია ჯერ ცრემლმდენი გაზით ცდილობდა გამკლავებას, მაგრამ, ასე რომ არაფერი გამოუვიდა, იარაღს ეცა, ერთი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა, 40-მდე კი — დაჭრა.

უშიშროების სამსახურმა პრეზიდენტის მეუღლეზე თავდასხმის მცდელობის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, პირველი ლედის მოკვლას ექს-პრეზიდენტის ნაციონალური გვარდიის ერთ-ერთი წევრი ცდილობდა.

თავად ექს-პრეზიდენტი ახლა ემიგრაციაში სვაზილენდში იმყოფება და იქიდან უთვლის ახალ ხელისუფლებას, დავბრუნდები და წლის ბოლომდე ვადამდელ არჩევნებს ჩავატარებო. იმაზეც კი თანახმაა, ახლანდელ პრეზიდენტთან გაიყოს ხელისუფლება, ოღონდ კი ქვეყანას ლეგიტიმური მმართველი ჰყავდეს. პასუხად იუსტიციის მინისტრმა განუცხადა, — ჩამოხვალ და დაგაპატიმრებთ, ბრალსაც წაგიყენებთ მმართველობითი ფონდების ბოროტად გამოყენებისთვისო.

მადაგასკარის მოსახლეობა დღეში მხოლოდ ორ დოლარად ცხოვრობს. ახალი პრეზიდენტის მთავარი დაპირება, როგორც ყოველთვის, ცხოვრების დონის გაუმჯობესება იყო.

ნეტავ, როგორ უნდა მოახერხოს, თუ ევროპის ქვეყნებმა გადატრიალების შემდეგ უკვე შეწყვიტეს ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა. ტურისტები ხომ, ალბათ, კარგა ხანს აღარ გაიხედავენ იქით. უფრო მეტიც, რამდენიმე სამხედრო მეთაური ახალ პრეზიდენტს არ ემხრობა და ძველის ერთგული რჩება. ასე რომ, ახალი სამხედრო გადატრიალება სულაც არაა შორს.

ამათი შემხედვარეები რევოლუციების სიხშირით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ რამე რომ იყოს, სვაზილენდი თავშესაფარს, ალბათ, არც სააკაშვილს დაამადლის.

# კიმ ჩენ ირი ჰალსტუხს არ ღეჭავს

**ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეას, რომელმაც 12 მეტრი მიწა და ერთი სასაზღვრო ბოძი მიითვისა, ომის დაწყებით დაემუქრა.**

**სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის ვერჩატარებული წლევანდელი მოლაპარაკებების ეპოპეა გრძელდება. ფხენიანი სეულს ახალ ბრალდებებს უყენებს და შეხვედრას ითხოვს. ამჯერად განხეთქილების ვაშლად იქცა სასაზღვრო ბოძი, რომლის უკანონო გადატანამაც თითქოსდა 12 მეტრით შეამცირა ჩრდილოეთ კორეის ტერიტორია სამხრეთ კორეის სასარგებლოდ.**



კიმ ჩენ ირს ამის გამო არც ჰალსტუხის ღეჭვა დაუწყია და არც გაქცევით უშველია თავისთვის. ჩრდილოეთ კორეა, ტრადიციულად, შეიარაღებული შეტევით აპირებს წართმეული ტერიტორიის დაბრუნებას. მართალია, აქამდე ფხენიანი ცოტა უფრო სერიოზული მოტივებით ედავებოდა ხოლმე სეულს, მაგრამ ეს მოტივი რითაა არასერიოზული? ბოლოს და ბოლოს, საქმე წართმეულ ტერიტორიებს ეხება. ჰოდა, ფხენიანმაც შეუთვალა სეულს, — ან ბოძი დააბრუნე თავის ადგილას, ან ყველანაირ საჭირო ზომას მივიღებ ჩემი ქვეყნის ტერიტორიების დასაცავადო. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ის უკვე მეორედ ემუქრება სამხრეთს ომით. მუშტების მოღერება მაშინ დაიწყო, როდესაც სეულმა მოინდომა, მხარი დაეჭირა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო ამერიკული ინიციატივისათვის. კორეის სახალხო არმიის გენერალურმა შტაბმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ **თუ სამხრეთი ამ დაპირების განხორციელებას დაიწყებს, ჩრდილოეთი ამას „დაუფარავი კონფრონტაციის დეკლარაციად და ომის გამოცხადებად“ აღიქვამს.**

გენშტაბის განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ **„ჩრდილოკორეული ჯარი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია, რათა ნებისმიერ წუთს მოახდინოს რეაგირება რესპუბლიკის სუვერენიტეტის შელახვაზე. სამხრეთ კორეამ არ უნდა დაივიწყოს, რომ სეული საომარ-სადემარკაციო ზოლიდან მხოლოდ 50 კილომეტრითაა დაშორებული.“**

# ისლამაბადი თალიბების ალყაშია, შეერთებულ შტატებს პაკისტანშიც ავღანეთი ელის!

**პაკისტანში გააქტიურებული თალიბები მთლიანად აკონტროლებენ ქვეყნის, სულ მცირე, სამ რაიონს. მათი რაზმები პაკისტანის დედაქალაქიდან სულ რაღაც 100 კილომეტრში იმყოფებიან და აქამდე ისე მოვიდნენ, რომ ხელისუფლების მხრიდან რაიმე წინააღმდეგობაც კი არ შეხვედრიათ. ამერიკას ეს, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამორჩენია და სასწრაფოდ დაადანაშაულა ოფიციალური ისლამაბადი სიტუაციის კონტროლის უუნარობაში.**



სამაგიეროდ, ჰილარი კლინტონმა **„გახსნილად აღიარა, რომ დღეს აშშ ავღანეთსა და პაკისტანში იმის ნაყოფს იმკის, რაც ცივი ომის წლებში დათესა და ებრძვის მათ, ვისაც ჯერ კიდევ 20 წლის წინათ აფინანსებდა.“** მან კონგრესმენებს შეახსენა, რომ რეიგანის ადმინისტრაცია კონგრესის აქტიური მხარდაჭერით აფინანსებდა და სხვადასხვა ქვეყნიდან იზიდავდა მოჯახედებს, რათა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდნენ. მათ კი რეგიონი ვაჰაბიზმის იდეებით გაამდიდრეს.

თეთრი სახლის პრესმდივანმა რობერტ გიბსმა განაცხადა, რომ **„ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში პაკისტანში განვითარებული მოვლენები შემაშფოთებელია. პრეზიდენტი ობამა გარკვეული დროის განმავლობაში უკვე მოუწოდებს ყველას, გაამახვილოს ყურადღება ამ რეგიონში სიტუაციის გაუარესებაზე“.**

მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ **ადმინისტრაციისათვის ამჟამად ავღანეთისა და პაკისტანის საკითხები პირველ ადგილზეა და აღნიშნულ რეგიონებში მიმდინარე ოპერაციებისათვის დაფინანსების გაზრდაზეც უკვე ფიქრობენ. „ეს სახსრები იმისთვისაა, მოხდეს დემონსტრირება იმისა, რომ ავღანეთისა და პაკისტანის ხელისუფლება თავის მოსახლეობას შესთავაზებს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ექსტრემისტები — დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ეფექტიან სასამართლო სისტემას, სკოლებს და მშვიდობიან ცხოვრებას.“** ჯერჯერობით არავინ იცის, მივა თუ არა საქმე თალიბების საწინააღმდეგო სრულფასოვან სამხედრო ოპერაციამდე, მაგრამ ჰილარი კლინტონმა უკვე სახალხოდ განაცხადა, რომ პაკისტანი, რომლის ხელისუფლებაც შესაძლოა, მთლიანად ტერორისტების ხელში აღმოჩნდეს, სასიკვდილო საფრთხე იქნება ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებისათვის.

**„ვფიქრობ, ჩვენ არ შეგვიძლია, უფრო მკაფიოდ გამოვთქვათ იმ რეალური საფრთხის სერიოზულობა, რომელიც პაკისტანის სახელმწიფოს ემუქრება და ისლამაბადისაკენ მიიწევს. ეს ტერორისტების ჯგუფმა და იმ ხალხმა გააკეთეს, ვისაც პაკისტანში — ბირთვული იარაღის ქვეყანაში — ხელისუფლების ხელში ჩაგდება სურს,“ — ბრძანა ჰილარიმ.**

# ჩინეთმა ამერიკას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უჩივლა

**სარჩელი ამერიკის მხრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ჩინური მეფრინველეობის პროდუქტების შეტანის აკრძალვა გახდა. კონსულტაციების წარმართვის შესახებ მიმართვა ამერიკულ მხარეს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის ჩინური მისიის მხრიდან გაეგზავნა. ჩინურ საჩივარს თან ახლდა სათანადო დოკუმენტაციაც. ახლა ჩინეთი მოლაპარაკებებზე აშშ-ს თანხმობას ელის და ამასთანავე განმარტავს, რომ ამერიკის ამგვარი ქმედება მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წესებს არღვევს. აკრძალვამ ჩინეთში მეწარმეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ამის გამო ისინი არაერთხელ შეეცადნენ ამერიკელებთან მოლაპარაკებას, მაგრამ უშედეგოდ.**

# მინისტრები შეამცირაო, მიშა, გეყურება?

**გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო ევროპელი მმართველები უპრეცედენტო ზომებს მიმართავენ, რათა სახსრები დაზოგონ. ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბრაიან კოუენმა სამსახურიდან ოცი სახელმწიფო მინისტრი დაითხოვა და მათ ნაცვლად მხოლოდ თხუთმეტილა დანიშნა. შედეგად ბიუჯეტი წელიწადში 2.5 მილიონ ევროს დაზოგავს.**

ოპოზიცია მაინც უკმაყოფილოა. მთავარი ოპოზიციური პარტია „Fine Gael“ 8 მინისტრის შემცირების წინადადებას აყენებს, ლეიბორისტები კი ცოტა ხნის წინათ 15 მინისტრის შემცირებას ითხოვდნენ. ირლანდიური მმართველობითი სტრუქტურის მიხედვით, მინისტრებს უფლებამოსილება მხოლოდ ცალკეულ სფეროში აქვთ. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროში ბოლო დრომდე არსებობდა ევროპული საქმეებისა და უცხოეთის ქვეყნების დახმარების საკითხების მინისტრების პოსტები.



ბრაიან კოუენი

14 აპრილს ეკონომიკის სფეროში 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა პოლ კრუგმანმა განაცხადა, რომ მსოფლიოში სამი ქვეყანა — ისლანდია, ირლანდია და ავსტრია — უფრო მეტად, ვიდრე სხვები, დეფოლტის სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან. არადა, ჯერ კიდევ ნოემბერში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დოვლათიანი ქვეყნების სიაში ირლანდია და ნორვეგია მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებდნენ.

უახლოეს მომავალში ირლანდია გაამკაცრებს ქვეყანაში შრომითი მიგრანტების შესვლის პირობებს. მართალია, გასულ წლებში სწორედ მიგრანტებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი ამ ქვეყნის ეკონომიკურ მიღწევებში, მაგრამ ახლა ხელისუფლება იძულებულია, უარი თქვას წარსულში მომგებიან წესებზე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ტეხასის შტატი დამოუკიდებლობას ითხოვს

**მართალია, სახელწოდება „ტეხასი" ინდიელების ენაზე მეგობარსა და მოკავშირეს ნიშნავს, მაგრამ, როგორც ჩანს, მეგობრობის პირობები არ უნდა დაირღვეს, თორემ სახელწოდება ველარაფერს უშველის და მეგობრობაც საზღვრებს გადაღმიდან ან გაგრძელდება, ან — არა. მოკლედ, შესაძლოა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მხოლოდ სხვა ქვეყნებისთვის „აღშფოთების" გამოხატვის დონეზე კი არა, საკუთარ ტყავზეც იწვნიოს — ტეხასი შტატებიდან გასვლით იმუქრება.**





ამერიკამაც რა ქნას? მსოფლიო კრიზისი თანდათან ძალებს იკრებს და იქაც თავს იფხანენ, რა ვუშველოთ ამ ჭირსო. ჰოდა, იმდენი იფხანეს, სანამ გენიალური იდეა არ მოფრინდა — მოდი, გადასახადები გავზარდოთ და გვეშველებაო. ცოტაც კიდევ რომ ეფხანათ თავი და უმალ ამ იდეის განხორციელებაზე არ გადასულიყვნენ, მიხვდებოდნენ, გვერდითი მოვლენები კრიზისს უფრო რომ გაამწვავებდა, მაგრამ . . .

მოკლედ, ამერიკის შეერთებული შტატების უამრავ ქალაქში გადასადების გაზრდის საწინააღმდეგოდ ერთდროულად დაიწყო რესპუბლიკელების მიერ ორგანიზებული საპროტესტო გამოსვლები და ისეთი ამბავი ატყდა, გადასახადებს ვიღა ჩივის, მოსახლეობამ ვაშინგტონის მიერ კერძო კომპანიების დასახმარებლად უზომოდ დიდი თანხების გამოყოფაც გააპროტესტა. დემონსტრანტების ლოზუნგებზე ეწერა: „შეაჩერეთ ხელისუფლება!" „გადასახადები მეკობრეობაა!". აქციებში, წარმომადგენლობითი შემფასებლების მონაცემებით, ათეულ ათასობით ადამიანი მონაწილეობს.

რეაქციულობითა და სკანდალურობით ამ აქციათა შორის პირველი ადგილი ტეხასის შტატის დედაქალაქ ოსტინს ერგო. ტეხასის გუბერნატორმა რიკ პერიმ (სხვათა შორის, ის გუბერნატორი 2000 წლის დეკემბერში მას შემდეგ გახდა, რაც ტეხასის მანამდელი გუბერნატორი ჯორჯ ბუშ-უმცროსი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს და, თქმაც აღარ უნდა, რომ პერიც რესპუბლიკელია) განაცხადა, რომ რეგიონის მოსახლეობამ არ უნდა გაიჭირვოს მთელი ქვეყნის პრობლემების გამო და თეთრ სახლს მოუწოდა, კიდევ ერთხელ გადაეხედა საგადასახადო პოლიტიკისათვის.

მოუწოდა, რბილადაა ნათქვამი, უბრალოდ დიპლომატიური ლექსიკონის პატივსაცემად, თორემ სინამდვილეში დაემუქრა, ან ისე იქნება, როგორც აქამდე იყო, ან სულაც გავალთ შტატების შემადგენლობიდანო. არგუმენტი მყარია:

**„ჩვენი შტატი ამ სახელმწიფოს 1845 წელს ნებაყოფლობით შეუერთდა, ანუ ჩვენ შეგვიძლია გამოვეყოთ კიდევაც, თუ ასე გადავწყვეტთ. ჩვენ დიდებული სახელმწიფო გვაქვს და არ არსებობს რაიმე მიზეზი იმისათვის, რომ დავანგრიოთ ეს კავშირი, მაგრამ თუ ვაშინგტონი არ მოეშვება ცხვირის ჩაყოფას შტატების ხალხთა საქმეებში, შედეგი სწორედაც ასეთი იქნება",** — განაცხადა განრისხებულმა რიკ პერიმ.

არადა როგორი დასაკარგია? ან რა გადასახადები უნდა უღირდეს აშშ-ს სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით მეორე შტატის ფასად. ესეც არ იყოს, ტეხასი ამერიკული სოფლის მეურნეობის, მესაქონლეობის, განათლების სისტემის, ნავთობწარმოების, ქიმიური მრეწველობისა და ფინანსური ინსტიტუტების მიხედვით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია. ერიც მაგას ჩივის, ჩვენი ეკონომიკა სხვა შტატებს ბევრად უსწრებს წინ და გასწიეთ ცხვირები ტეხასიდანო. ნავთობის საბადოები იქ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ტეხასი სამეცნიერო ტექნოლოგიების ცენტრად იქცა. ჰიუნსტონში NASA-ს ადმინისტრაცია და ლინდონ ჯონსონის სახელობის პილოტირებადი კოსმოსური ხომალდებისა და ფრენის მართვის ცენტრები განლაგდა.

**ტეხასი ამერიკისთვის სხვა მხრივაც დაუვიწყარმოუშორებელია: სწორედ იქ, დალასში, 1963 წლის 22 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი მოკლეს და მისი ადგილი ვიცე პრეზიდენტმა, ისევ ტეხასის სენატორყოფილმა ლინდონ ჯონსონმა დაიკავა.**

ტეხასი ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობაში შევიდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის ერთადერთი შტატია ამერიკაში, რომელსაც აქვს უფლება, დამოუკიდებლობის საკითხზე საყოველთაო რეფერენდუმი ჩაატაროს. ტეხასი ასევე ერთადერთი შტატია, სადაც შტატის დროშა ფედერალური დროშის სიმაღლეზე ფრიალებს.

**და კიდევ ერთი: ტეხასის კაპიტოლიუმი, რომელიც ოსტინში მდებარეობს, ვაშინგტონის კაპიტოლიუმის ასლია, უბრალოდ ვარდისფერი გრანიტითაა მოპირკეთებული და თავზე ადგას დამოუკიდებლობის ქანდაკება, რომელსაც ხელში ტეხასის ვარსკვლავი უჭირავს.**

ასე რომ, ამერიკას თავის საზღვრებსგარეთა საზრუნავების გარდა საკუთარი საზღვრებიც საზრუნავი უხდება და მეგობარ სახელმწიფოებს მისთვის მადლობის გადახდის რეალური შანსი ეძლევათ — შეუძლიათ აღშფოთების გამოსახატავად წარმომადგენლობითი დელეგაციები გაგზავნონ. ჩვენი პრეზიდენტიც კი შეაწევდა ორიოდე სიტყვას, შტატებში დაგეგმილი ვიზიტი რომ არ ჩაშლოდა, თუმცა ახლა მიშას რა ეტეხასება და ეობამება!

# ისრაელი ირანზე შეტევის ნებართვას ელის

**ისრაელის ჯარი მხოლოდ სათანადო ბრძანებასღა ელოდება და მისი მიღებიდან რამდენიმე საათში მასიურად შეუტევს ირანის სამხედრო ობიექტებს. ამის თაობაზე ინფორმაციამ მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში თავად ისრაელის ხელისუფლების მაღალჩინოსანთაგან გაჟონა. მათივე ცნობით, ისრაელს სავარაუდო დარტყმის ობიექტების ადგილმდებარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია აქვს.**



ავიაშეტევისათვის მზადების ფარგლებში შეძენილ იქნა სამხედრო თვითმფრინავებისათვის აუცილებელი აპარატურა და ჩატარდა სათანადო წვრთნები. ქვეყანაში შექმნილია სამოქალაქო თავდაცვის რაზმები, რომლებიც დაეხმარებიან მშვიდობიან მოსახლეობას გარდაუვალი საპასუხო დარტყმებისას. იმავე წყაროს ცნობით, სამიზნე ობიექტების რაოდენობა 10-ზე მეტია, მათ შორისაა ქარხნებიც, რომლებშიც შესაძლოა, განლაგებული იყოს ურანის გამამდიდრებელი ცენტრიფუგები. ექსპერტები მოსალოდნელ ავიაშეტევას ისრაელის ოპერაცია „ვავილონს" ადარებენ. მაშინ, 1981 წელს, სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში განადგურდა ერაყის ბირთვული რეაქტორი.

წყაროს ცნობით, ჯარს ამ ოპერაციის განხორციელებისათვის საკმარისი პოტენციალი აქვს. „ჩვენ არ დავემუქრებოდით ირანს, ამ მუქარის განხორციელება რომ არ შეგვეძლოს. უკანასკნელ პერიოდში ისრაელში ტარდებოდა სამხედრო წვრთნები, რომლებმაც




გვიჩვენეს, რომ ქვეყანა მზადაა მოქმედებისათვის", — ამბობს ანონიმი ინფორმატორი. ამასთანავე, ისრაელის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ირანის საწინააღმდეგო ოპერაციის დასაწყებად ბრძანებას ერთადერთ შემთხვევაში გასცემს — თუ საამისოდ, სულ მცირე, მდუმარე თანხმობას მაინც მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. საქმე ისაა, რომ საჰაერო დარტყმა უნდა განხორციელდეს იორდანიის და ერაყის საჰაერო სივრცეების გადაკვეთით. იქ კი ამერიკელი მეომრები მრავლად არიან. ამის გამო საეჭვოა, ამერიკამ თანხმობა განაცხადოსო, — ამბობს ნაციონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ეფრაიმ კამი. „ამერიკის თავდაცვის უწყება არაა დარწმუნებული, რომ ოპერაცია წარმატებით დასრულდება. ამ ოპერაციის შედეგად ირანის ბირთვული პროგრამის განვითარება მხოლოდ ორიდან ოთხ წლამდე პერიოდით შეჩერდება", — ამბობს კამი. ამასწინათ ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელს ახლო აღმოსავლეთში ჯორჯ მიტჩელს და ამ შეხვედრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ საომარი მოქმედებების დაწყების ვარაუდს რეალორი საფუძველი არ აქვს. მისივე თქმით, ირანის პრობლემის მოგვარების მეთოდი არასაომარ სფეროს განეკუთვნება და ირანისათვის წინააღმდეგობის გასაწევად საჭიროა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა, თუმცა ისრაელის ლიდერმა ისიც დასძინა, რომ, თუ ეს თანამშრომლობა წარუმატებელი აღმოჩნდება, მის ქვეყანას სხვა გზა აღარ დარჩება გარდა იმისა, რომ ირანზე იერიში მიიტანოს.

# ლათინურ ამერიკაში დოლარს სუკრე შეებრძოლება

**2010 წლის 1 იანვრიდან ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა ახალ პირობით ფულად ერთეულს სუკრე-ს გამოიყენებს. ვენესუელის ლიდერის უგო ჩავესის თქმით, მას ვაჭრობისას ანგარიშსწორებისათვის და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციისათვის მოიხმარენ.**



ახალი ფულადი ერთეულის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება პოლიტიკურ-ეკონომიკური ბლოკის სახელმწიფოთა მეთაურებმა უნდა მოიწონონ. ამ ორგანიზაციის მეთორმეტე სამიტს ესწრებოდნენ ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი, ბოლივიის ლიდერი ებო მორალესი, კუბის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე რაულ კასტრო, დომენიკის თანამეგობრობის პრემიერ-მინისტრი რუზველტ სკერიტი და ჰონდურასის პრეზიდენტი მანუელ სელაია.

სწორედ ეს ქვეყნები და ეკვადორი აპირებენ სუკრეს შემოღებას. უნდა აღინიშნოს, რომ ვალუტის სახელწოდება **„ურთიერთანგარიშსწორების ერთიანი რეგიონალური სისტემის"** ესპანური აბრევიატურაა. **უგო ჩავესის აზრით, ამ პირობითი ვალუტის შემოღებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.**

**შეგახსენებთ, რომ მარტის ბოლოს ჩავესმა მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის იდეას ისეთი საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის შექმნის თაობაზე, რომელიც არცერთ სახელმწიფოზე არ იქნება დამოკიდებული. „სავსებით ცხადია, რომ ამჟამინდელი სავალუტო სისტემა ვერ გაუმკლავდა გამოწვევებს. კარგია, რომ გვქონდა ვალუტის გარკვეული კრებული დოლარის, ევროს, ფუნტი სტერლინგის სახით, მაგრამ სამომავლოდ ეს სისტემა უნდა ემყარებოდეს მულტივალუტურ კალათას, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს სხვა რეგიონალურ სარეზერვო ვალუტებსაც**. თუ შევთანხმდებით, სამომავლოდ შეგვიძლია, სუპერვალუტის შექმნაზეც ვისაუბროთ", — განაცხადა მედვედევმა ლონდონში „დიდი ოცეულის" სამიტამდე. უგო ჩავესმაც სწორედ ამ წინადადებას დაუჭირა მხარი გადაჭრით და ერთმნიშვნელოვნად, დამატებით კი დასძინა, რომ დროა, დასრულდეს დოლარის ჰეგემონია და ნელნელა უარი უნდა ითქვას საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის ამერიკული ვალუტის გამოყენებაზე.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რატომ უჭერს მხარს UNICEF აბორტის ლეგალიზებას?

**ბიბლიაზე დაყრდნობილი საეკლესიო ტრადიცია გვასწავლის, რომ ადამიანის ცხოვრება არ შემოისაზღვრება მხოლოდ პოლიტიკური თუ ეკონომიკური პარამეტრებით. ერში გავრცელებული რელიგიური და ზნეობრივი ფასეულობები ხშირ შემთხვევაში განაპირობებენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო უსაფრთხოებასაც.**

ვნების შვიდეული - ქრისტეს აღდგომის მოლოდინია, აღდგომის, რომელიც სიცოცხლის გამარჯვებისა და სიკვდილის დამარცხების სიმბოლოა, მაგრამ ეს მოლოდინი გულისხმობს მზადებას, მზადებას სინანულითა და საკუთარი ცხოვრების ფასეულობების განსხვავებული გააზრებით. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ განსახილველად შემოგთავაზოთ აბორტის პრობლემა. **თანამედროვე, ტექნოლოგიურად “მაღალგანვითარებული” და “დემოკრატიული” საზოგადოებები აბორტს ჩვეულებრივ სამედიცინო პრაქტიკად მიიჩნევენ, რომელიც შეიძლება შევადაროთ კუჭის გამორეცხვასა თუ ცხვირის მოხოცვას.**

**... ყველაზე გაუგებარ პოლიტიკას ამ საკითხთან დაკავშირებით ატარებს UNICEF** (გაეროსთან არსებული ბავშვთა დაცვის ფონდი), **რომლის მიზანი უნდა იყოს ბავშვთა დაცვა, მაგრამ ის ღიად უჭერს მხარს აბორტის გავრცელების პროგრამებს. ამის გამო ვატიკანმა 1996 წელს ოფიციალურად შეწყვიტა ამ ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერა.**

unicef

მათი თვალსაზრისით, აქ რაიმე ზნეობრივი თუ მორალური პრობლემების დასმა აბსოლუტურად უადგილოა. მიუხედავად ამისა, აბორტის გარშემო დისკუსიები არ ცხრება. რელიგიური და სხვადასხვა საზოგადოებრივ-არასამთავრობო წრეები, ასევე სახელმწიფო-საკანონმდებლო ორგანოები აბორტის პრობლემატიკაზე საუბრისას განიხილავენ ეთიკურ, რელიგიურ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და სამართლებრივ მხარეებს.

საკითხის შესწავლამ აღმოაჩინა პრობლემის მთავარი ღერძი: **თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა ემბრიონს არ განიხილავს, როგორც პიროვნებას და შესაბამისად, სამართლის სუბიექტს.**

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ 1973 წლის 22 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც **,,ადამიანის მოთხოვნის შესაბამისად“** ორსულობის პირველ ტრიმესტრში დაკანონდა აბორტი. მოსამართლე ჰერი ბლეკმუნმა განაცხადა: **,,სიტყვა *პიროვნება*“** იმ გაგებით, რა გაგებითაც ის არის ნახმარი აშშ-ს კონსტიტუციაში, არ ეკუთვნის ჯერ არ შობილს.“ ამერიკის ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის ეთიკის საბჭომ *(Ethics Advisory Board)* 1979 წელს აღიარა ემბრიონის უფლება ,,ღრმა პატივისცემაზე“, მაგრამ ეს პატივისცემა არ გულისხმობდა, რომ ემბრიონი უნდა სარგებლობდეს **“პიროვნების სამართლებრივი და მორალური უფლებებით”.** იგივე აზრი დაცულია 1984 წელს ბრიტანეთის სამთავრობო კომისიის *(Britains Warnock Comission)* დასკვნაშიც, სადაც ნათქვამია, რომ ემბრიონს გააჩნია **,,განსაკუთრებული სტატუსი“,** მაგრამ არა ბავშვის ან ზრდასრული ცოცხალი ადამიანისა.

დედის საშოში ბავშვის ცხოვრებაზე ასეთი რედუქციონისტური თვალსაზრისი მიღებული იყო ფართო საზოგადოების მიერ და ამჟამად აშშ-ში და ევროკავშირის წევრ თითქმის ყველა ქვეყანაში აბორტი კანონით დაშვებულია ორსულობის პირველი ტრიმესტრის განმავლობაში. მაშინაც კი, როცა თანამედროვე სახელმწიფოთა კანონმდებლობები უპირობოდ კრძალავენ აბორტებს ორსულობის ნებისმიერ სტადიაზე, როგორც ეს ირლანდიაშია, ან კრძალავენ ორსულობის გარკვეული პერიოდის შემდეგ (მაგალითად საფრანგეთში მიღებულია 10 კვირის, საქართველოში 12 კვირის, ხოლო შვედეთში 18 კვირის პერიოდი), ამას აკეთებენ არა საშოში არსებული ბავშვის სიცოცხლის, არამედ დედის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ანუ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ნაყოფს არ განიხილავს პიროვნებად და შესაბამისად, სამართლის სუბიექტად.

თანამედროვე მედიცინაში ემბრიონის (ჯერ არდაბადებული ბავშვის) სამართლის სუბიექტად არაღიარების საკითხი უკვე ბევრად გასცდა აბორტის პრობლემატიკის საზღვრებს. აქ უნდა გავიხსენოთ აშშ-ში 1989 წელს მერი სიუ დევისის და ლუის დევისის განქორწინების გახმაურებული პროცესი. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ განქორწინების პროცესის დაწყებამდე წყვილს სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში შენახული ჰქონდა ინ ვიტრო განაყოფიერებული 7 ემბრიონი. სასამართლოს მსვლელობისას ქალმა მოითხოვა უფლებები ემბრიონებზე მომავალში მათი გამოყენების მიზნით, ხოლო მამაკაცს არ უნდოდა მშობლის ვალდებულებების შესრულება განქორწინების შემდეგ. ამიტომ ლუისმა ასევე მოითხოვა უფლებები ემბრიონებზე მათი განადგურების მიზნით. აქ ისევ დადგა ის იურიდიული საკითხი — შეიძლება თუ არა, ემბრიონი ჩაითვალოს სამართლის სუბიექტად და, შესაბამისად, დაცული უნდა იყოს თუ არა მისი უფლება სიცოცხლეზე. სამწუხაროდ, სასამართლომ გადაწყვეტილება ბატონი ლუისის სასარგებლოდ მიიღო და ემბრიონები განადგურდა.

აბორტებთან დაკავშირებული სტატისტიკა აღმაშფოთებელია. ამერიკაში ყოველწლიურად აბორტების რაოდენობა მილიონს აღემატება, ევროპაში – 9 მილიონი, ხოლო მთლიანად მსოფლიოში – 42 მილიონია. **საქართველოს 4-მილიონიან მოსახლეობაზე აბორტების ყოველწლიური ოფიციალური სტატისტიკა 19-21 ათასს,**





**ხოლო არაოფიციალური მონაცემებით 100 ათასს ასახელებენ.** ამ ციფრების მიუხედავად, დიდი სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები პროპაგანდას უწევენ აბორტების პრაქტიკის გავრცელებას მსოფლიოში. მაგალითად, ცნობილია, რომ 1994 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უცხოეთში არსებულ დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურებს გაუგზავნა სპეციალური დეპეშა, რომლითაც ითხოვდა, რომ მათ მოეხდინათ გარკვეული ზეწოლა სახელმწიფოებზე აბორტის ლეგალიზაციის მიზნით.

**ამერიკის ყოფილი პირველი ლედი ჰილარი კლინტონი, ამჟამად სახელმწიფო მდივანი, ასევე გამოდის აბორტის დაკანონების ინიციატივით. 2000 წელს მან განაცხადა, რომ გამოიყენებდა თავის ზეგავლენას ბრაზილიაში აბორტების დაკანონების კამპანიის მხარდასაჭერად. ,,განზრახული მაქვს, მხარი დავუჭირო ქალებს, თავისუფლად გამოიყენონ აბორტის უფლება“.**

გაერო ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, როგორიცაა UNFPA (გაეროსთან არსებული მოსახლეობის საერთაშორისო ფონდი), UNICEF (გაეროსთან არსებული ბავშვთა დაცვის ფონდი), UNHCR (ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისი), OMS (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) და მსოფლიო ბანკი თავიანთი სამუშაო პროგრამებით ღიად უჭერენ მხარს აბორტების ლეგალიზაციას მთელ მსოფლიოში. ზემოთხსენებულმა ორგანიზაციებმა 1987 წელს კენიაში ორგანიზებულ ერთობლივ კონფერენციაზე განაცხადეს: ,,კანონიერი და ხარისხიანი აბორტებით მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსოფლიოში ყველა ქალისთვის“.

**ყველაზე გაუგებარ პოლიტიკას ამ საკითხთან დაკავშირებით ატარებს UNICEF, რომლის მიზანი უნდა იყოს ბავშვთა დაცვა, მაგრამ ის ღიად უჭერს მხარს აბორტის გავრცელების პროგრამებს. ამის გამო ვატიკანმა 1996 წელს ოფიციალურად შეწყვიტა ამ ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერა.**

ასეთი სავალალო მდგომარეობის ფონზე აქტუალურად მიგვაჩნია კანონიკური სამართლის პრინციპების გახსენება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ **მართლმადიდებელი ეკლესის პოზიცია ეფუძნება იმ დებულებას, რომ ჩასახვის მომენტიდანვე ნაყოფი უკვე ცოცხალი პიროვნებაა და შესაბამისად მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაცული უნდა იყოს ზნეობრივი და იურიდიული ნორმებით. კანონიკური სამართლის მიხედვით, ემბრიონი თავისი არსებობის პირველივე დღიდანვე უკვე სამართლის სუბიექტია.**

ბიბლიაში ნათლად ჩანს, რომ ჩასახვის მომენტიდან ღმერთს უკვე აქვს პიროვნული ურთიერთობა ადამიანებთან. **,,უფალმა მუცლიდან მომიწოდა, დედის წიაღიდან ახსენა სახელი ჩემი“ (ისაია 49:1), ხოლო იერემია წინასწარმეტყველის წიგნში ვკითხულობთ: ,,ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე; ვიდრე საშოდან გამოხვიდოდი, წმინდა გყავი, ხალხების ქადაგად დაგადგინე“ (იერემია 1:5). ახალ აღთქმაში მოთხრობილია, როგორ სცემს თაყვანს დედის მუცელში მყოფი იოანე ნათლისმცემელი შეკრთვით მარიამ ღვთისმშობლის მუცელში მყოფ მაცხოვარ იესო ქრისტეს (ლუკა 1;41).**

**ამიტომაც ჯერ კიდევ ძველი აღთქმის მოსეს სჯული მკაცრად სჯიდა ადამიანს, თუ მისი არაგანზრახ ქმედებითაც კი მუცელს მოაშლევინებდა ორსულ ქალს (გამოსვლა 21:22-24).**

ქრისტიანული ეკლესიის სამართლის პირველივე ძეგლები აბორტს განიხილავს, როგორც მკვლელობას. მაგალითად, პირველი საუკუნის ბოლოსა და მეორე საუკუნის დასაწყისში დაწერილ ძეგლში — *დიდაქეში* ვკითხულობთ: **,,ნუ გაანადგურებ ბავშვს აბორტით“. თითქმის იმავე სიტყვებს იმეორებს წმინდა ბარნაბას ეპისტოლეც: ,,ნუ მოკლავ ბავშვს აბორტით“. წმიდა იპოლიტე რომაელი (III საუკუნის დასაწყისი) თავის კანონიკურ ეპისტოლეში, აბორტის პრაქტიკას უწოდებს მკვლელობას და იმათ, ვინც მუცლის მოსაშლელ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა, უკრძალავდა ეკლესიაში სიარულს.**

ელვირას ადგილობრივი კრების დადგენილებით (305-306 წლები), ქალის, რომელმაც გაიკეთა აბორტი, ზიარებაზე დაშვება შეიძლებოდა მხოლოდ სიკვდილის წინ. წმიდა ბასილი დიდი (IV საუკუნე) თავისი მეორე კანონით ადგენს: **,,ქალები, რომლებიც თავიანთ ბავშვებს მუცელში იკლავენ, მკვლელის სასჯელის ღირსები არიან. ჩვენთან (ქრისტიანებთან) არ აქვს მნიშვნელობა ბავშვი მუცელში იყო თუ არა ჩამოყალიბებული.** აბორტის ჩამდენი ისჯება არა მხოლოდ ბავშვისთვის, რომელიც უნდა დაბადებულიყო, არამედ იმის გამოც, რომ საფრთხის ქვეშ დააყენა ქალის სიცოცხლეც. ცნობილია, რომ ბევრი ქალი იღუპება აბორტის გაკეთების დროს. ამას ემატება ბავშვის მკვლელობაც, როგორც განზრახ მკვლელობა. ასეთი ქალების სინანული ათ წელს უნდა გაგრძელდეს მხოლოდ ამის მერე მათ მიეცეს ზიარების უფლება“.

**ვახტანგ VI-ის კანონიკურ კოდექსში, ბერძნული ნომოკანონის მიხედვით, ქმარს უნდა გაეშვა ცოლი, რომელმაც აბორტი გაიკეთა, და ეს ქალი ქალაქიდან უნდა გადასახლებულიყო. ხოლო აბორტის გამკეთებელ ექიმბაშისთვის, ოპერაციის დროს თუ ქალი შემოაკვდებოდა, თავი უნდა მოეკვეთათ.**

კარგი იქნება, თუ კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას პიროვნებისა და სიცოცხლის პრობლემაზე: **როდის იწყება ის და შეიძლება თუ არა დამთავრდეს ისე, რომ ადამიანს მზის სხივის დანახვის, სიხარულისა და სიყვარულის გაზიარების ერთი შანსიც არ მიეცეს.**

**ალექსი ქშუტაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ახალგაზრდა ქალის მკვლელობას შესაძლოა, სისხლის აღება მოჰყვეს

(ეთიკურ მოსაზრებათა გამო, ქვემოთ აღწერილ ამბებში შეცვლილია მოქმედი პირების ვინაობა და მოქმედების ადგილი)



**2008 წლის 30 აპრილი საბედისწერო გამოდგა 27 წლის ნანა მუშკუდიანისთვის. იგი ერთი გასროლით საკუთარმა ნათესავმა, 27 წლის გიორგი გაზდელიანმა მოკლა. ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო და შემზარავი ის არის, რომ მოკლული და მკვლელობაში ბრალდებული საყვარლები იყვნენ. ამის შესახებ თავად დაკავებულის ნათესავებიც საუბრობენ, თუმცა ამაზე ღიად ლაპარაკს ერიდებიან. ეს მკვლელობა თბილისის ერთ-ერთ უბანში მოხდა, რომელსაც კიდევ ერთი პიროვნება, გიორგი გაზდელიანის ადვოკატი როლანდ ლეშკაშელი შეესწრო. ადვოკატის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, გიორგი გაზდელიანი პოლიციას არ ჩაბარდა. სამართალდამცავებმა იგი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დააკავეს.**

გიორგი გაზდელიანი აფხაზეთიდან დევნილია. მას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები ჰყავს. გიორგის სამართალდამცავებთან პრობლემები ადრეც ჰქონდა; იგი მკვლელობის მცდელობისთვის იძებნებოდა. ძებნილი თავს ერთ-ერთი ნათესავის ბინას აფარებდა. სწორედ ამ ბინაში იმართებოდა საიდუმლო შეხვედრები საყვარლებს შორის.

**მოკლული ნანა მუშკუდიანიც დაოჯახებული იყო. თუმცა, მეუღლესთან საერთო შვილები არ ჰყოლია. იგი ერთ-ერთ მაღაზიაში მუშაობდა. ქმართან ერთად თბილისის გარეუბანში ცხოვრობდა.**

მკვლელობის დღეს გიორგი თავის ადვოკატთან ერთად შეგულებულ ბინაში იმყოფებოდა. კლიენტი და ადვოკატი წარმოქმნილ პრობლემებზე საუბრობდნენ. ადვოკატის რჩევით, გიორგი სამართალდამცავებს უნდა ჩაჰბარებოდა...

საღამო ხანს კარზე კაკუნი გაისმა. სტუმრის გამოჩენა გიორგის არ გაჰკვირვებია; შემოსასვლელში ნანა იდგა. შემოსწრებული სტუმარი ვახშამზე მიიპატიჟეს. მის მოსვლამდე კაცებს რამდენიმე ჭიქა არყის დალევა უკვე მოესწროთ. **ვახშამი გაგრძელდა. ნანა მაგიდის თავში იჯდა, მოპირდაპირე მხარეს — ადვოკატი. იქვე ახლოს გიორგი იდგა, რომელიც ხელში „მაკაროვს“ ათამაშებდა. მან ხუმრობით არაერთხელ დაუმიზნა ნანას. თანამესუფრეების შენიშვნების მიუხედავად, იარაღი არ შეინახა და კვლავინდებურად განაგრძობდა ნანასთვის დამიზნებას.**

მოულოდნელად გასროლის ხმა გაისმა. გონს მოსულმა შენიშნა, რომ ტყვია ქალს მოხვდა. მსხვერპლს სახე გაჰყინვოდა, ხელში აღებული ლუკმა გაჰქვავებოდა და კედლისკენ ნელ-ნელა ჩაცურებულიყო. ტყვია ნანას მარჯვენა ყურის უკან მოხვდა. ახალგაზრდა ქალი ადგილზევე გარდაიცვალა.

ამ ამბის შემდეგ ბინა ორივე მამაკაცმა დატოვა. ადვოკატის რჩევამ, რომ გიორგი პოლიციას ჩაჰბარებოდა, არ გაჭრა. მკვლელობის ღამესვე ორივენი გიორგის სახლში წავიდნენ. გიორგიმ მშობლებს მომხდარის შესახებ უამბო. მათაც ჩაბარება ურჩიეს.

**საქმე ისაა, რომ ნანაც და გიორგიც სვანები არიან. მშობლებს კი, სვანური წესით, სისხლის აღების შეეშინდათ, და არცთუ უსაფუძვლოდ — მომხდარის შემდეგ მოკლულის ოჯახი შურისძიებით იმუქრებოდა.**

**სწორედ ამიტომ ურჩევდნენ მშობლები გიორგის ჩაბარებას.**

**გიორგიმ პოლიციელებთან შეხვედრა მეორე დღისთვის გადადო, თანაც, მათთან მისვლა ადვოკატის თანხლებით გადაწყვიტა.**

თუმცა, დაპირებისამებრ, მეორე დილით იგი ადვოკატს არ დაკავშირებია. ადვოკატმა პოლიციას მიმართა. მან კარგად იცოდა, რომ დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის შესაძლოა, სამართალდამცავ ორგანოსთან პრობლემები შეჰქმნოდა. ამასობაში გიორგი გაიქცა. თუმცა, მისი დევნილობა მხოლოდ ორიოდ დღეს გაგრძელდა. სამართალდამცავებმა იგი დააკავეს.

**დაკავებულმა კატეგორიულად უარყო განზრახ მკვლელობა. როგორც თავად განუცხადა გამოძიებას, ნანას მკვლელობა განზრახული არ ჰქონია და ყველაფერი შემთხვევითობას დააბრალა. უნდა ითქვას, რომ მისი სასარგებლო ჩვენება მისცა ადვოკატმაც. ის ხომ მომხდარის თვითმხილველი იყო...**

ადვოკატის თქმით, 30 აპრილს გიორგის თხოვნით მისსავე ბინაში მივიდა. საუბარი გიორგის დანაშაულს შეეხებოდა, რისთვისაც იგი პოლიციის მიერ იძებნებოდა. როგორც ადვოკატი ამბობს, გიორგი ჩაბარებას აპირებდა. საუბრის დროს მათ ნანა შეუერთდათ. სტუმრად მოსული ქალი გიორგიმ ადვოკატს ნათესავად გააცნო.

**„ნანა ჩემ მოპირდაპირე მხარეს დაჯდა; ჭამას შეუდგა. ამ დროს გიორგი ოთახიდან გავიდა. მე და ნანა ვსაუბრობდით. ამასობაში 10-15 წუთი გავიდა. გიორგი სამზარეულოში შემოვიდა. რამდენადაც შევატყვე, მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ; ხშირად ხუმრობდნენ. საუბრისას ნანამ ღუმელზე დადებული იარაღი შეამჩნია და გიორგის შენიშვნის სახით უთხრა, თუ რატომ ედო სამზარეულოში იარაღი. გიორგიმ იარაღი აიღო, რამდენჯერმე დაშალა დაააწყო; სასხლეტზე ხელი გამოჰკრა და პერიოდულად ხუმრობის სახით ნანას უმიზნებდა. იარაღი არ ისროდა. რამდენჯერმე შენიშვნა მივეცი, რომ იარაღი მოეცილებინა. გიორგის ქცევაზე ნანას რეაქცია არ ჰქონდა და საკვების მირთმევას განაგრძობდა...“**

**„გარკვეული პერიოდით გიორგიმ იარაღით გართობა შეწყვიტა; საუბარს ვაგრძელებდით და ამ დროს გასროლის ხმა გაისმა. ინსტინქტურად შევხედე ჩემ პირდაპირ მჯდომ ნანას. იგი ნელ-ნელა ზურგით უკან გადაიწია და თვალები დახუჭა. ყოველივე ხუმრობა მეგონა, რადგან ქალის სახეზე დაზიანება ვერ შევნიშნე, ხოლო როდესაც ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, გავოგნდი. მდგომარეობიდან გიორგის სიტყვებმა – „აუ, ეს რა ვქენი, მგონი, მოვკალი“, — გამომიყვანა. წამოვხტი, მაგიდას შემოვუარე და ნანასთან მივედი. ჭრილობა მარჯვენა ყურის უკან ჰქონდა. პულსი არ ისინჯებოდა. გიორგის ვკითხე, ეს რატომ ჩაიდინა, რაზეც მიპასუხა, — ტყვია უვარგისი იყო და გასროლა არ უნდა მომხდარიყოო...“** – ამბობს ადვოკატი.

დაკავებულმა პროცესის დახურვა მოითხოვა. სწორედ დახურულ სხდომაზე განაცხადა, რომ ის და მოკლული საყვარლები იყვნენ, რომ მას ნანას მოკვლა განზრახული არ ჰქონდა და ეს შემთხვევით მოხდა.

მოკლულის ოჯახს თავიდანვე ეჭვი ეპარებოდა „შემთხვევით“ გასროლაზე და აცხადებდა, რომ გიორგიმ ნანა განზრახ მოკლა: — **„გოგო მოგვიკლეს, ოჯახი დაიქცა და კიდევ აქეთ გვცხებენ ჩირქს. რაც აწყობთ, იმას ამბობენ. ჩვენ არ გვჯერა, რომ მას ნანა შემოაკვდა. ტყვია ისეა ნასროლი, რომ მკვლელობას ჰგავს და არა შემთხვევით გასროლას. ნანა მაგიდასთან იჯდა, ლუკმა პირისკენ მიჰქონდა, როდესაც ესროლა. წინა კბილი ჩატეხილი ჰქონდა, მარჯვენა მკლავი — ჩალურჯებული და როგორ ამბობს, რომ ტყვია შემთხვევით გაუვარდა.“**

სავარაუდოდ, ოჯახის პოზიცია გაითვალისწინა პროკურატურამაც, როდესაც გიორგი გაზდელიანს განზრახ მკვლელობის ბრალდება წაუყენა და სასამართლომაც. თავად გიორგის ადვოკატი ბრალის შეცვლას ითხოვდა, რადგან თვლიდა, რომ განზრახ მკვლელობას ადგილი არ ჰქონდა. როგორც ადვოკატი ამბობს, პროკურატურამ სასამართლო სხდომაზე განზრახ მკვლელობა ვერ დაამტკიცა.

**„სახელმწიფო ბრალმდებელი არასწორ კვალიფიკაციას აძლევს გიორგი გაზდელიანის მიერ ჩადენილ ქმედებას. აქედან გამომდინარე, მოთხოვნილი სასჯელის ზომაც არის დაუსაბუთებელი და არასამართლიანი. სხდომაზე დაკითხულმა მოწმემ აღნიშნა, რომ გასროლამდე გიორგისა და ნანას შორის არანაირი უთანხმოება ან კამათი არ მომხდარა, რაც ვერანაირად ვერ ჩაითვლება იმ გამაღიზიანებელ ფაქტორად, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა განზრახ მკვლელობა,“** –განაცხადა მსჯავრდებულის ადვოკატმა. იგი 108-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა), 116-ე მუხლის I ნაწილით გადაკვალიფიცირებას ითხოვდა, თუმცა მისი მოთხოვნა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

საბოლოოდ, სასამართლომ გიორგი გაზდელიანი მკვლელობაში გაამტყუნა და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ამავე დროს, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის – 3 000 ლარის გადახდა დააკისრა. ადვოკატმა სააპელაციოში გაასაჩივრა. თუმცა მეორე ინსტანციამაც სასჯელი ძალაში დატოვა. ამჟამად საქმე გასაჩივრებულია, თუმცა ჯერ პროცესი არ დაუნიშნავთ.

**ნანა არევაძე**

# სააკაშვილი, Hürriyet არდადეგები ბოდრუმში

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 25 აპრილს 4 დღით დასასვენებლად ბოდრუმში პირადი თვითმფრინავით ჩამოფრინდა.**

პრეზიდენტი სააკაშვილი ბოდრუმ-მილას აეროპორტში დღისით გაძლიერებული დაცვის თანხლებით ჩაფრინდა. აეროპორტში მყოფ ჟურნალისტებს ფოტოებისა და ვიდეოს გადაღების უფლება არ მისცეს. სააკაშვილის თვითმფრინავიდან 15 ჩემოდანი ჩამოტვირთეს. საქართველოს პრეზიდენტმა „ვი-აი-პი“ გასასვლელით არ ისარგებლა და მისი ესკორტი, რომელიც 6 მანქანისგან შედგებოდა, ბოდრუმის სასტუმრო „მარმარასკენ“ (Marmara Hotel) გაემართა. ბოდრუმში 4-დღიან არდადეგებზე სააკაშვილი 8 თანმხლებ პირთან ერთად ჩავიდა, მათ შორის გახლდათ მისი პირადი მდივანიც. პრესას, რომელიც შეეცადა, აეროპორტიდან სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე სააკაშვილის ესკორტს უკან გაჰყოლოდა, გზა უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა გადაუღობეს.

დასვენების დროს საქართველოს პრეზიდენტს იზმირის საპატიო კონსული უმასპინძლებს. ის სპეციალური იახტით კუნძულებზე (Orak Island, Cedar Island) გაეგზავრება, სადაც, იქ მიმდინარე დღესასწაულზე დროს გაატარებს. პრეზიდენტი ბოდრუმს დასასვენებლად ბოლოს 2007 წლის 23 ივნისს ეწვია.

## სასტუმროს აუზთან გარუჯვა

საქართველოს პრეზიდენტი ბოდრუმში „მარმარა ჰოტელში“ გაჩერდა, სადაც ის გარკვეულ დროს აუზთან ატარებს და ირუჯება. ლურჯ შორტებში, თეთრ მაისურსა და სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილი საქართველოს პრეზიდენტი ბოდრუმის ციხესიმაგრის ხედით ტკბება, კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, ბევრს საუბრობს ტელეფონით, სვამს ფორთოხლის წვენს და სასტუმროს გერმანელი და დანიელი ტურისტების ბავშვებს ეკონტაქტება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების — „ერეკლე მეორეს საზოგადოება“, „სახალხო დიპლომატიის, მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის“ და „საქართველო-რუსეთის მეგობრობის ცენტრის“

# ერთობლივი განცხადება

## საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის — ნატოს წვრთნებთან დაკავშირებით

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას თავს ახვევენ ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში (ნატოში) გაწევრიანების იდეას. ალტერნატიული — ნატოში საქართველოს წევრობის საწინააღმდეგო აზრი — კი იჩქმალება ან პირდაპირ იდევნება, ხოლო ამ აზრის მხარდამჭერები „რუსეთის აგენტებად“ ცხადდებიან.

ნატოში გაწევრიანება ქართველი ხალხისთვის მიზანშეუწონელია შემდეგ გარემოებათა გამო:

— სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრობა ნიშნავს საქართველოს სუვერენიტეტის სერიოზული ნაწილის გადაცემას ალიანსისათვის, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ოცნებას პოლიტიკური და სამხედრო დამოუკიდებლობის შესახებ;

— სამედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრობა ეწინააღმდეგება საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის პოლიტიკურ ნებას. ასეთი უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა, ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის აზრის სრული იგნორირებით, მთლიანად სპობს ამ მოსახლეობასთან პოლიტიკური მეთოდებით ურთიერთობების გადაჭრის შესაძლებლობას და საქართველოს სამუდამოდ უკარგავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას;

— სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრობა პირდაპირი გამოწვევაა მეზობელი რუსეთისა, ვინაიდან ეს ფაქტი საფრთხეს უქმნის ამ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და რადიკალურად გვაპირისპირებს მასთან, რაც, საბოლოო ჯამში, კატასტროფულ შედეგებს მოუტანს საქართველოს. ამის უტყუარი დასტურია 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები.

ყველაფერთან ერთად, ნატო სერიოზულად არც არასდროს განიხილავდა ახლო მომავალში საქართველოს მიღებას თავის რიგებში. ალიანსის ფუნქციონერებს და მის არცერთ წამყვან სახელმწიფოს არასოდეს არ დაუსახელებია საქართველოს გაწევრიანების კონკრეტული ვადები. მიუხედავად ამისა, საუბარია იმაზე, რომ საქართველო უნდა გახდეს ალიანსის წევრი, რაც ახლო მომავალში, ამის უპერსპექტივობის მიუხედავად, სერიოზული გამაღიზიანებელი ფაქტორია მეზობელი რუსეთისათვის, შიდაპოლიტიკურად კი ხელისუფლების საყვარელი პროპაგანდისტული თემაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატოში საქართველოს გაწევრიანების თემის მუსირება წარმოადგენს პროვოკაციას, რომელიც მიმართულია:

ა) რუსეთის წინააღმდეგ და საქართველოს და რუსეთს შორის მუდმივი დაძაბულობის შესანარჩუნებლად;

ბ) ქვეყნის შიგნით გაბატონებული რადიკალურად პროდასავლური და ანტიქართული ხელისუფლების მხარდასაჭერად.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ორგანიზაციები, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აზრის გათვალისწინებით, კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით რა საქართველოს ჩათრევას ავანტიურაში სახელწოდებით „ნატოში ინტეგრაცია“, მტკიცე პროტესტს გამოვთქვამთ საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს დაგეგმილ წვრთნებთან დაკავშირებით, ვინაიდან, ჩვენი ღრმა რწმენით, ნატოს მხრიდან ეს რუსეთის კიდევ ერთი გამოწვევა და ამ ქვეყანაზე ძალისმიერი ზეწოლის ცინიკური და უპასუხისმგებლო გამოვლენაა; ხოლო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ნატოს ამ შემოთავაზების მიღება, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ფონზე, ნიშნავს საკუთარი ქვეყნის მიმართ აბსოლუტურად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას და მთელს რეგიონში დესტაბილიზაციის გამომწვევი მოვლენების შეგნებულად თუ შეუგნებლად პროვოცირებას (ჩვენს ამ პოზიციას ერთგვარად ხაზს უსვამს და ადასტურებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის მიერ ნატოს დაგეგმილ წვრთნებში მონაწილეობაზე უარის თქმა).

საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს წვრთნების ჩატარება სრულიად მიზანშეუწონელია საქართველოში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ ნატოს წვრთნებში მონაწილე ყველა ქვეყნის ხელისუფლებას, რომ გაითვალისწინონ შექმნილი ვითარება, გაითვალისწინონ საქართველოს მოსახლეობის საგულისხმო ნაწილის აზრი და უარი თქვან 2009 წლის მაისის თვეში საქართველოში დაგეგმილ სამხედრო წვრთნებზე.

# რა ქრისტიანული რელიკვიები წაიღეს ამერიკელებმა მესამე რაიხიდან

**გრაალი, ანუ თასი, რომელშიც ჯვარცმის შემდეგ მაცხოვრის სისხლი მოაგროვეს, უდიდეს საიდუმლო სიმბოლოდ არის მიჩნეული. თანამედროვე მკვლევარები მასთან დაკავშირებული არაერთი იდუმალებით მოცული საკითხის ახსნისაკენ მიისწრაფვიან. გრაალის საიდუმლოს კი აზიასა და ევროპაში სხვადასხვა შინაარსი აქვს. დასავლეთის ქვეყნებში მას მიიჩნევენ ფიალად, რომლითაც საიდუმლო სერობის ჟამს ქრისტე მოწაფეებს ღვინით უმასპინძლდებოდა. სწორედ ამ თასში იოსებ არიმათიელმა ჯვარცმის დროს ქრისტეს სისხლი შეაგროვა.**





აზიური ქვეყნების მკვლევართა განმარტებით, გრაალი არის დიდი ქვა, რომელსაც ჩანტამანი ეწოდება. იგი წამოღებულია ორიონის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი მაღალი განვითარების პლანეტიდან და წარმოადგენს უცხოპლანეტელთა კეთილგანწყობას დედამიწელთა მიმართ.

განსხვავებული აზრის მიუხედავად, ორივე მხარის მეცნიერები, მკვლევარები, რელიგიის მიმდევარნი ერთ რამეში თანხმდებიან, რომ გრაალსაც და ჩანტამანსაც აქვს ჩაშიფრული კოლოსალური ენერგეტიკული კოდი — სამყაროს განვითარებისა და მართვის უზოგადესი კანონები. ვინც შეძლებს ამ ენერგიასთან კავშირში შესვლას, მას ენიჭება ყველა სიკეთე და ეძლევა სურვილთა ასრულების შესაძლებლობა. გრაალს მფლობელისთვის დიდი წარმატება მოაქვს. იგი ეხმარება მათ, ვისაც სურს სამყაროს გაერთიანება. **შეიცავს უამრავ საიდუმლო გააზრებას, ოკულტიზმიდან დაწყებული თავისუფალ ქვისმთლელთა კავშირით (მასონებით) დამთავრებული. გრაალს გადასცემდნენ მეფეებსა და გმირებს, რათა მისი საშუალებით კაცობრიობისთვის ბედნიერება მოეტანათ და არასოდეს მოხვედრილიყო ბოროტმოქმედთა ხელში.** იგი გათვალისწინებული იყო კურთხეულთათვის. გრაალის თასი გამოთლილია აქატის უზარმაზარი ქვისგან, რომლის დიამეტრი ცხრა სანტიმეტრია, დამუშავებულია განსაცვიფრებელი ოსტატობით. გრაალი საუკუნეთა მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა. მას სხვადასხვა ტაძრის რაინდული ორდენები იცავდნენ. ამ რაინდებს ხშირად მეტაძრეებად იხსენიებენ. 1435 წელს გრაალის თასმა ბინა ვალენსიის საკათედრო ტაძარში პოვა.

ლეგენდარული შუბი, რომლითაც ქრისტეს ფერდი განუგმირეს, ასევე დიდი ენერგეტიკული კოდითაა დაშიფრული. იოანე ღვთისმეტყველის სახარების მიხედვით, იესო პარასკევ დღეს უნდა დაესაჯათ იმიტომ, რომ ახლოვდებოდა ებრაელთა დღესასწაული რაბაში და, ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს ჯვარცმა არ შეიძლებოდა. პარასკევს პილატე გოლგოთაზე დამსჯელი რაზმით გაემართა, თან ახლდა იუდეველთა ჯარის რაზმის უფროსი ჰეროდე ანტიპა, სამეფო შუბით. ეს შუბი ესროლა შურით დაბრმავებულმა საულმა ახალგაზრდა დავითს. ამავე შუბის აღმართვით ბრძანა ჰეროდემ იუდეველ ჩვილთა ამოწყვეტა. ფინიუსმა, რომელიც სინედრიონში მესამე კაცი იყო, ამ სამეფო შუბით მოითხოვა ქრისტეს განგმირვა. სასჯელის აღსრულების ბოლომდე რომაელები არ დარჩენილან. საქმის დასრულება მხოლოდ გაიუს კასიუსს ევალებოდა. გაიუს კასიუსმა კი, რათა მაცხოვრისთვის ტანჯვით სიკვდილი აეცილებინა, მოულოდნელად მას მარჯვენა ფერდში შუბი ჩასცა. მისი წმინდა სხეულიდან კი სისხლმა და წყალმა იჩქეფა, რომელიც გრაალის თასში იოსებ არიმათიელმა შეაგროვა. ამ დროს ნახევრად ბრმა გაიუს კასიუსს თვალისჩინი დაუბრუნდა. ამავე დროს, ტაძარში, სადაც რომაელები იესოს სიკვდილს ელოდნენ, სამსხვერპლო კულტი გასკდა, გამოჩნდა კუბოს ფორმის შავი ქვა, რომელიც იქ ძველი აღთქმის დროიდან იდო. ქვა დაიშალა და ჯვარი წარმოიქმნა, რომელმაც ხალხს ძველი სამყაროს დაშლა და ახალი სამყაროს დასაწყისი ამცნო. სასწაულმოქმედი შუბი კი ბიბლიურ რელიკვიად იქცა. მასზე ერთი ლურსმანი დაამაგრეს (რომლითაც იესო იყო ჯვარზე გაკრული). ამრიგად, შუბი იქცა წმიდათაწმიდა ძეგლად მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ისტორიული გადმოცემის თანახმად, ვინც ამ შუბს ფლობდა, მსოფლიოს მბრძანებელი იყო და მას ყოველნაირი სიკეთისა და ბოროტების ჩადენა შეეძლო.

მსოფლიოს სახელმწიფო მეთაურებს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდათ ამ ნივთებისთვის დათმობილი. სხვადასხვა წყაროებიდან იცოდნენ, რომ ამ უძველეს ქრისტიანულ რელიკვიებში ჩადებული და ჩაშიფრული იყო უზარმაზარი ენერგეტიკული ძალა, რომლითაც ყველა ადამიანს შეეძლო, საკუთარი ნება თავს მოეხვია სხვა სახელმწიფოებისათვის ან ერებისათვის. ამ ნივთების დასაკუთრების სურვილი განსაკუთრებით გამძაფრდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

ჰიტლერი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ამ ძლევამოსილი ნივთების ხელში ჩაგდებას ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავდა. ლეგენდარული შუბისა და გრაალის არსებობა მას მოსვენებას არ აძლევდა. დიდი კვლევა-ძიების შედეგად ბიბლიური შუბი მან პირველად ვენაში ჰაბსბურგების ციხე-მუზეუმში იხილა. 1938 წელს ავსტრია გერმანიას შეუერთდა და შუბიც ვენიდან ნიურნბერგის სპეციალურ საცავში გადაიტანეს. მეცნიერები და მკვლევარები ამ საოცარ ქრისტიანულ ნივთებზე უამრავ ცნობას აგროვებდნენ. მათი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზუსტად ასეთივე შუბები ინახებოდა ვატიკანში, პარიზსა და კრაკოვში. ამ აღმოჩენამ ჰიტლერი გააცეცხლა, მას ეს ნივთები ჰაერივით სჭირდებოდა, რადგან მისი ოდიოზური ბუნება გამუდმებით მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდა. ჰიტლერის ერთგულ სწავლულებს დიდი ძალისხმევა და შთაგონება დასჭირდათ ფიურერის დასარწმუნებლად, რომ ყველა დანარჩენი, ნიურნბერგში მოთავსებული შუბის გარდა, მხოლოდ ორიგინალის ასლები იყო და სხვა არაფერი, რომ ძალაუფლების მპყრობელი და მომავლისთვის გარანტირებული მსოფლიოს მბრძანებელი მხოლოდ ბატონი ეფრეიტორია.

უბადლო ქრისტიანული რელიკვია, ანუ ლონგინოსის შუბი, რომელსაც რომაელი ცენტურიონის სახელს ეძახდნენ, გერმანელი მეფეები წმინდა გრაალის საგანძურში იცავდნენ და ავგაროზისა და უძლეველობის სახით მხოლოდ ომების დროს იყენებდნენ. მათ სწამდათ, რომ ეს ნივთები თავიანთი მაგნიტური ძალით ზემოქმედებდნენ მსოფლიო მოვლენებზე. უფრო მეტიც, თუ გრაალის თასი მუქად გამოიყურებოდა, მაშინ წვიმები მოდიოდა, როცა მძიმდებოდა, სისხლი იღვრებოდა, თუ ხელის შეხებისას რაიმე ჩქამს გამოსცემდა, მაშინ მსოფლიოს კატაკლიზმები და ომები აზანზარებდა. ეს ორი ნივთი უნდა შეესწავლათ მეცნიერებს, რადგან მათში კოდირებულია სამყაროს მოწყობის კანონები. როდესაც მსოფლიოს დიდი ომის ჩრდილი მოუახლოვდა, 1936-39 წლებში ჰიტლერის მეცნიერებმა თასი სოფელ კარლეტში გადამალეს.

1945 წლის 5 მაისს ნაოსნობაში გაემგზავრა იმდროისათვის ყველაზე სრულყოფილი, ტექნიკის უახლესი მიღწევებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავი №534. ნავის ეკიპაჟიცა და მისი კაპიტანიც უკვე თვითმკვლელი, სიცოცხლედასრულებული ფიურერის უკანასკნელ დავალებას ასრულებდნენ. საიდუმლოებით მოცულ წყალქვეშა ხომალდის ბორტზე იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბიბლიური რელიკვია — შუბი, სწორედ ის, რომელითაც რომაელმა ცენტურიონმა ჯვარცმულ იესოს ფერდი განუგმირა. სხვადასხვა წყაროდან მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ №534 წყალქვეშა ხომალდზე ლონგინოსის შუბთან ერთად გრაალის თასიც იყო (საბედისწერო ფაქტები, „საქართველოს მაცნე“. თბილისი 1999 წ. გვ. 174). გერმანელები ცდილობდნენ, ენერგეტიკული კოდის მქონე ნივთები მტერს ხელში არ ჩავარდნოდა. სუბმარინა №534 სრული სვლით სამხრეთ ამერიკისკენ მიემართებოდა. მას ორი წყალქვეშა ნავი იცავდა. ინგლისს საზღვაო ბრძოლების დიდი ტრადიცია აქვს. მას ამ მხრივ ბევრი ქვეყნის საზღვაო ძალები ვერ შეედრება. ზუსტად ინგლისის საზღვაო-სამხედრო ძალების სადაზვერვო განყოფილებამ დანიასა და შვედეთის სანაოსნო ზოლში გერმანული წყალქვეშა ნავი დააფიქსირა. წყალქვეშა ნავს ბომბები დაუშინეს. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და მხოლოდ 1993 წელს მოხერხდა გემის მზის სინათლეზე ამოტანა, რასაც რამდენიმე თვის ურთულესი ოპერაციები დასჭირდა. ზოგიერთი ვერსიით, ნავში წმინდა ნივთები არ აღმოჩნდა, რადგან წმინდა სისხლის მქონე გერმანელმა კაპიტანმა მათი გადაყრა მოასწრო. ზოგი ვერსიით კი, ისინი იმავე წუთიდან, ყოველგვარი გახმაურების გარეშე ინგლისელთა ხელში გადავიდა. ზოგი ვერსიით, მოკავშირეებს ჩაუვარდათ ხელში. ასე თუ ისე, შუბი ისტორიული მფლობელის ხელიდან სხვათა ხელში გადავიდა, რასაც სასწაულებრივ თან დაერთო შემდეგი მოვლენები: მოკავშირეებმა ნიურნბერგი აიღეს და დაიწყეს აღნიშნული წმინდა ნივთების ძებნა; იმავე დროს თავი მოიკლა ჰიტლერმა. ფაქტები საოცრად ემთხვევა წინასწარმეტყველებას — „ვინც დაკარგავს შუბს ან გრაალს, მას დაღუპვა ელის“ („საქართველოს მაცნე“, საბედისწერო ფაქტები, გვ. 173).

უფრო გვიან ვრცელდება სენსაციური ამბავი, რომ ლეგენდარული ნივთები ჩაშიფრული ენერგეტიკული კოდით ამერიკელებს ჩაუვარდათ ხელთ. ამ ვერსიას ისიც ამტკიცებს, რომ ამერიკელთა მიერ რეკვიზირებული უძველესი ფასეულობების ბედი დღემდე უცნობია. აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დღემდე არ აქვეყნებს უძვირფასესი რელიკვიების მოპოვების დეტალებს. იქნებ ამ ქვეყნის დღევანდელი სამხედრო ძლიერების მიზეზიც და შემწეც ამ ნივთების ენერგეტიკული ძალაა.

**მოამზადა**
**ლალი შაშიაშვილმა**

# სოკო — გოგონების საუკეთესო მეგობარი

**იაპონელმა მეცნიერებმა ხის სოკოდან ფერმენტი გამოყვეს, რომელიც თმის საღებავ მელანინს შლის. ამიერიდან ქერა თმაზე მეოცნებეთ წყალბადის ზეჟანგის გამოყენება აღარ დასჭირდებათ.**



ზოგიერთი პრესტიჟული სალონი კლიენტებს არწმუნებს, რომ თმის გასაუფერულებლად არ მიმართავს წყალბადის ზეჟანგს, რომლის მუდმივი მოხმარება თმის სიმშრალესა და მტვრევადობას იწვევს. მაგრამ ეს პატარა ეშმაკობაა. ჩვენ ერთ-ერთ ასეთ სალონში დავრეკეთ, სადაც გვაუწყეს, რომ „ოქსიდანტებს“ იყენებენ. თუმცა სალონის თანამშრომლებმა არ დაგვიმალეს, რომ „ოქსიდანტები“ ისევ და ისევ წყალბადის ზეჟანგის ხსნარია, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დანამატით.

**არადა, გაუფერულებისთვის შესაძლებელია, მივმართოთ არა მარტო მელანინის ჟანგვას, არამედ ფერმენტების დახმარებით მის დაშლას. სწორედ ასეთი ფერმენტი მიიღეს იაპონელმა მეცნიერებმა კენძო კოიკეს ჯგუფიდან. ქიმიური თვალსაზრისით ფერმენტები ცილებია, რომლებიც სოკოში სპეციალური გენის მეოხებით წარმოიქმნება.**

დოქტორი კოიკე ამ გენის გამოყოფას და ბიოქიმიკოსთა ტრადიციულ ობიექტში — ნაწლავის ჩხირში მის „ჩაშენებას“ აპირებს. შედეგად შესაძლებელი იქნება გამაუფერულებელი და აბსოლუტურად უვნებელი ფერმენტის სასაქონლო რაოდენობით წარმოება.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჰელიოსის კოლხური ფესვების შესახებ

**მას შემდეგ, რაც იაზონმა კოლხეთიდან ოქროს საწმისი წაიღო და მედეაც გააყოლა ხელს, ბერძნულმა კულტურამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა. რა თქმა უნდა, ბერძნებს მანამდე ჰქონდათ თავიანთი მითოლოგია და კულტურა, მაგრამ ეს აქაველების ცივილიზაციის სახელითაა ცნობილი. ოქროს საწმისის შემდეგ კი ბერძნებში უკვე მაშინდელი დროის უძლიერესი, ელინური ეპოქა დაიწყო. მრავალი მკვლევარი ცდილობდა და ცდილობს, გაარკვიოს, რა იყო სინამდვილეში ოქროს საწმისი. ლეგენდის მიხედვით, ეს იყო ვერძის ტყავი, რომელზეც ოქროს მიღების ტექნოლოგია იყო დაწერილი.**



ტერმინი „ოქროს მიღების ტექნოლოგია“ ძალაუნებურად გვახსენებს შუა საუკუნეებსა და ინკვიზიციის მიერ გადამწვარ ევროპის გენიალურ ტვინებს ალქიმიკოსობის ბრალდებით (ალქიმიის მთავარი მიზანი ხომ ოქროს ქიმიური გზით მიღება იყო!), მაგრამ ეს სხვა თემაა. მე არ შევეცდები, ოქროს საწმისის რაობაზე ვიმსჯელო, მით უმეტეს, რომ ამ თემაზე მხოლოდ ვარაუდები შეიძლება, არსებობდეს.

ამჯერად შევეცდები, ეტიმოლოგიის დახმარებით ვიპოვო ელინურ და სხვა კულტურებზე კოლხური ცივილიზაციის ზეგავლენის დამადასტურებელი საბუთი. ცნობილია, რომ ქრისტიანობამდელ საქართველოში არსებობდა ე. წ. „წარმართული სამება“: კვირიკე, თეთრი გიორგი და ელია.

**კვირიკე იყო მთვარის ღვთაება, თეთრი გიორგი — მთავარი ღვთაება და ძველი საქართველოს მფარველი, ხოლო ელია ამინდისა და ნაყოფიერების ღვთაება გახლდათ. ამჯერად თქვენს ყურადღებას ელიაზე შევაჩერებ, რომელმაც ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, როგორც სხვა ბევრმა ღვთაებამ, ადაპტაცია გაიარა ქრისტიანულ რელიგიასთან და ახლა ცნობილია როგორც ელია წინასწარმეტყველი, იგივე ელია თეზბიტელი.**

შეგახსენებთ, რომ ელია თეზბიტელი ერთადერთი წმინდანია ძველი აღთქმიდან, რომელიც ბუნებრივი სიკვდილის გარეშე ცოცხლად აიყვანა სასუფეველში ღმერთმა ცეცხლოვანი ეტლით. **ამ მცირე ბიბლიურ დეტალში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი სწორედ რომ ცეცხლოვანი ეტლია.**

საქმე ისაა, რომ წარმართულ საქართველოში ამინდის მფარველი ელია წარმოედგინათ როგორც ღვთაება, რომელიც ცაზე ცეცხლოვანი ეტლით დადიოდა და ღრუბლებს მართავდა, წვიმას იწვევდა ან პირიქით — გვალვას მოუვლენდა ხოლმე ადამიანებს. ასე რომ, ელია და ცეცხლოვანი ეტლი ორივე რელიგიაში განუყოფელია.

ახლა ვნახოთ სიტყვა **„ელია“**-ს განმარტება სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“:

**„ელია — უფალი, ღმერთი ჩემი.“**

ჩნდება კითხვა: რა კავშირშია ელია თეზბიტელი ელინურ კულტურასა და არგონავტების მითთან? აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ბერძნული მითოსის პანთეონის ძალიან ბევრი ღმერთია ნახსენები, მაგრამ არც როდოსელი და არც თვითონ მითი არაფერს ამბობს, რა რელიგია ჰქონდათ კოლხებს იმ დროისთვის, როცა „არგო“ კოლხიდის ნაპირებს მიადგა.

**ამის გასაგებად ყურადღება უნდა მივაქციოთ სიტყვების ცვლილებებს სხვადასხვა ენაში მოხვედრისას. ამ შემთხვევაში ბერძნულ ენას დავაკვირდეთ. ბერძნულ ენას ანტიკური ხანიდან დღემდე ერთი უცვლელი მახასიათებელი თვისება აქვს: საკუთარ სახელებს ბერძნულ ენაში „ოს“ ბოლოსართი ემატება. მაგალითად:**

გიორგი (ქართ.) — გეორგიოს (ბერძ.);

ანჯელო (იტალ.) — ანგელოს (ბერძ.);

ალექსანდრე (ქართ.) — ალექსანდროს (ბერძ.);

და ა. შ.

მოდი, ვცადოთ და გავარკვიოთ, რა სახეს მიიღებდა სახელი „ელია“ ბერძნულ ენაში მოხვედრისას?

რა თქმა უნდა, „ელიოს“!

აბა, კარგად დააკვირდით, ხომ არაფერს გაგონებთ?

**ხომ არ წააგავს ეს სახელი ძველი ბერძნების მზის ღმერთის სახელს, რომელსაც „ჰელიოს“ ერქვა?**

სხვათა შორის, ბერძნების ჰელიოსს ერთი, ძალიან საინტერესო თვისება ჰქონდა — მას ყოველთვის გამოსახავდნენ ცის თაღზე... ცეცხლოვანი ეტლით მოსიარულეს! ანუ ზუსტად ისევე, როგორც ელიას და შემდგომში უკვე ელია წინასწარმეტყველს!

## თეოლოგიაში ღრმად განსწავლულობა არაა საჭირო, რომ მიხვდე — აქ საუბარი ერთსა და იმავე პერსონაჟზეა, ოღონდ სამ სხვადასხვა რელიგიაში.

**რაც შეეხება კოლხეთს — კოლხეთის მეფე აიეტი, მედეას მამა, არგონავტების მითში ცნობილია როგორც, არც მეტი, არც ნაკლები, მზის ღმერთის ჰელიოსის ძე!**

აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ აიეტის სამეფოდან გაიგეს ბერძნებმა ელიას, იგივე ჰელიოსის, შესახებ, და შემდეგ ეს ღვთაება თავიანთი, უკვე ელინური პანთეონის ერთ-ერთ მთავარ, მზის ღმერთად აქციეს.

**შეგახსენებთ, რომ ელინური კულტურა ძველ საბერძნეთში სწორედ არგონავტების მითის შემდეგ იწყება და და მას მერე ყველაფერი სწორედ რომ ელინურ ეპოქაშია შექმნილი.**

მანამდე რა იყო, ანუ აქაველების პერიოდზე, თვითონ ბერძნებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ.

დავუბრუნდეთ მზის ღმერთის წარმოდგენებს.

## როგორც ცნობილია, მზის ღმერთი თითქმის ყველა რელიგიაში გვხვდება, მაგრამ მისი ცეცხლოვანი ეტლი მხოლოდ ორ — ძველბერძნულ და ქართულ წარმართულ რელიგიებშია მოხსენიებული. მაგალითად: ეგვიპტური მზის ღმერთი, სახელად „რა“, ცის თაღზე ორჩხომელით დაცურავდა.



საგულისხმოა ფაქტიც, რომ თვითონ ბერძნულ მითოსში მოხსენიებულია პერიოდი, როცა ღმერთები „არ არსებობდნენ“, ანუ მაშინ ძალაუფლება ტიტანების ხელში იყო.

მათი მთავარი ღმერთის — ზევსის მამა გახლდათ ტიტანი ქრონოსი, რომელიც თავის შვილებს ჭამდა. ზევსი დედამისმა რეამ გადაარჩინა, როცა მამამისს ჩვილი ზევსის მაგიერ ჩვრებში გახვეული ქვა გადააყლაპა.

ახლა დავაკვირდეთ — „ქრონოს“ ძველი ბერძნულიდან ითარგმნება როგორც „დრო“, ანუ ზევსის მამა იყო დრო, დროის ტიტანი, რომელიც თავისსავე შვილებს ჭამდა. დამეთანხმებით, ძალიან კარგი სიმბოლოა.

**მაგრამ მთავარი აქ სხვა რამაა — ბერძნული მითი გვიამბობს, რომ ეს ღმერთები, მათ შორის, ჰელიოსიც, ყოველთვის არ ყოფილან, ანუ რაღაცის შემდეგ გაჩნდნენ. მოხდა რაღაც მოვლენა, რომელმაც ძველ საბერძნეთში რელიგიური რეფორმა გამოიწვია და დასაბამი მისცა არსებითად განსხვავებულ რელიგიას, რომელიც, თავის მხრივ, ახალი კულტურის საფუძვლად იქცა.**

რა იყო ეს მოვლენა? ხომ არ იყო ეს არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში? იქნებ სწორედ აქ ეზიარნენ ბერძნები ახალ საიდუმლო მოძღვრებას? და იქნებ სწორედ ამისთვის წაიყვანეს მედეა არა მხოლოდ როგორც იაზონის მეუღლე, არამედ როგორც ახალი რელიგიის ქურუმი?

## მოგეხსენებათ, იაზონი უფლისწული გახლდათ, ხოლო მის მიერ შემოღებული ახალი რელიგია და ამ რელიგიის მატრიარქის მეუღლეობა მას, ფაქტობრივად, აბსოლუტურ ძალაუფლებას მიანიჭებდა...

ამაზე, გასაგები მიზეზების გამო, მსოფლიო ისტორია დუმს.

**ჰელიოსის გარდა ბერძნულ მითოლოგიაში კიდევ მრავლადაა პასაჟები, რაც საქართველოს უკავშირდება. მაგალითისთვის, ტიტანი პრომეთე, რომელმაც ადამიანებს ცეცხლი ჩამოუტანა ოლიმპოდან, დასაჯეს და ისე, როგორც ამირანი, კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვეს.**

შემდეგ პრომეთე გაათავისუფლა ჰერაკლემ.

**აქედან დასკვნა: ჰერაკლე ყველაზე ადრე ყოფილა კავკასიაში და, შესაბამისად, არგონავტების მოგზაურობის იდეის ავტორადაც სწორედ ჰერაკლე უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მხოლოდ მას ჰქონდა ნანახი კოლხური ცივილიზაცია და ოქროს საწმისის შესახებ ინფორმაციაც, სავარაუდოდ, მას უნდა ჩაეტანა საბერძნეთში.**

ასევე საინტერესოა კიდევ ერთი ძველბერძნული ღმერთის ჰეფესტოსის — მჭედლობის ღვთაების წარმოშობაც.

**როგორც უკვე ვთქვით, ღმერთებმა ძალაუფლება ტიტანების დამარცხების შემდეგ ჩაიგდეს ხელთ, ანუ მოხდა ე.წ. „ღმერთების რევოლუცია“ და სათავეში მოვიდა ზევსი. ძალაუფლება გადანაწილდა შემდეგნაირად — ზღვის ღმერთი გახდა პოსეიდონი (ზევსის ძმა), ქვესკნელისა და მკვდართა სამეფოს მბრძანებელი — ჰადესი (ზევსის კიდევ ერთი ძმა) და ა. შ.**

შემდეგ ზევსმა თავისი და ჰერა ცოლად შეირთო (ისევე, როგორც ეგვიპტეში — ოსირისმა ისიდა შეირთო ცოლად) და მათ გააჩინეს სხვა დანარჩენი ღმერთები — ათენა, ჰეფესტო და ა. შ.

საინტერესოა, რომ ღმერთებამდელ (ანუ ტიტანების) ეპოქაში ყველა სფეროს თავისი ტიტანი ჰყავდა — მიწის ტიტანი (გეა), დროის ტიტანი (ქრონოსი), კოსმოსის ტიტანი (ურანოსი, ქრონოსის მამა, ზევსის პაპა) და მრავალი სხვა.

**არსად იყო მხოლოდ მჭედლობის ტიტანი.**

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ მოვლენამდე, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ, ძველ საბერძნეთში მჭედლობა, როგორც დარგი, არ არსებობდა! **ოქროს საწმისთან და მედეასთან ერთად, როგორც ჩანს, არგონავტებმა რკინის გამოჭედვის ტექნოლოგიაც წაიღეს კოლხეთიდან.**

მართალია, იმ დროისთვის ბერძნებმა უკვე იცოდნენ სპილენძის დამუშავება და მისგან იარაღის დამზადება, მაგრამ, მოგეხსენებათ, სპილენძის ნაკეთობებს გამოჭედვა, როგორც ასეთი, არ სჭირდება.

სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა ბერძნულ პანთეონში ჰეფესტოსი, მჭედლობის ღმერთი. ჰეფესტოსი გაჩნდა მაშინ, როცა წარმოიშვა მრეწველობის ახალი დარგი და, ამასთან, — მისი მფარველის საჭიროება!

როგორც ჩანს, არგონავტებს კოლხეთიდან ჩვეულებრივი ცხვრის ტყავის გარდა უამრავი ძვირფასი ინფორმაცია წაუღიათ. ასე რომ, ელინისტური კულტურის შექმნაში ქართველებს ლომის წილი მიგვიძღვის და ამას ჯერ კიდევ უზარმაზარი კვლევა-ძიება სჭირდება.

**ლექსო ლეკიაშვილი**

# კიოსერას „ცოცხალი“ ტელეფონი ჰყავს

**კიოსერა ვიღაა და იაპონური კომპანია, რომელმაც მობილური ტელეფონი EOS–ის დემონსტრირება გამართა. ხელშესახებად ტელეფონის ზედაპირი ადამიანის კანს მოგაგონებთ, იოლად იკეცება და იხვევა მფლობელის სურვილისამებრ, ზოგიერთ შემთხვევაში კი ეკალიც აყრის.**

ახალ ქმნილებაში ყველაზე მნიშვნელოვანი კორპუსია, რომელიც დრეკადი პოლიმერული პლასტიკითაა შექმნილი. სწორედ მისი წყალობით, ტელეფონი ორად იკეცება ნოუთბუქივით, ან სამად, ან სულაც გრაგნილად ეხვევა. იგულისხმება, რომ ფილმის საყურებლად მფლობელი მას ბოლომდე გაშლის, ტექსტზე მუშაობისას ორად მოკეცავს, ზარების შესამოწმებლად კი



სრულად დაკეცილი მდგომარეობაც სავსებით საკმარისია.

კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს, ღილაკების ფუნქციონირების მექანიზმია. გარკვეული რეჟიმების შემთხვევაში ისინი საერთოდ იკარგება, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში ზედაპირზე ბორცვებივით ამოლაგდება.

**ტელეფონს არ აქვს კლასიკური აკუმულატორი, მუშაობს პიეზოელექტრონულ გენერატორზე, რომელიც კინეტიკურ ენერგიას ელექტრონულად გარდაქმნის. ასე რომ, ტელეფონის დასატენად საჭიროა, გარკვეული დროით ის მუჭში გეჭიროთ.**

# ხუმრობა ხუმრობა საქმე არ გეგონოთ!

**გამოჩენილი ლარინგოლოგები ერთსულოვან დასკვნამდე მივიდნენ, რომ სიცილის წარმოქმნას ხელს უწყობს ყურის ფოსო, ხორხი და ცხვირის ღრუ, თუმცა უპირატესობა მაინც ყელს ეკუთვნის, რომელშიც ჰაერის რიტმული მოძრაობის შედეგად წარმოიშობა ის, რასაც ცხოვრებაში სიცილს ვეძახით... სანამ გავიცინებდეთ, საჭიროა, დაბეჯითებით ავწონ-დავწონოთ, ღირს თუ არა ცხვირში რიტმულად ჰაერის გაშვება იმად, რისთვისაც უნდა გავიცინოთ? რა თქმა უნდა, საქართველოს ვითომ იუმორისტული ტელეგადაცემების შემხედვარე არ ღირს. იუმორის გარეშე კი სიცილ-ხარხარს სხვა სახელი ჰქვია.**




წარმოუდგენელია, ცხოვრობდე იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ: სიკო ფაშალიშვილი (ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივანი, კინოფილმის „ქეთო და კოტე“ სცენარის ავტორი), კარლო კალაძე, ნოდარ დუმბაძე, ზაურ ბოლქვაძე, მურთაზ აბაშიძე, გიგლა ფირცხალავა, ჯემალ ლოლუა, ედიშერ ყიფიანი, ვახტანგ კუცია, მიხეილ ჭიაურელი, ქართლოს კასრაძე, თენგიზ მირზაშვილი, სანდრო ეული (ქურიძე) და არ იცოდე, რა არის ნაღდი იუმორი. შეიძლება, ვერ მღეროდე, მაგრამ კარგი მომღერლის მოსმენის უნარი მაინც გქონდეს. ვაი, იმას, ვისაც არც ერთი აქვს და არც მეორე. მასხარა კი არ უნდა იყო, უნდა ხუმრობდე. ის, რაც ჩვენს ტელევიზიებში ხდება, ხუმრობა არ არის. ეს კლოუნობაა. კლოუნი კი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ცირკის ხუმარას, უფრო კარგად — ტაკიმასხარას. **მიზანშეწონილი იქნება, ტელევიზიის შენობა დავტოვოთ და ბადრი პატარკაციშვილის მიერ ნაყიდ ცირკის შენობაში გადავიდეთ და ხელი მივყოთ ტაკიმასხარაობას, რაც ქართველ ხალხს მაინცდამაინც არ შეეფერება იმიტომ, რომ „ცირკაჩობა“ ჩვენი საქმე არ არის.** თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხუმრობა ჩვენზე უკეთ მსოფლიოს არცერთ ერს არ შეუძლია. უფრო მეტიც, ქართული სუფრა არ არსებობს სიმღერისა და იუმორის გარეშე. გავიხსენოთ ქართული სუფრის დამსახურებული ოსტატები, ქართული სუფრა და ცნობილი თამადები, ქართველი იუმორისტები. **შევეშვათ საკუთარი დედის გინებას და ქართული, ნაღდი, ბრწყინვალე იუმორის დაკნინებას. ნუ დავხარჯავთ დროს და თანხებს სიმახინჯის გადმოსაფრქვევად ტელევიზიის ეკრანიდან, ნუ შევაჩვევთ მომავალ თაობას უკბილო ხუმრობას. ერთი და იგივე პროდუქტიდან კეთდება კარგი და ცუდი კერძი, რაც დამოკიდებულია მზარეულზე. ნუ მივცემთ ცუდ მზარეულს ცუდი კერძის დამზადების საშუალებას. ძალით იუმორისტობა საცოდაობაა.**

ძვირფასო მკითხველო! რაკი იუმორზე გვიწევს საუბარი, მოდით, ამჯერად **მურთაზ აბაშიძე** გავიხსენოთ, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ძირძველი „ნიანგელი“. იგი იბრძოდა კალმით, ფანქრით, სატირით და იუმორით. 60 წელი ემსახურა ჟურნალ „ნიანგს“. როცა ნოდარ დუმბაძემ სარედაქციო კოლეგიის წევრობის მოწმობა გადასცა, მან მოწმობა ხელში აიღო, შეათვალიერა და იკითხა:

**— ამ მოწმობით რაიკომის პირველ მდივანს დავუნძრევ?**

**ნოდარი შეფიქრიანდა და პატარა პაუზის შემდეგ უთხრა:**

**—მურთაზ, ძამა! რაღა პირველს ეცი მაინცდამაინც, ცოტა დაბლა ჩამოიწიე.**

**— მეორე მდივანს, პროკურორს?**

**ნოდარი ცოტა ხანს კიდევ შეჩერდა და აუტყდა სიცილი. მურთაზი გაბრაზდა, მოწმობა მაგიდაზე დადო და ხმამაღლა წარმოთქვა:**

**— აბა, ჩემო ნოდარ! პარიკმახერები და მექისეები ისედაც დანძრეულები არიან!**

მისი კარიკატურები გამოირჩეოდა მძაფრი კრიტიკითა და ხალასი იუმორით. ზოგჯერ ისეთ ნახატს და თემას მოიტანდა, რომ კომუნისტების დროს მისი დაბეჭდვა წარმოუდგენელი იყო. სამწუხაროდ, რედაქციას დაუბეჭდავი მისი ნახატები არ შემორჩა. მისთვის მიუღებელი იყო ცენზურა. **ერთხელ ცეკას ბიურო დახატა, მჟავანაძის მეთაურობით, მაგიდის ქვეშ კი მისი ცოლი მოათავსა. იმ დროს ხალხში ხმა იყო გავრცელებული, რომ საკადრო საქმეს ცოლი განაგესო.**

**— მურთაზ! ამას ცენზურა არ გაუშვებს, ჩვენ მოგვხსნიან და შენ დაგიჭერენ, გინდა? — ვეკითხებოდით და თან ვიცინოდით.**

**— აბა, როგორ გინდათ, არ ვთქვათ სიმართლე? — შემოგვედავებოდა. კი, უნდა ვთქვათ-თქო ვპასუხობდით შეპარვით.**

**— მაშინ, იცით რას გეტყვით? ამ ჟურნალს „მელა“ დაარქვით! — ამბობდა ბრაზმორეული.**

ნიჭიერი მხატვრის შემოქმედება გამოირჩეოდა უდიდესი პროფესიონალიზმით. იყო თავმდაბალი, სიტყვამართალი, ობიექტური, შრომისმოყვარე და კრიტიკული. სწორედ დღეს არის იგი საჭირო.

**ჟანი სიხარულიძე**

## ანეკდოტები

**მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით განაცხადა: მე გავაკეთებ ყველაფერს, რათა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციამ სრულფასოვნად შეძლოს მონაწილეობის მიღება — ციხის კამერებში უკვე დავიწყეთ ვიდეოაპარატურის დამონტაჟება წინასაარჩევნო ტელედებატებისთვის!**

* * *

**— ხომ არ გვენადირა? — ჰკითხა დიკ ჩეინიმ საქართველოს პრეზიდენტს.**

**— იქნებ ჰალსტუხით გაგიმასპინძლდეთ, — უპასუხა სააკაშვილმა.**

**და ორივე ღრმად ჩაფიქრდა.**

* * *

**ცირკის მასხარა ცოლთან ერთად ტელევიზიით უყურებს რეპორტაჟს საქართველოდან. უცებ მიუბრუნდა ცოლს და ეუბნება:**

**— ამერიკელებს უნდა შევთავაზო, ბუშის ადგილას მე დამნიშნონ.**

**— რატომ? — ეკითხება ცოლი.**

**— იმიტომ, რომ მაიმუნების გაწვრთნის საქმე მე გაცილებით უკეთესად გამომდის.**

* * *

**— რატომ არ მიიღებენ სააკაშვილს არასდროს ავიამოლარის თანამდებობაზე სამუშაოდ?**

**— იმიტომ, რომ ამ თანამდებობაზე მომუშავეთათვის სასტიკად აკრძალულია თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე თავქუდმოგლეჯილი გაქცევა.**

## მე შაირი არ მინდოდა...

**არ გვეყო, როცა ერთმანეთს
ცრემლით ვაჩუქეთ ტიტები?
ნინომ ღიმილი გვაჩუქა,
ბიწაძემ მოგვცა ბიტები!**

**საკნიდან მღერის „უცნობი“
ოპოზიციის არიას:
დღეს დავბლოკავთო პირველ არხს,
ხვალ კიდევ — კანცელარიას!**

**კარავში ცხოვრობს სუყველა,
ჩვენი კარგი და კეთილი...
საბურთალოდან ისნამდე
გზებია გადაკეტილი.**

**ნეტა, არ დაიღლებიან
ხალხის ამდენი ტარებით?
ბიწაძემ მომიტინგეებს
ჩამოურიგა ტარები.**

**როგორც ამბობენ, E მუდამ
ემ-ცე-კვადრატის ტოლია,
დაღლილი ვირის მაგიერ
დაღლილი მიშა გვყოლია!**

**სიღნაღელ ვირებს დარდისგან
ჩამოუყრიათ ყურები,
სირცხვილისაგან დამწვარან
მიშას სმა-ჭამის ყურებით.**

**იმდენი ტლინკი უყრიათ,
შრომით მამკვდარა მჭედელი...
„რუსთავი-2“ დაინგრა,
როგორც ბერლინის კედელი.**

**იქნება, ახლა გაიგონ
ჩვენი კენტი და ლუწია,
როგორც ჩანს, ასათიანი
ვალერის ცოდვამ უწიათ!**

**პირდაპირ თავზე დაატყდათ
უფლისგან რისხვის ნიშანი,
წყალნი წავლენ და წამოვლენ,
დაიღლებიან მიშანი!**

**ბოლო დროს საქართველოში
მომრავლდნენ ფადი ასლები,
გაყიდეს ბრაზილიური
ქათმების ქსეროასლები.**

**ჭკუას გვასწავლის არაბი,
ქათმის ბარკლების ვაჭარი,
ბრაზისგან ნესტან კირთაძემ
სულ დაიგლიჯა... (რაც არი)!**

**თუმც მიტინგს ისე უხდება,
„ვით ედემს ალვა რგულია“,
ნათელაშვილი ბოლო დროს
„LOST“-ივით დაკარგულია!**

**ნატო აპირებს ჩვენს გაწვრთნას,
უნდა რომ კარგად ვიბრძოლოთ...
რუსეთი თავში გვიმიზნებს
პირველი არხის სიმბოლოს!**

**პატრიოტობას ჩემულობს
ჩვენში სუყველა ახვარი
და ჩვენც დავდივართ ჭკვიანად,
ჯიგრულად ნაწვრთნელ-ნახმარი.**

**და არც თავს დავხრით არასდროს,
თუგინდ გვხოცავდეს შიმშილი!
— დიალოგიიიიიიიო! — გვიმღერის
სალომე ზურაბიშვილი!**

**სულ მალე მიადგებიან
მერაბიშვილის მსახურებს,
გულუხვად დაურიგებენ
დედის გინებებს, კახურებს.**

**იმათ, ვინც ჩუმად არის და
იმათაც, ვინც ბევრს ახურებს,
იმათ, ვინც ქიბარ ხალვაშის
ბიზნეს-ჯგუფები დახურეს.**

**და ბოლო რომ მოეღება
„რუსთავი-2“-ის ფაფხურებს,
გოგოტიშვილი თენგიზაც
დროშის ტარს დაიმსახურებს!**

**გეგა ბაიტიანი**

რეკლამისათვის დარეკეთ: 38 41 97

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამომცემელი ტარიელ გაგნიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5; ტელ.: 38 41 97
მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე:
info@geworld.net; geworld@mail.ru